

K 4.902
3

2020.6.5
2020.6.5

ოსმალეთის უღელტევის საქართველო /
GEOGRAPHIA OF THE OSMALE TERRITORIES

33

9(47922)

ԵԱՀՈԴՅԵԼՈՒՑ ՑԱՇԱՎԵՐՈՒՆԵԱԾ

၁၆၅

۲۷


ქართველთ გათათოება



ଶ୍ରୀକୃତିମ୍ବାଲା

၇. ပြုပြုနည်စာရွက်.

4.909
3



9 803060

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა არ. მ. კერძესელიძისა, გამაცვის შესახ. № 1..

1915

ქართველების გათათრება

ქარსის (ქარი) მიდამოებისაკენ.

(ნაამბობი სოფ. ვაიოში გამაპმადიანებულთ გოგიტიძეების მიერ).

ყარსი ძველად ქართველების ქალაქი იყო, მისს გარშემო სულ ქართველები სცხოვრებდნენ. ყარსის იქითაც საქართველო ყოფილა. ოსმალებს ყველაზე წინად ყარსის ქალაქი დაუჭერიათ; რამდენსამე ხნის შემდეგ თაორებს ქართველებისთვის გამაპმადიანება უთხოვნიათ. წაგრამ ქართველები არ დასთანხმებიან და ოსმალებთან ამის გამო ჩხუბი მოსვლიათ. ქართველთაგან ძლიერ ბევრნი დახოცილან, ბევრნი ქართლ-კახეთს გამოქცეულან, ბევრნი აქ დარჩენილან. ჩხუბებს ბოლო და დასასრული არ მისცემია. ამ ღროს, ყარსისკენ მდგარან გოგიტიძეები, ამათი ჰოფლები იქით ყოფილა. გოგიტიძეები აზნაურები ყოფილან მეფების დროს, და თაორებს ამის მაგიერ აღიობა მიუციათ. ერთი გოგიტიძეთაგანი შეტად შესანიშნავი კაცი ყოფილა, ხალხის მოყვარე და ქვეყნის ერთგული. ეს წასულა ოსმალებთან და უთქვამს:

— ბატონებო, ჩვენი რად გეშინიანთ თქვენა, ჩვენი რის შიში გაქვსთ, ჩვენს სჯულს რად ეხებით, რად გინდათ, რომ ჩვენ ჩვენი ძველი სჯული დაგვაკარგვინოთ, ამით უფრო ბევრს მტრებს გაიჩინთ, თქვენ, სჯობს, რომ ხმდენი ხალხის ასე ულეტა-შუვეტას თავი გაანებოთ და ქვეყანას უპატრონოთ. ჩვენ ერთგული ვართ, მე გაძლევთ პირობას, რომ თქვენ წინააღმდეგ სიტყვა, კრინტი არავინ დასძრას, ხმალი არავინ აიღოს ხელში; ოღონდ მოგვასვენეთ, ჩვენს სჯულს თავი გაანებეთ: ხალხი ამაზედ სწუხს და სულ ამის გამო არის უკმაყოფილი.



— ძალიან კარგი, ყველაფერს შევასრულებთ, მომავალი შენის სიტყვით და შენის დაპირებით და ისიც იმ შემთხვევაში, შენ თუ თათრის სჯულს მიიღებ; ეს იცოდე, რომ მაშინ ყარსის ფაშობასაც შენ მოგცემთ და მართე იქაურობა ჩვენის ერთგულებით. ასეთი რჩევა გოგიტიძეს მოეწონა. ამან ითქორა: ამდენი ვაი-ვაგლახი თუ ჩემის გამაპმადიანებით მოისპობა და მეც ფაშა გავხდები, მაშინ რა მიჭირს, გავმაპმანდები და ამით ქვეყანასა და ხალხს მაინც ივაცდენ დიდს უბედურებასაო. ამიტომ ეს კაცი მალე გამაპმადიანებულა. ამისთვის სახელად სეიდი უწოდებიათ და ყარსის ფაშად დაუდგენიათ. სეიდ ფაშა გოგიტიძე ძლიერ შესანიშნავი კაცი ყოფილი და თავისი საქმეებიც კარგად უმართავს, მაგრამ არ გასულა დიდი ხანა, სეიდ ფაშას გამაპმადიანების შემდეგ, რომ ოსმალის ფადიშაპისაგან ბრძანება მოსულა, რომ ქართველები მთლად უნდა გაამაპმადიანოთ, ჩემს სამეფოში ყველა მაპმადიანი უნდა იყოსო. ამ ამბავს ხალხი არ დაჰყაბულებია, სეიდ ფაშასთან მისულან და უთქვამთ:

— ეს რა ამბავი არის, დაგვიმორჩილეს, ფეხი გაიმაგრეს, ყოველივე ჩვენი საიდუმლოება შეიტყეს. და ახლა გამაპმადიანებას გვეუბნებიან, სჯულიდამ ხელის აღებას?!

სეიდ-ფაშა მიმხრობია ქართველთ და ამათ ოსმალთა წინააღმდეგ ჩხუბი დაუწყიათ. ჩხუბში დიდალი ქართველობა გამწყდარა, მაგრამ არც ოსმალთ დასდგომიათ კარგი დღე, ესენიც მრავალი დახოცილან. ოსმალთ მალე მოშველებია ოსმალოს ახალი დასვენებული ჯარი და ამათ გაუმარჯვნიათ. ქართველები ძლეულან და ამ ძლევის დროს სეიდ-ფაშა გოგიტიძე თავის ხალხით აქარაში გამოქცეულა, რაღვანაც აქარა მაშინ საქართველოსი იყო. აქ ქართველი მეფე იჯდა. ყარსიდებან მოსული სეიდ-ფაშა გოგიტიძე აქარის სოფ. ვაიოში დასახლებულა. აქ გაუმაგრებიათ თავი და აქედგან უბრძოლიათ ოსმალთ წინააღმდეგ. აქარელთ დიდი ხანი შეუნახავთ თავი. ყარსისკენ კი მთლად გამწყდარა ქართველობა ოში და ვინც დარჩენილან, ბოლოს ესენიც გამაპმადიანებულან. გამაპმადია-



ნების შემდეგ ოსმალმა ქართველებს ხოჯა-მოლები გამოიუწყისად—
ნეს, ეკულესიები დაუქციეს, მღვდლები გამორეკეს, ზოგი გა-
ათათრეს, ვინც ქართულად ლაპარაკობდა, იმათ ქართველთ
აღუკრძალეს, დღეის შემდეგ ქართულად ლაპარაკი არ გაბე-
დოთ თქვენ, თორემ დაგხოცავთო. ახალ გამაჰმადიანებულთ
ძლიერ ეშინოდათ, რადგანაც ამათ მომხრე და ქომაგი არ
ჰყავდათ და ამიტომ ძალა-უნებურად თათრულს ენაზე ლაპა-
რაკობდნენ. ნელ-ნელა თათრულს შეეჩივნენ და ქართული
მთლიად დაავიწყდათ, ასე რომ დღეს ყარსისკენ ქართული აღა-
რავინ იკის. მას შემდეგ, ჩვენ გოგიტიძეები, სეიდ ფაშასი და
მის ძმების შთამომავალნი ვსცხოვრებთ ვაიოში და ჩვენში
ძველმა კაცებმა ამ სეიდ-ფაშა გოგიტიძის და ქართველთ გა-
მაჰმადიანების შესახებ ბევრი ძველებური ამბები იკოდნენ.

ართვინის (ართვანი) გამაჰმადიანება.

(ნამდობი ლივანაში ქრისტიან კათოლიკებთაგან და ქართველ მაჰმა-
დიანებთაგან).

ლიგანის ხევი—დღეს ლივანად იწოდება. ლიგანი ძველია დ
იწყებოდა შესართავთან და იქიდან ართვინიმდის მიემართებოდა;
ართვანს იქით კი, ანუ ბერთას სამზღვრიდან კლარჯეთი
დაიწყებოდა. დღეს აქეთ კლარჯეთის ხსენება არავინ იკის,
უკეთო ლიგანს უწოდებს ამ ადგილებს. ყველა ეს ადგილები
ძველ და საქართველოს მკვიდრს საკუთრებას შეადგენდა; აქ
ქართველთ ტომით იყო მოფენილი, ლივანის დაბა, ართვინიც,
ქართველთა მეფეთაგან იყო გაკეთებული; ეს ადგილები ძვე-
ლადვე დაადგა წარმატების გზას, აქაურნი ქართველნი აღრიდ-
განვე შეეჩივნენ მწიგნობრობას, ხელოსნობას, მეცნიერების
მიყოლას და ლვთის-მეტყველებას. ამ ადგილებში ძველია შენ-
დებოდნენ მრავალი მონასტერ-ეკკლესია და დიდრონი სასწავ-
ლებელნი, რომელთა ნაშთნი დღემდეც შენახულან ბევრგან,
აქაურნი ქართველნი იყვნენ მეტად მხნე და ლომ-გულნი, მა-



მულის შოკვარენი და საქართველოსთვის თავ-დადებულნიშამაშა
ხომ ჩვენი ისტორიაც ამტკიცებს. ამათ დიდხანს იბრძოლეს
ქართველების გულისთვის პირისპირ ოსმალებთან, მაგრამ უკა-
ნასკნელ ესენიც იძლივნენ, — მუდმივ ომებისაგან დაღალულნი
დაემორჩილნენ თავიანთ კარზე მომდგარს შავს ბედს და მიე-
ცნენ ოსმალთა მონებას.

ოსმალთა მონების ქვეშ შესვლას შედეგად მოჰყვა მთელი
ამ აღვილების გამაპმადიანება, გამაპმადიანებისთვის წამება.
ხალხი დიდს უარს იყო გამაპმადიანებაზე, მაგრამ ხსნა არ საიდ-
გან იყო. უკანასკნელ იწყეს გამაპმადიანება და რავდენიმე ხნის
განმავლობაში მთელი ეს აღვილები, ბერთამდის მცხოვრებნი
ქართველნი მთლად გაამაპმადიანეს. ამათ შემდეგ ბერთას მია-
დგნენ. ბერთაში ძველად მშვენიერი ეკკლესია იყო და ამ ეკ-
კლესიას დიდი ზე-გავლენა ჰქონდა ამ მხრის ქართველებზე;
ბერთას ხსნება სასტიკად ამაგრებდა ქართველთა და ამათ
მხნეობით მოსაფდა გამაპმადიანების წინააღმდეგ, მაგრამ ესეც
შემცირდა. უკანასკნელ ოსმალთა სცნეს საქმის ვითარება და
მაღლე ბერთას ტაძარსაც მოხვიეს ხელი, სამღვდელონი გაძარ-
ცვეს და ეკკლესია ჯამეთ გაღააკეთეს. ეს ეკკლესია ჯამეთ გა-
დაკეთებული დღემდეც სდგის კლარჯეთში.

• ქართველთა ოსმალთ წინააღმდეგ მკაცრად იწყეს ბრძო-
ლა; ესენი ბრძოლენ სასტიკად მით უფრო, რაღანაც ოსმა-
ლებმა ამათი მოძმე ქართველნი აქა-იქ დასტანჯეს უწყალოდ,
და ამ ტანჯვით იგინი მაინც გაამაპმადიანეს. ბრძოლენ გმი-
რულად, მაგრამ ბოლოს ქანც-გაწყვეტილებმა იწყეს აქეთ-იქით
ლტოლვა; დაბა და სოფლებმა იწყეს ვერანად ქცევა. ოსმალთ
თავიანთ ხრიკები შეაჩერეს, ხალხი დააშოშმინეს, რამდენიმე
ხნის შემდეგ ხელ-ახლავ მოჰყიდეს გამაპმადიანებას ხელი და
ქართველებს დაუწყეს გამაპმადიანება და აი როგორ: ოცი,
ოცდა-ათ სოფელს დაეცემოდნენ, ამ სოფლის ხალხს ერთად
შეჰყრიდნენ გარს ოსმალოს ჯარს შემოაკრავდნენ და თათრო-
ბას ეუბნებოდნენ. ქართველთაგან ესმოდათ:

— არ გავთათრდებით, რაც უნდა იქმნეს.



— დაგხოცავთ სუყველის, არც ერთს არ დაგარჩენა კულტურული ცხალის. ეუბნებოდნენ ასმალნი.

— ნება თქვენი გახლდესთ, როგორც გერჩიოთ, ისე ჰქმენით საქმე.

— ჩვენი ნება და საქმე თქვენი გამაპმადიანება არის. მიუგეს ასმალთა.

— არა, ჩვენ მაგას ვერ ვიზამთ. ჩვენ, თქვენი ნება დახოცვის მხრით გითხარით, მიუგეს ქართველთა.

— დახოცვა ჰქუის საქმე არ არის, საქმე გამაპმადიანება არის. ეს ადგილები ჩვენ მიტომ დავიკავეთ, რომ ქართველნი გავამაპმადიანოთ და არ დაგხოცოთ. ჩვენ მაპმადიანობის გავრცელება გვინდა, რომ ეს წმინდა სჯული მოიფინოს უსჯულო ქართველებში.

— ჩვენ ვერ ვიზამთ მას, მიუგეს ქართველთა.

— არა გიშავთ-რა, ჩვენ შეგაჩვევა, გასწავლით ცველა-ფერს მიუგეს ასმალთა. მაგრამ ქართველნი მაინც არ თანხმდებოდნენ.

ლივანელ-კლარჯელებისთვის დაფგა დიდი უბედურების დღეები. აქ მცხოვრებ ქართველიობას გარს აუარებელი ასმალოდან მოსული ჯარი შემოეკრა, და იწყეს ქართველების დევნა და პატიმრება, მოხუცებულნი ქართველების დედაკაცი და მამაკაცი ხმა-მაღლა ჰყენიროდნენ ტირილით.

— არ გავთათრდებით... ვაი ჩვენს თავს, ჩვენს ბედს, უნდა გაგვამაპმადიანონ ძალით, ღმერთო, ნუ გვიწყენ, გვაპატიე! პატიმარ ქართველებს მოუყარეს ერთად თავი და ცველა ესენი წყობა-წყობა მიჰყეანდათ ართვინის ხილის გვერდით, რომელი ხილიც ჭოროხხე იდგა. აქ აყენებდნენ ქართველთა და გარს ჯარის კაცი სცავდნენ.

პყრობილ ქართველთა პირდაპირ, ხილის გვერდით, ერთ ალიგას, დაასვენეს ერთი ძველი ქართველთა ხატი, რომელსაც ქართველნი დიდს პატიეს სცემდნენ. ეს ხატი ართვინის ეკკლესიისთვის წაერთმიათ ასმალებს. ხატის გვერდით იყო თავ-ხაკვეთი ქვა და იდგნენ ჯალათები თავ-საკვეთით აღჭურვილნი.

პურობილ ქართველთაგან სამ-სამნი მოჰყვანდათ ქართველთა ხატის წინაშე და გაკრძალვით აყენებდნენ და თან ეუბნებოდნენ:

— თათრდები თუ არა? თუ თათრდები ხომ კაი, თუ არა და აი თავ საცვეთი და ჯალათი.

— არ გავთათრდები, არა და არა შეუტიეს მრავალთა.

— აბა მაშ თავები ამათ, იყვირეს ოსმალთა, ჯალათის წინ წიაყენეს პურობილი ქართველთაგანი და მოჰყვეთეს თავი და დაჭრილი ჭოროხში გადაყარეს. ქართველთა ნახეს მეგობრის წიამება. სჯულის გულისათვის, ესენი შეჰქრონენ, შეშინდნენ, მტერს დახანება სთხოვეს. ამათ მისცეს მათ ნება. იგინი დაფიქრდნენ. ბოლოს უთხრეს:

— გავთათრდებით, მეტი გზა არ არის.

— ძალიან კარგი, მაშ თუ გათათრება გინდათ, აგერ, იმ ხატს მიაფურთხეთ, რომ ჩვენ დავრწმუნდეთ თქვენს გათათრებაზე.

— ხატს რაღაზე მივაფურთხოთ, იგი რას გიშავებთ თქვენ ან ჩვენ, რა გინდათ მისგან, რომ მივაფურთხოთ?

— რომ ჩვენ დავრწმუნდეთ თქვენს გათათრებაზე, თუ არა და უამისოდ ჩვენ ვერ ვირწმუნებთ თქვენს გათათრებას.

ქართველთა მიუგეს:

— ჩვენ გავთათრდებით, მაგრამ ხატს ვერ მივაფურთხებთ.

— ვერა და დაიხოცებით. მიუგეს ოსმალთა მრისხანებით.

— ნება თქვენი აღსრულდეს, როგორც გერჩიოსთ ისე ჰქმენით. ჩვენ არ შევშინდებით.

რავდენიმე ქართველთ პურობილნი წარსდგნენ წანა და მოჰყვეთეს ამათ თავები და გადაპყირეს ჭოროხში. ამ მოწამების სიკვდილი და წამება რა ნახეს მრავალთა, ესენი შეშინდნენ, იწყეს დრტვინვა, თავის დანანება და ამიტომ ისურვეს ოსმალთა ბრძანების აღსრულება და ხატზედ მიფურთხება. ხატზე მიფურთხების შემდეგ მიმფურთხავს ათავისუფლებდნენ და იქვე ათათრებდნენ. ორი დღის განმავლობაში რვაას ქართველს



მოსკრეს თავი და გადაჟყარეს ჭოროხში, რომელთა უკანასკნელი მომავალი ბედეს ხატზე დ მიფურთხება. ზოგნი კი ასახელებენ, რომ ათას ოთხას კაცს მოსკრეს თავიო.

ასე და ამ გვარად, ართვინის ხიდის გვერდით დიდ-ძალი ქართველობა გაწყვეტილა ოსმალთა წინაშე ბრძოლაში მაპმა-დიანობის გამო. დახოცილებში ბევრი დედაკაციც რეულა და მღვდლებიც. ვინც დარჩა ისინი გაათათრეს და მათში სასტი-კის შიშიანობით დაამკვიდრეს მუსლიმანობა.

აქაური ქართველნი მეტად ჰყვიანნი და მხნენი იყვნენ. ბევრმა მათგან იწყეს კათოლიკეთ თავის აღიარება, ზოგმა სომ-ხობა და ამით გადირჩინეს თავი წამებისაგან, რადგანაც ოს-მალნი კათოლიკებსა და სომხებს არ ატანდნენ ძალას. საქარ-თველოს კათოლიკეთ თვით პაპი მფარველობდა. პაპს სულთან-თან პირობაც ჰქონდა შეკრული. სომხებს კი ხმას არ სცემ-დნენ, რადგანაც მათი მორიდებაც არ ჰქონდათ. მარტოდ ქარ-თველებს მტრობდნენ, რომ ამათ საქართველოს მეფესა და ერ-თან კავშირი არა ჰქონიყოთ.

ამ ადგილებში ქართველნი გათათრდნენ, მაგრამ ქრის-ტიანობას მაინც არ სტოვებდნენ, საიდუმლოდ ქრისტიანობ-დნენ. ეს ამბები ოსმალთა შეიტყეს, ამიტომ მათ ქართველებს სასტიკად უწყეს დევნა და ტანჯვა-წამება. უკანასკელ საქმე იქამდის მივიდა, რომ ლივანელ და კლარჯელ ქართველებს ქართულს ენაზე ლაპარაკიც კი დაუშალეს. ქართულს ენაზე ლაპარაკის დაშლამ დიდი ზედგავლენა იქონია ქართველებზე და ამიტომ მათ ლტოლვა იწყეს საქართველოს იმ ადგილების-კენ, სადაც ქართველი მეფე იჯდა, ქართველთა გამგეობა იყო. ოსმალთა მალე მოილეს ამის წინააღმდეგი ძალა და იარაღი; ამათ ოსმალოს ჯარი დაახვიეს ქართველებს გარს და სასტიკის მუქარებით აუწყებდნენ თავიანთს ბრძანებას. ვინც თანახმანი იყვნენ ბრძანების — იმათ სტოვებდნენ თავისუფლად და ვინც წინააღმდეგი იყო, იმას აპატიმრებდნენ; წინააღმდეგ პირებს ერთად აგროვებდნენ და ბოლოს უველა ამათ მისირში რეკავ-



დნენ, ამ გარეკოლ ქართველების აღგილებზედ კი ნამდვირეობა
ოსმალებს ასახლებდნენ.

ამ ამ მიზეზით აისსნება, რომ ლივანის ხევის დასასრულ მრავალს ალაგას, სოფლებში დღეს ქართული ენა აღარ სუ-
ფევს და ზოგიერთს სოფლებში მცხოვრებნი ოსმალურად ლა-
პარაკობენ. ამ მრავალ ოსმალთა მეოსტებით ყველა სოფელში
თვით მკვიდრო ქართველთა მცხოვრებთაც დაჰკარგეს თავიან-
თი დედა-ენა. ოსმალთა ნატერაც ეს იყო, ამისთვის ბრძა-
ლნენ იგინი. ის, ამიტომ არის, დღეს ლივანის ხევის დასა-
რულს ადგილებში ქართული ენა დავიწყებული და მოსპობი-
ლი. აქ ისიც უნდა ითქვის, რომ ლივანის ხევს იქით, კარგა-
ვზას რომ გასცილდებით, იქითა მხრის სოფლებში კი ზველ-
გან ქართული ენა სუფევს. ლივანის ხევიდან წაყვანილ და გა-
დასახლებულ ქართველთა რიცხვით ძველად სავსე ყოფილ
მისირი, შამი და დიარბექირი. ეს ასევე მარწმუნა ადრე აჭ-
ყვისთაველმა ჰუსეინ ხაბაზ ქამჯარაძემ, სახალხო მელექსემ, რო-
მელიც დიარბექირს და ხსენებულს ადგილებში 20 წელიწადი
ყაჩალად იყო გავარდნილი.

ამ უმთავრესი მიზეზები იმისა, რომ ართვინის ახლო-მახ-ლო ქართული, ენა ზოგიერთ სოფლებში სრულიად მოისპო.

ఎన్నడు నీస (కులార్నజ్జెతామిల్డుస) జూబియిలిటీలుగా ఉన్నాయి.

(ნამდობი პ. ლუკა ანდოლულაძის მიერ).

რუსეთმა რომ ბათუმი ჩაიბარა, მე მაშინ სამსახურში შევლ, მალე ბათუმში ვიქტერ განწყესებული და იქიდგან გურიის მილიციაში ვემსახურებოდი. აქარის ჩაბარების შემდეგ მე აქედ ვმსახურებდი, ხან აქარაში, ხან ზეგანს, ლივანას და მურღულის ჩაბარებაშიაც თვით ვიყავ დამსწრე და მონაწილეობის მიმღები. იმ დროებში ჩვენ აქ ძლიერ ბევრი ღრმად მოხუცებული ქართველ-მაკედიანები ვნახეთ, რომელნიც ლაპარაკობდნენ თამამად შემდეგს:



მას შემდეგ სამი თაობა გავიდა, რაც ართვინის კლარჯეთამდის გამაპმადიანდაო. ართვინელნი დიდად მაგრობდნენ და ამიტომ ოსმალოსაგან დიდძალი ჯარის კაცი იქმნა მოგზავნილი და ამ ჯარის კაცებმა ქრისტიანობის გულისფვის 1400 წართველს მოსჭრეს თავი და ეს თავები კორიხში ჩაყარეს. აქეთ ბევრ მოხუცებულთ ახსოეთ გაგონილი ამბავი, რომ ქრისტიანობის გულისფვის ერთს დროს ქართველთ 1400 კაცს მოსჭრეს თავით. მოხუცებულთა ფიქრით ეს უნდა მომხდარიყოს 1740 წლებში.

(ქედის ხოჯა ახმედ ხალიფაშვილის ნაამბობი).

ზეგანი ნებით არის გამაპმადიანებული, აქ თავის მისალებს სისხლი არ დაუღვრიათ.—ამიტომ ზეგანი ნებით გაქრისტიანდებაო. ამის ნიშანი ჩვენ უკვე ვნახეთ, შერიფ-ბეგ ხიშიაშვილი, ზეგნელი, თავის ნებით გაქრისტიანდა. ძველად ხოჯა ხერხეულიძე ასე იტყოდა: რომ ნებით არც ერთი მხარეა გამაპმადიანებული, სადაც კი გამაპმადიანებულან, უკველგან ძალით მომხდარა. ზეგნელების აჭარელებზედ არა ნაკლებ უტანჯნიათ. ნახევარი ზეგანი ფოცხვისა და ქვაბლიანისკვენ გაწყდა ბრძოლაში, რაღანაც არ თათრდებოდნენო, დანდალომ ზეგანს მიჰპაძა და მიტომ გაწყდნენ ესენიც ბრძოლაში. დანდალოს აჭარამ მიჰპაძა და აჭარაშიაც დიდი სისხლი დაიღვარა. ხოჯა ხერხეულიძეს კარგად ახსოვდა ის დრო, როცა აჭარაში ხალხი ქრისტიანობდაო.

ხერხეულიძე ღრმად მოხუცი გარდაიცვალა, ასე 90 წლისა. ეს იტყოდა ხოლმე, რომ ჩვენის გვარიდან პირველად მამაჩემი გამაპმადიანდაო. მამაჩემი მაშინ 20 წლის დელეყანდი იქნებოდა და სჯულზე ძლიერ მაგრობდაო. თურქებს ბრძოლა აუტეხეს, მამაჩემის ერთი ნათესავი დაიჭირეს და თავი მოპკვეთეს, ზოგი ბაწრით დაარჩეს; მამაჩემს შეშინებია და გამაპმადიანებულა. ეს ამბები უნდა მომხდარიყოს 1770 წლებში.

ზულოს ეკლესია რომ დააჭირეს, მაშინ ზეგნელები ძრი-

ეს ჯავრობდნენ და ლაპარაკობდნენ, რომ რად აქცევენო.
 ფაშასთან მივიღნენ და სთხოვეს:

— ფაშა, აგრემც თქვენს მუხლებს ვენაცვალებით. ამ ეკულესიას ნუ აქცევთ, ცოდოა, ჩვენი ძველების გაკეთებულიათ,
 ნუ იზამთ ამასაო!

ფაშამ ამათ ღალატი შესწამა; ქრისტიანობას სწამებდნენ,
 ამიტომ თავები მოჰკვეთეს. ეკულესია მაინც დააჭირეს, ეკულესიის ქვებით ფაშის სახლი გააკეთეს და მათ შეზელუხ (სასაფლაო) ყორე შემოავლეს, ჯამეს საძირკველი მით ჩაჰყარეს და წყაროს კედლებიც მით გააკეთეს. სხალტა რომ ჯამეთ გააკეთეს, მე პირველად ვალოცე იქ ხალხი, პირველად მე დავიძახე მაჰმადის ლოცვა მის მინარიდგან. სხალტის ეკულესიის სურათებს რომ ცეცხლს ვაძლევდით, ესეც ძლიერ ბევრს მოხუცებულებს სწყინდათ.

აქარელებზედ მეტი სისხლი მაჭახელმა დაღვარა. აქარის გამაჰმადიანების შემდეგ გავიდა ბარე 50 წელიწადი და მაჭახელი არც თათარი იყო და არც ოსმალს იცნობდა, იგინი ხარჯს არავის აძლევდნენ, იყენენ კაი თოფების და ხმალ-ხანჯლის შეკეთებელნი და ამიტომ ერთთავად ომი და სისხლის ღვრა უყვარდათ; ესენი აქარლების სიტყვით გამაჰმადიანდნენ, თორებ ოსმალები ამათ ვერაფერს დააკლებდნენო. მაჭახლის სრულიად გამაჰმადიანება უნდა მომხდარიყოს 1790—1805 წლებამდის. ხალიფაშვილი ამბობდა, რომ მე გამიგია სხვებისაგან, შავშეთი და იმერხევეციც ნებით არის გამაჰმადიანებული და ისინიც თავისს ნებითვე გაქრისტიანდებიან; შავშელნი ისეთი ხალხია, რომ ისინი ყველაზედ ადრე გაქართველდებიანო.

მურლულის გამაჰმადიანება.

(ნაამბობი სხვა-და-სხვა მოხუცებულ ქართველ მაჰმადიანებთაგან).

მურლულში რომ შესვლა დაიწყეს ოსმალთა, მურლულე-



ლებმა იგინი არ შეუშვეს. შეკრეს მურლულის შესავაჭრო და ოსმალთ შეუთვალეს:

მურლულს უბრალოდ ეჩხებებით, მის აღებას ვერ მოახერხებთ. ვინდ რომ აიღოთ, ხალხი მაინც არ ჩაგბარდებათ.

— ჩვენ ავიღებთ და ჩაგიბარებთ კიდეც. მიუგეს ოსმალთა.

— ეს ქვეყანა თამარ დედოფლის არის, ამას ვერა სახელმწიფო ვერ აიღებს, ჩვენ არავის მივსცემთ ამის აღების ნებას! მიუგეს მურლულელებმა.

— ეგ ჩვენ ვიცით, როგორც ავიღებთ, თქვენ რაც გერჩიოთ ის ჰქენით, აწი თამარ დედოფლალი წამოგეშველოსთ.

— კარგი, აწი დაიწყეთ ომი, და ვნახავთ, ვინ ვის აჯობებს.

ოსმალთ გადასწუვიტეს ომი, მაგრამ ვიდრე ომს დაიწყებდნენ, მათ განიძრახეს მურლულის მოწინავე კაცების შესყიდვა. დაიბარეს ეს კაცები და თავიანთი წალილი განუცხადეს; მაგრამ მურლულელებმა უარი უთხრეს.

— ჩვენ როგორ შევძლებთ თქვენის თხოვნის ასრულებას?

— რატომ, მიზეზი რა არის? ჰკიოთხეს ოსმალთა.

— მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენ ვიღვწვით თქვენს წინააღმდეგ, ხალხს ჩვენ ვაბრძოლებთ და აბა ჩვენ რომ მათ ვულალატოთ, ეს როგორ იქნება. მიუგეს ქართველთა.

— ბეგობას და ალიობას მოგცემთ, აილულს, ფულს, ოლონდ ჩვენი სიტყვა შეასრულეთ.

— ვერ ვიზამო მაგას, ვერ შევასრულებთ. მიუგეს ქართველთა.

— მაშ დაგაპატიმრებთ.

— დაგვაპატიმრეთ, როგორც გენებოსთ. უთხრეს ქართველთა.

— დაგხოცავთ და საქმე უფრო ცუდათ წაგივათ. მიუგეს ოსმალთა.

— დაგვხოცეთ, მაგრამ რისთვის და რაზე: ჩვენ თუ დაგვხოცავთ ჩვენს გარდა მურლულში სხვებიც არიან ჩვენზედ

უკეთესნი. ისინი გაუწევენ შინამძლვრობას. როგორც გეჩიოსთ,
ისე ჰქენით.

ოსმალთ დააპატიმრეს ეს კაცები და დაუწყეს ტანჯვა-
წამება, მაგრამ მაინც ვერ დაიყოლის. ბოლოს ესენი დაახრ-
ჩეს ბაწრით. ამათი ამბები მურღულში მივიდა. ოსმალებს ეგო-
ნათ, რომ ეს კაცები რომ დავხოცოთ, მათ შემდეგ მურღუ-
ლელები თავს დაგვიკრავენ და დაგვმორჩილდებიან. ეს კა-
ცები ამაგრებენ მათაც. ის კი არა და ამ კაცების დახოცვის
მეოხებით მურღულელები უფრო გაგულისძნენ, — გაცხარ-
დნენ და ოსმალთ სასტიკი უარი შეუთვალეს. ოსმალთ მალე
დაიწყეს მათთან ომი, ომი დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ ოს-
მალთ ვერაფერი გააწყეს; მურღულელებმა ოსმალთა ჯარის
უშეტესი ნაშილი გაწყვიტეს, სულ უკან იფრინეს. ასეთი და-
მარცხება ჯარისა მურღულელებისაგან ხშირად მომხდა-
რა ხოლმე. ოსმალებს გაუძნელეს აღება. მურღულის ხალ-
ხის გმირობას ის უფრო ამხნევებდა და ინახავდა, რადგანაც
მურღულში ბატონად ერთი ქართველი მღვდელ-მთავარი იჯ-
და, რომელიც მართავდა და განაგებდა მურღულის ქართველ-
თა საქმეებს.

ბევრის სისხლის ღვრის შემდეგ ოსმალთა სძლიეს მურღუ-
ლელებს. მთლიად აიღეს, მაგრამ დიდის შიშით და ძრწოლით.
ოსმალთ უთხრეს:

— თქვენ ოღონდ ჩვენს ხმალს მოენდეთ და სხვაფრივ
თქვენ ჩვენი ფიქრი ნუ გაქვსუ, ჩვენ თქვენ არაფრით შეგა-
წუხებთ. სხვა ხეობის ქართველებსავით სჯულს არ გამოგაც-
ლევინებთ. თქვენ ოღონდ ხარჯი გვაძლიეთ.

მურღულელნი დაემორჩილენ მათს სიტყვას და დაიწყეს
ცხოვრება. ოსმალთა იწყეს ფეხის გამაგრება. ნელ-ნელა შეის-
ყიდეს აქა იქ მოწინავე კაცები და უკანასკნელ მურღულის
ქართველებს გამოუცხადეს შემდეგი:

— მურღული ოსმალისა არის, თქვენ ქართველებიც ოს-
მალისა ხართ, ამიტომ ჩვენ ვთიხოვთ, რომ თქვენ ჩვენი წმინ-
და სჯული მიიღოთ და გათათრდეთ.

— ოჲ! ჩვენ მაგას ვერ ვიზამთ, ეგ არ შეგვიძლიან. მიუ-
გეს ქართველთა.

— ომი მოხდება, დაიღუპებით, საქმე წაგიხდებათ.

— როგორც გერჩიოსთ, დაიწყეთ ომი, ვნახოთ, როგორ
იქნება ბრძოლის საქმე!

ოსმალთა მალე დაიწყეს ომი; პირველ ხანებში იძლივნენ,
მაგრამ მალე ტრაპიზონის და ორზრუმის ჯარები მოვიდნენ და
ასეთის შეერთებულის ძალით მურღულს დაუწყეს ომი. მურ-
ღულის ერი მოსდრიკეს. მონების ბორკილი დაადვეს კისერ-
ზედ. დამონების უმაღვე გათათრება უთხრეს, მაგრამ ამაზედ
უარი მიიღეს. ოსმალთა მალე მღვდლების გარეკვა დაიწყეს,
მოკლე დროის განმავლობაში მურღულში ერთი მღვდლიც
არ დარჩა, თვით მღვდელ-მთავარიც გამოაგდეს. საჩქაროდ ეკ-
კლესიების ნგრევა-დაგცევაც დაიწყეს. ისე უწყალოდ და შეუ-
ბრალებლად მათ არსად დაუმცევიათ ქართველთა სისხლი და
ეკკლესიები, როგორც მურღულში. მურღულის ქართველო-
ბამ თითქმის ასახელა იავისი არსებობა; ოსმალნი გააკვირვეს
ამათ თავიანთის გმირობითა და ბრძოლით; ესენი ოსმალებს
სჯულის გულისთვის დაუცხრომლად 1790 წლებამდის ებრ-
ძოდნენ. ამ ხანამდე იქ ბევრს სოფელში ქართველნი ქრისტია-
ნობდნენ; ქრისტიანობისთვის ესენი არც ოსმალებს უშინდე-
ბოდნენ. როგორც შეეძლოთ, ისე ბრძოდნენ და იღვწოდნენ.
მაგრამ ესენიც მობეზრდნენ ბრძოლას და უკანასკნელ მთლიად
მურღულის ქართველნიც გამაპმანდიანდნენ.

ოსმალნი დაწყნარდენ და მურღულის ქართველებს მიუ-
ყენეს ქანელ მოლა-ხოჯები. მურღულელთ მალე დაისწავლეს
მუსულმანური ლოცვები და ლოცვის წესები. ესენი მალე ისე
დახელოვნდნენ, რომ ამათგან ზოგიერთიც ყმაწვილებმა სასუ-
ლიერო წოდებაში შესვლაც ისურვეს და ამისთვის მზადება.
მურღულელ ქართველთაგან მალე მოლა-ხოჯებიც გამოვიდ-
ნენ. ამათ იწყეს ხალხის მზადება და მაპმადიანობის გავრცე-
ლება, მტკიცე ნიადაგზე დამყარება. ამათ ოსმალთ დაუნიშნეს
საკუთარი მუდერისი, ამას ჰქონდა თავის „მეჯლიში“ და ეს

განაგებდა მურლულის ერის საჭმებს, მუდერისი სხვა მწარებელი მცხოვრებ მაჰმადიან ქართველებს არ ჰყავდათ. მურლულელებს ოსმალებმა ასეთი უპირატესობა უფრო შიშის გამო მიანიჭეს, რაღანაც მურლულელების ეჭვი ჰქონდათ, ქრისტიანობას სწამებდნენ, ეკკლესიების პატივის-ცემას და სხვანი, მაგრამ მათ ვერც ხოჯებით და ვერც მუდერისით ვერაფერი გააწყეს. ყოველივე ამაოდ დაუშთათ. მურლულელების ზოგი სულ ვერ გატეხეს.

1840 წ. ოსმალთა დიდის მეცადინეობით შეიტყვეს, რომ მურლულში თურქე გათათრებული ქართველები ჩუმად ქრისტიანობდნენ, და ეს ჩუმი ქართველი ქრისტიანები მოელს მურლულის ხეობის ქართველებსაც ამაგრებდნენ სჯულზე, ამათ მიმხრობილ ჰყავნდათ თვით მოლა და ხოჯები. ქრისტიანების რიცვი აღმოსჩნდა სოფელს გევლეში, თხილაზორში, ძანცულას, თასმალოს და რამდენიმეც სხვა სოფლებში. საქმის გამოძიების შემდეგ აღმოსჩნდა, რომ ხევნებულ სოფლის ქართველთ სჯულის გულისათვის ასი წელიწადი ოსმალთ წინააღმდეგ უბრძოლიათ და ასი წელიწადიც ამათ ქრისტიანობა ჩუმად შეუნახავთ.

ერთს დროს, ესენი მუსულმანებიც ყოფილან და საიდუმლო ქრისტიანებიც. მუსულმანობას დღისით ასრულებდნენ, მუსულმანობა ისე ოსტატურად ეკავათ, რის გამოც კაცი მათ ვერაფერს ეჭვს აართმევდა, ბაირამას, რამაზანს და ასეთს დიდს დღესასწაულებს და მარხვებსაც დიდის ამბებით იხდიდნენ, სუნებსაც სიამოუნებით იხმობდნენ თავიანთს სახლებში, ერთის სიტყვით კაცს ეს ხალხი ნამდვილ მუსლიმანები ეგონებოდათ, ვერაფერს ეჭვს შეიტანდა მათზედ.

ქრისტიანობას ესენი ასრულებდნენ ღამე: მათ ერთი ოთახი ჰქონდათ ამორჩეული, ეს ოთახი ერთი მოსახლის ქვეშ იყო გაკეთებული, სარდაფივით, დანიშნულს დროს, ამ ოთახში გროვდებოდნენ და აქ ლოცულობდნენ ქრისტიანულად. ამათ ჰყავდათ ღვდელი; ეს მღვდელი ტრაპიზონში იყო ნაკურთხი, ბერძნებს ეპისკოპოზისაგან. ეს მღვდელი დღისით ნამდვილი

შუსლიმანი იყო და ლამე ქრისტიანი, ერის კაცის ტანისტების
მღით იარებოდა. ხალხში სალოცავს ოთახში კი იგი ფილო-
ნით შეიმოსებოდა. მღვდელს ჰყვანდა ვაჟი-შვილი, და ეს ამ-
ზადებდა მას, რომ მამის შემდეგ მღვდლათ შვილი უნდა კურ-
თხეულიყოს. ამათ გვარის წევრთ ასე მოუხერხებიათ ხოლმე
ყოველთვის და ესენი ყოფილინ მღვდლებად.

მღვდელი საეკკლესიო ნივთებსაც ინახავდა, ბარძიმ, ფე-
შხუმს; სამთლებსაც აკეთებდნენ, სამთლებს შიშის გამო ცო-
ტას ანთებდნენ, საკმელს კი ხშირად აკმევდნენ; სხვა რამ სა-
ეკკლესიო ნივთებიც ჰქონიათ, ნამეტურ ძველი ხატები, მაგ-
რამ ყველა ესენი მათ სწყობიათ სალოცავ ოთახის ერთს დო-
ლაბში, რომლის კარებიც კედელში ისე ოსტატურად ყოფი-
ლია ჩატანებული, რომ ხამი, უცხო კაცი იმას ვერ გაარჩევდა,
ვერას შეატყობდა. საიდუმლო ქრისტიან-ქართველები საი-
დუმლო ლოცვას გარდა მცირედ კარშიაც ქრისტიანობდნენ.
მაგალითებრ, შობა ღამეს ამათ იცოდნენ „ალილოს“, თქმა:
პატარა ბიჭები ერთაღ შეიკრიბებოდნენ და აქა-იქ ქართველე-
ბთან „ალილოს“ ძაბილით წიფილოდნენ; ოსმალთა მოლა, ხო-
ჯები კი ისე ჰუკიქრობდნენ: რომ ვითომც ბავშვები მღერია-
ნო. ქართველნი ყველა ქრისტიანთ დღესასწაულებსაც იგო-
ნებდნენ ხრუმე და ნამეტურ უქმობდნენ შობას, ალდგომას,
წყალ-კურთხევას, ახალ წელიწადს და ელიობას, ქრისტია-
ნულ მარხვასაც ინახავდნენ, საიდუმლო ქრისტიან ქართვე-
ლებს ერთი ჭანელი ხოჯა და ერთი მოლა გადაეკიდა: ესენი
დიდის ოსტატობით იდევნებდნენ მათ ოვალ-ყურს და უკანა-
სკნელ დარწმუნდნენ ქართველთა ქრისტიანობაზე, ამიტომ
მათ საჩქაროდ დააბეჭდეს ქართველნი. ოსმალოს სასულიერო
მთავრობამ მალე კაცები გამოგზავნა; გამოძიება მოახდინეს,
და რამდენიმე ბავშვი გატეხეს, რომ იგინი ქრისტიანობდნენ.
პატარები რომ არ გამოეტეხათ, დიდრონებთაგან კი ვერას
შეიტყობდნენ. საქმე გამოაშკარავდა, ქრისტიანებთაგან საქმის
დამალვა აღარ იქნებოდა. ამათ მიმართეს ასე:

— ბატონებო, თქვენ რა გეპრიანებათ ჩვენის რჯულულა
საგან, ჩვენ ხომ მუსლიმანებიცა ვართ.

— არ შეიძლება, თუ მუსლიმანი ხართ, მუსლიმანი უნ-
და იყოთ და არა გიაური—ქართველი, გიაური და მუსლიმა-
ნი ერთად არ შეიძლება რომ იქმნეს.

— ჩვენ გიაურები არ ვართ, ჩვენ გურჯები ვართ, მიუ-
გეს ქართველთა.

— თქვენ სუკველას დაგხოცავთ, არც ერთს აღარ დაგ-
ტოვებთ. მიუგეს ოსმალთა.

— ნება თქვენი აღსრულდეს, ხოლო ჩვენ რაც ვართ ის
ვიქებით და იმითივე გავსწყდებით.

საქმის გამოძიების და გარკვევის შემდეგ საიდუმლო ქრი-
სტიანი ქართველები სიკვდილით იქმნენ განკითხულნი. დანი-
შნულს დღეს გიყვანეს ისინი და ზოგი სახრჩონელაზე ჩამოჰ-
კიდეს და დაახრჩეს, ზოგს თავი მოჰკვეთეს და ზოგი დაჩეხეს;
მაგრამ არც ერთმა მათგანმა ამ დროს წარბიც არ შეიხარა.
ქართველთა დახოცვის შემდეგ ოსმალთა მოსძებნეს სამლო-
ცველო თათარიც, იქ იპოვეს ყველა საეკლესიო ნივთები და
წიგნები; წიგნებს ცეცხლი მისცეს და დასწვეს, ოქრო ვერც-
ხლის ხატები თვით წაიღეს და დაჰყიდეს, სხვა და სხვა ნივ-
თები კი თათრებს დაურიგეს, სამლოცველო თათარიც მთლიად
დააქციეს.

ოსმალებმა ესენი ასე უწყალოდ მიტომ დასაჯესო, რად-
განაც სხვა ქართველების ეჭვიც ჰქონდათო, რომ სხვებიც თუ
არიან აქ ვინმე ჩუმი ქართველ-ქრისტიანები, იმათ ნახონ ამა-
თი ელეტა, წყვეტა და თავი გაანებონ გიაურობასო. ზემოხსენე-
ბულ ქრისტიან ქართველთ გარდა სხვებიც ყოფილან ჩუმი
ქრისტიანები, რომლებიც აქა იქ სხვა-და-სხვა სოფლებში სცხო-
ვრობდნენ და ჩუმაღ ქრისტიანობდნენ. ამათ რა ნახეს თავი-
ანთ მოძმეულის დიდი ტანჯვა-წამება, შემდეგ თვითონაც გან-
შორდნენ ქრისტიანებს და სრულია მუსლიმანობა იწყეს,—მე-
ტი გზა აღარ ჰქონდათ, რას იზავდნენ! ასე და ამ გვარად
მოსპეს ოსმალებმა მურღულში ქრისტიანობა, ამის მოსპობის



შემდეგაც მურლულელი ქართველნი ქრისტიანულს წესებსა და კულტურას სტოვებდნენ თურმე და, როგორც ერთმა ბერძენმა (ლაზა-რევმა) მარწმუნა, „ალილოს“ თქმა მურლულში გათათრებულ ქართველთა შვილებს 1870 წლებამდის სცოდნიათ. შობა ღამეს თურმე ესენი ამ ლოკვით დაივლიდნენ და მიულოცავ-დნენ იმ ქართველთა ოჯახებს, სადაც ასეთი მილოცვა მოს-წონდათ. ჩვეულებად შერჩათ კიდევ საღვთოს დაკვლა და წითელი კვერცხების შედებვა, მაგრამ ოსმალთა მძლავრობის მეოხებით არც ეს იქმნა დიდხანს და შთენილი მათში; უკანას-კნელ ომის წინად ყველა ესენი სასტიკის ბრძანებით იქმნა მათში აღკრძალული და მოსპობილი.

დღეს, მურლულში, ქრისტიანობის აღარაფერი ნიშნებია ღამთენილი; მურლულელნი ნამდვილი უანატიკოსები არიან, მოძულენი ქართველთა და საქართველოსი. უკანასკნელს ომის დროს ყველაზედ დიდის ფანატიზმით ესენი აღმოჩნდნენ. მთელი მურლული ოსმალში წავიდა.

უშეიან რომ მურლულელების მსგავსადვე იბრძოდნენ ქრისტიანობის დასაფარავად პარხალის ხეობის ქართველთ მაჰ-მაღიანთა ზოგიერთი სოფლელებიო ამ საუკუნის 1860 წლე-ბამდის პარხალის ერთს სოფელში ქართველ მაჰმაღიანებს ქრი-სტიანობაც ეკავათ და საიდუმლოდ ქართველობდნენო, მღვ-დლად მათ მღებრაძე ჰყანდათ. მაგრამ ამათაც შეუტყეს ას-მალებმა და დასჯა დაუპირესო. პარხლელებმა თავი გაიმარ-თლეს, სიკვდილს გადარჩდნენ, მხოლოდ ქრისტიანობას კი სა-მუდამოდ გამოემშვიდობდნენ. ამ ცნობას დ. ბაქრაძე და გ. ყაზიბეგიც მოიხსენებენ. 1873 წ. დ. ბაქრაძეს, ლივანაში მგზავ-რობის დროს, შეხვედრიან ისეთი მოხუცებული მაჰმაღიანები, რომელთაც უამბნიათ, რომ პარხალში და მურლულში 1833 წლებამდე, იყვნენ ისეთი ქართველი მაჰმაღიანები, რომელნიც საიდუმლოდ ქრისტიანობდნენო.

ქვედის მუფთის ხალიცაშვილის ნაამბობა.

როგორც შემიტყვია ჩვენის ძველებისაგან, ოსმალნი იმ კუთხეების ქართველთ უფრო მაღე ათათრებდნენ და ქართულ ენას ავიწყებდნენ, სადაც ქალაქი აღვილები იყო და იქ ფაშები ისხდნენ, სწორეთ ამის მიზეზია, რომ არღაპანისკენ, ახალციხის, არდანუჯის და ართვინისაკენ ქართველნი აღრევე გაათათრეს სისხლის ლვრით და ქართული ენაც დაავიწყეს. სადაც ფაშები არ იყვნენ და კაი მაკანები, იქით თათრობაც გვიან შევიდა და ქართული ენაც მიტომ დარჩა. ოსმალთ ძრიელ სძულოთ ქართული ენა, აღრე შე, ჯამეში, ქართულიდ ვქადაგებდი, წარმოიდგინეთ, რომ ამაზედ თათრის მოლა, ხოჯები გადამეტერნენ, სტამბოლში დამაბეჭდეს, ამაზედ პასუხი მომოხვედს და შეც დროით ავხსენ საქმის გარემოება: ქართველთ მძულვარება მოლებს და ხოჯებს ედებათ კისერზედ ცოდვათ.

შავშეთის და იმერხევის გამაპმადიანება.

(ნაამბობი ბერიკაცებისაგან შავშეთშივე).

ჩვენს ბერს კაცებს მოვესწარ და ისინი ამბობდნენ, რომ თორთობმ ხეობის გამაპმადიანების შემდეგ ტაო გამაპმადიანდა და ამის შემდეგ ზარუშეთიო; ზარუშეთის შემდეგ შავშეთი და შავშეთს შემდეგ იმერხევი. ყველაზე გვიან იჭარა და მაჭახელი გამაპმადიანებულა. ამათ ასი წელიწადი უბრძოლიათ სჯულის-თვის, კინაღამ მთლიად გაწყვეტილან. მერე ერთს ამათ ჭკუიანს კაცთაგანს უთქვამს:

— ჯანუმ, რაზე ვიხოცამთ თავებს და ბედი ავად ვაწყდებით აქა-იქ? აგერ სხვები გამაპმადიანდნენ და ჩვენც გავმაპმადიანდეთო.

ჩვენ მოგვბაძეს მათ, ჩვენ შემდეგ მირატის ხევი, გამაპმა-



დიანდა და მირატის ხევის შემდეგ აქარელნი, მაგრამ ამავე შეობა ადრე, ზოგი გვიან. მე ვკითხე მას:

— ზარუშეთს, — თქვენ რომელ მხარეს უწოდებთ? — ჩვენს ქითაბში (წიგნში) ზარუშეთი არსად მოიხსენება, ჩვენში ერუშეთს იტყვიან. საით სძევს ზარუშეთი?

— შავშეთის გადაღმა, აღმოსავლით, არუაპანის მხარეს, საღაც თვით არდაპანი სძევს; აგრე, შეხედე არსიანის, შავშეთის და არდაპანის ტიტვლიკანა მთებს, აი იმ მთებს იქითა მდებარე ადგილებს ზარუშეთი ჰქვიან.

მე ვკითხე:

— კარგად, ეხლა მივხვდი, რომ ჩვენს წიგნებში მოხსენებული ერუშეთი თქვენებური ზარუშეთი უნდა იყოს. ეს, მე მგონია, მას შემდეგ უნდა შეცვლილიყოს, რაც ეს ქვეყანა ოსმალთ დაიჭირეს.

— ალბად, ასე იქნება. ოსმალნი შავშეთსაც სხვა სახელს უწოდებენ.

რა სახელს, ვკითხე მე.

— ხან „ნისლათას“, ხან „ნისლიანს“. ჩვენს ძველებს ასე უთქვამთ მათვის და მათაც ეს სახელი ჩაუწერიათ თავიანთ ქითაბებში (წიგნებში).

— ეს კარგი; აბა ეხლა ის მიამბეთ, თუ შავშეთისა და იმერხევის ხალხი როგორ გამაპატიანდა?

— აი როგორ გამაპატიანდა: პირველი ღმერთის ბრძანება იყო და მერე ჩვენი მუხამედისა. ქრისტიანი რომ გამაპატიანდება, ის უეჭველათ სამოთხეში წავათ, იმას რაც უნდა ცოდვები ჰქონდეს, სიკვდილის შემდეგ ღმერთი აპატიებსო. ეს ამბები და ღვთის ბრძანება ჩვენ მალე ვერ შევიტყეთ. სანამ შევიტყობდით, მანამდის ოსმალებს ვეჩხუბებოდით, რა ზორი გვექნდა, მაგრამ არა გვესმოდარა და უბრალოდ თავებს ვიზოუავდით. ასე, ჩვენ როცა ეს ამბები შევიტყეთ, მაშინ ჩვენ ჩვენი ნებით გამაპატიანდით, ვისაც არ უნდოდა გამაპატიანება, ისინი თქვენსკენ გამოიქცნენ. ვინც აქ დარჩა, ყველამ თაყვანი-სცა მაპატიანობას.



პირველათ ვინც გამაპმადიანდა „ქვენში, ის ხომ წერილია კარგი კაცი იყო?

— თუ, რასა კვირველია, რა ფიქრი უნდა, დიდი, სუთა კაცი ყოფილა.

— ვინ იყო ის კეთილი და წმინდა კაი კაცი?

— აგრე, შეხედე, აი იმ მთას, იმ მთის ხეობაზე სძევს სოფ. მიქელეთი; იმ სოფ. მიქელეთში ძველად ერთი ზენგინი (მდიდარი) კაცი სკხოვრობდა. ერუ შეთი რომ გამაპმადიანდა, მაშინ ეს კაციც გამაპმადიანდა, სხვა ამის ნათესავები კი თქვენ-სკენ გამოიკცნენ, რადგანაც მათ გამაპმადიანება არ ინდომეს. გვარად რას ეტყვიან იმ ძველს კაი კაცს?

— იმ მემელექეთის სახელს, მიქელეთს, მიქელ ოღლის, მიქელაძეს, ესენი ზათ სულ აქაურები ყოფილან. ამიტომ ჰქვი-ან ამ სოფელს და ხეობას მიქელეთი. მიქელაძეები დიდი გვა-რის ფაშებიც ვოფილან გურჯისტანის დროს.

— მერე, რა ჰქვია იმ მიქელეთელმა დიდმა კაცმა? ვკით-ხე მე.

— იმან ის ჰქვია, რომ გამაპმადიანების შემდეგ ის დანიშნეს არდაპანის უფროსად და ბეგობა მისცეს. რადგანაც ის ძალიან ცდილობდა ხალხის გამაპმადიანობას. იმ დროს ერთი ჩვენი ძველებთაგანი არდაპანში ჩასულა და მიქელაძეს გამო-სკხადებია. მიქელაძეს უცვნია, კარგად მიუღია და ამისთვის უთქვამს: ბიჭო, რაზედ იხოცავთ თავებსაო, მაპმადიანობა წმინ-და სჯული ყოფილა; ქრისტიანი რომ გამაპმადიანდება, ის პირდაპირ სამოთხეში წავიო. რაზე იჭირვებთ ძმანო, საქმეს, გამაპმადიანდით და მოისცენეთ დავიღარაბისაგანაო.

ჩვენ ძველს სიტყვა მიუცია. მიქელოლლის ამისთვის ერ-თი კატეგი ცხენი უჩუქებია და ეს ისე გამოუსტუმრებია იმერ-ხევში. ჩვენი ძველები აზნაურები ყოფილან, მთელი ხეობა მათ სჭერიათ, სოფ. წყალსიმერში მდგარან. ამათ შეუყრიათ იმერ-ხევის ბეგიები და ოლიები: თურმანიძე, სალირაძე, ლომინაძე და მრავალიც სხვანი და უთქვამს მათთვის მაპმადიანური სჯულის სიწმინდავე, სამოთხეში წასვლა, ცოდვების პატივება და არ-



დაპანის ბეგისაგან დაპირებული წყალობის მიღება. ესენი სულან მალე არდაპანში, უნახავთ მიქელაძე, იმას კარგად მიუღია, ყველაფერი სჯულის საჭმეები შეუტყობინებია, თან ფადიშახის მოწყალებას დაპირებია და ბოლოს გამოუსტუმრებია ესენი ჩვენსკენ. ესენი მოსულან შინ. მალე ამ ხეობის სოფლის ხალხი შეუყრიათ ერთად და თავიანთი სურვილი განუცხადებიათ. ხალხს მათი აზრი კარგად მიუღია, ამათ გახარებიათ კიდევ და უთქვამთ:

— დიდის სიხარულით ვიწამებთ მუჰამედს და ნამდვილი მაჰმადიანები გავხდებით.

აქ მალე მოუყვანიათ ხოჯა-მოლები და ხალხს თავის ნებით დაუწყია გამაჰმადიანება. რამდენიმე ხნის შემდეგ შავშეთისა და იმერხევის ხალხი მთლიად გამაჰმადიანებულა. ამ დროს სოფ. წყალსიმერს, შუა სოფელში ეკკლესია ყოფილა, ეს ეკკლესეა დაუქცევიათ და ეკკლესიის მასალით იმავე ალაგას დღევანდელი ჯამე დაუდგავთ. ამ ალაგას ახლა ახალი ჯამე სდგას. ასევე კიდევ სხვა სოფლებში გააკეთეს, ეკკლესიები დააქციეს და ეკკლესიის მასალით იმავე ადგილის კარგი ჯამე-ები დააკეთეს.

— რატომ ტბეთის ეკკლესია კი არ დააქციეს? ვკითხე მე.

— ტბეთის ეკკლესია იმიტომ არ დააქციეს, რადგანაც შავშეთი და იმერხევი ერთობ ადვილად გამაჰმადიანდა. აქარლებსავით და მაქახლელებსავით ამათ დიდი სისხლი არ დაუღრძიათ: როგორც უთხოვნიათ თუ არა, ესენი მაშინათვე გამაჰმადიანებულან ღმერთის ბრძანებით. ტბეთს რაღაზედ დააქციედნენ. მაგაზე უკეთესს რას გააკეთებდნენ, რომ დაექციათ? იმავ თავითვე ეგ ჯამედ გადაუკეთებიათ. მიტომ დარჩა ეგ ქლესია აქამდის, თორემ ეს რომ ჯამედ არ ყოფილიყო გაკეთებული, იქნება აქამდის არც კი მოელწია.

— შენის ფიქრით, ეს რამდენი თაობა უნდა იყოს მას შემდეგ გასული, რაც აქ მაჰმადიანობა შემოვიდა? ვკითხე მე.

— მეექვსე თაობა, რადგანაც ჩემი მამის მამა იტყოდა, რომ ჩემი ბაბა, (მამა) ქრისტიანი ყოფილა და პატარა გაუმა-



ჭმაღლიანებისათვო. მას შემდეგ 300 წელიწადი უნდა იყოს კულტურული. მაგრამ ასეთი კაცები არიან, რომ ტბეთი არ დააჭ-ქციეს, ჯამეთ გადააკეთეს და ხალხს მისცეს სალოცავად, და ოქვენ კი ჩვენი ახალციხის ჯამე ქლესიად (ეკულესია) გადააკე-თეთ, ზანგინები ჩამოჰკიდეთ და არასუნებთ.

სხვა ძველი კაცები ამ რიცხვს უარს ყოფენ და ამბობენ, რომ ამ ადგილების გამამაღლიანებიდგან 200 წელიწადზე მეტი არ უნდა იყოს გასულიო, ჩვენ ისე გავვიგონიათ.

ამის შესახებ საუბარი დაუწყე და აუხსენი საქმის ვითა-რება და ისიც, რომ ძველად ეს ჯამე ქართველების სალოცა-ვად იყო-მეთქი, მაგრამ მან არ დაიჯერა და ეს კი მითხრა.

— ჩვენ ქლესიებსაც პატივს ვსცემთ, რაღანაც ჩვენ გურჯები ვყოფილვართ, მხოლოდ გამჩენი ღმერთის ნებით ჩვენი ძველები გადაბრუნებულან. ამიტომ ჩვენ ჩვენი ძველე-ბის სალოცავები არ გვეჯავრება. ქლესიებს მიტომ აქცევდნენ, რომ დანაქცევის მასალით ჯამეს აკეთებდნენ. ტბეთს გარდა რამდენი კიდევ სხვა ეკკლესიები არის დარჩენილი და ჯამე-ებათ გადაკეთებულიო. ხახულის ეკკლესი, თორთომისკენ არ-თვინიდგან 5 დღის სავალზე, იშხანას და პარხალს, ესენი დღეს სულ ჯამეებათ არის დაკეთებული. ამათზე იტყვიან შემდეგს: „ხახულის ეკლესის სილამაზე, იშხნის სიკრელე და პარხლის დაჯდომა და დასვენებათ“. ეს ეკკლესიები თამარ მეფეს გაუ-კეთებია. ამის გაკეთებისთვის მას ფული დაკლებია. ამიტომ მას თავის ნაწნავი თმები მოუჭრია, ის გაუყიდნია და იმით ანაღები ფულით შეუთავებია ხსენებული შონასტრები. ქვაბ-ლიანი და ფოცხოვის ხალხი მაშინ გამამაღლიანებულან, ჩვენს ძველებთან ერთად. ზარხამაც მიტომ არ დააჭციეს. რაც დი-დი ეკკლესიები არის დარჩენილი, ყველა ჯამეებათ იყო გადა-კეთებული. ეხლა კი ისევ გურჯებს უთმობენ ამ ქლესიებს. ტბეთში მიტომ მოვშალეთ ჯამე და ცალკე დავდგით.



შავშეთის გამაპმადიანება და ტბეთის ტაძარის გადაწყვეტილები

(ნაზღობი შავშელის მაპმადიანის გორდაძის მიერ, ციხის თავის მამასახლის მიერ, ლომინაძის და სხვათა მაპმადიანთა).

ტბეთის ეკულესია ამ მხარეში პირველი ეკულესია არის, ასეთ ეკულესის კაცი ვერსად ნახავს. მე ბევრი ეკულესია მინახავს, ბევრად ამაზე დიდი, ნაგრამ ასეთი კოხტა, ლამაზი ეკულესია კი არსად მინახავს. ამბობენ, რომ ეს ეკულესია თამარ დედოფალს გაუკეთებიაო. ჩვენში ძველი კაცებიც იტყოდნენ ხოლმე, რომ თამარ მეფეც შიგ ამ ეკულესიაში მარხია. თამარ დედოფალს აქ, შავშეთში უცხოვრია, ეს ადგილები და ხალხი ძლიერ ჰყვარებია. ამ სოფლის ადგილები და ტყეები სულ შავშეთის ხალხისათვის დაუმტკიცებია. იგი ძალიან კარგი ხელმწიფე ყოფილა. იმის სიკვდილის შემდეგ აქ ოსმალები მოსულან და ყველათერი სოფლები და ადგილები აუღიათ. ხალხი თავის ნებით ჩაბარებია. ჩხუბი არ უქნიათ. მერე მაპმადიანობაც შემოსულა. ჩვენები მალე გამაპმადიანებულან. ამათ ოსმალოსთვის უთხოვნიათ ასე:

— ჩვენ გავმაპმადიანლებით, თქვენს ბრძანებას შევასრულებთ, მხოლოდ თქვენთან ერთი სათხოვარი საქმე გვაქვს; თუ ამას შეგვისრულებთ, მაშინ უფრო ერთგულნი ვიქნებით თქვენიო.

— ბრძანეთ, სოჭვით, უთხრეს ოსმალთა.

— ჩვენ ვითხოვთ, რომ ჩვენ გამაპმადიანების შემდეგ ტბეთის ეკულესია არ დააქციოთ, რადგანაც იმ ეკულესიაში ჩვენი თამარ დედოფალი მარხია. იქ არის მისი მეზელუხი, თუ ის დაგვიქციეთ, ჩვენ ამას ვერ მოვითმენთ, მთლიად გავწყდებით.

— ძრიელ კარგი, სალოცავს სახლის კედლებთან რა ხელი გვაქვს, რომ დავაქიოთ? იყოს მაგრე. ჩვენ ხელს არ ვასლებთ. ჩვენ ისევ თქვენს სალოცავად გავაკეთებთ, ჯამეთ გადავაკეთებთ.

— ნუ, შენი ჭირიმე, ჩვენ სხვა სალოცავს გავაკეთებთ,

ეგ მაგრე დარჩეს და დაკეტილი იყოს მისი კარები. გაფართოვანი თებით იქნება ჩვენ ღმერთი გავარისხოთ. მიუგო ხალხში.

ამათ ეგონათ, რომ ოსმალებმა ეს ადგილები დროებით აიღეს. ამათ აქედან მალე გავრეუავთ და მიტომ ეს ეკკლესია ჯამეთ რათ გადავაკეთოთო. ის კი არა და ოსმალებმა უფრო გაიმაგრეს ფეხი და შავშეთით სხვა ადგილების დაკერაც დაიწყეს და ხალხსაც მაჭმალიანობა გამოუცხადეს. საქმე სხვა რიგად წავიდა. ხალხს ჯამეს კეთება დააწყებინებს, ამათ ჯამეს კეთება გაუძნელდათ. ერთმა სთქვა:

— ბატონო, ჯამეს რაღაზე ვაკეთებთ, ჩვენი სალოცავი აქ არ არის, გავაღოთ მისი კარები და შიგ დავიწყოთ ლოცვა.

ხალხი თანახმა გახდა. მალე ოსმალთ გამოუცხადეს ეს ამბავი. ოსმალთ ნება მისცეს, მალე კარები გააღეს, შიგ შევიდნენ, მაჭმალიანებრ მოაწყეს და ლოცვა დაიწყეს. მინარად პატარა ეკლესია გააკეთეს, სადაც ზანგინები იყო, სხვა რამები მიწაში დაუფლავთ. რაც ეს ეკკლესია ჯამეთ არის გაკეთებული, მას შემდეგ ორასი წელიწადი იქმნება.

— ეკკლესიის ზოგიერთი კედლები რომ დაქცეულია ეს რისგან მომხდარა, ვის დაუქცევია, ან შიგ ვის წაუხდნია?

— ეგ არ ვიცი, ბატონო, იტყოდნენ ხოლმე, რომ ეს დაქცეულები წინადაც იყოვო, სანამ ჯამედ გადაკეთდებოდა. ძველ ჩეუბიანობის დრო შიგ აქაური ხალხი შედიოდა და თავს იმალავდა, გარედან მტერი მოადგებოდა და ზარბაზნებს ესროდაო და მისგან დაქცეულაო. შიგ კიდევ ეჯემებს წაუხდენიათ. ჩვენში იტყვიან. რომ ეს ქვეყანა ეჯემსაც (სპარსი) ეჭირათ და ამათ წაახდინეს. შიგაო. ჩვენ ვერ წავახდენდით მასაო, რადგანაც ძველებისაგან სიტყვა გვაქვს დარჩენილი, რომ ამ ეკლესიას ხელა არ ახლოთ, ერთი ქვაც არ დაკლოთო.

ახლა ამ ეკკლესიას ზემოთ (გუმბათს) მეხი დაეცა, ჩვენ შევშინდით, ჯამე სხვაგან გავაკეთეთ 1500 პ. დაგვიჯდა. ამ ეკკლესიას ხელი არ ვახლეთ, ამის მინარა დავაქციეთ შხოლოდ,



ქვები ვიხმარეთ იქ. ამბობენ, ეკკლესიაში რომ დილი და დამატებული
სძევს, მის ქვეშ მარხია თამარ მეფეო.

(მეორეს ნამდვილი).

ეს ადგილები საქართველო ყოფილა, ჩემი მამაც ასე იტუ ყოდა, იმასაც ასე გაუვონია თავის მამისაგან და იმის მამასაც ასე გაუვონია თავის ძველებისაგან. ჩვენ სულ ქრისტიანები კვიფილვართ, ჩვენი ხელმწიფე თამარ დედოფალი ყოფილა. ის რომ მომკვდარა, იმის შემდეგ ჩვენ მცირე აღარ გვყოლია, წავმხდარვათ. ჩვენს ბებეგიებს აქ ოსმალები მოუკვანიათ და ეს ადგილები ჩაუბარებიათ.

ასე უთქვამთ:

— ჩვენ ჩვენი მეფე მოგვიყვდა, აღარა გვყავს და ამ ქვეუნის მეფე თქვენ ბრძანდებოდეთ, თქვენ გაბარებთ. იმათ უთქვამთ:

— ჩვენ ჩაგიბარებთ, მოვილებთ ცველაფერს თუ კი ჩვენს სჯულს მიიღებთ და გათათრდებით.

მაშინ, აქ, ტბეთის ეკულესიაში, ერთი დიდი ქეშიში მჯდა-
რა და იმას უთქვამს:

— ჩაგდარდებით, შეგრამ არ გავმაჰალიანდებით. გამაჰალიანებით რა საჭიროა. ოსმალთ უთქვამთ.

— ჩვენ ძალათ აგიღებთ და გაგამაჰმაღიანებთ, მაშინ
უარს ვეღიარ. იტყვით.

କେବିଲା ଉତ୍ତରା-

— როგორც გერჩიოთ, ისე ჰქენით, მე ხალხს ნებას არ
მივსციმ, რომ გამაჰმადიანდნენ.

ხალხს ძრიელ შეეშინდა. ქეშიშთან მისულან უთქვამსო:

— ქეშიშო, ჩვენ ჩვენი მეფისი არა გვყავს და რა ვჰქნათ
მაში? ჩვენ ოსმალებთან ჩხუბს ვერ გავტედავთ, თქვენ თუ არა
გნებავთ იგინი, თქვენ წაბრძანდით სხვაგან.

ქეშიშმა გაიგონა ხალხის სიტყვა. მოკრიბა ეკულესიის
ბარგი, ოქვენსკენ წამოვიდა და ყველა ისინი იქ წამოიღო.
ამას შემდეგ ხალხი ოსმალთ ჩაბარდა და მალე გამაჰმადიანე-

ბაც დაიწყეს. გამაპმადიანებულებმა სალოცავად ეს ეკკლესია გააკეთეს და აქნობამდის ჩვენ შიგ ვლოცულობდით. ზოგნი ძველი კაცები იტყოდნენ, რომ ამ ეკკლესიის შუა ალაგას მიწაში ჩაფლესო. მისი ზანგინებიც იქ დაუმარხავთ ძველითაო, გიმაპმადიანების შემდეგ, რაც რამ ყოფილა, სულ მიწაში ჩაუმარხავთო. ჩვენი ძველების სიტყვა გამართლდა და ახლა რავდენჯერმე თქვენებური კაცები იყვნენ აქა, ეკკლესიის ადგილები დათხარეს, შიგ მეზელურები აღმოჩნდა, იქ რაღაცა-ები ნახეს, ამოალიაგეს და თან წაიღესო.

— ქართული ენა როგორლა დაჰკარგეთ, თქვენ აქაურები არ უნდა იყოთ?

— აქაური გახლავართ, მე აქ დაბადებულ-გაზრდილი ვარ, არსიანის მთის იქით ფეხიც არ გამიღვამს, ისევ დავბერდ.

— მოხდა ასე, რომ დავჰკარგეთ. როცა გაემაპმანდიანდით, მერე მაპმადიანურათ დავიწყეთ სწავლება. ბერიკაცები ქირთულად ლაპარაკობდნენ და პატარები კი ეჩვეოდნენ ოსმალურს. სასამართლოებში ყოველთვის ოსმალურად გველაპარაკებოდნენ. მოლა-ხოჯებიც ოსმალურად გვალოცებდნენ და, მაში მეტი რა გზა გვქონდა, რომ არ დაგვესწავლა მაპმადიანური!

— თქვენ რომ დაისწავლეთ მაპმადიანური და ქართული დაივიწყეთ, რატომ თქვენ სოფლებს ახლო მდებარე სოფ. ახალ-დაბამ, ჯვარემა და გარყილუფმა კი არ დაივიწყა? ეს როგორ მოხდა? ვკითხე მე.

— მაგაზე ასე იტყოდნენ, რომ ეგენი ერთობ გვიან გა-დაბრუნდნენ სჯულიდან, გვიან მიიღეს მაპმადიანობაო. ოს-მალნი მათ ძალით არ ამაპმადიანებდნენ, და იგინი კიდევ არ მაჭიმადიანდებოდნენ და გამაპმადიანებულებთანაც მისვლა-მოსვლა არ ჰქონდათ; ერთმანეთში ჰქონდათ მეგობრობა, ნათესა-ობა, და ყოველთვის ქართულს იტყოდნო. იმერხევეზედაც მაგრე გამიგონია და ასეც იტყოდნენ, რომ შავშეთის გამაპმა-დიანების დროს, ნახევარზე მეტი ხალხი გაიქცა, არ გამაპმა-დიანდაო; სოფლები განახევრდა, სახლები და მამულები ცა-



რიელები იყოვო; ოსმალებმა აქ ქურთები და თურქები ცალკე უკანეს და დაასახელესო. ისინი აირივნენ ჩვენში და მერე იმა-თის ლაპარაკით და მეზობლობით ჩვენც თსმალური ლაპარაკი-შევისწავლეთ და ქართული დავკარგეთო. ქართულის დავიწ-ყება პატარებიდან დაწყებულაო, რადგანაც ჩვენი და ქურთის და თურქის ყმაწვილები ყოველთვის ერთად იყვნენ ხოლმეო. იმერხვეში კი ოსმალებს არავინ ჩაუყვანიათ და არც დაუსახ-ლებიათ.

(მესამეს ნაამბობი).

შავშელებმა ქართული ენა მიტომ დაჰკარგეს, რადგანაც ამათზე წინეთ გოლამ (კოლა) დაკარგა, ზარუშეთმა (ერუშე-თი) და სხვა ადგოლებმა. ჩვენი ძევლები იტყოდნენ, რომ ჩვენ ქართულს ვიტყოდითო და ერუშეთი, გოლა, თორთომ-ოლთი კი მაჰმადიანურს ლაპარაკობდნენო. იქ რომ ჩავიდოდით და რამეს ჩავიტანდით გასასყიდლად და ქართულს ვიტყოდით ჩვენ გაგვიცნობდნენ და გვეტყოდნენ:

— ბიჭო, რაზე ვერ დაისწავლე მაჰმადიანურა ენაო? თქვენ აქარლები ხომ არა ხართო? რატომ რჩებით მაგრე ბე-ჩათო? ქართული მუსლიმან კაცს არ მოუხდება? რომ თათრუ-ლი ვერ დაისწავლოს, მაში ლოცვებს როგორ დაისწავლითო?

შავშელებს თათრული ენის სწავლება დაუწყვიათ და შეუს-წივლიათ ნელ-ნელი. ესენი ხანდისხან ყარსს, არდაჰანს და-ოლთს რომ მიღიოდნენ სავაჭროდ, იქ მაჰმადიანის და ქურ-თის ქალებს ირთავდნენ ცოლად, და მოჰყანდათ შინ იმ აზ-რით, რომ ყმაწვილებმა მაჰმადიანური დაისწავლონო; თორებ ჩვენებური ქალები შვალებს ქართულად ელაპარაკებოდნენ და ამიტომ პატარანი მაჰმადიანურს ვეღარ სწავლობდნენო. ძვე-ლად შავშეთის სოფლებში არ ყოფილი არც ერთი ოჯახი, რომ იქ ორი თუ არა, ერთი მაჰმადიანის ან ქურთის ქალი მაინც არ ყოფილიყოს, ამიტომ გადაბრუნდა შავშეთის ხალხი ქართულის ენიდგანაო.

იმ დროს, აქარ-მაჰასელი ქრისტიანები იყვნენ და ჩვენსა-



და იმათ შუა დიდი ჩხუბი იყო ხოლმე. ოსმალნი ჩვენს არა გვიშვებდნენ, რომ იქ აჭარა მაჭალელებთან ქართულად არ გველაპარაკნა, რადგანაც იგინი ჩვენ გვემტერებოდნენ, მაჭმალიანურად არ ლაპარაკობდნენ, მტერობით გაცარცვაც დაგვიწყეს, მთლად ფირალად გახდნენ, შავშელ კაცს სადაც დაიჭერდნენ, იქ მაშინათვე გაძჟუცავდნენ, წაარომევდნენ ყველაფერს, ვინც ძალაზე დაუდგებოდა, იმას თავსაც მოსჭრიდნენ. აჭარლებზე უარესი მაჭალელები იყვნენ. მათგან ყოველთვის შეწუხებაში ვიყავით, სადაც დაგვიჭერდნენ, გვცემდნენ, გვცარცვამდნენ, გვხოცავდნენ, ვინ იცის რაებს არ გვიშვრებოდნენ. მთლად აგვიკლეს, არ მოისვენეს, აღარც ჩვენ გვასვენებდნენ,— შავშელნო, რად გამაჭმანდიანდითო! ამიტომ ყველაფერ ცუდს საქმეებს ჩადიოდნენ. იგინი აღარც მუშაობდნენ, არც სოესდნენ, არც ხნავდნენ, მარტო-მარტოდ ფირალობდნენ და ჩვენის შრომით სცხოვრობდნენ.

ამათ ისე არიეს ქვეყანა, და ხალხი იმ ზომამდის შეიაწუხეს, რომ უკანასკნელ ოსმალმა დაიჭირა იგინი. მაგრამ არც იმათ დაემორჩილნენ. იმათაც დიდხანს ეჩხუბებოდნენ და არ მორჩილდებოდნენ. ბოლოს მათ გამაჭმალიანება დაუწყეს. არც ეს ჰქნეს აღვილად. ამისთვისაც ჩხუბობდნენ, უკანასკნელ მაინც გამაჭმალიანდნენ და გამაჭმალიანების შემდეგ კი ცოტად დაგვიმეგობრდნენ, რადგანაც ჩვენის სჯულის იყვნენ. ბევრნი იტყოდნენ ხოლმე, რომ აჭარელნი ადრე შავშეთში რომ მოვიდნენ და ტბეთის ეკკლესიას დაინახავდნენ, გარედ პირჯვარს დაიწერდნენ, ქრისტიანულად ილოცავდნენ და შიგ შესვლის შემდეგ კი მაჭმალიანურადაო. აჭარლებსაც დიდად უყვარდათ ტბეთის ეკკლესია, და ამ ეკკლესის დაქცევა რომ ვისმეს გაებედნა, იმას აჭარელნი ცოტალს აღარ გაუშვებდნენო.

შავშეთში, ამ 40 წლის წინად, ყველა მოხუცმა კაცმა და ქალმა იცოდა ქართული ლაპარაკი. ამის შემდეგ აქ ხმები მოზფინეს, რომ გურჯიჯას ენაზე ლაპარაკს თავი გაანებეთ, თორემ დღეს თუ ხვალ რუსი მოვა აქ, ტბეთს აიღებს და მაშინ ვინც კი ქართულად იტყვის რასმეს, იმას უეჭველად გააქრის-



ტიანებენ. შავშელთ დიდად ეშინოდათ ამისი და იმიტომ გამარტინული შემადგროვებული მაპარაკების და წერა კითხვის ასწავლიდა. ასე და ამ რიგად შავშეთში ქართული ენის ძირიანად ამოვარდნის დრო 1840 წლიდან იწყება. შავშელთ მოამზეთა უკანასკნელ მე შემდეგი სიტყვა ვუთხარი: ქართული ენა ამოვარდა იმ კუთხეში, სადაც ძველად ესევე ენა ჰყვაოდა. ოსმალთა მეოხებით დაეცა დასავლეთ საქართველო, მაგრამ ღმერთმა არც იგინი დასტოვა, დევესქედის ქართველ მაპმადიანები ძრიელ უკან ჩამორჩენილი მუსულმანები არიან ჩემი მოგზაურობის დროს, მთელს ხეობაში ერთი ჯამე ვერ ვნახე, რომ იქ ხოჯა, ან მოლა ყოფილიყოს მლოცველად. გამაპმადიანების შესახებაც აქეთ ბევრი ამბები იციან მოხუცებულებმა. თუ არ შეიკრიბა სულ დაიკარგება ეს ძველებური ძვირფასი ამბები.

დევესქელის ხეობის გამაპმადიანება.

(ნაამბობი სოფ. პეტრულის მცხოვრებ ქართველ მაპმადიან ეუბასაგან, და ამის მოხუც მამის და სხვათა მაპმადიანთაგან).

დევესქელის ხეობა სხევს ლიგანაში, იგი ლიგანიდან აღმოსავლეთ-სამხრეთით მიემართება. შვენიერი ხეობა არის, მეტად ცუდი გზები კი აქვს, დევესქელის ხეობაზე აღრე ოცხე მეტი სოფელი ყოფილა, ეხლაც ამოდენივეა. მაშინდელ დევესქელის სოფლის ხალხთა კარგ ეკკლესიად პეტრულის პატარა ეკკლესია ყოფილა. ამ ეკკლესიის გვერდით წელიწადში ერთხელ ხალხი შეიკრიბებოდა და ლოცვის და ლხინს გადაიხდიდა. დევესქელის ხალხი ძალიან მხნე და ყოჩალი ხალხი ყოფილა.

ოსმალებმა ლივანის გამაპმადიანების შემდეგ მაჭანელასა და დევესქელის ხეობას გამაპმადიანებას მიადგნენ. მაჭანელმა ძლიერ იწინააღმდეგა, ბევრი სისხლი დაღვარეს, ამათვე მიპაძეს დევესქელის ხეობის ქართველთაც. ხალხი გაწყდა თითქ-



შის, განახევრდა სოფლები, მაგრამ მაინც ვერა გააჭუქა თავის სისმალებსაც მობეზრდათ ჩხუბი და დროებით თავი დაანებეს. ხალხში მოიფინა ხმები, რომ სისმალები ქართველებს აღარ ამაჰმადიანებენ. ყველანი ემადლიერებოდნენ მაჰმადიანებს.

მალე დევესქელის ხეობა ხელ ახლა გაივსო ხალხითა. აქ ხალხი საქართველოდგან მოსული, რადგანაც მათ შეუტყვიათ, რომ დევესქელის ხეობაში, სოფლებში ცალიერი სახლები ბევრან არისო, გარდა ამისა საცხოვრებელი მიწებიც ბევრიათ. ამ ადგილებს ხალხი მით უფრო ეტანებოდა, რადგანაც აქეთ პურის მოსავალიც იკის. დევესქელი მალე გაივსო ხალხით, მოშენდა ისევ ძველებურად სოფლები და გამრავლდა ხალხი.

განვლო დრომა და ოსმალთა ხელ-ახლა დაიწყეს ბრძოლი და მეცადინეობა გამაჰმადიანების შესახებ. მალე დევესქელის ხეობასაც მოადგნენ. დევესქელის ხალხი შეიარაღდა, ხელ-ახლა ჩხუბი დაიწყეს. მაგრამ ძალი აღარ იყო. ოსმალთ დევესქელის ორივე მხრის ხეობითა გზები შეკრეს და სასტიკის ბრძანებით გამაჰმადიანება გამოაცხადეს. მეტი გზა აღარ იყო, ხალხი უნდა გამაჰმადიანებულიყო, თორემ ყველას ანიავება ელოდა. მალე სასტიკი ბრძანება გამოიცა და ხალხშიც იწყო გამაჰმადიანება, მთელი დევესქელის ხეობა გამაჰმადიანდა.

იმ დროს, აქ იქ თითო ოროლა მღვდლები იყვნენ და ხალხს ქრისტიანებრ ალოცებდნენ, მაგრამ ამანაც დიდხანს არ გასტანა. მღვდლებს ლოცვები აღეკრძალათ და გარეკილ იქმნენ სხვაგან. ვინც გამაჰმადიანება ისურვა, ისინი აქ დასტოვეს. პეტრულში დარჩენილი ერთი მოხუცი მღვდელი, რომელიც ჩუმად ალოცებდა ხალხს ქრისტიანულად. ეს მღვდელი მთელს დევესქელის ხეობის ეპკლესიებს ჰპატრონობდა და უვლიდა. ხალხი, რადგანაც ახლად გამაჰმადიანებული, ამ მღვდელს საკმარისად პატივს სცემდა, ყველა ემორჩილებოდა მის სიტყვის. ხოჯებიც არ უშლიდნენ, რადგანაც იგი ბერიკაცია და დღეს თუ ხვალ მოკვდებათ. ასეც მოხდა, მოხუცი მღვდელი

მალე გარდაიცვალა. ამის შემდეგ დევისქელში მოიხსენ მარტინი
და სამუდამოდ მღვდლების რიცხვი.

თუმც მღვდლები აღარ იყვნენ, მაგრამ ხალხი მაინც ჩეუ
მად ქრისტიანობდა და ლოცულობდა აქა-იქ ეკკლესიებში, ნა-
მეტურ პეტრულის ეკკლესიაში. მოხუცი მღვდელიც პეტრუ-
ლის ეკკლესიაში მდგარა. სიკვდილის შემდეგ იქვე დაუმარ-
ხავთ ჩვენ ხოჯებს. ხალხის ჩუმს ლოცვებს და ქრისტიანულს
წესებს ჩვენმა ხოჯებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს და იგი-
ნი სასტიკად უკრძალავდნენ ქრისტიანებრ ლოცვას და მაღვით
ეკკლესიებში სიარულს, მაგრამ მაინც ხალხში ვერ სპობდნენ
ქრისტიანობის საყვარულის ნიშნებს. რამდენიც ისინი წინააღ-
მდეგნი იყვნენ, იმდენი ჩვენები უფრო მაგრა და სასტიკად ას-
რულებდნენ ყველაფერს.

იმ დროში კი შიგა და შიგ შეგნებით, ნამდვილი მაჭა-
დიანობის მექონი ქართველნიც მრავლდებოდნენ; ხოჯები მა-
ლე დარწმუნდნენ მასზედ, რომ ხალხს მალჟ ვერ დავავიწყებთ
თავიანთ წეს-ჩვეულებასაო. მათ ითათბირეს და უკანასკნელ
იჩივლეს ბათუმში, რომ დევგსქელის მუსლიმანები ჩუმად ქრის-
ტიანობენ და რა უნდა ეშველოთ მათაო? ბრძანება მოვიდა:
რომ რაც ძველი ეკკლესიები აქვთ, სულ დაუქციეთ და ხალხ-
საც სასტიკად აღეკრძალოს ეპკლესიებისაკენ სიარული და
ქრისტიანებრ ლოცვაო.

ბრძანების შესასრულებლად მალე ჯარიც მოვიდა და
ხალხს გამოეცხადა ბრძანება.

— მთავრობა გიცხადებსთ თქვენ, რომ დღეის შემდეგ
ქრისტიანობის აღარ ილოცოთ რა, თორემ ყველას თავები და-
გეჭრებათ.

— ჩვენ მაჭადიანები ვართ, თათრის რჯული გვიჭირავს,
ამას სუფთად ვასრულებთ და სხვაც რომ ვილოცოთ, ამასთან
ვის რა საჭმე აქვს? მიუგეს ქართველთა.

— ეგ არ შეიძლება, ბრძანება ასე არის! სოჭვეს იქ მყოფ
ხოჯა-მოღვება.

ასევე მიუგეს ჯარის კაცთა და მალე განაცხადეს ხოჯებმა
შემდეგი:

— აბა ვინც ნამდვილი მუსულმანები ხართ, გამოდით და
პეტრულის ეკკლესია დააქციეთ.

— ჩვენ თუმცა ნამდვილი მაჰმადიანები ვართ, ნაგრამ პე-
ტრულის ეკკლესიას ვერ დავაქცევთ, ეს არ შეიძლება, იგი
ჩვენს ძველებს გაუკეთებიათ ჩვენთვის და ჩვენ რას ვემართლე-
ბით, რომ იგი დავაქციოთ.

— არ შეიძლება, უნდა დააქციოთ, გაისმა ხმა მოღა-ხო-
ჯებისა და ჯარისაც.

საქმე ძალაზე მივიდა, ხალხს ორგულობას სწამებდნენ:
ალბად ნამდვილი მაჰმადიანები არა ხართ, რომ ამ ეკკლესიის
დაქცევა არ გინდათო, სულ ამ ეკკლესიის ბრალია, რომ დე-
ვესქელის სოფლების ხალხი ჩუმად ქრისტიანობსო. ამის დაქ-
ცევა აუცილებლად უნდა მოხდესო. მოხუცებულ ქალებსა და
კაცებს ძლიერ ეწყინათ თურმე, კინალამ ჭირილი დაიწყეს,
მაგრამ რას გააწყობდნენ, საქმე ძალაზე მივიდა.

მაშინ ქართველ ახალ გამაჰმადიანებულებში რამდენიმე
კაცი გამოსულა და ამათ უთქვამთ:

— ჩვენ დავაქცევთ, ჩვენი ფიქრი ნურაფრის გაქვსთ, ჩვენ
ნამდვილი თათრები ვართ.

— კეთილი, სთქვეს ხოჯა-მოლებმა.

მალე მოზიდეს ბარი, ნიჩაბი, წერაქვი და სხვა იარაღები
და შეუდგნენ ეკკლესიის დაქცავის. ერთი ხოჯა წინამძღვრო-
ბდა ამას. ერთმა გათათრებულმა წერაქვი აიღო, ავიდა ეკ-
კლესიის თავზე და დაქცევა უნდა დაეწყო. ამან პირველად
წერაქვი ჯვარს დატკრა, ჯვარი მოვარდა, მაგრამ თვით დამ-
კვრელიც ვერ დარჩა იქა, ისიც უცბად გადმოვარდა ძირს,
კინალამ მოკვდა. ხალხმა იყვირა:

— ღმერთი არ ყაბულობს მის დაქცევასაო.

— ჩვენ დავაქცევთო, იყვირეს მოღა, ხოჯებმა და ახლა
სხვა თათარი აგზავნეს მაღლა გუმბათის დასაქცევად, მაგრამ
ვერც ამან მოახერხა, ამასაც იგივე დღე დაადგა, რაც პირ-



ველს. ერთიცა და მეორეც ავადმყოფი წაიყვანეს შინჭავული ლოგინში ჩაწვინეს. ერთს ამათგანს იმ დაქცევის დროს რაღაც საეკლესიო ნივთები ეშოვნათ და შინ წაელო. წამლები ავად გახდა თურმე და ძლიერაც შეწუხდა. ერთ ლამეს ასეთი სიზმარიც ნახა მან:

— მე თქვენი ძველების ხელით ვარ გაკეთებული და გამშვენებული, ჩემში თქვენი ძველები ლოცულობდნენ და დღეს კი თქვენ მე მქუცავთ, და მაქცევთ. რას მემართლებით? რა დამიშავებია თქვენთვის? ჩემი ნივთი ჩემს გვერდით მაინც იყოს! ჩემი სიტყვა შეისმინე, თორემ ბოლოს ერთობ შეგანა ნებ, კარგად არ გახდები.

ავადმყოფმა სიზმარს ყურადღება მიაქცია, საჩქაროდ გაიჭია, ის ნივთი მიიტანა და ეკკლესიის გვერდით დასტოა. ამის შემდეგ ის ავადმყოფი ძალიან მალე მორჩა. ხალხი გაოცდა ამაზე. ერთ კაცს კიდევ იქიდან რაღაც ქინძისთავი წაელო, მეორე-მესამე დდეს ავად გამხდარიყო და შემდეგ გაგიუდა კიდეც. მერე სიზმარი ენახა და პეტრულის ეკკლესიის ჩივილი შეეტყო, რომ ნუ მაქცევთ მაგრე და ნუ მქუცავთო. მან ის ქინძისთავი საჩქაროდ მიიტან იქ და დასდო, რის მეოხებითაც იგი მალე მორჩა. ამაზე ხალხი ერთობ გაჰკვირდა.

უკანასკნელ ყველანი დარწმუნდნენ მასზე, რომ ამ ეკკლესიას ძალა ჰქონიაო, და ამიტომ მას ნუ დავაქცევთო, ხალხიც ამას ითხოვდა. მოლა, ხოჯებიც დარწმუნდნენ ამაზე-და მის დაქცევას თავი დაანებეს. მერე აქ მომსვლელ მაჰმადიანებსაც არ უშლიდნენ ლოცვას, ხალხიც დიდხანს იარებოდა სალოცავად, მაგრამ უკანასკნელ ესეც დაივიწყეს, რადგანაც მაჰმადიანობა წმინდათ მტკიცდებოდა აქედ.

ჩვენ გავმაჰმანდიანდით, დღეს ნამდვილი მაჰმადიანები ვართ, მაგრამ ამ ეკკლესიის ამბებს კი არ ვივიწყებთ და მას ერთ კენჭსაც არ მოვაცლით. ვინც რამეს წაიღებს მისგან, ჩვენში ნათქვამია, რომ იგი კაი დღეში არ ჩავარდებაო. სწორედ ამის მიზეზი გახლდათ, რომ 1890 წელს ჩვენმა თათრებმა ამ ეკკლესიას კარებიც გაუკეთეს და შეუბესო. ამ ეკკლე-



სიაში აქაურებს ჩუმი ლოცვა 1830 წლებამდის ჰქონიანდებული ვესკელში სრულად ქრისტიანობის ნიშნების მოსპობის დრო სწორედ ამ წლებს მიეწერება.

(ნაამბობი ს. ორცველის აბდულ ეფენდი მიქელაძისაგან).

შავშეთი მიტომ გამაჰმადიანებულა, რადგანაც ამაზე წინად გოლა გამაჰმადიანებულა, ერუშეთი, თორთომი და თავსკერი (თაოსკარი); ამათ შემდეგ ჩვენ გავმაჰმადიანებულვართ, ახალციხემ იმ დროს უკვე გამაჰმადიანებული ყოფილა. ფოცხოს და ქვაბლიანსაც ცოტათი წინად დაუწყეს გამაჰმადიანება; იქ ხალხი არ თათრდებოდა, ბევრნი აქეთ-იქით გაიქცენ, სოფლებში ბევრი სახლები ცარიელი დაშთა. იქ ოსმალთა თათრები მირეკა და დააყენა, ბოლოს იქაურნიც გამაჰმადიანდნენ, მოსულ ხალხში აირივნენ და თავიანთი ენა დაჲკარგეს ჩვენ ცოტა ხნით მათ შემდეგ გავმაჰმანდიანდით.

ბერიკაცებისაგან გამიგონია, რომ შავშელნი მეტად ლაჩარი ხალხიაო, რასაც ეტყვი, იმას დაგიჯერებენო. ოსმალის მათ ძლიერ ეშინოდათ. იგინი მალე გამაჰმადიანდნენ და ცდილობდნენ, რომ ყველაფრით ოსმალებს დაჲგვანებოდნენო. ამიტომ ისმალნი მათ არ ვნებდნენ, ქართულიც მიტომ დაივიწყეს თურმე.

აქარელნი კი ასეთი არ იყვნენ. ესენი ოსმალოს ასი წელიწადი ებრძოდნენ ქვეყნის დაჭრის დროს, მერე სჯულის გამოცვლის გამო ჰქონდათ ჩხები, ხოცვა, ელეტა, წყვეტა და სისხლის ღვრა. ყოფილა ისეთი დრო, რომ ესენი ოსმალოს სისხლს დალევდნენ ომის დროს და ნამეტურ მაჲასლელნი. ამათ მოაბეჭრეს ოსმალნი; იგინი ვერას აწყობდნენ. ამ ხაუკუნეში აქარლებმა ოსმალნი კინმღამ გარეკეს აქედან, ომი ას-ტეხეს და ოსმალოს ბევრი ჯარის კაციც მოუკლეს. ოსმალმა დიდის ტანჯვით და შრომით გაათათრა აქარელნი, მაგრამ სრულიად მაინც ვერ მიიმხრო თვისკენ, ამათში ქართული ენა ვერ მოისპო, მცირედაც ვერაფერი ავნო.



ოსმალებმა აჭარლებს ბევრნაირად დაუშეცეს პატივისუფლებით სულთანს თავის მცველაბად ყოველთვის აჭარლები ჰყვანდა და მათში ზოგნი ფაშობამდისაც მიაღწევდნენ. აჭარელს რომ ესურვა ოსმალოს სამსახურში შესვლა და რამე ადგილის შოვნა, იგი მალე მიაღწევდა თავის წადილს, რაღანაც ისმალთ აჭარლებისთანა ყოჩალი ქვეშევრდომი იშვიათად ჰყვანდა, და ამიტომ აჭარლებს სიიმოვნებით აძლევდნენ უპირატესობას. ამ უპირატესობის მინიჭებით აჭარელი მიაღწევს თავის მიზანს, იგი ხდებოდა საღმე მთელი მაზრის უფროსად, და ისიც შუაგულს და განაპირს ოსმალოს ხალხსა და ქალაქებში. ყველა ეს პატივსადები მხარეები ოსმალთაგან აჭარელთაოვის იმ მიზნით იყო შემოღებული, რომ ამ ოსტატობით და აჭარლების დაყვავებით აჭარაში მაშმადიანობა მტკიცე ნიადაგზე დამყარებულიყო, აჭარელი ოსმალოს ერთგული გამხდარიყო და როცა საჭირო იქნებოდა, მაშინ იგი დაუზოგავად გამოსულიყო ბრძოლის ველზე მტრის წინ საომრად. ოსმალთა მიაღწიეს თავიანთ წადილს, აჭარლებს ქართული ყველაფერი ამოაცალეს, სული, გული, გრძნობა და ხასიათიც კი, მხოლოდ ვერ ამოაცალეს ქართული ენა და ვეონებ ამის ამოცლას ისინი მალე ვერც მოახერხებენ, თუმცა 1850 წლების შემდეგ აქაც იწყეს მედგრად მოქმედება და მოღვაწეობა ქართული ენის წინააღმდეგ.

ოსმალთა ხოჯა-მოლები და თვით ქართველ გვარის ხოჯებიც აჭარელთ ისე აზიზლებდნენ ქართველებს, რომ ქართველთ თვით სისხლის დალევასაც კი უქადაგებდნენ. მაინც მათ მიაღწიეს საწადელსა და აჭარლებს ისე შეაძულეს ქართველობა, რომ უკანასკნელ ომის დროს, მაგალითებრ 1877 წ. აჭარელნი ქართველებს ისე უმშერდნენ როგორც თავიანთ დაუძინებელ მტერს, სისხლის დამლევს და ათასიც სხვა ამ გვარებს. აჭარელი მონატრე იყო მის, რომ მათ მთელი საჭაროველო დაეკავებინათ და ქართველი ერიც სულ მოესპონ და გაეწყვიტათ. ასეთი მტრობა იყო ჩვენში დათესილი ჩვენს მოძმე ქართველ ქრისტიანებზედ.



(ნამშებობი შავშეთის სოფელს გარყილუფში. შავშეთას, ჯვარებზე და ჩვეულებულებთაგან).

ქართველები გათათრების დროს მაგრად იდგნენ. ამათ ოსმალთ მორიცება არ ჰქონდათ. ოსმალოს შიშის ესენი არ ემორჩილებოდნენ. ერთი სოფლის ხალხი მეტად უარს იდგა გამაპმადიანებაზე. დიდროვან თათრის კაცებს ასე უთხრეს:

— გინდ ე ყველები დაგვჭრით, გინდ ჭორობში ჩაგვყარეთ და გამაპმადიანება კი არ გვინდა. ვერ გავმაპმანდიადებით!

— ჩვენ გაგამაპმადიანებთ, მაგის ფიქრი ნუ გაქვსთ, ბევრს თქვენისთანებს უთქვამთ, რომ არ გავთათრდებითო, მაგრამ ბოლოს გათათრებულან. იწამეს წმინა სჯული, მიუგეს ოსმალოს დიდმა კაცებმა.

— ჩვენგან ეგ არ იქნება, ნუ ელით მაგას! ჩვენის ძველებისაგან ფიცი გვაქვს მიღებული, რომ ჩვენ იმათ სჯულს არას დროს არ ვულალატებთ. მიუგეს ქართველთა.

— მაშ ეგ არის თქვენი პასუხი, არ მაპმანდიანდებით რაღა? ბოლოს ინანებთ, ჩვენ ძალით გაგამაპმადიანებთ და თქვენი უარი უბრალოდ დაშთება.

— ვნახავთ, მაგრამ გეტყვით იმას, რომ ასე იქნება თუ ისე ჩვენ მოლა-ხოჯებს-მეჩითებს ვერ დავემორჩილებით. პირ-ველ გამაპმადიანების დროს ქართველნი საერთოდ მეჩითს უწოდებდნენ სუნნის სალოცავს, რასაც დღეს ჯამე ეწოდება. ოსმალნიც ასე უწოდებენ „ჯამეს“.

ოსმალნი შეუდგნენ გათათრების საქმეს და მალე ამ ცნობილ სოფლის ხალხსაც დაუწყეს გამაპმადიანება, ესენი დიდად გაგულისდნენ, გაჯავრდნენ. ჯავრთან ძალი არ შესწევდათ, თორემ ოსმალებს კბილებით დაჰგლეჯდნენ. ამათაც მალე წაუხდათ საქმე. რომელი სოფელიც ამათ ამაგრებდა და დიდს მეგობრობას უწევდა, იმ სოფლის ქართველთა იწყეს გამაპმადიანდება. რავდენიმე ხნის განმავლთბაში იგინი მთლად გამაპმადიანდნენ და იწყეს მაპმადიანურად ლოცვა. ბევრნი კი გამაპმადიანების შემდეგაც ქრისტიანობდნენ ჩუმად.



— ბიჭო, რაიზა გამაპშანდიანდით, ქრისტიანობას რელიგიურ მაკმაღიანობა?

— ხოჯა-მოლებმა გვითხრეს, რომ ქრისტიანობა ლჲებაო, მაკმაღიანობა კი მაგრდებაო, ჩვენ დავიჯერეთ ესა; ჩვენ ქრისტიანები ვართ და ძალი არ მოგვდევს! აბა თუ ჩვენი რჯული მართალია, აბა ქრისტემ გვიშველოს მაშ, რატომ არ გშველის? იგინი უსჯულოები არიან და ჩვენზე, სჯულიანებზე უფრო ძლიერნი, მუჰამედი მათ შველის!

— აი, თქვე ახრებო, თქვენა, თქვენ მაკმაღიანობაზედაც ლაპარაკობთ? მიუგეს ქართველთა.

— მეტი რა ზორი გვაქვს, რომ ასეა საქმე? დღეს ჩვენ მაკმაღიანები ვართ და დღეში ხუთჯერ ვლოცულობთ. უსჯულოები ვართ და ასე სუფთად ვიქცევით და როცა ქრისტიანები ვიყავით, მაშინ კი ჩვენ დღეში ერთხელაც არ ვლოცულობდით.

— რატომ არ ლოცულობდით, ვინ გიშლიდათ, რას შერებოდით მაშა?

— რასა და ყურძენს ვკრეფდით, ლვინოს და არაყს ვწურავდით, ვსვამდით და ვითვრებოდით, დამთვრალნი ერთმანეთს ვეჩხუბებოდით, ვსცემდით, ვაგინებდით და ყველა გონჯს საქმეს ვშვრებოდით. ლოცვისთვის ვილას სცალოდა? მიუგეს გამაკმაღიანებულთა.

ამათ კინაღამ ჩხუბი მოუვიდათ, კარგად შელაპარაკდნენ, ერთმანეთს დიდად გაუწყრნენ, გაჯავრდნენ.

გამაპშანდიანებულებმა იწყეს ცხოვრება და მეცადინეობა. სადაც ქრისტიანად დაშთენილნი იყვნენ, ამათ იგინიც აიყოლიეს და ლივანაში მაკმაღიანობაშ იწყო მოფენა. ესენი ყველას არწმუნებდნენ, მაკმაღიანობა კარგი არის, ჩვენ ვცადეთო, თქვენც სცადეთ და ამაზე დარწმუნდებითო. ტყუილად თავებს ნუ წაიხდენთო, ჩვენს ძველს სჯულს იმდენი ძალა არ აქვს, რამდენიც თათრებისასაო. ხალხს სჯეროდა იმ კაცების სიტყვები და ადვილად თათრდებოდნენ, ამ საქმეების გამო ქრისტიან

ქართველები დიდად ჯავრობდნენ, გამაჰმადიანებულებს ქრისტიანული კად გადაეკიდნენ. იმათ გამოუცხადეს ასე:

— ოსმალთა ჩხუბს თავს დავანებებთ და თქვენ დაგიწყებთ ჩხუბს. არ შეგარჩენთ სჯულიდან გასვლას. ეკალესიების ჯამეთ გადაკეთების ნებას არ მოგცემთ, დაიკადეთ თქვენა! ესენი ასე ამბობდნენ, მაგრამ გამაჰმადიანებულთა იწყეს გაძლიუნება. საქმემ მალე იქამდის მიაღწია, რომ ტბეთის საყდარი ჯამეთ გადააკეთეს და მაჰმადიანურად მორთვა დაუწყეს. ქრისტიან ქართველებს ეს ამბავი დიდად ეჯავრათ. მრავალნი ეტყოდნენ მათ:

— ბატონო, რა ზორი გაქვსთ, რომ მაგრე სტირით და სწუხთ, რა წახდება მით, ღმერთის სალოცავად იქნება. რა არის აქ სატირალი?

ქრისტიანები დაემუქრნენ თათრებს: არ შეგარჩენთო, თქვენს ჯავრს ამოვიყრითო. იმათ აი რა მოუხერხებიათ ახალ გამაჰმადიანებულებისათვის.

რამდენიმე ალაგას ჯამეს ცეცხლი მისცეს და გადასწვეს და ეს ისე მოახერხეს, რომ მათ ვერავინ რა შეუტყო. თავიანთ მეგობარ ახალ გამაჰმადიანებულს ქართველთა ჯამეებსაც ავნენ.

ჯამე ხისაგან იყო გაკეთებული, მაგრამ გვარიანი ჯამე კი იყო, ჯამეს საძირკვლის მაგიერ დიდრონი ბოძები ჰქონდა ჩიცემული, ამ ბოძებზე იდგა ჯამე. ქრისტიან ქართველებმა ამ ჯამეს ძირის ბოძებს დაჭრა დაუწყეს, ნელ-ნელა ძირს უფულუროებდნენ. ეს ჯამე მაღალ ალაგას მდგარა, წინ დიდი გადმოსავარდნი ჰქონია. ერთ დღეს ხალხს მოუყრია თავი და შესულან ჯამეში სალოცავად ხოჯა დამდგარა თუ არა ლოცვაზე და უთქვამს „ელაუექბერ“ და მუხლი მოუყრია, ამის მუხლის მოყრის უმაღვე მთელი ხალხიც დამხობილა ძირსა. ამ დროს ჯამეს უგრიალია და დაქცეულა მთლიად ხალხი და ჯამე კლდეში ჩაცვინულან. ზოგი მომკვდარა, ზოგი დამტვრეულა და ზოგი კი გადარჩენილა. ამ ჯამეს დაქცევის საქმე სტამბოლამდის წავიდა, აქ კი ვერავინ მიხვდა მის მიზეზს, თუ



ეს ახლად გაკეთებული კარგი ჯამე რა მიზეზით დაიქცა, უძველესი გამაპმანებულ ქართველები:

ასე ეფენდუმ, ქართველები უბრალოდ მტრობდნენ წმინდა ისლამს და ათასნაირ ბოროტებას ჩადიოდნენ, მაგრამ მაინც ღმერთმა ისლამი დაიფარა და ქართველებში განავრცოიდი. მერე უთქვამსთ:

— ბიჭო, აგერ ნახეთ, რა მოგივიდათ! ღმერთმა დაგანახვათ, რომ თქვენ კაი საქმეებს არ შვრებით, სჯულიდან ხელს იღებთ. თქვენ პატარა მოითმინეთ და ბევრ სხვა რამეს გაჩვენებთ ღმერთი. ახლა მაინც არ დაიჯერებთ, რომ მაპმალიანობა ქრისტიანობას არ სჯობია და, გინდ სჯობდეს, მაინც ქართველი კაცისთვის სჯულის გამოცვლა კარგი არ არის?!

— ჩვენ რაკი გადავბრუნდით, მოხდა ეს საქმე, ეხლა ვერ გადმოვბრუნდებით. დაიცალეთ, ვნახოთ, თუ სხვა ჯამეებიც დაიქცევა, მაშინ კი გავპედავთ და გადმოვალთ ისევ ძველს სჯულზე. მეტი გზა არ იქნება.

— აბა, შეილო, ეკკლესიებზე რომ აშბობდით, რომ ლპებაო, იმდენ ხანს ვერ სძლებენ, რამდენსაც ჯამეებიო, აბა ნახეთ, თქვენი ახალი ჯამე როგორ დაიქცა დამპალი სახლივით! აბა ერთი ეკლესია გვაჩვენეთ, რომ ის თავის ნებით იყოს დაქცეული?

ამ შეითნებმა თურმე ისეთი სიტყვები უთხრეს იმ ახალ გათათრებულებს, რომ კინალამ სჯულიდან გადააბრუნეს იგინი. ბევრი კი მიიმხრეს თურმე თვისკენ და ჩუმად დაწყებინეს გიაურულად ლოცვები.

ის შეითანები აი რას შვრებოდნენ თურმე: აქეთა სოფლებში დაძვრებოდნენ და ზოგს ჯამეს ჩუმად ცეცხლს აძლევდნენ, ზოგს ძელებს უჭრიდნენ, ქვის ჯამეებს სხვაფრივ აზარალებდნენ და მათის ოსტატობით ზოგი ჯამე ცეცხლისაგან იწოდა, ზოგი მთლად იქცეოდა, ზოგს კედლები ენგრეოდა. მთელი დუნია დაფიშმანდა მმაზე, მაგრამ მიზეზი ვერ შეიტყეს. გიაურებს კი ერთმანეთში ფიცი ჰქონდათ მიცემული, რომ არავის რა შევატყობინოთო.

ხალხს კი ისე ეგონა, რომ ყველა ეს უბედურებანი გამო
ჩენელი ღმერთის ბრძანებით ხდებაო, ამას თვალით გვაჩვენებს,
რომ სჯულიდან ზელს ნუ იღებთო, ნუ მაჰმანდიანდებითო!
ამიტომ მრავალთა იწყეს უკან გადაბრუნებაო. სჯულის გადა-
ბრუნება ღმერთს არ პოეშონა, ამიტომ მან ერთს ქართველს
გულში წმინდა ჰაზრი ჩაუნერგა: ეს ქართველი ქრისტიანი მი-
ვიდა გამაჰმადიანებულ ქართველებთან და უთხრა:

— მემო, თქვენს ჯამეებს გამჩენელი ღმერთი კი არ აქ-
ცეს, არამედ ქართველები აქცევენ და ცეცხლს აძლევენ უჩუმ-
რად, თქვენ კი სხვა გგონიათ, მეც იმათში ვერიო, იმ გიჩვე-
ნებთ ყველაფერს.

ოსმალთა და ახალ გამაჰმადიანებულთ გაეხარდათ. ამათ
დაუწყეს ქართველებს ჩუმად ზვერვა. დამბეზლავი ქართველიც
მალე შეუერთდა ისლამს. მაჰმადიანობა მიიღო. ამის ნათესავ
ქართველებმა შეიტყუს ამ კაცის გამაჰმადიანება, ამათ სოქვეს,
რომ ახლა კი შეგვიტყობენ საქმესაო. გამაჰმადიანებული გაჩ-
ვცემსო. ამათ ჯამეების ქცევა-ნგრევას და ცეცხლის ძლევას
თავი გაანებეს, საქმე ცუდათ წაუციდათ, გამჩენელმა ღმერთ-
მა არ შეარჩინა, ყველაფერი შეიტყეს ოსმალთა. ამათ მალე
გაიგეს თურმე, რომ ჩვენი საქმე ცუდათ არისო, ან გაგვამა-
ჰმადიანებენ და ან თავებს დაგვჭრიანო. გამაჰმადიანებას ჩვენ
ვერ ვიზამთო, რაც უნდა დაგვემართოს, ჩვენ მაინც გიაურები
უნდა ვიყოთ, ისე უნდა ვილოცოთ, როგორც ჩვენს ძვე-
ლებს ულოცნიათ.

ესენი თურმე ერთ ღამეს მოემზადნენ გაქცევასა და რო-
ცა შუალამე გახდა და სოფლის ხალხს დაეძინათ ღრმა ძილით,
მაშინ ამათ აღკაზმეს ცხენები, ზედ შესხეს ქალ-ბალანა, ვი-
საც ფეხით შესძლებია სიარული, ის ფეხით წასულა, თან
წაულიათ მხოლოდ ლოგინი და წასულან უჩუმრად და გასუ-
ლან ქრისტიანების მიწაზე. მეორე დღეს მაჰმადიანები შევიდ-
ნენ სახლებში და სახლები ხალხით მთლად ცარიელი დახვდათ,
არსად ერთი კაცი აღარ იყო. მთლად ამათი ქონება, საქონე-
ლი და ავეჯი კი აქ დარჩენილიყო, ყველა ესენი ახალ გამა-



ვმაღიანებულებმა და თურქებმა აიღეს და გაინაწილეს, ამ შეითანაბისაგან დაწყვარ და დაქცეულ ჯამების განახლებას მოანდომეს. ამ სოფლის ხალხის გაქცე-
ვის შემდეგ აქეთკენ მაჰმადიანებით მთლად მოფენილა. ესენი
იყვნენ თურმე გაუტეხავნი და ესენი რევლენ ქვეყანას.

ქართული ენის დაკარგვა შავშეთში.

(ნაამბობი შავშეთის სხვა და სხვა სოფლის მოხუცებულ ქართველთაგან).

არდაპანი (არდაგანი) გამაჰმადიანებულა, იქაური ქართვე-
ლები ბევრნი სხვაგან გაქცეულან, არდაპანის სოფლებში ქარ-
თველების ცოტა ხალხი დარჩენილა, ზოგნი შავშეთში გადმო-
სულან, — მაშინ შავშეთი მთლად ქრისტიანი იყო, ქართულად
ლაპარაკობდა. არდაპანის გამაჰმადიანების შემდეგ შავშელებზე
წინეთ ფოცხოვი და ქვაბლიანი გამაჰმადიანდა, აქედამაც ბევ-
რი ხალხი გაიქცა გურჯისტიანისაკენ, იგინიც არ მაჰმანდიან-
დებოდნენ, მაგრამ საქმე გაუძნელდათ. დარჩენა აღარ შეიძ-
ლებოდა. ამ ადგილების ხალხმა მალე იწყეს თურქულად ლა-
პარაკი, მცირე ხნის განმავილობაში მათი ყმაწვილები მთლად
შეეჩივნენ თურქულს და ქართულ ენას ივიწყებდნენ. ამ დროს
შავშეთშიაც შემოვიდა თათრობა. შავშელთა მიიღეს მაჰმადია-
ნობა, ამათ მიჰბაძეს არდაპანს, ფოცხოვს, ქვაბლიანს და იწ-
ყეს მათებურად, თურქულებრ ლაპარაკი, ყველა სცდილობდა
რომ თურქული ესწავლათ, მოლა-ხოჯებიც იტყოდნენ შემ-
დეგ დარიგებას:

— ჩვენი სჯულის ენა თურქულია; ეცადეთ, რომ ეს ენა
დაისწავლოთ, თორემ გურჯიჭა თქვენი საქმე არ არისო.

ჩვენი სოფლის ხალხი კეთილი ხალხია, უფროსის სიტ-
ყვის გამგონი. მათ მოისმინეს მთავრობის და მოლა-ხოჯების
თხოვნა, თურქულ ენის შესწავლა დაიწყეს; თურქულის შეს-
წავლის დროს ქართული ენის შენახვის თავი აღარ ჰქონდათ,



ამიტომ დაჲკარგეს ქართული ენა, დაავიწყდათ. ღლეს მარტო შეთში ქართული ენა არავინ იცის, მაგრამ ჩეენ მაინც გურჯები ვართ. მე ქართული არ ვიცი, მაგრამ ჩემს თავს გურჯს ვუწოდებ. ოსმალნიც ასე გვიწოდებენ. ი ამიტომ დავიწყებიათ შავშელთ ქართული ენა, რადგანაც ესენი მორჩილნი ყოფილან თავიანთის უფროსების. ქართული ენის დავიწყების პირველი ბრძანება ახალციხის ფაშისაგან გამოდიოდა, ამიტომ პირველად იქით ივიწყებდნენ ქართულს, ამ საქმეში ახსიელები, ქვაბლიანელნი და ფოცხოველნი გვჯობდნენ, ისინი ჩეენზედ მალე ივიწყებდნენ ქართულს.

(მეორეს ნაამბობი).

შავშეთის ხალხი გამაპმადიანებულა, ბევრი მათგანი აჭარაში გაქცეულა, რადგანაც გამაპმადიანება არა სდომნიათ; შავშეთის სოფლები განახევრებულა, ისე, რომ თითო სოფელში 10—15 კომლი მოსახლე დარჩენილა, ამაზე მეტი ცარიელი სახლები. ამ ცარიელ სახლებში საცხოვრებლად ოსმალებს თურქები და ქურთები მოუყვანიათ და დაუსახლებიათ. ამ დროს შავშელნი გამაპმადიანებულან. მერე გამაპმადიანებულს ქართველებს თურქებს და ქურთებს შუა ნათესაობა ჩამოვარდნილა, ერთმანეთს ქალებს მიათხოვებდნენ. ქირვათ გაჲყვებოდნენ. რადგანაც ქართველები გამაპმანდიანდნენ, ამიტომ მათ თათრული ენის შესწავლა იწყეს; შავშელთ მალე შეისწავლეს თურქული, თურქებმა და ქურთებმა კი ვერ დაისწავლეს ქართული, ამათთვის არც იყო საჭირო რომ დაესწავლათ ქართული ენა. ყველას თათრული უნდა სცოდნოდა, რადგანაც ხემწიფე და მთავრობაც თათრის იყო.

ყველა დიდი კაცები თათრულად ლაპარაკობდნენ, ამიტომ ქართველებმა დაივიწყეს ქართული ლაპარაკი, ოსმალურად დაიწყეს საუბარი. ეს საქმეები მაშინ, უფრო წავიდა წინ, როცა ქართველებს, ოსმალებს და ქურთებს შორის ნათესაო-



ბა ჩამოვარდა. შავშელნიც ხშირად ირთავდნენ სასალოებრივი ქურთის ქალებს. რომელ ოჯახშიაც თურქის, ან ქურთი ქალი შესულა ცოლად, იმ ოჯახის შვილებს ქართული მალე დავიწყებიათ. მე მოვესწარი ისეთ მოხუც ბერ კაცებს, რომელთაც ქართული ლაპარაკი კარგად იკოდნენ. დღეს, მათ შვილის შვილებმა კი ქართული ალარ იციან, რადგანაც ზემოხსენებულ მოხუცებულთა ახალგაზდობაში ზოგს ქურთის ქალი მოეყვანა ცოლად და ზოგს თურქისა.

(მესამეს ნააშპობი).

მთელი შავშეთის სოფლის ხალხნი სულ ქართველები ვართ, ეს ადგილებიც საქართველოა, ამას ფიქრი არ უნდა. ის ტბეთის ტაძარი, ოპიზის და სხვების მიტომ გაუკეთებიათ, რადგანაც აქ საქართველო ყოფილა. ყველა აქაურ სოფელს, მთასა და ხეობას ქართული სახელები აქვს, ის მეც ქართული გვარი მაქვს: ჯინჭაროლლი — ჯინჭარაშვილი, თუმცა ერთი სიტყვა ქართული არ ვიცი. მამაჩემი კი იტყოდა, რომ ჩვენმა ძველებმა ყველამ იკოდნენ ქართულიო. აქ ქართული ენა მიტომ ამოვარდნილა, რადგანაც ფადიშაპის (სულთნის) ბრძანება ყოფილა.

გარდა ამისა, ჩვენ ძველ კაცებს ბრძანება მოსვლიათ; რომ თქვენ შვილებს დღეის შემდეგ ქურთის ან თურქის ქალები უნდა შეერთოთო, რომ ყმაწვილებმა თურქული ენის ლაპარაკი დაისწავლონო. ვინც ჩვენ ბრძანებას არ შეასრულებს იმას სასტიკად მოვეკიდებითო, დაისჯითო. შავშელები ბრძანების შესრულებას შეუდგნენ, იწყეს არდაპანისკენ მგზავრობა, იქიდან ქურთის და თურქის ქალები მოპყვანდათ ცოლებად, თავიანთ ქალებს კი ქურთებს და თურქებს აძლევდენ ცოლად. აი ამის გამო დაისწავლეს შავშელთ ყმაწვილებმა თურქული ენა და ქართული დაავიწყდათ. თორემ ეს რომ ასე არ



შომხდარიყო, მაშინ ვინ დაავიწყებდა ქართულს ლაპარაკუს მიზრები
შელ კაცს! მე ვკითხე:

— ეგ ძალიან კარგი და პატიოსან, მაგრამ ეს როგორ
მოხდა, რომ მთელ შავშელთ დაივიწყეს თავიანთი ენა და ამ
ხალხთან ახლოს მდებარე იმერხევის სოფლებში კი ყველა ქარ-
თულს ენაზედ ლაპარაკობს; ეს როგორლა მოხდა, ამაზე არა-
ფერი იცი შენა?

— იმერხეველებზე იტყვიან, რომ ეგენი მთლად ისე დარ-
ჩნდენ, როგორც იყვნენო. ოსმალებმა იქ არც ქურთები დაასახ-
ლეს და არც თურქები. იმერხევის მორიდება ასმალებს არ
ჰქონდათ, თვათ იმერხევიც ისეთი ადგილებია, რომ მას ოს-
მალნი არ ეტანებოდნენ, აქ არავის ასახლებდნენ, შავშეთი კი
ყველას მოსწონდა და ნამეტურ ასმალოს. ამათ ჰშურდათ,
რომ შავშეთში მათი ხალხი არ ესახლა, ამიტომ მოიყვანეს აქ
ოსმალნი, ქურთნი და ასახლებდნენ, რომელთა მეოხებითაც შავ-
შეთში ქართული ენა აურიდგანვე მისცემია ამოვარდნას.

(მეოთხეს ნამბობი).

შავშეთი საქართველოა, ჩვენც გურჯები (ქართველები)
ვართ, ხოლო გურჯული ენა იღარ ვიცით. ჩემი გვარი გორ-
დაძეა, სოფ. ციხისთაველი ვარ. მე ბერი კაცი ვარ და ჩვენი
ბერი-კაცებისაგან შემიტყვია ასე:

შავშეთში ქართულის დავიწყება თავის ნებით იქმნაო.
გამამაღიანების შემდეგ ქართული ენა ჩვენთვის იღარ იყო სა-
ჭირო, ჩვენ ჩვენს სჯულის ენაზე ვიწყეთ სწავლება და ქარ-
თული მთლად დაგვავიწყდა. ამის მოდავე არავინ იყო. ჩვენ
თვითაც დიდათ ვსცდილობდით, რომ ჩვენი სჯულის ენა დაგ-
ვესწავლა, სხვა თუნდ დაგვაიწყებოდა, ეს არაფერი სადარდე-
ლი საქმე იქნებოდა. ჩვენმა ძველმა კაცებმა ქართული კარგად
იცოდნენ, თაორული მძიმედ, იმათ შვილებმა და შვილის-შვი-



ლებმა ვიმეცადინეთ და თათრული ენა კარგად დავისწავლებულია
ამიტომ ქართული დაგვავიწყდა. მე ვკითხე:

— თქვენ თუ დაგვავიწყდათ, რატომ ახალ-დაბის, ჯვარე-
ბის და გარყლუფის სოფლელთ კი არ დაავიწყდა, ისინიც ხომ
თქვენს სოფლებს ახლო სკონვრობენ?

— იგინი ბატონი, ერთობ გვიან გადაბრუნებულან სჯუ-
ლიდამ, მიტომ არ იტყვიან თათრულს.

— იმერხევი ხომ შავშეთთან ერთად გამაჰმადიანდა, რა-
ტომ იქ კი არ დაივიწყეს ქართული?

— ეგ იმიტომ რომ ოსმალები იმერხევს არ ეტანებოდ-
ნენ, ქვიანი აღგილია, იქ მცხოვრები კაცი მხნე, მუშა კაცი
უნდა იყოს და მასთანავე იცოდეს იქაური აღგილების საქმე-
ები. ამიტომ ოსმალები იქ არავის ასახელებდნენ გარედამ მო-
ყვანილებს. იმერხეველებს იმიტომ შერჩათ ქართული ენა.
შავშეთიც რომ ასე ყოფილიყო, მაშინ აქაც ასე იქნებოდა,
შაგრამ შავშეთი ლამაზი ქვეყანა არის, კარგი აღგილებია, ოს-
მალებმა ეს აღგილები ვერ დასომეს, აქ ქურთები და ოსმალე-
ბი მოიყვინეს და დაასახლეს, ჩვენი ძველები იმათში არეულან
და მიტომ დავიწყებიათ ქართული ლაპარაკი.

დღეს შავშეთში ნახევარი თუ ქართველის კაცის არის
დარჩენილი, ნახევარი ქურთ-თურქების. და ყველა ესენი ისე
ჰგვანან ერთმანეთს, რომ იგინი ერთმანეთისაგან ველარ გა-
ნირჩევიან; ყველას თავის ძველების ამბები დავიწყებიათ და ამ-
ბობენ, რომ ჩვენ ძველთაგანვე აქ ვსცხოვრებდით შავშეთში,
ყველას გურჯად მიაჩნია თავისი თავი. ეს დღეს უფრო გახ-
შირდა, რადგანაც აქაურებს ეშინიანთ, რომ გურჯათ არ
ვსთქვათ ჩვენი თავები, მაშინ შეიძლება, რომ ოდესმე აქედან
გაგვრეკონო, რადგანაც ეს აღგილები გურჯისტანია, და თქვენ
კი თათრებსა და ქურთებს აქ რა აღგილი გაქვთო.

(მეხუთის, ღრმად მოხუცის ნამბობი).



ჩვენში, ბატონი. აი როგორ ყოფილა სჯულიდამ გადაბრუნება და გურჯის (ქართული) დავიწყება:

ოსმალებს გურჯისტანი (საქართველო) აულიათ, მერე ზარუშეთი (ერუშეთი) გამაპმადიანებულა. ზარუშეთი არდაპანს (არტაანს) იქით არის, ზარუშეთის შემდეგ გოლა (კოლა) სადაც არდაპანი სძევს. გამაპმადიანების შემდეგ გოლას და ზარუშეთს ხალხი ცოტა დარჩენილა, ოსმალებთა თავისი კაცები მოუყვანიათ და დაუსახლებიათ. იქ დარჩენილი გურჯები ახალ მოსულ ხალხში არეულან, ამათი ენა შეუსწავლიათ და თავიანთი დავიწყებიათ. იმ ღროს შავშეთი ქრისტიანი ყოფილა. ჩვენი ძვლები ზარუშეთის ერთს ხევში მდგარან, ჩილდირში, სოფ. წყაროს თავში, იქ დიდი ქლესიაც არის, იქიდამ აქ მოსულან და დასახლებულან.

შავშელებს მაშინ იქით მისვლა-მოსვლა არ ჰქონდათ, რადგანაც სჯულიდამ გადასულები სძულდა. ტბეთში დიდი ქეშიში იჯდა და ეს არ უშვებდა, რომ შავშელები გამაპმადიანებულიყვნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ტბეთის ქლესიდამ დიდი ქეშიში გააგდეს (წინამძღვარი) და ქლესის კარები დაკეტეს; მერე ხალხს გამაპმადიანება სთხოვეს, შავშელნი მალე გამაპმადიანდნენ. გამაპმადიანების შემდეგ შავშელებმა ზარუშეთში და გოლაში გადასვლა-გადმოსვლა იწყეს, იქ ყველი, ერბო, პური და ხილი მიქეონდათ და ჰყიდნენ. ამიტომ შეისწავლეს თათრული ენა; მერე ჩვენში ნათესაობაც ჩამოვარდა, ერთმანეთში ავირიენით და ამიტომ მოხდა, რომ შავშეთში დაივიწყეს ქართული. ჩვენს გარშემო ზარუშეთში და გოლაში აღარავინ ლაპარაკობდა ქართულს და ჩვენ აბა რას ვიზამდით?

ყველაზე უფრო კარგა ხანს ჩილდირში დარჩა ქართული ენა. მე კარგად მახსოვეს, რომ იქიდან ჩვენსა ბერი კაცები რომ მოვიდნენ მაშინ ისინი გამაჩემს ქართულად ელაპარაკებოდნენ. მე კი თათრულს ვლაპარაკობდი, მათი ენის არაფერი მესმოდა. ჩილდირში ხან კამაკანი იჯდა, ხან ბევი და იდრე ფაშაც (ჩილდირი— ყარსის გუბ. ჯავახეთს და ფოცხოვს შუა სძევს)



მჯდარა. რაც შავშეთში ქართული ენა დაიკარგა, მას შემდგროვებელი 80 წელიწადი იქნება, მეტი არა. ამ 30 წლის წინეთ შავშეთში ყველა ბერმა კაცმა და ქალმა იცოდა კიდევ ქართული ლაპარაკი, თუმცა ისინი თავიანთ შვილებშა ქართულს აღარ ლაპარაკობდნენ. შვილებს თითრულს ენაზე ელაპარაკებოდნენ, რომ შვილები თათრულს შესჩეოდნენ, ამ ცოდნით ლოცვის თავებიც გაეგოთ. ხოჯებიც ამას ითხოვდნენ.

ლიგანის გამაჰმადინება.

(დევესქელის ხეობაში ნაამბობი სოფ. პეტრულის მამასახლისისაგან და ბორჩხაში მცხოვრებ გასომხებულ ქართველ ქათოლიკეთაგან).

ლიგანში, ბორჩხის ზემოდ, ჩხალის ხეობაში, ძველად ქალების მონასტერი ყოფილა. გამაჰმადინების დროს, თათრებს მოლოზნებისთვის ხმი არ გაუციათ. მღვდლები და ბერები კი სულ გამოუტეკიათ. რამდენიმე დღის შემდეგ ამ მონასტერს დასცემიან თათრები და მარასტერი მთლად გაუძარცვავთ, მოლოზნებიც სულ მოუტაცნიათ; ერთი მოხუცი დედა მოლოზონი კი დაუტოვებიათ. მოტაცებული მოლოზნები ტრაპიზონში გაურჩეკიათ და ზოგი იქ გაუყიდნიათ თათრებზე და ზოგი სხვაგან. მონასტერში დარჩენილი მოხუცი მოლოზანი, მონასტერს არ შორდებოდა; ისან დიდი გაჭირვება გამოიარა, ხშირად თავ-დასხმა და გაძარცვაც, მაგრამ მაინც აქაურობას არ შორდებოდა. ნეცვლად ამისა, იგი ოჯახებში დაიღია და ახალ გამაჰმადინებულ ქართველ ქალებს ქრისტიანობაზედ დარიგების აძლევდა.

ერთ აღდგომა დღეს, მოლოზონში კვერცხები შედება, სააღდგომო სანოვაგე მოამზადა და აღდგომა დღეს ახალ გამაჰმადინებული ქართველი ქალები დაპატიჟა. ქრისტიანული მიულოცა; მათაც ქრისტიანულად მიუგეს პასუხი, რად-



განაც ახლად გამაჰმადიანებულნი იყვნენ და ქრისტიანული ლოცვებისა ბევრი რამ ახსოვდათ.

ეს ამბები ლივანის ბეგმა შეიტყო. ამან მოლოზანს განუცხადა. რომ მაგ აღაგს თავი დაანებე, თორემ ყაჩალები მოგკლავენო. მოლოზანმა შეუთვალა:

— სიკვდილი ყველგან დამხვდება, მე აქედგან არსად წავალ, ამ ეკლესიას უნდა უპატრონოვო.

ეს დედაკაცი კაი მოხუცი ყოფილა, თათრობის მოყვარეც, ამიტომ მას აჭარელ თათრის ქალებიც ეხმარებოდნენო.

რამდენიმე დღის შემდეგ ამ ქალების მონასტერს ოსმალები დაეცნენ. მოხუცი მოლოზანი მოჰკლეს და თუ რამე ჰქონდა, ისიც ყველაფერი მოსტაცეს. ამ დროს ქალებში ჩუმი ქრისტიანები კიდევ ყოფილან და ამათ ძალიან უგლოვნიათ მოკლული მოლოზანი და თვით ამ ქალებსვე დაუმარხავთ მიცვალებული. ამ მოლოზნის მოკვლის შემდეგ ლივანაში აღარაფერი დარჩენილა ქრისტიან ქართველთა.

ამ მოლოზნის მოკვლა თათრის მთავრობას და ხალხსაც ძრიელ სწყენიათ, სწყენიათ მით უფრო რაღანაც იმ დროს, აჭარა ავაზაკებით გაივსოვო. კაცის კვლა ბევრმა საქმეთ გაიხადა, ამიტომ ხშირად ზოგი ერთნი ყაჩალობას ახალ გათათრებულებს აბრალებდნენ, ეს კიდევ თათრობისთვის არ იყო მოსაგები. ამიტომ თათრის მთავრობამ აჭარაში და მთლად ქართველთ სათათრეთში კაცის კველა სასტიკათ აკრძალა. ფაზამ გამოაცხადა, რომ კაცის მკვლელ ჩვენ მოგკლავთ და მასთან ნათესავებსაც დავსჯით და ქონებასაც წავართმევთო, მაგრამ მაინც არა ეშველარა, ყაჩალების რიცხვმა არ იყო ნამეტურ აჭარა-ლივანაში.

ასეთი ავაზაკები არც თათრები იყვნენ, არც ქრისტიანები. იგინი ტყეში იმალებოდნენ და ქრისტიანს ეტყოდნენ ქრისტიანი ვართო, თათარს ეტყოდნენ თათარიო. ასე მოტყუილებამ ოსმალოს მთავრობა ძრიელ გააჯავრა, ამის არც ხოჯები იყვნენ მადლობელნი, ასეთის „თათრის“ თქმით,

ხალხს აძულებენ ქვეყანასა და მასთან თათრობასაცა. რობა კი ისეთი წმინდა რამ არის, რასაც კაცის კვლა ძრიელ სძულს და ეჯავრება. თათრისაგან ლოცვა არის საჭირო და არა კაცის კვლაო. მეტი გზა აღარ იყო, ოსმალოს მთავრობამ ლივანას, მარადიდს, ბორჩხას, მაჭახელს და აჭარას ხაფსიხანები გააკეთეს და თავ-საკვეთი. ციხეები აღარ ჰყოფნიდათ, დიდი ციხე სოფ. წითურეთშიაც აღაგეს. ყაჩალებს იჭერდნენ, აქ ამ ციხეებში ამწყვდევდნენ და მერე ვინც ფიცს დასდებდა და აღარ იავაზაკებდა, იმას უშვებდნენ, მას თათრობაც უნდა მიელო. ვინც ამას არ შვრებოდა, იმას აქედამ აძევებდნენ და ეტყოდნენ, რომ თუ დღეის შემდეგ თავი არ დაანებე ყაჩალობას, იკოდე მოკლული იქმნებაო. ამის შიშით ბევრს ყაჩალს უწამებია ისლამი, წმინდა მუჰამედი და მის შემდეგ იგი კაი თათარი, კაი კაციც გამხდარა. ეს დრო უწევს ამ ორასი წლის წინედო.

ლივანის გამაჰმადიანება.

(ნამბობი სოფ. ნადარბაზევის მცხოვრებ მაჰმადიან მოხუც თათრის აფიც-რად ყოფილის თიკანაძის მიერ—იგივე სოფიოშვილი*).

ოსმალებმა ლივანა დაიკირეს, ლივანა არ ემორჩილებოდაო, ამისათვის ლივანელებმა უბრალოდ ბევრი სისხლი დალვარეს. ლივანში ოსმალთა კაცები გამოგზავნეს და მორჩილება ითხოვეს. ლივანელთ უარი შეუთვალეს, მათ შეკრეს ჩხალის ხეობა, გაამაგრეს ამ ხეობაში მდებარე თამარ მეფის ციხე, გაამაგრეს მაქრიალის გზები და მოემზადნენ ოსმალთა საჩხუბრად; გაიმართა ჩხუბი, ორსავ მხარეს ბევრი ხალხი გაწყდა, ჩვენები სჯოპიდნენ ოსმალთ, ჩვენის მხრიდგან ქალებიც ომობდნენ

*) ჩვენი ძველებიც ასე იტყოდნენ, რომ ძველთაგან ასეა ნათქვამი „თიკანაძეების ამბავიო, ნამდვილი ჩვენი ძველი გვარი კი სოფიოშვილი გახლავსთ. თიკანაძე მერე დარქმევიათ, სოფიოს შვილი კი ძველის ძველია.



თურმე. ბოლოს საქმე მაინც გაჭირდა ღვთის ძალით დალიდან დაიგდა. ნელნი იძლივნენ, ოსმალთ გაიმარჯვეს, ლივანი აიღეს, მალე ხარჯიც დაადვეს ლივანელებს. ხალხი არ დაყაბულდა, ბევრნი საქართველოში გამოიქცნენ, უმეტესი აქ დარჩნენ. ჩვენებიც აქ დარჩენილან.

ქართველ მეფების დროს ჩვენები აზნაურები ყოფილან. თამარ მეფის დროს მიუღიათ მათ აზნაურობა, თიკანაძეც მაშინ დარქმევიათ გვარად, რადგანაც თამარ მეფის თიკნების შემნახველთ უფროსი ყოფილა ჩვენი ძველი.

პირველ ხანებშივე ოსმალნი კარგად მოექცნენ ხალხს, ხარჯს გარდა გამაპმადიანება არავის უთხრეს, იმაზედ ძალას არ ატანდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ კი დაატანეს ძალა, მაგრამ ვერაფერი ჰქმნეს. ამბობენ, რომ ერთს დღეს მარადიდში ოთხას კაცს მოსპრეს თავი გამაპმადიანების გულისთვისაო. მარადიდის დიდი ეკვლესიაც დააქციეს, მარადიდის ხიდიც დასწვეს, რომ ხალხი აქარაში არ გაქცეულიყო, მაშინ აქარი ჯერედ არ აქვნდათ დაჭერილი.

ჭოროხის ხიდის ამბავი მე ძლიერ გამიკვირდა, იმაზედ ვახუშტისაც არა აქვს ცნობა. მე არ დავიჯერე და გაოცებით გამოვკითხე ჭოროხზედ ხიდის ამბავი. ვკითხე:

— ნუ თუ აქ ხალხი ისეთი ძრიელი ყოფილა, რომ ჭოროხზედ, ასეთ დიდ წყალზედ, ხიდის გაკეთებაც შესძლებიათ? მომიგო მან.

— ძალა ჰქონდათ მაშა, თამარ მეფე ხომ გაგიგონია, ეს ხიდიც და სხვებიც სულ მას გაუკეთებია.

მერე ამ ხიდის აღგილი ვკითხე. მან ისეთი პასუხი მომცა.

— მე კი არ მოვსწრებივარ, ხიდი არ მინახავს ხოლო ჩვენი ბერი კაცები იტყოდნენ რომ ერთი ხიდი მარადიდს ქვეით იყოვნ. შესართავთან ახლოს. სადაც აღგილის ვიწროები ირის. იქ დღემდე სჩანს ხიდის კედლის ნიშნებიო.

მართლაც ჭოროხის ხიდის ამბავი ჩვენთვის საყურადღებო უნდა იყოს. ამის დაქცევა უნდა მომხდარიყოს XVIII საუკუნისაზევარში.



განვაგრძობ ისევ მოთხოვთ ამბავს.

— ჩვენებს ლიკანაში საქმე გაუჭირდათ, მაგრამ არც ას-
მალნი ყოფილან მოსვენებაში, ამათ უფრო გასძნელებიათ ხალ-
ხის გამაპმადიანების საქმე. ჭოროხის ნაპირას, ახლო-მახლო
მდებარე სოფლებში აღვილად გაუმაპმადიანებიათ, რომელი
სოფლებიც შეტად შორს ყოფილა, იქ ვერაფერი მოუხერხე-
ბიათ. იქიდან ხალხს დიდხანს უბრძოლია, მაგალ.: ჭოროხის
ნაპირს სოფლებს, ცოცხების მიყრუებულ აღგილებიდან და
სოფლებიდან, რომლებიც მაღალს მთებზე სძევს, ამათ დიდ-
ხანს უბრძოლიათ ოსმალთ წინააღმდეგ და ქრისტიანობით დიდ
ხანს შეუნახავთ თავი. ბოლოს ოსმალთ მოუგონიათ ასეთი კარ-
გი, ღვთის მოსაწონი საქმე. ამ შხრის მოწინავე კაცები დაუ-
ბარებიათ და გამოუცხადებიათ შემდეგი:

ვინც აქ იმეცადინებს და ხალხს გამაპმადიანებს, იმას ჩვენ
აღიობას მივცემთ და თითო ოჯახის გამაპმადიანებაში თითო
ოქროსაც ფულს ვაჩუქებთ.

მოწინავე კაცებს ეს ძლიერ გახარებიათ: ამათ დაუწყიათ
შორს, მაღალ სოფლებში სიარული და ხალხში მეცადინება,
ლაპარაკი, რომ გამაპმანდიანდით, თორებ ბოლოს საქმე წაგ-
ვიხდება, ოსმალნი მაინც გაგვამაპმადიანებენ და ძალიან დაგვ-
სჯიან კიდეცაო, მეტი გზა არ გვაქვსო. ხალხი ისმენდა ლაპა-
რაკს, ესენი მაშინვე მღვდლებს რეკავდნენ სოფლებიდგან და
ამათ მაგიერ ხოჯებს იძარებდნენ. პირველ ხანებში აქეთ თურ-
მე ხოჯები ეკულესიებში ალოცებდნენ ხალხსა და ხალხი ამი-
ტომ უფრო არ შინდებოდა მაპმადიანობის ზიღებ-შეჩვევის. მოწინავე კაცებმა ამ საქმეებისაგან დიდი ფული იშოვნეს და
ამ ხალხის ბატონობაც მათ ჩაბარდათ ოსმალებისაგან. ესენი
რომ არ ყოფილიყვნენ და ამათ რომ არ ემეცადინათ აქ ხალ-
ხის გამაპმადიანებაზედ, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა, რომ
ლიკანაში მაპმადიანობა 100 წლის შემდეგ შემოსულიყო, რად-
განაც ლივანის ზემოდ, ჭანეთს შუა ისეთი მივარდნილი და მი-
ურუებული მთებია და იქ ისეთ აღგილებშია სოფლები, სადაც
გამაპმადიანების შემდეგ ოსმალებს ფეხიც აღარ შეუდგამთ



დღევანდლამდის. ოსმალნი აქ ადგილად ვერაფერს გაუწყობს დნენ. მაგრამ ღმერთის დახმარებით მათ ყველაფერი მოახერხეს. ეს ადგილებიც დაიჭირეს და ხალხსაც მიაღებინეს წმინდა მუსულმანობა — თათრობა. თუმცა ლივანში ერთხნობით ძლიერ გასძნელებიათ ხოჯა-მოლებს ხალხის გამაპმადიანება, გასძნელებიათ მით უფრო, რადგანაც დღეში ხუთჯერ ლოცვას ვერ შეუჩვევიათ ხალხი, გარდა ამისა ფეხის ბანას ხომ უფრო გაუჭირებია საქმე. ერთ დღეს ხალხს ხოჯისთვის უკვამსთ.

— ხოჯა, ეს რაფერ იქნება, რომ დღეში ხუთჯერ ვილოცოთ და მასთანცევე ზამთარში ფეხები ცივი წყლით ვიბანოთო.

— რა ვქნათ, ძმაო, ჩვენი სჯული ასეთი წმიდა არის, სუფთა, თქვენ რომ ქრისტიანები იყავით, მიტომაც არ გქონდათ ესენი და მურდლები იყავით.

— ეგ კი, მაგრამ, მაინც გვიძნელდება წალების გახდა და სიცივეში დაბანვა.

— არა უშავს რა, წალებს ნუ გაიხდით, ის მაინც მოახერხეთ, რომ ხელები წყლით დაისველოთ და სველი ხელი წალებზედ სამჯერ გარედან წაისვათ, ვითომც წალები გაგიხდიათ და დაგიბანიათ, მაპმადი ამას არ იწყენს, რადგანაც თქვენ ჯერ ახალი თათრები ხართ.

ასეთის დარიგებით შეაჩვიეს მოლა-ხოჯებმა ახალი ქართველ თათრები ფეხის ბანასაო...

ქართველთ ბარე არ უნდოდათ შეჩვევა და ამის წინააღმდეგ დიდათაც იბრძოდნენ, მაგრამ ვინ იყო მშველელი, არავინ. მათის სიბრიუვით ცველგან სისხლი იღვროდა უბრალოდთათრობა კი ამის წინააღმდეგი იყო.

(ს. აგარის მაპმადიანთ უხეირ აღა დევრიშოლლი დევაძეების გვარში დარჩენილი).

ოსმალნი ლაზისტანში შემოვიდნენ და მთლად დაიჭირეს იქაურობა, მაქრიალის ციხეში ფეხი გაიმაგრეს; იქიდამ აქარ-

ლებზედ / მოინდომეს გამოლაშქრება და გამაპმადიანება აკარე /
 ლებმა ეს ამბები შეიტყეს და ძლიერ შეშინდნენ. ამათ მართველი
 ვე თავიანთი დიდი კაცები შეკრიბეს და ლაპარაკი დაიწყეს,
 თუ საქმეს რა ვუყოთ, რა გვარ მოვაგვაროთო. დიდკაცებმა
 უთხრეს, რომ ჩვენ ძალი არა გვაქვს, ტყუილად წავიხდენთ
 თავს, იგინი ბოლოს მაინც დაგვიჭერენ, ამიტომ უმჯობესი
 იქნება, რომ ჩვენ წავიდეთ იქა და მაპმადიანობა გამოუცხა-
 დოთ, ვთხოვოთ, რომ ჩვენზე ომსა და განადგურებას თავი
 გაანებონ. ხალხის უმეტესი ნაწილი უარზე დადგა: ჩვენ მათ
 ვერ ჩავბარდებით, ჩადგანაც მაგენი მურდლები არიანო და
 გინდ რომ ჩავბარდეთ, სჯულს მაინც არ გამოვიცვლითო. ჩავ
 ბარდებით, ხარჯს მივცემთ და სჯულთან რა საქმე, რა ხელი
 აქვთო. ასეთი პირობა გავგზავნოთ, რომ ჩვენ თქვენი დიდი
 ერთგულები ვიქნებით, ხარჯს გადავიხდით, რასაც გვიბრძანებთ,
 ყველაფერს აგისრულებთო.

ამ გარდაწყვეტილების წალება იქ ვერავინ ვერ გაბედა,
 ოსმალნი პასუხს უცდიდნენ. ბოლოს ორმა მღვდელმა წაილო
 ეს ამბავი და მივიდნენ მაქრიალში. იქ ამათი ამბავი მოისმინეს
 ოსმალთ და პასუხად მოსცეს, რომ არ შეიძლებაო. ოსმალთ
 ხელში ყველა მუსლიმანი უნდა იყოს, გიაური არ შეიძლე-
 ბაო. ეს ამბები იქიდებან მღვდლებმა-კი არ მოიტანეს, არამედ
 ოსმალის კაცებმა. მღვდლებს მაშინათვე თავები დასჭრეს. ამის
 შემდეგ კიდევ წავიდნენ მოსალაპარაკებლად მღვდლები, მაგ-
 რამ იქ ნებას არ აძლევდნენ, იქერდნენ ამათ და აპატიმრებ-
 დნენ. მერე ეს მღვდლებიც თათრდებოდნენ სიხარულით.

იმ დროებში, მაქრიალში, ოსმალთ სულთან სელიმი მო-
 უვიდათ. სულთან სელიმის ამბავი ჩვენმა დიდ კაცებმა რომ
 შეიტყეს, ძლიერ გაეხარდათ. მაშინათვე ამათ ექ ხალხი
 შეკრიბეს და დაიწყეს ლაპარაკი, რომ ჩვენ სულთან სელიმს
 დავმორჩილდეთ, ფიცი მივცეთ ერთგულებაზედ რომ გავმაპმა-
 დიანდებით და ის ამის გამო ჩვენ გაგვანთავისუფლებს. ჩვენ
 აქ დაგვტოვებს და თვით წავა ოსმალეთში და ჯარსაც თან
 წაიყვანს. მერე როგორც გვინდა ისე მოვიქცეთო.



ამ რჩევით უპირველესი პირი თავადი აბაშიძე იყო საქართველოს მელიც ინერთიდგან იყო გადმოსახლებული, აქა საქოვრობდა, იგი ლიდი თავადი იყო. ეს წავიდა სულთან სელიმთან; ამას რამდენიმე სხვა კაცებიც გაჰყვნენ. აბაშიძე მივიდა, სულთანს თავი დაუკრა და უთხრა:

— მე ვარ თავადი აბაშიძე, მე მსურს თქვენი სჯული მივიღო და ჩემთან მთლად აქარის ხალხმაცაო.

ძალიან კარგიო, მიუგო სულთანში.

აბაშიძე იქვე გამაპმადიანდა, ამას მისცეს ბეგიობა, ანუ სანჯახ ბეგობა და ჩაბარეს მთელი აქარი, კახაბერი და ბათუმი. იმ დღიდგან აბაშიძეები გაძლიერდნენ აქ და დაიწყეს ბატონობა მაქრიალიდან აბაშიძე მობრუნდა, თან მოიყვანა ხოჯები, სოფლებში დააყენა და ხალხს უთხრა შემდეგი:

სულთანმა თქვენი თხოვნა შეისმინა და რაკი მაპმადიანობას მიიღებთ, მერე ფიქრი ნუ გაქვთ, იგინი აქედგან წავლენ და თქვენ დაგროვებთ თავისუფლადათ.

ხალხს ძლიერ გაეხარდა, სთქვეს: გავმაპმანდიანდებით და მათ წასვლის შემდეგ ჩუმი ქრისტიანებიც ვიქმნებითო. ამათ მალე ხოჯები და მოლები მოუვიდნენ და ზოგიერთ სოფლებში გამაპმადიანდენ. პირველ ხანებში ესენი ჩუმად ქრისტიანობდნენ. ეგონათ მაპმადიანობა ცუდი იყო, მაგრამ რომ ნახეს მაპმადიანობა უფრო წმინდა ყოფილა ქრისტიანობაზე, ამათ ჩუმათ ქრისტიანობას თავი გაანებეს, ნამდვილ მაპმადიანებად გახდნენ. მღვდლებს გამოუცხადეს, წალით ჩვენგან, თქვენ ჩვენი ოლარა ხართ დღეს, ჩვენი ხოჯები, იმამი და მოლები არიანო.

მღვდლებმა იწყინეს, მათ უთხრეს:

აი, თქვე მურდღებო, თქვე ურჯულოებო, სჯულიდამ გასულებო, სჯული გაყიდეთ, ქრისტიანობა თათრის სჯულზე გასცვალეთ; შეგირცხვეთ კაცობა! სანჯახბეგს ამაზე ჯავრი მოუვიდა იმან შეაკრებინა რაც მღვდლები იყვნენ, ბაწარში გაუბა ყველას თავები, ერთი მეორეს მიაბა და მერე ყველა ესენი გურიაში გარეკა.



სანჯახ-ბეგებმა ბევრი კარგი საქმე ჰქნას; ვინც მაჰმადიშვილი ნობღენ, იმას ესენი დახმარებას და ილულს აძლევდნენ, აღ-გოლებს და სხვა საჩუქრებს. ვინც არ მაჰმადიანდებოდა, იმას ჯერ მოლა-ხოჯებს მიუჩენდნენ და მაჰმადიანობას ურჩევდნენ, რომ ამასაც მიეღო მაჰმადიანობა, ვინც არ შეისმენდა, იმას ან დაბამდა, ან გურჯისტანში გაგზავნიდა აქ კი არ დასტო-ვებდა.

ეს ქვეყანა ასე ძალით გამაჰმადიანებული და ამას ძალით თუ გააქრისტიანებენ, თორემ ნებით არაფერი იქნება; ძალით კი გააქრისტიანებას და გაუსჯელობას დიდი ზარალი მოჰყვება. მაშინ ვინც მალე გამაჰმადიანდნენ, ისინი ყველანი კაი კაცები იყვნენ, კაი ალიები, სულ ბეგები გახდნენ.

შენიშვნა.

სულთან სელიმის და აბაშიძეების ისლამთან დაკავშირების გამო.

ამ გარდმოცემის შესახებ უნდა მოვიყვანოთ შემდეგი: სულთნები სელიმის სახელით ბევრნი იყვნენ, პირველ სელიმ სულთანი სკხოვრობდა XVI საუკ. ეს იყო ძე ბაიეზით სულთნისა, სელიმი გამეფდა კონსტანტინეპოლის 1511 წ. მეორე და სხვანი ამ სახელის მექონი შემდეგ იყვნენ. ჩვენი შეფეხის დროს, უკანასკნელი სელიმ სულთანი 1780—1800 წლებში სკხოვრებდა. ამ სულთანმა მეფე გიორგის ახალციხის სელიმ ფაშა მოციქულად გაწოუგზავნა და აუწყა შემდეგი:

შენ ოღონდ გურჯისტანს რუსეთს ნუ უერთებ და მე პი-რობას გაძლევ, რომ დღეის შემდეგ თქვენს ქვეყანაში არც ჩვენ და არც სპარსელები აღარ შემოვიდნენ. ამას გარდა ჩვენგან წართმეულ ქვეყნებსაც დაგიბრუნებთო. არცარავინ ტყვის ყიდვით და სჯულის გამოცვლით დაატანს ძალას თქვენ ხალხსაო. მეფე გიორგიმ ესეთი წინადადება მოტყუილებათ მი-



იღო. ჩვენ ასე ბევრჯელ მოგვატყუილეს და ამიტომ არ შეუძლია
მათი წინადაღებაო.

რაც შეეხება ხალხის ცნობას, თუ კახაბერსა და აჭარაში
აბაშიძეები როდის უნდა მოსულიყვნენ იმერეთიდამ, ან რო-
მელ სულთან სელიმს გახლნენ ესენი და როდის მიიღეს მას-
თან ისლამი, ჩვენ არც ეს ვიცით კარგად და არც ისტორიუ-
ლის წიგნებიდამ სხანს. ვახუშტის მიერ დაწერილ „იმერეთის“
ისტორიაში ის კი არის მოხსენებული, რომ იმერეთიდამ რამ-
დენიმე წევრნი აბაშიძის გვარისანი იმერეთიდამ აჭარაში გადა-
სახლებულ იქმნენ XVII საუკ. ნახევარს ჩვენ ვიფიქრებთ, რომ
აწინდელ ქართველ მაჰმადიანთ აბაშიძეების გვარის წევრნიც
მომდევარნი უნდა გახლდნენ ზემოხსენებულ თავად აბაშიძე-
ების ხოლო რაც შეეხება ამათ ისლამთან დაკავშირებას, ესეც
უსათუოდ XVII საუკ. ბოლოს მოხდებოდა, რადგანაც თავ-
დებირიძენი ქობულეთში და აბაშიძეები კახაბერ აჭარისაკენ
გამაჰმადიანებულნი 1693 წ. უკვე სხანან და მოხსენებულნიც
არიან ისტორიულად.

ამიტომ ქართველ მაჰმადიანების გარდმოცემა, რომ აბა-
შიძეები გახლნენ სულთან სელიმს და სამუსულმანო საქმეები
გააკეთესო, ეს ამბები მათის ფიქრით ერთობ ხელო დროს შე-
ეხება და აბაშიძეების ისლამთან დაკავშირებაც მათის ფიქრით
ამ დროს უნდა მომხდარიყოს, მაგრამ არა ხალხის გარდმოცე-
მა დროს განსაზღვრაში სცდება, ცნობები კი შეიძლება მარ-
თალია, რომ აბაშიძეებიც სულთან სულიმის დროს დაუკავ-
შირდნენ ისლამს, ხოლო იგი XVIII საუკუნის ბოლოს კი არ
უნდა ყოფილიყოს, არამედ XVII საუკუნის მესამე ნახევარს
დროს, როცა ათაბეგების წინაშე უკვე ქართველთ თავადებმა
ისლამი იწამეს, ამ თავადების რიცხვში იყვნენ ხიმშიაშვილები,
ერისთავები, ფალავანდისშვილები, ავალიშვილები, დიასამიძე-
ნი, შარუამიძენი, თავდებირიძენი, ბერანიძენი, ნაკაშიძეები და
ამათთან ერთად აბაშიძენიც და სხვანიც. ჩვენ ასე ვფიქრობთ
და ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ აბაშიძეებმა არამც თუ



მუსულმანობა, არამედ სანჯაყ ბეგობაც 1780 წლებზედაც მიმდინარე რად წინად მიიღეს. აბაშიძეების გვარის ამბების შესახებ ხალხის გარდმოცემა მხოლოდ დროს განსაზღვრაში სცდება.

ეფფრატის და იმერხევის გამაპმადიანება, თამარ მეფე და ეფფრატის ტაძარი.

ეს ამბები დარჩენილია სოფ. ევფრატელ უკანასკნების გვარში.

თამარ მეფე შავშეთიდამ კარჩხალის მთაზე გადმობრძანდა, ევფრატელებმა და მაჭახელელებმა თამარ მეფეს მაჭახელში მობრძანება სთხოვეს. თამარ მეფემ შეისმინა ეს თხოვნა და ბრძანა:

— რამდენსამე ხანს აქ მთაზე დავრჩებით და მერე დაბრუნების დროს, მაჭახელში გიახლებით.

ერს ძლიერ ესიამოვნა მეფის ბრძანება. მეფის ბრძანებით კარჩხალის მთის წვერზე მდებარე ერთ ვაკე ალაგს დაარქვეს „თავკალო“. ამავ თავკალოზე მისივე ბრძანებით აღაგეს დუქნები და გააჩინეს ტბა. თვით თამარ მეფისთვის გაკეთეს მშვენიერი კოშკი, რომელსაც გარს სულ ირმის რქები ეკრა. სამეფო საქმეების გაკეთების შემდეგ თამარ მეფე სტუმრებს მიიღებდა ხოლმე. სტუმრები სამეფო ტანთ-საცმელით უნდა გამოსცხადებოდნენ. სოფ. ევფრატში გაკეთებული იყო ერთი დიდი სასახლე, სადაც აუარებელი ტანთ საცმელი ეწყო. აქ მოვიდნენ თამარ მეფის მნახველნი, თავიანთს ტანთ-საცმელს გაიხდიდნენ, სამეფო ტანთ-საცმელ ჩაიცვამდნენ და თავში შველა წავიდოდნენ კარჩხალის მთაზედ თამარ მეფის სანახავადნახვის შემდეგ ესენი დაბრუნდებოდნენ ევფრატს, სამეფო ტანთ-საცმელს გამოიცვლიდნენ, ისევ თავიანთსას ჩაიცვამდნენ. მალე თამარის ბრძანებით კარჩხალიდან ევფრატამდის საურმე გზა გააკეთეს. კარჩხალიდან ხალხი ურმით ჩამოდიოდა ევფრატს.

ერთს საღამოს ეამს, როცა თამარ მეფე თავის კოშკში

ბრძანდებოდა და აქეთ-იქით იმზირებოდა, ევფრატის შემდეგ სიის გვერდით შენიშნა ერთი მეტად საუცხოვო ბრწყინვალე ცეცხლის შუქი- თამარ მეფემ ამიტომ კარჩხალიდან მაღვე ისურ-ვა ევფრატში ჩამოსვლა და ნახვა იმ ეკკლესიისა, საღაც მან შუქ მფინარე ცეცხლი დაინახა. საქმე აღარ დაახანა, მაღვე ჩა-მოვიდა ევფრატში და ნახა ის აღვილი და ეკკლესია, საიდა-ნაც მან ცეცხლი დაინახა. ევფრატის კარგი ეკკლესია მაინც-და-მაინც დიდად არ მოეწონა და ბრძანა:

— მე ჩემის ხარჯით ერთი კარგი ეკკლესია ხერთვისში უნდა ავაშენო სამახსოვროდ ჩემის აქ მოსვლისა და კარჩხალის მთაზედ ყოფნისა.

რამდენიმე დღის შემდეგ ხერთვისში ეკკლესიის კეთება დაიწყეს. დღისით ხელოსნები და მუშები მუშაობდნენ, საღა-მოთი იარაღს ეკკლესიის შენობასთან აწყობდნენ და თითონ ისვენებდნენ; დღილა რომ გათენდებოდა, ხელოსნები მოვიდო-დნენ ეკკლესიასთან სამუშაოთ, მაგრამ თავიანთ იარაღს აქ ვეღარ ნახავლნენ, არამედ 8 ვერსის მოშორებით, სოფ. ევ-ფრატის ეკკლესიის გვერდით ნახავდნენ იარაღს დაწყობილს, რამდენჯერმე მოხდა ასეთი მაგალითი და ხელოსნები ერთობ გაკვირვებულნი იყვნენ ასეთის საკვირველ-მოქმედებით. ესენი წავიდნენ და თამარ მეფეს მოახსენეს ყოველისფერი დაწვრი-ლებით. თამარ მეფე დაფიქრდა და ბრძანა შემდეგი:

— მაშ დაანებეთ თავი ხერთვისში ეკკლესიის კეთებას, დარჩეს ისევ ისე ევფრატის ეკკლესია ამ ხეობის მცხოვრებ ქართველთა დედა ეკკლესიათ. თუმცა ეს ეკკლესია ღარიბათ არის ნაშენი, მაგრამ მე გავამდიდრებ, მე შევმოსავ მას ყოვე-ლის სამკაულებით.

ხელოსნები თავთავიანთკენ წავიდნენ. მესამე დღეს თამა-რი ჩამობრძანდა ევფრატში, ეკკლესია შემოსა ძვირფას განძე-ულებით, სასულიერო წოდებას გადაახდევინა პარაკლისი და შემდეგ ამისა მაჭახლის გზით დაბრუნდა ლივანას. მაშინ მოელს მაჭახელში საურმე გზა ყოფილა გაკეთებული. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ეკკლესია შეაკეთეს და ის კედელიც შეამკეს ძვირ-



ფასი ფარჩა მარგალიტებით, რომლის კედლის თავზედაც აუკავშირობები მარ მეფემ მეტათ სხივოსანი კვამლი დაინახა. გაკეთების შემდეგ წყელვა-კრულვა დაუდვიათ, რომ არამცა და არამც ეს ეკალესია არავინ დააჭიროს, თუ თავისით დაიქცეს ოდესე, ეცადნენ, რომ მაშინ ეს კედელი მაინც დარჩეს საშვილიშვილოთაო.

ამავე დროს თამარ მეფეს გაუკეთებია ხერთვისის ორი ხიდი, სოფ. ჩხუტუნეთის ახლოს და ერთი დიდი კოშკი სოფ. აჭარ-აღმართას ზემოდ, მაჭახლის წყლის პირას, რომლის კინის კედლები დღევანდლამდე სდგას. მაჭახლის პირიდან მტერი რომ შემოსულიყო, ის მხოლოდ ამ ციხემდის მოაღწევდა და ამას აქეთ ფეხს ვერ შემოსდგამდა, რადგანაც გზაში კარები დაკეტილი დახვდებოდა.

თამარ მეფის შემდეგ გავიდა რამდენიმე ხანი და ოსმალთა საქართველო აიღეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ქართველთ გამაპმადიანება დაუწყეს. უკანასკნელ გაამაპმადიანეს აჭარელნიც და გაუმაპმადიანებელი დარჩა მაჭახელი და იმერჩევი. უკანასკნელ ოსმალებმა აჭაც მოჰკიდეს ხელი და დაუწყეს მაჭახლელთა და იმერხეველებს გამაპმადიანება, იმერხევის ხალხი და შავწეთი აღრე გათათრებულან, მაჭახელს კი ბევრი უბრძოლია და უჩხუბნია, მთელი მაჭახელი გაწყვეტილა ბრძოლაში. ბოლოს ესენიც გაუთათრებიათ და გათათრების შემდეგ აქ განწესებულან ხოჯა-მოლები და ჯამები გაუკეთებიათ. ეკალესიების ქუვა-ნგრევაც შემოულიათ. ახალ გამაპმადიანებულთ დიდად დაუვედრებიათ ოსმალთათვის, რომ ევფრატის, ეკალესიას ნუ დააჭუვო, მაგ ეკალესის შესახებ ჩვენის ძევლებისიგან წყელა-კრულვა არის დატოვებული, თუ ვინმე მას დააჭუვას. ოსმალთ თხოვნა შეუსმენიათ, ევფრატის ეკალესია არ დაუქცევიათ, მხოლოდ ეკალესის კარები დაუკეტიათ. თუმცა ხალხი გამაპმადიანებულა, მაგრამ პირველ ხანებში დღესასწაულ დღეებს ხალხი ამ ეკალესიას არ ივიწყებდა, მიღიოდნენ და შიგ სანთლებს ანთებდნენ და ლოცულობდნენ. ნამეტურ ლოცულობდნენ მოხუცებულნი. ეს ამბები აქაურ ახალ მოლა-



ხოჯებს სტამბოლს გთავრობისათვის უცნობებიათ. იქნადგანა
ბრძანება მოსულა, რომ ეგ ეკკლესიაც დააქციეთ და ხალხ-
საც გამოუცხადეთ, რომ იქ ფეხი სალოცავად არავინ შედგასო.
მაღვე ხალხი შეკრიბეს და გამოუცხადეს. ხალხმა მიუგო:

— ჩვენის ძველებისაგან ანდერძად გვაქვს დატოვებული,
რომ ეს ეკკლესია არავინ უნდა დააქციოს, ვიდრე თავისით
არ დაიქცივა.

— არ შეიძლება, რაც გებრძანათ უნდა აღასრულოთ, ეპ-
ფრატის ეკკლესია უნდა დავაქციოთ. უბრძანეს ოსმალთ.

— ვინც მას წერაქვს და ბარს დაჰკრავს, იმას მაშინათვე
ხელები მოსწყდება და გაქვავდება. კარჩხალი და „პაწა-მთა“
იწივლებს, იქ ქართველი მდევრები მარხიან, თამარ მეფის საფ-
ლავიც „თავ კალოზეა“, ისინი აღდგებიან და ჩიმოვლენ ჩვენ
შესარცხვენად, ჩვენ გავქვავდებით. ოსმალთა მაინც არ ქმნეს
და ძალას ატანდნენ, რომ ეს ეკკლესია თვით ქართველთა ხე-
ლით დაქცეულიყო და მით დარწმუნებულიყვნენ ესენი, რომ
მის დაქცევით არაფერი შოხდება. ხალხს დიდი ძალა დაატა-
ნეს. ბევრნი ახლად გამაპმადიანებულნი მოხუცნი ქალნი და
კაცნი მწარედ სტიროდნენ და ქვითინებდნენ ხმა-მაღლა ჰყვი-
როდნენ:

— ევფრატს აქცევენ, ლმერთო, ევფრატს აქცევენ, ლმერ-
თო! მაშინ ამ ეკკლესიას ევფრატს უწოდებდნენ და არა ეკ-
კლესიას.

ამის დაქცევის გულისათვის დიდი ძალი ხალხი გაწყდა.
ბევრმა თავი მოიკერა, რომ მე არ მხვდეს ევფრატის დაქცევაო.
უკანასკნელ რომ ვეღარ მოაგვარეს რა, ოსმალთ ასე განუც-
ხადეს თანხმობაო.

— ჩვენ, თქვენი ერთგულნი ვართ და მუჰამედისა. ჩვენ,
როგორც ერთგულნი მოგახსენებთ და გთხოვთ, რომ ამ ეკ-
კლესიას ჩვენ დავაქცევთ, შევასრულებთ ბრძანებას, მხოლოდ
ნება მოგვეცით, რომ მარჯვენა კედლის ტკირე რამ კედელი
არ დავაქციოთ, სადაც ჩვენს მამებს გამჩენელ ლმერთის საკვირ-
ველება უნახავთ.



ოსმალთ ნება მიუკიათ და ქართველთ დაუკცევიათ ფრანგული და იტალიული დაუკცევებიათ ის კედელი, სადაც თამარ მეფეს ნათლის შექი დაუნახავთ, ეს კედელი დღევანდლამდის დგას დაურღვეული. შემდეგ დროებში ამ კედლის დაქცევაც განუზრახავთ, რადგანაც ამ კედლის გვერდით შეიცრებოლნენ ხოლმე მოხუცებულნი და ხან ტიროლენენ ცრემლებით და ხან ლოცულობდნენო. ახალგაზდა ქართველ თათრებმა კი არაფერი იცოდნენ მისი და ყოველთვის გაკვირვებით უმჩერდნენ თავიანთ დედ-მამის ტირილსაო. ამ 30—40 წლების წინად აქ ყოფილან ისეთი მოხუცებულნი. რომელთაც კარგად ხსომებიათ ეს ამბავი. ამ 30 წლის წინად, გარდაიცვალა ევფრატისაკენ ჭიჭინოლლის (ჭიჭინაძე) მოხუცი დედა, რომელსაც კარგად ხსომებია ეს ამბები და თვითაც ხშირად ულოცნია ხოლმე ამ კედლის გვერდით.

ევფრატის დაქცევის დროს ქართველ მაპმადიანების თავიანთის შვილებისთვის წყევლა კრულვა დაუდვიათ, რომ ამ ეკკლესიის ქვები არავინ გაზიდოს აქედანაო და სახლების საკეთებლად არ იხმარონ. შთამომავლობას მტკიცედ შეუნახავს ძველების სიტყვა და იქიდგან არავის რა წიულია. დაქცეულის ეკკლესიის კედლის ქვები იქვე არის, ზოგიერთ ბელტოებს სამი-ოთხი საუენი სიგრძე-სიგანე აქვთ, ამ ეკკლესიის სამრეკლოსთვის ხელი არ უხლიათ. სამრეკლო აღმოსავლეთის კარის წინ ყოფილა და ქვეშ გასავლელი იყოვა. სამრეკლო დაუკცევიათ უკანასკნელ ომის დროს, ასე 1877 წ., რაღაც აქ ქართველები მოვლენ და ამის ძალით ჩვენც გაგვაქართველებენო. უწყიან, რომ მაშინ რამდენიმე კაცმა გაბედა აქედან ქვების წალებაო. ერთი კაცი ივად გახდა და მოკვდა, მისმა შვილებმა თავიანთ სახლიდან გამოიღეს აქედან წალებული ქვები და ისევ უკან მოიტანესო, გარდა ამისა ცხვარი დაუკლეს და ხალხს დაურიგესო.

ამ ეკკლესიის რამდენიმე ქვა ამ სოფლის მამასახლის ტყიბორიძეს წაულია და თავისის სახლის კედლების შენების დროს შიგ ჩაუტანებია. ერთ ქვას ქართული ნაწერები ჰქონია. ეს

კაცი დღესაც ცოცხალია და ამბობს, რომ ზოგიერთი გვევის მიენიჭა
რომლებსაც ნაწერები აქვს, აქვე ეკკლესიის გვერდით ყრიან,
მხოლოდ ერთობ ძირს არის მოქცეულნი, ასე რომ მათ ზე-
მოდ 2—3 საეკენი ქვები და კედლის ლოდები ჰყრიათ. 1880
წელსაც განუძრახავთ აქაურებს ქვების გაზიდვა, მაგრამ შიშის
გამო ვერ გაუზიდნიათ.

ევფრატის ეკკლესია ტფილისის ანჩხატის ეკკლესიის
გეგმით ყოფილა გაკეთებული, 5 საეკენი სიგანე ჰქონია და 7—
8 საეკენი სიგძე. ეს ცხადად სჩანს დღევანდლამდე დაშორებილ
საძირკველის კედლებიდამ. აქვე უწყიან, რომ ძველად იტყოდ-
ნენ ხოლმე: ამ ეკკლესიის ნივთები და ფული აქვე ეკკლესიის
ქვეშ, მიწაში მარხიათ; ყველა ესენი გათათრების დროს ჩვენს
ძველებს მიწაში დაუმარხავთ, რადგანაც შინებიათ, რომ ოს
მალებმა არ მოგვტაცონო. ეკკლესიის გვერდით ძლიერ ბევრი
სახლები ყოფილა ძველად, ამ სახლების კედლები დღევანდ-
ლამდე სჩანს. უკანასკნელ ომის დროს აქ ყოფილა 80 კომ-
ლი ქართველ მაპმადიანებისა, ომის შემდეგ იმათგან 72 კომ-
ლი ოსმალეთში გადასახლებულა და აქ დარჩენილა მხოლოდ
8 კომლი. დღეს ეს რვა კომლი 14 კომლია.

კარჩხალის მთის ქედ ქედ არის ერთი დიდი მთა, რომელ-
საც ნინო-წმიდა ეწოდება. ძველად აქედ საცალა ეკკლესია თუ
მონასტერი ყოფილა; რომელსაც სახელიად ნინო-წმიდა რქმე-
ვია. პირველ გათათრების დროს ეს ეკკლესიაც მოლად დაუ-
ქცევიათ. არსად ერთი ქვაც აღარ დარჩენილა. დღეს ამ მთას
ქართველ მაპმადიანები „ინ წმინდის მთას“ უწოდებენ და იმა-
საც უწყიან, რომ ძველად იქ ეკკლესია იყო და ხალხი სკხო-
ვრებდათ. გამაპმადიანების დროს ხალხი დაუხოციათ და ვინც
დარჩენილა, ისინიც აქეთ-იქით სოფლებში გაქცეულან. ფიქრი
არ უნდა, რომ ეს სწორედ ასეც იქმნებოდა. ხალხის გარდ-
მოცემით თამარ მეფეს თუ კარჩხალის მთაზე ცხოვრება დიდად
უყვარდა, მაშასადამე იგი ამ საყვარელ უმშვენიერეს მთებზე
რომელიმე ქართველთ წმიდანის სახელზედ ეკკლესიას აღაგებ-
და და მით შეამკობდა. სჩანს, რომ თამარ მეფეს თუ სხვა ვინ-



მე ქართველთ მეფეს აქ ნინო-წმიდის ეკკლესია ან მონასტერი რიც უნდა აღეშენებინოს. ნინო-წმიდის მთიდამ ერთი გზა კარჩხალის მთით შავშეთში გადადის და მეორე ლივანას.

დღეს, ამ ადგილებში, აღარავინ სცხოვრებს. მთლად ცა-რიელია ხალხით. ამბობენ, რომ ამ უდაბურს ადგილებსა და ტყეებში ერთი ვეფხვიც სცხოვრებსო. ვგონებთ არზრუმის გზიდამ უნდა იყოს შეცდომით შემოპარულიო. ამიტომ ჩვენც შიშით ვმგზავრობდით.

სხალტის ხეობის გამაპმადიანება.

(ნაამბობი სხალტას უსუფ ყარა მამედ ოლლი ბოლქვაძისაგან—ბორჩხელისა).

ამ ხეობაზედ ქართველებს დიდი ხანი შეუნახავთ თავი, მაგრამ ბოლოს მაინც ბრძოლა მოპეზრებიათ და გამაპმადიანებულან. რამდენიმე სოფელს კი საიდუმლოდ დიდხანს გაუმაგრებია თავი; გასულა რამდენიმე ხანი, ოსმალებს თავიანთი ხოჯები და მოლები აქეთ ძლიერ გაუმრავლებიათ. თითო სოფელში ორ-ორი ხოჯა და მოლა დაუყენებიათ, ქრისტიანობით დარჩენილ ხალხს ესენი ასწავლიდნენ მუსლიმანობის სიწმიდეს და ისმენდნენ, რომ ვინც მუსლიმანობას მიიღებს, ის ცხონდება, იმას სამოთხის კარებზედ არაფერს მოპკითხავენ, მას ყველა ცოდვებს მიტომ აპატივებენ, რაღანაც მან დაივიწყა კერპებზედ ლოცვა და მიიღო წმინდა სჯული. სჯული ღვთისაგან მოცემული, რომელიც ერთად-ერთს ღმერთსა და მუჰამედს სცნობსო. რამდენიმე ხნის შემდეგ ზოგი დარიგებით და ზოგიც ჩაგონებით, გათათრდნენ ქართველები. პირველ ხანებში მღვდლებს სოხოვეს, რომ თქვენც მიიღეთ მუჰამედის სჯული, ჩვენ გასწავლით ლოცვებს და მერე ხოჯობას მოგცემთო. მაგრამ მღვდლებმა უარი განაცხადეს და ზოგმა-კი მიიღო მუჰამედის სჯული.



ამ სოფლებში დარჩა გაუმაპმადიანელები მხოლოდ კრისტენთა
ყინჩაური, რომელი სოფელიც სხალტის ხეობაზედ მდებარე-
ობს. ყინჩაურელებმა დიღხანს იმაგრეს თავი, ამისი მიზეზი იყო
სოფ. ყინჩაურის მღვდელი, რომელიც მეტად მწიგნობარი ყო-
ფილია, მქადაგებელი და ქრისტიანობის მოყვარე. ეს მღვდელი
იმაგრებდა თავისს ხალხს, ეს მღვდელი წინამძღვრობდა მათ.
ეს ოსმალოს უქუმათს უებნებოდა:

— ჩვენ დაგვაყენეთ ჩვენს სჯულზედ და ჩვენ არაფერს
დაგიშავებთ, თქვენი ერთგულნი ქვეშევრდომნი ვიქნებით.

სამართალი ამას ნებას აძლევდა, რადგანაც ის მღვდელი
მეტად მოხერხებული კაცი ყოფილი, მასთან კერძი და თათ-
რების მოძულე, ეს მღვდელი ახალ გათათრებულებს თურმე
ივინებდა, ლანძავდა, სწყევლიდა, რადგანაც თვითაც არ ემო-
და თათრობის კარგი სწავლა. ამით მან ბევრი ჭკუა და
საქმე წააგო, ბევრი ზარალი შიაყენა თავის სოფლის ხალხს და
გათათრებულებსაც აღარ ასვენებდა. ეს მღვდელი თუ მღრდე-
ლი თავის სოფლის ხალხს გარდა სხვა სოფლებშიაც და-
დიოდა და ლაპარაკობდა, რომ თათრები ნუ ხდებითო. თათ-
რობას გიაურობა სჯობიაო, ჩვენ წმინდანები ვართ და თათ-
რები კი ამას მოკლებულნი არიან.

ამ მღვდელს წინედ თურმე ნება ჰქონდა მიცემული მას-
ზედ რომ თქვენი სოფლის ხალხში იცხოვრე და ილაპარაკე,
მხოლოდ თათრობაზედ ლაპარაკი კი არ გაბედოვო. ამის პი-
რობა მღვდელსაც ჰქონია მიცემული, მაგრამ პირობას გადა-
სულა, თავის სოფელში ლაპარაკის დროს თათრობაზედაც უთ-
ქვამს ხოლმე სიტყვები. ამ სოფელს გარდა სხვა სოფლებშიაც
დადიოდა თურმე და ლაპარაკობდა, რომ მუსულმანობა ასე-
თია და ისეთიო. ასეთი ლაპარაკი ყველას სძულდა; ნამეტურ
ხოჯებს და მოლებსაც, თვით ახალ გათათრებულებიც ემდუ-
რობნენ ამ მღვდელს და ეუბნებოდნენ, რომ ჩვენს თათრო-
ბაზედ სიტყვას ნუ ამბობო. ამან მაინც არ დაიშალა, მაშინ
ახალ გათათრებულებმა ლიკანის ფაშას შეატყობინეს, რომ
სოფ. ყინყაურის მღვდელი თათრობაზედ ხშირად ლაპარაკობ-



სო, ხოთ. ყინჩიაურის ხალხს გარეშე სხვა ახალ გამაპმა ჰქონდეთ
ბულს ქართველებშიც ჰქიად გეგმს ძველს სჯულსაო, ბევრი გა-
დაიყვანა მან ძველ სჯულზეო. ამის გამო დიდი შიში აწვიეს
ამ მღვდელს ხიმშიაშვილებმა. ქრისტიანიად დაშთენილებს უკა-
ნასკნელად გამოუცხადეს, რომ თქვენ სჯულზე მტკიცედ იდე-
ქით მღვდელს ნუ აჲყვებითო. მალე ამათ ხოჯა და მოლები
გაუგზავნეს, ჯამე გაუკეთეს და ლოცვის დროს ხალხს იქ და-
უწყეს შეკრება; მღვდელს ხმა არ გასცეს, ამას უთხრეს.

შენ შენს ეკკლესიაში ილოცე, ხმა არ ამოიღო, თორებ
მაშინათვე თავს მოგვრითო.

ამ დროს მღვდელი მოხუცებული ყოფილა, მას ძალაც
აღარ ჰქონია. ქადაგებისთვის თავი დაუნებებია და ეკკლესიას
კი არ გაშორებია. ეკკლესიაში დარჩენილა და თვითონ მარ-
ტოვა ლოცულობდა თურმე და ეკკლესიას ჰპატრონობდა,

რამდენიმე ხნის შემდეგ ეს მღვდელი ავად გამხდარა. ამას
იქ ახალი გამაპმადიანებული ქართველები თურმე შიშის გამო
ვერ ეკარებოდნენ, ეშინოდათ, რომ მთავრობამ არაფერი დაგვ-
წამოსო. მღვდელი ძლიერ ავად გახდა და შეწუხდა, საქმე გა-
უჭირდა. სნეულმა მიმართა ყინჩიაურის ხოჯას და სთხოვა თა-
ვისთან მისვლა. ხოჯა მივიდა. მღვდელმა უთხრა:

— რა კი ასე დაიღიუპენით ჩვენ და იქეთ ჩვენის კაცი-
სა აღარავინ არის და არც არავინ მეკარება მე, ამიტომ და-
გავალებ შენ, ჩემი სიკვდილის შემდეგ შენ მაინც მიპატრონო,
დამასაფლავე.

მღვდელი მალე გარდაიცვალა, მივიდა მასთან ხოჯა. თა-
თრულის წესით მოამზადა და ბოლოს ასწიეს და წაასვენეს
სასაფლაოზედ და ხოჯამ დაასაფლავა. ამ მღვდლის და ეკკლე-
სიის ნივთები ხალხმა დაისაკუთრა და ამათ წაიღეს ყველაფე-
რი. მალე დაქცეულ იქნა თვით ეკკლესიაც, ისე რომ დღეს
ყინჩიაურში მხოლოდ ნასაყდრევი ადგილი და ქვები-ლა სჩანს.

ლაპარაკობდნენ ძველად, რომ სხალტის ზარები და ნივ-
თები მიწაში დაფლეს, რადგანაც გამაპმადიანების დროს ესენი
იმერეთს და ქართლს ვერ წაულიათ და აქაურ ჩუმ ქრისტია-



ნებს ისინი მიწაში ჩაუმარხვთ, რომ თაორებმა არ მოსწოდებული
ნო. ძველიც ხიმშიაშვილებმა იკოზნენ ეს ადგილი, სადაც
ემარხა ეს ყველაფერი სხალტის ეკულესიისათ. ზოგნი ამბობენ,
ვითომც ხიმშიაშვილებმა იგინი ერთ დროს ამოიღესო.

სხვა-და-სხვა ეკულესიის ხაზინაც იქვე, მის ახლო-მახლო
უნდა იყოსო; ძველიც ეს ადგილები ჩვენში ბევრს ბერიკაცებს
და დედაკაცებს სცოდნიათ, მაგრამ იგინი არავის ეუბნებოდ-
ნენ ამას, რადგანაც რომ შეიტყოს ვინმემ, ის ამოიღებს და
წაილებსო. ოსმალნი მოიტაცებენ და ჩვენ კი იმედი გვაქვს,
რომ ოდესმე გურჯები მოვლენ და ყველა ესენი მათ დარ-
ჩებათ. ესენი თაორებისათვის რა საჭიროა? შემდეგ დროში,
რომ მოხუცებულთ იმედი გადაუშედათ და ქრისტიან ქართვე-
ლები აქ არ ჩნდებოდენ და ნამდვილ მაჰმადიანობა დამყარდა,
მას შემდეგ ესენიც აღარავის რას ეუბნებოდნენ და მალავდ-
ნენ, დედ-მამას თავიანთ ლვიძლი შვილების შიში კი ჰქონ-
დათ. ბერიკაცები და დედაკაცები დაიხუცნენ და იმ ადგილე-
ბის ცნობებიც მათ თან გაიყოლეს, სადაც კი მიწაში რამე
იყო დამარხულ-დაულული. სომხებს ხშირად უნახვთ ასეთი
ნივთები, გათაორებულ ქართველებისაგან იგინი ამაებს სიამოვ-
ნებით ყიდულობდნენ. ხშირად ჩვენი ქალებიც მიჰყიდდნენ
ხოლმე მათ ძველ ნივთებს სხვა-და-სხვა სავაჭრო ნივთებზედ.

სხალტის და მირატის ხევის გამაჰმადიანება.

(ხოუ. ფანჩხის მარასახლისის სულეიმან მურად-ოლლის (იგივე გელაძე)
და სხვათაგან ნამშობი).

ჩვენი ქრისტიანობის დროს, სცხოვრობდა ერთი მეფე, რომელსაც სახელად თამარ დედოფალი ერქვა. ამ მეფეს აქეთ
ცხოვრება დიდად უყვარდა. ერთხელ ამ ხეობისაკენ მოუხდა
გამოვლა და დარჩენა იმ აღაგას, სადაც დღეს სხალტის ეკ-
კლესია სდგას. აქ ყოფილი ერთი ისეთი დიდი მსხლის ხე,



რომელიც თავის ტოტებით მთელ შის მიღამოებს ჩრდილოდაც და ჰქონდა. თამარ დედოფალმა ისურვა იმ ხის ქვეშ დამე დარჩენა, გათიქბა; აქ გაათიქს ლამე. თამარ დედოფალმა ის ხე სიზმარში ნახე. მეორე დღეს ბრძანა! რომ აქ ეკლესია უნდა გავაკეთოთო. რამდენიმე ხნის შემდეგ ეკკლესიისთვის შენობის მზადება დაიწყეს, მალე იმ ცნობილ ხესაც დაუწყეს მოკურა, მაგრამ რამდენსაც მოსჭრილნენ იმ ხეს, იმდენჯერ იმას მეორე დღეს ისევ შეერთებულს, მთელს ხედავდნენ. ხალხმა ვერაფერი გააწყო და შეწუხდა ძლიერ, ბოლოს ერთმა დაარიგა ასე.

დღეს რომ ხე მოსჭრათ, მონაჭერის ძირს ცულები დაარტეთ და ისე დასტოვეთ ამაღამ და ხვალ იგი აღარ შეერთდებათ.

ხე მოსჭრეს, ცულები ისე დაურტეს, იმ ღამეს ისე დასტოვეს. მეორე დღეს მივიღნენ და ნახეს, რომ ხე მოჭრილია, აღარ შეერთებულა, ცულებიც ისევ ისე წინანდებურად დატოვებულნი იყვნენ.

მალე დაიწყეს ეკკლესიის კეთება. ეკკლესიის ერთი კარები სწორედ იქ მოაქციეს, სადაც ის დიდი ხე მდგარა. კარებში ორ აღაგას ამისი ბოძები დააყოლეს, რაზედაც უნდა შეებათ ეკკლესიის კარები, და ი სწორედ ის ხეები, რომლებიც დღეს კარებშია ჩატანებული, ეს სწორედ იმ ხისგან არის დარჩენილი.

სხალტა კიდევ აი რისთვის დარქმევია ამ ეკკლესიას: როცა ამის შენება დაუწყიათ, ეს ამბები მთელს ამ მხრის ხალხს გაუგია, ხოლო ვინც დაშორებით იყვნენ და ვერ ხედავდნენ ეკკლესიის შენებას, ისინი ისეთ პირს ჰქითხავდნენ ხოლმე, რომელთაც ეკკლესიის შენობა ენახათ:

— დიდს ეკკლესიას სად აკეთებენო? ამაზედ მნახველნი მიუგებდნენ:

— მსხალთან, დიდი მსხლის ხე რომ სდგასო. ეს ეს ყველას სცოდნია მაშინ და შემდეგ დროებში სიტყვა „მსხალთან“ მსხალტად გადაკეთდათ.



ყველაზე ოდრე ახალ გამაჰმადიანებულ ქართველების შემოსულა, ბათის სმა სხალტის, მირატის და ტბეთის ხეობაში შემოსულა, რაღვანაც აქაური ხალხი უფრო მუშა ხალხი ყოფილა, იმ დროს ყველას ჰქონდა თავისი ენახი და მარანიო. ახალ გა- მაჰმადიანებულთ ხშირად როცა რამე კარგი ლხინი ექნებო- დათ ესენი თავიანთ ქრისტიან ნათესავებს დაპატიჟებლნენ ხოლ- მე და ამათ ღვინის მაგიერ შარბათს მიართმევდნენო; რაღვა- ნაც გამაჰმადიანებულთ ალკრძალული ჰქონდათ ღვინის კეთე- ბა და სმაო, მათ უკრძალავდნენ თვით ვაზის მოშენასაც-კიო! სხალტის და მირატის ხევის გათათრება ერთ დროს მომხდარა. გათათრების შემდეგ სხალტის საყდარიც ჯამეთ იქმნა გადაკეთე- ბული. იქ ჯამე დიდხანს გვერდდა, მეც მილოცნია შიგ.

ნაამბობი დერვიშ ბეგ ბეჭანიძე საგან.

სოფ. წაბლანის და სოფ. ფაჩხას გვერდით, ერთ მთის ძირო- ბას, სადაც ხოდაბუნის ადგილებია, ძველიც ყოფილა ეკკლე- სია. ეს ეკკლესია მაჰმადიანობის მიღების შემდეგ დაუქცევიათ და ეკკლესის ქვები აქეთ-იქით მიუყრ-მოუყრიათ, ზოგი ხალხს წაულია. ერთი ქვა ამ ხეობის წყლის ნაპირას ჩაგორებულია. დიდი ქვა ყოფილა და ზედაც ქრისტე ჯვარუმით დახატული. ამ ქვასთან დედაკაცები მივიღოდნენ ხოლმე, სარეცხს მიიტან- დნენ, აღნიშნულს ქვაზედ შესდგებოდნენ და სარეცხს წყალ- ში რეცხავდნენ და ავლებდნენ.

ერთ დღეს, ერთმა დედაკაცმა მიიტანა სარეცხი, შედგა ქვაზედ და დაიწყო რეცხა. ამ დროს ფაჩხის კლდის ერთ დიდ ლოდს დაუყვირნია იმ ქალისთვის:

— ადექი, გაათავე, წალი, თორემ მოვდივარო. ქალმა ყურადღება არ მიაქცია. კლდემ კიდევ განიმეორა სიტყვა ყვი- რილით.

— სთქვი რამე მიღიხარ თუ არა, თორემ საცაა წამოვა- ლო? ქალმა უთხრა:



— ჯანაბას შენი თავი, მე რას მიყვიტი, წამოიქცეული დაიქცეულ.

ქალმა როგორც გაათვა ყვირილი, იმ წამსვე წამოვიდა ის დიდი კლდე და დაეცა იმ ქვის, რომელზედაც ქალი იდგა და ქალი თავისი სარეცხით შიგ მოაყოლა და გაქვავდა. ეს საქმეები ალბად იმიტომ მოხდა, რადგანაც ის ქვა ეკალესისა ყოფილი და ზედ ჯვარი და წმინდანები ყოფილან დახატულნი. ალბად ღმერთი არ ჰყაბულობდა მას, რომ ჭუჭყიანის ფეხთსაცმელით და ჭუჭყიანი სარეცხის გასარეცხად დედაკაცები ზედ შესდგებოდნენ და სარეცხს რეცხავდნენ.

მაშინ ქალები ახლად გამაპმადიანებულნი იყვნენ და ესენი პირის ბადის ხურვას ჯერ მტკიცედ არ იყვნენ შეჩვეულნი, ყველაფერ საქმეებს მოურიდებლივ აკეთებდნენ. მას შემდეგ ზოგიერთ სოფლის დედაკაცებს 1850 წ, დიდი შიში ჰქონიათ ხოლმე, ესენი წყალზე სარეცხს ვერ წაიღებდნენ დასარეცხად; ყველას ახსოვდა იმ დედაკაცის ამბავი. დღეს კა ეს ამბები აღარავინ იკის, ამის გამო ანდახად დარჩენილა ხალხში: — „რას იძახის ფაჩხის კლდესაგითათ“.

ხულოს ხეობის გათათრების ამბები.

(მოხუცის ყადი ოლლი ბოლქვაძის ნაამბობი).

ხულოში დიდი მშვენიერი ეკალესია ყოფილა, მთელი ეკალესია თლილი ქვით ნაშენი. მე არ მინახავს და მამაჩემი-კი იტყოდა ხოლმე, რომ ხულოს ეკალესია ტბეთისთანა იყოვო, სხალტას სჯობდაო. ამ ეკალესის მღვდლებად ჩვენი გვარის კაცები იყვნენო, ბოლქვაძეები. ქართველებს რომ გათათრება დაუწყეს, მაშინ ჩვენ ძველებიც გაათათრეს; გათათრებულს მღვდელს ბოლქვაძეს ყადობა მისცეს და ამიტომ გვეწოდა ჩვენ ყადი ოლლი. ჩვენ თუმცა თათრებად გავხდით, მაგრამ ხულოს ეკალესიას კი პატივასცემას და პატრონობას არ ვაკ-

ლებდით, სუფთად ვინახავდით. აქარის ფაშა რომ გაძალობის მაშინ ამან დაიწყო ხულოს ეკკლესიის დაქცევაზე ფიქრი. მიზეზი არავინ არ იცოდა. ერთს დღეს ფაშამ დაიბარა ჩვენი პაპა და გამოუცხადა ასე:

— ხულოს ეკკლესია უნდა დავაქციოთ და გიცხადებ ხალ-
ხი მოაგროვო დასაქცევად.

— ოფორტ შეიძლება, ფაშავ, მისი დაქცევა. ის ჩვენის
ძველების სალოცავი იყო, სალოცავი მუსულმანის თუ ქრის-
ტიანის, ორივე ერთია და ოფორტ იქნება მისი დაქცევა?

— უეჭველად უნდა დაიქცეს, სოქვა ფაშამ.

— ჯამედ გადავაკეთოთ, ცოდვაა მისი დაქცევა მიუგო-
ყადი ოღლი ბოლქვაძემ.

— არ შეიძლება, ეგ მაგარი ქვის ეკკლესია არის, დღეს
თუ ხვალ აქ ქართველნი მოვლენ, იგინი ამ ეკკლესიაში შევ-
ლენ, აქედგან დაგვიწყებენ ბრძოლას და მოგვერევიან, ჩვენ
მაშინ მათთან ვერაფერს გავაწყობთ. საქმე წაგვიზდება. ქვის
ჯამე ჩვენთვის საჭირო არ არის, მისს ალაგას ხის ჯამე ავაგო-
თო, სოქვა ფაშამ.

— ფაშა! ხის ჯამე დალპება, ყოველთვის შიში ექნება
და ქვის ჯამეს-კი არაფერი წაუხდება. ნუ ვიქთ მას, ნუ და-
ვაქცევთ.

— არ შეიძლება, უნდა დავაქციოთ, მისი შიში გვაქვს.

რამდენსამე ხნის შემდეგ ფაშის ბრძანებას შესრულება და-
უწყეს და ეკკლესია დააქციეს. ისე დააქციეს, რომ საძირკვ-
ლისა მხოლოდ ერთი არშინი კედელი-და დასტოვეს. მაშინ
მთელი ხულო სავსე ყოფილა ეკკლესიის ქვებით; ქვების უმე-
ტესი ნაწილი ფაშას გაუზიდვინებია და იქვე ხულოში თავის-
თვის აბანო და სარაია გაუკეთებინებია. ზოგი ქვები ჯამეს გა-
ლაგანს ახმარეს, ზოგი ქვებით იქვე ახლოს წყარო გააკეთეს,
ეს წყარო დღევანდლამდის არის დაშთენილი ჯამეს გვერდით.
ზოგი ქვები სოფლელებმა გაზიდეს სახლების საკეთებლად. ეკ-
კლესიის კედლებზედ დადგეს ხის ჯამე.

გავიდა რამდენიმე ხანი და ხის ჯამე დალპა. დამპალი და-



აქციეს და მის ალაგის ახალი დაფენს. რამდენიმე ხნის შემდეგ ფაშის სახლ-კარი და სარაიაც დაიქცა და ყველაფერი გაფუჭ-და. ამის შემდეგ არ გავიდა დიდი ხანი, რომ ხულოში მტე-რიც მოვიდა და ყველაფერი დაიმორჩილა. მტრის მოსვლას ვერც არა ეკლესიის დაქცევამ უშველა და ვერც არა სხვა. სიმაგრეებმა, ძველები იტყოდნენ ხოლმე.

ფაშამ ეკლესიის დაქცევით ლერთი გაარისხა, კარგი საქ-მე არ ჰქნა! მისი სახლ-კარიც მიტომ დაიქცევაო. ეს თქმუ-ლობაც მართლა აღსრულდა. დღეს ფაშის სახლ-კარი ხულო-ში ნანგრევად არის ქცეული.

მე ვნახე ხულოს ჯამეს საძირკველი, ძლიერ ბევრი ჩუ-ქურთმიანი ქვები იღმოჩნდა, რომელთაც ცხადად ეტყობა, რომ ისინი წინად ეკრლესიის უნდა ყოფილიყოს. როდის მოხდა ყოველივე ეს ამბები ამას ხალხის გარდმოცემა არ ასახელებს და ან რომელ ფაშის დროს იყო, არც ეს ვიცით.

ჩაქვისთაველის ღრმად მოხუც ყადის ჩიჯავაძის ნამბობი.

აქარაში გათათრების საქმე ერთობ გაძნელებულა. ზოგი-ერთ მოხუცებული კაცები და ნამეტურ დედაკაცები ქრისტია-ნობაზედ მაგრა იღვნენ, თან ასმალოს ხოჯებსაც ეკამათებო-დნენ და ედავებოდნენ; ამ მოხუცებულებს ყოველთვის და ყველგან სულ ქრისტიანობაზედ ჰქონდათ ლაპარაკი. ახალგაზ-დებს ყოველთვის იმის ელაპარაკებოდნენ.

ეგები ოდესმე თქვენი ძველების სჯულზედ გადახვიდეთ.

ასეთ მოხუცებულთ რიცხვი აქარაში დიდი ყოფილა; ამათ თურმე ხოჯებს გაუჭირეს საქმე. ბოლოს მთავრობისაგან ასე-თი ბრძანება ვამოსულა.

ყველა ეგენი დაიჭირეთ და გაათათრეთო, თუ არ გათა-თრდნენ მერე დახოცეთო.

მალე აქარის მოხუცებულნი შეუკრებიათ და საფრიხანა-ში დაუმწყვდევიათ, საპატიმროებში ხოჯები მიუგზავნიათ და



ხოჯებს ლოცვები დაუწყიათ. ზოგიერთ მოხუცებულნის შემთხვევაში გამოიყენებოდა მოხუცებულნის შესართავთან მიურეკიათ, სადაც ძველიად თამარ მეფის ხიდი ყოფილია. აქ დადეს თავ-საკვეთი და უთხრეს შათ:

— მოხუც ბერო კაცნო, რაზედ იფუჭებთ თავს, მოდით გონს, იწამეთ წმინდა მუქამედი და ისლამი, რათ ჰკარგავთ ცხონებასა და სიიქიოს ბედსა.

მოხუცებულებმა იფიქრეს, მართლაც რაზედ ვართ ასე კერპად. მივიღოთ წმინდა სჯულით და ვილოცოთ, ღმერთმა იგინი გონზედ მოიყვანა და მათ იწამეს წმინდა სჯული. იტყოდნენ ხოლმე ბერი კაცნი, რომ ბარე სამისოთვისაც კი (ბევრის ლიმანეს სამი) მოუჭრიათ თავიო. ეს ამბები მომხდარა ამ ორისი წლის წინედ.

აი, ჩვენ ასეთის ძნელის საქმეებითა ვართ გათათრებული, ამიტომ ჩემო ძიავ, თქვენ თუ ჩვენი გაგიაურება გინდათ — ეს არ მოხდება მთლიანად გავრცელებით კი ამას არ ვიზამთ. რაც დავრჩით აქ, ჩვენც მუჟავირად წიაღლთ და თქვენსას კი არ ვიწამებთ. მე ბათუმის ყადი გახლავარ და ამას პირდაპირ გეუბნები, რომ ჩვენი თათრობა ამისთვის გაწყდება.

მაჭაბლის გამაშმადიანება.

(ნაამბობი სოფ. ბაზარეთში და ძნელიეთში მოხუცებულ მაჭაბლიანის ძნელაძის და სხვა მოხუცებულ მაჭაბლიანებისაგან).

მაჭახელში მთლიად გათათრდა ხალხი, მაგრამ სოფ. ევფრატის ხალხმა-კი დიდხანს შეინახა თავი. ამათ ოსმალები ხმას არ სცემდნენ, რადგანაც ძველთაგან ბრძანება ასე იყო.

ევფრატის გათათრება არ შეიძლებაო. ძველიად იქ თამარ-მეფის სახლი და დიდი ეკკლესია იყოვო. ამ ეკკლესიაში მარხია თამარ-მეფე და იქ რომ ხალხს დაუწყონ გათათრება, ეს ძალიან ცუდი იქნება და ღმერთი არ იყაბულებსო. გარდა



ამისა მის ზემოდ კარჩხალის მთა არის, იქ ეშვაკებით გამამადიანების ბევრი ლომები და არწივები არიან დაბმულნი, გამამადიანების დროს სულ აწყდებიან იგინი, ჩამოვლენ ძირსა და ხალხს დასკამენ, აღარც ერთს ოსმალს ცოცხალს არ გაუშებენ და „გვანცალელაც“ ვინ იცის რაებს იზავსო. ეს ამბები ქართველებს გაუტრცელებიათ პირველ გათათრების დროს, რომ ხალხი ადვილად არ გათათრდესო. მაგრამ ეს ტყუილი ამბები მასე გამოსჩნდა და აქარტელთ სიამოვნებით მიიღეს თათრობა — ისლამი.

• ჩვენები ევფრატის გამამადიანებას ხელს არ ჰყიდებდნენ; რამდენსამე ხნის შემდეგ ოსმალოს კაცები მოვიდნენ ამათ დაიჭირეს იგი და მათის სიტყვით გამამადიანეს ხალხი, მერე აქედგან კარჩხალის მთაზედ ავიდნენ და იქ ნახეს თამარ-მეფის სასახლე, საიდგანაც ის მთელს მაჭახელს დაჰყურებდა. ნახეს მისი ხაზინა, ტბა, სასახლეები და დუქან-ბაზარი და ეკკლესიები. ყველა ესენი დააჭციეს, ამის შემდეგ უკან დაბრუნდნენ, გურჯებმა ამაზედ ბევრი იწუხეს და იტირეს, მაგრამ ვერაფერი ჰქმნეს, მაჭახელი მოლად გათათრდა და ევფრატშიაც ყველაფერი მოაწყეს, ევფრატელები გამამადიანების შემდეგ ჩუმად კიდევ დიდხანს ინახავდნენ თავს, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყეს. როცა ბათუმის ფაშამ შეიტყო ეს ამბავი, ესენი დაიბარა და ძლიერ შეაშინა.

თუ დღეიდგანვე ნამდვილი მუსლიმანები არ გამხდარხართ, მაშინ მე თავებს დაგჭრით სუყველას და გაგაქრობთ მიწაზეო.

ესენი მაინც დიდხანს არ ივიწყებდნენ და არ სტოვებდნენ თავიანთს ძველს წეს-ჩვეულებას.

მაჭახლის შესახებ ბევრნი ამბობენ, რომ გამამადიანების გამო ყველაზედ ბევრი სისხლი მაჭახლელებს დაულვრიათ. ამდენი სისხლი არც აქარელთ, არც ზეგნელთ, არც ლივანელთ და არც სხვათა არ დაუღვრიათ, რამდენიც მაჭახლელებს. რაც აქედგან ხალხი გაიქცა გურჯისტანისაკენ, იმდენი ხალხი არც ერთის აქაურის მხრიდგან არ გაჭცეულა იქითკენაო. მაჭახე-



ლი ძალით არის გათათრებული და ძალითვე გაქირზე მოვალეობაში ბაო. მაგრამ ჩვენში თქმულობა არის, რომ ეს ისევ უნდა გაჭართველდეს, უამისობა არ იქნებაო. ამბობენ და ჩვენი ძველებიც იტყოდნენ ხოლმე, რომ ერთს ღამეს, ხერთვისის ეკულესიასთან ოსმალები დაეხსნენ თავს ჩვენს ძველებსა და სულ დახოცეს, რადვანაც მათი ბაირამი იყო. ღამე ეკულესიაში შეგროვილიყვნენ, სანთლები დაენთოთ და აშკარად ლოცულობდნენ თავს გასაჯავრებლად და ოსმალებმაც იმიტომ დახოცეს ყველა იქ მყოფნიო. ვაი რა ჩერჩეტები ყოფილან ზოგი ჩვენი ძველები. ძალიან სცდებოდნენ მასზედ იგინი, რომ წმინდა სჯულის წინააღმდეგ თავს იხოცავდნენ, მაგრამ რა გაეწყობა, ბეჩნი იყვნენ და მიტომ ხდებოდა ასე. როცა გონს მოვიდნენ, მის მერე კი იწამეს ყოველივე მუსულმანურ-თათრულიო.

ლაზისტანით ოსმალნი ლივანაში შემოვიდნენ, აქედგან მაჭახელში, მაჭახელი მათ წაგრად და გულადად დახვდა; მაჭახლის ხალხი მეტად მაგარი და გაუტეხავი ხალხი იყო: ესენი ადვილად არ ჩაბარდნენ მაჭმადიანებს, ბევრი იჩნებეს, მაგრამ ბოლოს მაინც ვერაფერი გააწყეს და ჩაპერდნენ ოსმალებს. ოსმალთ მაჭახლელებს მალე გამაჭმადიანებაც გამოუცხადეს; ეს ამბავი მაჭახლის ხალხს დიდად ეჯავრა. იმის გამო დაიწყეს ჭოჭმანობა და ბოლოს ოსმალოს წინააღმდეგ ჩეუბი ასტეხეს, გამაჭმადიანება არ გვინდაო. ოსმალთა იმაზედ ძლიერ ბევრი მაჭახლელები დახოცეს. მაჭახლელებიც ბევრს ხოცავდნენ ოსმალთ, მაგრამ საქმე მაინც მაჭახლელებს გაუჭირდათ, რადვანაც ოსმალნი თოფ-იარალით იყვნენ და მაჭახლელებს კი არაფერი ჰქონდათ. ბევრი ხოცვის შემდეგ ოსმალთ სისხლის ღვრას თავი გაანებეს. ამათ სხვა ნაირის ოსტატობით დაუწყეს გამაჭმადიანება—ვინც არ მაჭმადიანდებოდა. იმას დიდს ხარჯს ადებდნენ, სამართალში უკან იყენებდნენ, მოწმად არსად იღებდნენ, უბრალო დანაშაულობის გამო სჯიდნენ, სულ უბრალო საქმის გამო მამულებს ართმევდნენ და იმ პირებს აძლევდნენ და ჰმატებდნენ, ვინც ახლად იყვნენ გამაჭმადიანებულ-



ნი; ახალ გამაპმადიანებულთ ალიობასაც აძლევდნენ, გამაპმადიანობა ბეგიობასაც. ასეთი საქმეებით გაავრცელეს აქეთ მაპმადიანობა და ამიტომ იტყვიან ამაზედ, რომ მიქანელი ნებით არის გათარებული და ნებითვე გაქართველდებაო.

მაჭახელში ძველად საკმარისად გამოჩენილი აზნაურის გვარი იყო ძნელაძეების გვარი. ესენი სცხოვრებლნენ სოფელ ძნელითსა და ბაზარეთში, ამათ ებარათ რამდენიმე სოფლის ხალხი და გამგეობა. ძნელაძეებს გარდა მაჭახელში სხვა აზნაურებიც იყვნენ, მაგალითად ქავთარაძეები, რომელნიც ადვილად გამაპმადიანდნენ და ამიტომ ოსმალთ ამათ ბეგიობა მისცეს. ისევე აზნაური ზაქარიაძეები, რომელნიც ბეგებად იქმნენ წოდებულნი, და მრავალიც სხვა გვარის ხალხნი გამაპმადიანდნენ ადვილად. მაჭახელში მაპმადიანობა მოიფინა და სოფ. ძნელითამდე და ბაზარეთამდე მიაღწია. იქ დაბარებულ იქმნაჩვენის ძველების ერთი უფროსი ძნელაძე, დიდის მამულ-დედულის პატრონი, ამას გამოუცხადეს გამაპმადიანება იმ პირობით და იმ საჩუქრებით, როგორც სხვები გამაპმადიანდნენ. ძნელაძემ უთხრა:

— მე არც გავმაპმადიანდები და არც თქვენი საჩუქრი მინდა, ქრისტიანობას მაპმადიანობაზედ არ გავცვლი. ეს არას დროს არ იქნება. მე ამას ნულარ მეტყვით, თორემ ჩხუბი მოხდება. მაპმადიანობა ამას ცუდი რამე ეგონა, ოსმალთ ძლიერ ეწყინათ და უთხრეს.

— კარგი, მაგრამ ბევრს შეგანანებთო. ძნელაძემ მიუგო:
— ნება თქვენი გახლდეს!

რამდენსამე ხნის შემდევ ოსმალთ აუტეხეს დავა, დაუწყეს ცილის-წამება, ჰბრალდებოდა ტყუილად კაცის-კვლა, გაქცევა, ახალ გამაპმადიანებულების შეწუხება და სხვანი. თავს მართლულობდა, მაგრამ უბრალოდ, ოსმალნი ძალიან სჩაგრავდნენ. ასეთი ბრძოლის გამო მას ხელიდგან წაუვიდა თავისის მამულების უმეტესი ნაწილი. ოსმალნი ეუბნებოდნენ:

— გამაპმანდიანდით და ყველაფერს გაპატიებთ, ყველაფერს გაჩუქრებთ. ძნელაძე ეტყოდა:



— გვარად ძნელაძე ვარ და საქმითაც ძნელაძე უნდაზერჩევა
შენ. მე, თი ეს ყელი და ენა რომ მომჰრათ, მაინც არ იქნე-
ბა, არ გავმაჰმანდიანდები. რათ უნდა გავთათრდე, ჩვენმა
სჯულმა რა დაგიშავათ, რა გიყოთ, მე ვერ ვიზამ, ჩვენ ფიცი
გვაქვს მიცემული, რომ ვიდრე ძნელაძებს პირში სული გვი-
ღვია, მინამ ჩვენ ჩვენს სჯულს და ქვეყანას არ ვუღალატებთ.
სხვებს თუ ნებავთ ჩემს სოფლელებს გამაჰმადიანდნენ, მე ნუ-
რავინ მერიდება.

ამ კაცის მეგვარეებს და მოყმეებს დიდი მორიდება ჰქონ-
დათ ამ პირისა; მისი ჰრცხვენოდათ და ვერ მაჰმადიანდებო-
დნენ. რამდენისამე ხნის შემდეგ ესენიც გამაჰმადიანდნენ. მა-
ლე გამაჰმადიანდნენ თვით ამ კაცის ძმები და შვილებიც, მაგ-
რამ ეს არ გამაჰმადიანდა. ამის გამო იგი შეებრძოლა ოსმალთ
და ამ ბრძოლის დროს მთლად დაჰკარგა თავისი მამულები და
დარჩა ცარიელი. გალარიბდა, გალატაკდა. მაგრამ თათრობა
მაინც არ მიიღო: ისეთს სიღატაკეში მყოფი ავად გახდა, სი-
კვდილზედ მივიდა. ამ დროს მაჟახელი მთლად გამაჰმადიანე-
ბული იყო, მღვდლები აღარსად იყვნენ, იჭიდგან გარეკვეს და
ეკალესიებიც დაანგრიეს. ზოგი ჯამედ გადააკეთეს. ევფრატის
ეკალესიაც მაშინ დაუქცევიათ. ავადმყოფ ძნელაძეს საქმე გა-
უჭირდა.

სიკვდილის წინად ძნელაძემ შვილები დაიბარ და უთხრა:

— ეს არის, ვთავდები, ვჰკვდებ, აქ ბევრი ვეწვალე, ბევ-
რი ვიტანჯე ჩემის სჯულის გულისათვის დავჰკარგე ყველაფე-
რი, ჩემი მამა პაპის მამული ოსმალებმა წამართვეს შარებით
და მისკვეს იმათ, ვინც ადვილად გამაჰმადიანდნენ. მე თქვენ
ყელები დაგჭერით. ცალიერი გაგიშვით, ჩემის გულისათვის
ოსმალებმა ოქვენც ირაფერი მოგცეს, რადგანაც ჩემი ჯავრი
სჭირდათ. ეხლა მე ვჰკვდები დიდის მწუხარებით და ჩემის მა-
მა-პაპის სჯულზედ, რომელიც მე დიდის ტანჯვით შევინახე.
ეხლა ჩემი მწუხარება ის არის, რომ ჩემის სიკვდილის შემდეგ
ჩემი დამარხვა, ვაი თუ ქრისტიანულის, ქართულის, ჩემის მა-
მა-პაპის წესით არ მოხდეს, თქვენ გამაჰმადიანებული ხართ და

და მაჰმადიანურათ დამმარხავთო. სიკვდილის დროს შეკვეთაში მიტირა მან, ბევრი ეხვეწა თავისს ნათესავებს, რომ ქრისტიანულად დამმარხეთო. ამათ ფიცი მისცეს, რომ მღვდელს მოვიყვანთ და ისე დაგმარხავთო. ამ დაპირების შემდეგ ძნელაძე გარდაიცვალა.

მიცვალებულის ძნელაძის ნათესავები წავიდნენ ართვინში და იქიდან მღვდელი მოიყვანეს. მღვდელმა უწირულოცა და როცა მიცვალებული წაიღეს. მაშინ ზოგიერთ ახალ გამაჰმადიანებულებმა უყვირეს:

— მღვდელო, უნათე, მღვდელო უნათეო და სხვანი. ანასუნი იმის მამას, ქოფაკს. წაიღეს და აი, ამ პატარა ეკკლესიაში დამარხეს. რა უჭირდა, ბატონო, რომ გამაჰმადიანებულებულიყო? ან ჩვენ რაზე დაგვლუპა და იმოდენა მამულები. რაზე დაპკარგა, ჩვენ რად ჩაგვაგდო ამ დღეში და ან თვით რას იტანჯებოდა? ხომ ნახა, რომ გამჩენელ ღმერთის ბრძანებას-ვერას უზამდა! ის არ გათათრდა, მინამ ცოცხალი იყო, აქა-იქ თითო-ოროლა კაცს კიდევ ეკავა ქრისტიანის სჯული და ის რომ მოკვდა, მის შემდეგ-კი მაჭახელაში ერთი კაციც აღარ დარჩენილა, უველა გამაჰმადიანებულა და საქმეც დაწყნარებულა და მორჩენილა. იმერეთსა და ქართლ-კახეთში მცხოვრები ძნელაძეები სულ იქნდამ არიან გასულნი თათრობის გამო. მაშინ ძნელაძეების ერთ სოფ. 30 კ ყოფილი. დღეს, მაჭახ-ლელნი ნამდვილ სუფთა, კარგი მუსულმანები არიან, ჩვენ თუ არ ძალით, ისე ჩვენი სჯულიდამ გადასვლა არ იქნება. ჩვენ ამისთვის გავწყდებით. ჩვენი გიაურობა ხომ არ გინდათ თქვენ?

ზედა აჭარის გამაჰმადიანება.

(ნამბიბი სოფ. ნეგაზეულში ყადი ნური ეფენდი ბერიძის მიერ, სულეი-მან გელაძის გურჯ-ოლლის მიერ და სხვათა მაჰმადიანთ ქართველთა).

ქვედა აჭარაში თათრობა უფრო ადრე შემოსულა, ვიდ-



რე ზედა აქარაში. ახალციხის მხარეში კი უფრო აღმოჩენებულია ნილა მაპმადის სჯული, ვინემ ზედა აქარაში, სხალტის ხეობაზედ, ტბეთის ხეობაზედ, შავშეთიმდის. ახალციხიდან თათრობა უფრო ორდანუჯისკენ და ორტაანისკენ გაუცრცელებიათ; მცირე ხნის შემდეგ შავშეთსა და იმერხევშიაც შემოუტანიათ და ამას აქეთა მხარე აღმოსავლეთის აქარის ნაწილი-კი დარჩენილა ქრისტიანობაში. ამათ კარგა ხანს შეუნახავთ თავი გიაურობით, მაგრამ ბოლოს საქმე გასჭირვებიათ, რადგანაც ესენი შუაში ყოფილან მომწყვდეული და გარშემო-კი სულ ახლად გამაპმადიანებული ქირთველები ჰყოლიათ შემორტყმული. ამათი საქმე მაშინ გაჭირვებულა, როცა ქვედა აქარის ერთი ნაწილიც გამაპმადიანებულა და აქედან ნელ-ნელა ზედა აქარის ზოგი ერთ სოფლებშიაც შემოსულა.

ყველაზედ მაგრად დანდალოს ხალხი მდგარა, მაგრამ მალე აქაც შეუტანიათ ისლამი. დანდალოდან წასულა აღმოსავლით და სხალტის სოფლებს მიაბლოვებია, მაგრამ სხალტის გარშემო და ხულის ხეობაში კი ეს ადვილად ვერ შეუტანიათ. აქ ხალხი გამაგრებულა. აქ ისე გამაგრებულან. რომ ოსმალოს ჯარს გარდა ამათ თვით ახალ გამაპმადიანებულის ქირთველების წინააღმდევაც დაუწყვიათ ბრძოლა, ამ ბრძოლაში დიდის გმირობით უბრძოლიათ დანდალოს ხალხსა და ხულისას. დანდალოში ოსმალოს ჯარიც ყოფილა, ამათ დაუქცევიათ დანდალოს სახლები. დანდალოს ჩეკლესის დაცულება ძლიერ სჯავრებია ხულის ხეობის ხალხს და ამიტომ ამათ ოსმალოსთვის არამც თუ მარტო მუსლიმიანობის გულისთვის გამოუცხადებიათ წინააღმდევობა, არამედ თვით ოსმალრს მფლობელობისათვისაც, რომ ჩვენ თქვენი მორჩილება არ გვინდაო.

ოსმალთ რა უნახავთ საქმის გაჭირვება, ამათ ხულის ხეობისთვის თავი დაუნებებიათ და მიუმართავთ სხალტისა და ტბეთის მხრის სოფლებისათვის; აქ ამათ მოწინააღმდევენი არავინ აღმოუჩენიათ. ორივე მხრის ხალხს ოსმალოსთვის ხლიერ მალე დაუკრავს თავი. აქ გამაგრებულნი ოსმალონი სხალტისკენ წასულან, აქ მიმხრობიან სხალტის მოწინავე კაცები და

მათის დახმარებით შესულან ხულოში; ამ მხრის ხალხისპოვნის
 დამდგარა დიდი მწარე დღენი, მაგრამ მაინც ესენი ომს არ
 შეშინებიან. ამათ დაუწყით ომი და ოსმალოს ჯარისათვის
 ბევრიც უვნიათ, მაგრამ ბოლოს მაინც დამორჩილებულან
 ოსმალთ. მაშინათვე დაუწყით აქ სჯულის გამოცვლის შესა-
 ხებ ლაპაოვი და უთქვამს ასე:

— თუ სჯულს გამოიცვლით, ხომ კარგი, თუ არა და
 იკოდეთ, რომ ჩვენ თქვენ აქ ილარ დაგაყენებთ, თქვენს მო-
 წინავე პირებს თავებს დავსჭრით და დანარჩენს ხალხს კიდევ
 შემისკენ გადაგრეკავთ.

ბევრი მაინც მაგრად მდგარა, ბევრს შეშინებია და ბრძა-
 ნებას დამორჩილებია. აქაც მოფენილა თათრობა და ამის გა-
 ძლიერებისათვის დიდად ცდილან ოსმალნი. დღეს ხულოს ეკ-
 კლესის საძირკვლებზედ გაკეთებულია ხულოს დიდი ჯამე; ეს
 ამბავი ბევრმა მოხუცებულმა იცის. ხულოდან ოსმალნი წისუ-
 ლან აქარისკენ და საცა რამ ეკულები შეხვედრიათ მისი
 ზოგნი ჯამეთ გადუკეთებიათ. მოელს მხარეში მაჰმადიანობა
 მოფენილა და ოსმალოს ხოჯა-მოლებს ხალხისთვის ლოცვების
 შესწავლა დაუწყებინებია — და მალე დარწმუნებულან ქართ-
 ველთა ნამდვილს მაჰმადიანობაზედ.

მაჰმადიანობის დროსაც ესენი თურმე არ სტოვებდნენ
 ქრისტიანულს წესებს და ყოველს საქრისტიანო დღესასწაუ-
 ლებსაც იხდიდნენ. მაგალითად აქ აღდგომას ღებავდნენ წი-
 თელს კვერცხებს და წაიღებდნენ ხოლმე სხალტის ეკკლესია-
 ზედ და შესწირავდნენ, ხულოს ეკკლესიის ნანგრევებთან, იგა-
 რის და სხვათა მხრის ეკკლესიებთან. ეს ჩვეულება ხულოს ხე-
 ობაში დღევანდლამდე არის დაშთენილი და აქ დედაკაცები
 დღესაც ღებავდნ კვერცხებს და აღდგომა დღეს ზოგიერთ ეკ-
 კლესის ნანგრევებთან მიიტანენ. ქართველთ ქრისტიანულ წე-
 სების ამბები მალე იქმნა ოსმალთათვის ცნობილი. ოსმალთა
 სასულიერო პირნი დიდად აღელდნენ ამაზედ. მათ მოუწე-



რეს ხონთქრის რისხვა სელიშ-ფაშა ხიმშია შვილის მამუშავდებულებულების ბეგს.

მაგ მხარეში ყველა ეკულესიები უნდა დაიქცეს და ხალხს აღკურძალოს ნანგრევებთან სიარული და ქვებზედ ლოცვაო.

აბდულ-ბეგი ოსმალოს ჯარით დაეცა მთელს ამ მხრის სოფლის ეკულესიებს და სულ მთლად მოსპო; გადარჩა მხოლოდ სხალტა და ვანის ტაძარი. ესენი იმ აზრით არ დაუ-ქცევია აბდულ ბეგს, რადგანაც ამ ეკულესის ჯამეთ გადაკე-ბა ჰსურვებით. ეს ტაძრები მაღვ ჯამეთაც გადაუკეთებიათ, მა-გრამ სხვა-და სხვა მიზეზებისა გამო ჯამეთ დიდხანს არ დარჩე-ნილან, ხალხს თურმე ცუდი სიზრმები ესიზრმებოდა ამაზე და ამიტომ აქ სალოცავად არ დადიოდნენ. მაღვ ჯამები მოიშა-ლა აქ და დატოვებულ იქნა. იმ დროებაშიაც ზოგ ალავის საიდუმლოდ ქრისტიანობდა ხალხი, ერთს და იმავე დროს ესენი მაჰმადიანურს ლოცვებსაც ასრულებდნენ და ქრისტია-ნულსაც.

ეს ამბები ერთმა ოსმალოდამ მოსულმა ქართველმა ხო-ჯამ შეამჩნია. ამან დაწყო ჩუმ ქრისტიანებთან მეგობრობა და თავის თავს საიდუმლო ქრისტიანად აღიარებდა, ესეც სიამოց-ნებით მიიღეს ჩუმ ქრისტიანებმა და ყველა საიდუმლო ქრის-ტიანები გააცნეს მას, გააცნეს ჩუმი სამღვდელო პირნიც; რო-მელნიც ერის კაცის ტანთხაცმელით იყვნენ მოსილნი. ესენი კარგა დაუმეეგობრობა ამათ, თავს ნამდვილ ქრისტიანად აჩვე-ნებდა. ასეთის საქმით მოლამ ჩუმ ქრისტიანების შესახებ ძლი-ერ ბევრი ცნობები შეჰქრიბა. ამან შენიშნა, რომ ზედა აჭა-რაში ყველა ჩოფელში თითქმის საიდუმლოდ ყველა ასრულებს ქრისტაანულს წესებსაო. თუ ვინ იყვნენ აქ ქრისტიანულის წესების მფარველნი და მღალადებელნი, ამათი ცნობებიც კარ-გა სარწმუნოდ შეჰქრიბა, ბოლოს ეს საიდუმლო ქრისტიანი გადგა თავის გზაზედ, ხალხს ჯერედ დარიგება მისცა კეთილად, რომ ისლამს ნუ ღალატობთ. მერე მთავრობასაც აცნობა. ამ ამბავმა დიდად გააკვირვა ოსმალნი. ამ კაცს მაშინათვე სა-ჩუქარი მისცეს, ხალხის შესაშინებლად და ქრისტიანულის წე-



სების მოსასპობად ამათ შემოიტანეს კაცის თავის მოსასპობა გადაგდება, დარჩობა, დაკუწვა, ჯაჭვებით დაბმა და ირგვლივ ქანაობა და ტრიალი, რაც ძალიან ძნელი იყო და მძიმე და ათასი სხვანი. მაგრამ ეს ვერ დაინახეს სასარგებლოდ, რადგანაც ყველა ჩუმი ქრისტიან რომ მოვკლათ, მაშინ მოელი მხროის ორი ნაწილი ხალხი გაწყვებოდა. ამიტომ ესენი სხვა გზას დაადგნენ.

ჭვანის ხეობის გამაჰმადიანება.

(ჭვანელის მოხუც გვათუასაგან ნაამბობი).

სამეგრელოში გვათუამ რაღაც დააშავა. სამეგრელოს მთა-
ვარი მას სასტიკად დაემუქრა. გვათუა სამეგრელოდგან ზეგან-
ში გამოიქცა. სოფელს ჭვანში მოეიდა, დასახლდა, მალე თა-
თრობაც მიიღო. შემდეგ წავიდა სამეგრელოში, მოტყუებით
წამოიყვანა თავისი ცოლშვილი და მოყვანისათანავე ყველა ესე-
ნი ჭვანში გაათარრა. შემდეგ ამისა გვათუამ საქართველოში
გოგო-ბიჭის ტაციაობა გაიხადა საქმედ და ამით ვაჭრობდა თი-
თქმის. ეს დიდს დახმარებას აძლევდა ოსმალთ, რომ ამათ სა-
მეგრელოში მაჰმადის სჯული შეეტანათ და გაევრცელებინათ.
უკანასკნელ გვათუები საშინლად წახდნენ და ომის შემდეგ
ოსმალეთში გადასახლდნენ. დღეს მხოლოდ ერთი მოხუცი-ღა
სკოვრებს ჭვანაში და ესეც გარდამეტი მტერი ქართველთა,
და დიდად მოწადინე ქაბაში წასვლისა. ამან მითხრა ასე:

— მე ძლიერ მებრალები, რომ შენ, მაგეთი წმინდა ოს-
ტატი კაცი, სიკვდილის შემდეგ უნდა წაწყმდე. ცოდო არა
ხარ შენა, რომ ჯოჯოხეთში წახვიდე? გამაჰმადიანდი, რომ
შენი სული სიკვდილის შემდეგ სამოთხეში წავიდეს; გთხოვ რომ
წამოხვიდე. — გვათუების მეოხებით ბევრი მეგრელი გამაჰმადია-
ნებულა. ესენი თურმე მეამბოხე მეგრელს სამეგრელოდგან
თვისკენ იხმობდნენ, ზეგანში ასახლებდნენ და მერე ამაჰმადია-

ნებდნენ. 1790 წლებში ამათ მიუმხრიათ 30 მეგრელი კავკაზიურა
სახელი ესენი გაუმაპმადიანებიათ. ამათ იქ ცოლები ტეურ-
თავთ და მერე სამეგრელოზედ გათარიშება უწყიათ და ტყვე-
ების ტაციობა და ოსმალში გაყიდვა.

„ვაიოს“ ამბავი.

(აჭარელის დევრიშ ბეგ ბეჟანიძის ნაამბობი).

სოფელს „ვაიოს“ ქართველების გამაპმადიანებამდე სხვა
სახელი ჰქონდებოდა. აი როგორ: „ვაიოს“ გაღმა მხრის ქართ-
ველი გამაპმადიანდნენ. სოფელ „ვაიოს“ მხრის სოფლის ქარ-
თველი ხალხნი-კი ქრისტიანად დაშთნენ. გამაპმადიანებულნი
მიყცნენ თათრულს ცალკედას, — ზნეა და ჩვეულებას. ქალებ-
მა პირზე პირ-ბადე ჩამოიფარეს, ქრისტიან და გამაპმადიანე-
ბულ ქართველებთან მორიდება დაიწყეს, აღარ ვის ეჩვენებო-
დნენ. ქრისტიან ქართველ ქალები-კი ყოველთვის პირ-ბადე
ახდილნი იყვნენ და ცველას თავისუფლად ეჩვენებოდნენ, ახალ
გამაპმადიანებულ ქართველებს თათრების ცველაფერი მოსწონ-
დათ, გარდა ქართველებისაგან პირის დამალვისა. ამათ ძლიერ
ენატრებოდათ ახალ ჯამაპმადიანებული ქალები, რომ ქრის-
ტიან ქართველ ქალებივით პირ ახდილნი ყოფილიყვნენ. მაგ-
რამ რას იჩამდნენ! ახალ გამაპმადიანებულნი ძლიერ ეტრფო-
დნენ ქრისტიან ქართველ ქალებს.

ერთი გამაპმადიანებული ქართველი გადაეციდა ერთ ქრის-
ტიან ქართველის გოგოს, მიგრამ გოგო არ მიპყვებოდა ამას
ცოლად, რადგანაც ეს ეუბნებოდა მას, რომ შენ მაპმადიანი
ხარო. ისევ გაქრისტიანდი და მაშინ შეგირთვო. საქმე დიდ-
ხანს განეგრძო. ბიჭმა თვალ-თვალება დაუწყო გოგოს. ერთ-
თხელ გოგო თავის მშობლებმა წისქვილში გაგზავნეს და თან
ხორბალი გაატანეს. გოგო წისქვილში მიმავალმა ბიჭმა დაი-
ნახა. გოგოს წისქვილში მისელისას რამდენიმე კაცით თავზედ
დაეცა და მოიტაცა. ამ მოტაცების დროს გოგომ მორთო
ყვირილი.



„ვაი, ვაიო!“ მიშველეთ, მიშველეთ დამიჭირეს აბაშიულება
გამოცვლილებმათ!

მაგრამ მშველელი არავინ გაჩნდა. გოგო გაიყვანეს გალ-
მა, ახალ გამაპირიანებულ ქართველებში, ქალმა ბევრი იდარ-
და, იშუხა, იტირა, ეხვეწებოდა ასე:

— ნუ მათათრებთ, დამანებეთ თავი, თორემ თავს მოვი-
კლავ, მოვიწამლავ. არ ვიცოცხლებ.

მერე გაამაპირიანეს და ბიჭზედ ახტი უქნეს (აქორწი-
ლეს). ზემოხსენებულ სოფელს ამ შემთხვევის გამო დაერქვა
სახელად „ვაი-ვაიო“.

სოფ. ვაიოზედ ბევრნი კიდევ სხვა ცნობებს ლაპარაკო-
ბენ. ვაიოში ქრისტიანობის დროს ერთი დიდი მშვენიერი ეკ-
კლესია ყოფილა, — ერთიც პატარა. დიდი ეკკლესია დაქციუ-
ლა პატარა ეკკლესის კედლები დღევანდლამდის სდგას. ზოგ-
ნი ამბობენ, რომ „ვაიო“ მიტომ დაერქვა იმას, რადგანაც
გამაპირიანების დროს ხალხი სულ „ვაის“ ჰყვიროდა; ზოგნი
ამბობენ: ამ სოფელს ყიზილბაშები დაეცნენ და როცა აოხ-
რებდენ, მაშინ ხალხი „ვაის“ ჰყვიროდა და ამიტომ დაერ-
ქვა. ზოგნი ამბობენ, რომ მტრის დაცემის და წასვლის შემ-
დეგ, სოფლიერნი თავიათ ნათესავებს, ტყვეთ წაყვანილებს
გლოვობდნენ, ტიროდნენ და სულ „ვაის“ ჰყვიროდნენ. ზოგნი
კიდევ ჟინანირად ლაპარაკობდენ.

ვაიოს შემდეგ გათათრების დიდს ბინად ქედა ყოფილა
დანიშნული. პირველ ხანებში ვინც არ თათრდებოდა, დაი-
კერდნენ, ქედაში მიიუვანდნენ, პარასკევ დღეს, ლოცვის დროს,
ჯამეში შეიყვანდნენ, ვინც თათრობას მიიღებდა, ის ლოცვა-
ზედ შთებოდა, ვინც არა და იმას კარში გამოიყვანდნენ და
ლოცვის შემდეგ ხეზე მიაკრავდნენ ჯაჭვით და თან დარიგე-
ბას აძლევდნენ, ერთ ჯუმა (პარასკევი) დღეს, ქედაში 50 კა-
ცი და დედაკაცი დასაჯეს უჯიათობისთვის მერე კი ამათაც
იწამეს წმინდა სჯული და ისლამი.



დანდალოს გამაჰმადიანება.

(ქართველ მაჭადიანთ ავალიანთ გვარში დარჩენილი სოფ. დანდალოში).

აქარაში გათათრების გამო დიდი ბრძოლა დანდალოს ხალხმაც გამოიარა. ამათი საქმეები ყველასათვის საკურველი ყოფილა. მთელი დანდალო მკაცრად დადგა ოსმალოს წინა-აღმდეგ სჯულის გამოცვლის გამო, თვით დედაკაცებმაც კი აიღეს ხმალ-ხანჯალი ხელში და გამოვიდნენ საბრძოლად. ამათ გარდაწყვიტეს, რომ ან მამა-პაპის სჯულზედ უნდა დავრჩეთ და ან უნდა გავწყდეთ, ჩვენი გათათრება არ შეიძლებაო. ამათ დაიწყეს ბრძოლა, საკურველი საქმე დაჭმართეს ოსმალთ, ოსმალნი ათასობით დახოცეს, მაგრამ ბოლოს მაინც ოსმალნი მოერიცნენ, რადგანაც ამათ მოიშველიეს ახალ გათათრებულ ქართველნი. დანდალოს ერთ დამარცხდა და ამ დამარცხებით მთლიად გაწყდა ხალხი, გაწყდა ისე, რომ არსად ერთი კაციც არ დარჩენილა, ქალი, ბავშვი და სხვანი მთლიად დახოცეს, გა-წყვიტეს, რადგანაც ამათ დიდი ზარალი მისცეს ოსმალთ, დიდ-ძალი ხალხი დაუხოცეს, ამის გამო მოსპეს ოსმალთ ესენი და ვინც დარჩა, ისინიც ოსმალში გარეკეს. მთელი დანდალო ცა-რიელი დარჩა. სახლები, სოფლები უპატრონოთ იყო დაშთე-ნილი და შიგ კაცი არ იყო მცხოვრები. ეს დანდალოს ხალ-ხისთვის მეტად ცუდი იყო. მათ რომ მაღა შეეგნოთ და გა-თათრებულიყვნენ, მაშინ მათ ბევრი უბედურება ასცდებოდა. თათრობა სუფთა რამ არის და რათ იბრძოდნენ ამისთვის — უბრალოდ. თვით იზარალეს.

ამ დროს, აქარაში გაჩენილა ერთი თევდორე ავალიანი—
ავალიშვილი—საქართველოში მეფის წინაშე ამას რაღაც საქ-
მეები ჩაუდენია, ამის გამო ის სამართალში მიუკიათ და მეფეს
გაუმტყუნებია, ამ საქმის გამო მისთვის სიკვდილი განუწეს-
ბიათ. თევდორე ავალიანს დრო უშოვნია და გაჭცეული აქა-
რაში. მალე მოსულა დანდალოში და ერთ სოფელში დასახ-
ლებულია. ავალიანი აზნაურშვილი ყოფილა და ყმა და მაუ-



ლის პატრონი, ხოლო ამინ რა დანაშაული ჩაიდინა მსუმავებელი მას სიკვდილი მიუსაჯეს, ამის ამბავი არავინ იცის. დანდალოს სოფელში დასახლებულ თევდორე ავალიანს კარგად გაეცნენ მთელი აქარის ბეგიები და ხალხი. ხალხს ახლად დასახლებულთათვის კაი დახმარება მიუკიათ, თევდორე ავალი ანი უკვე მტკიცედ დამკვიდრებულა. რამდენიმე ხნის განმავლობაში ამან თათრობა კარგად შეიგნო, შემდგომ ამის ახალ გათათრებულ ქართველთა დახმარებით ეს სტამბოლში წასულა, სულთანს გამოსცხადებია და შემდეგი საქმენი მოუხსენებია.

— მე საქართველოდგან გახლავარ, ქართველი, აზნაურ-შვილი, საქართველოში ცხოვრებას თქვენს მფარველობას ქვეშ შემოსვლა ვარჩიე მე მოველ თქვენს საბრძანებელს, აქარის დანდალოში. დანდალოს სოფლები ვნახე და თქვენ იმ იდგილებს თუ მიბოძებთ და მასთანვე აზნაურ-შვილობითაც დამტოვებთ, მაშინ მე მზათ გახლავართ, მაჰმადი ვიწამო, შემოუვერთე თქვენს სჯულს, თქვენი ერთგული ქვეშევრდომი გავხდე და გარდა ამისა ვეცდები, რომ საქართველოდგან ჩემი სოფლის კაცებიც გადმოვასახლო თქვენს სამეფოში, ზემოხსენებულს სოფლებში დავასახლო და რამდენიმე ხნის შემდეგ ისინიც გავათათრო. ამას გარდა მე დიდს დახმარებას იღმოვუჩენ ხოლმე, როცა-კი თქვენი დიდებულება ისურვებს საქართველოზე გალაშქრებას.

უბრძანა სულთანმა — კეთილიო! მომიცია დანდალო თქვენს საკუთრებად.

ამის შემდეგ თევდორე ავალიანი წაიყვანეს გასათათრებლად მალეც გაათათრეს. გათათრების შემდეგ ეს წამოვიდა დანდალოში და მთელი ეს იდგილები ჩაიბარა. იდგილების ჩაბარების შემდეგ ეს ჩუმად წავიდა საქართველოში, თავისს საყმოში, ნახა ყმები, საიდუმლოდ ელაპარაკა, მათ დანდალო უქო დიდად. თანაც დასძინა, რომ ოსმალნი ხალხს არ ათათრებენ, იქ ჩვენ თავისუფლად ვიქნებით, თქვენც მარტო ხარჯს გადაიხდითო, ბატონ-ყმობაც მოისპობა ჩვენის იქ მისვლის შემდეგათ, ოსმალში ბატონ-ყმობა არ არისო.



ყმებს ბატონის ახეთი რჩევა ძლიერ მოეწონათ, დაწერებული რეს ყველაფერი და რამდენიმე დღის შემდეგ ბატონს უქრიცებული განცხადეს დანდალოში წამოსვლისა და აფვილების და-სინჯვისა. თუ მოგვეწონა, მერე ცოლ-შვილსაც გადმოვასახ-ლებთო. ბატონი წამოვიდა და საიდუმლოდ თან გამოჰყენ შემდეგნი გლეხნი: ჯალაბაშვილი, გელიაშვილი, გიორგაძე, გოგიაშვილი, გეგელიძე, არზანაშვილი, ბალაძე, ზაქარაშვილი, კაკაშვილი, ბაბუქაშვილი, ძანაძე და სხვანი, რომელთა გვარე-ბი არა სჩანს. ესენი მოსულან ღანდალოში და დანდალო გა-უსინჯვათ. დანდალო ძლიერ მოსწონებიათ, ბატონისთვის გად მოსახლების პირობა მიუკით. ბატონს ამათთვის მიუკია ძველი ნაოხარი სოფლები, თითო გვარისათვის თითო სოფელი; სოფ-ლებში სახლები მზად ყოფილა, დანდალოს ეკალესიაც მთლიად მდგარა ამ დროის. სოფლების ჩაბარების შემდეგ ბატონს დაა-წერინეს ამ სოფლების დამტკიცების ქალალდი, ამ ქალალდს შინ წავილებთ და ჩვენს ცოლ-შვილს ვუჩვენებთ და დავარწმუ-ნებთ მათ ამაზედ, თორემ იქნება ჩვენი სიტყვა არ ირწმუნონ და არ წამოვიდნენ აქეთაო.

ეს ქალალდი ქართულად ყოფილა დაწერილი. გლეხები მისულან შინ, ცოლ-შვილისთვის უამბნიათ ყოველივე დაწვ-რილებით, თან წერილიც უჩვენებიათ. დაურწმუნებიათ, რომ იქ ბატონ ყომბაც არ იქნებათ. ბატონს მარტო ხარჯ მივცემთ, ამას გარდა ჩვენ სხვა არაფერი ხარჯი გვექნება. შვილებსაც არავინ დაგვიყიდის, ჩვენი ხემწიფე ნებას არავის მისცემსო. დედაკაცებიც შეგულებულან და რამდენიმე ხნის შემდეგ ზე-მოხსენებული პირები თავიანთ ჯალაბებით გაღმოსახლებულან დანდალოს სოფლებში. სადაც სოფლებში ვინწე დასახლებუ-ლა, იმას ამ სოფლისთვის თავისი გვარი უწოდებია სახელათა, ეს სოფლები დღესაც არსებობენ ამ პირების სახელწოდებით და აქ ამ გვარის ხალხს გარდა სხვა გვარის ხალხიც სკეოვ-რობს.

გლეხნი დასახლებულან, ცოლვრებისთვის მიუყვიათ ხელი და, როცა კარგი მაგრა დამკვიდრებულან და ფეხი გაუმაგრე-



გიათ სოფელში, მერე თევდორე ავალიანს გამოუცხადემოსკა
რომ სულთანის ბრძანება არის, რომ ჩვენ ყველანი უნდა გა-
ვმაჰმანდიანდეთო, ხალხს არ უქნაა. დიდი მწუხარება ჩამოვარ-
დნილა მოხუცებულებში, ზოგს საქართველოში გამოქცევა და-
უპირებია, მაგრამ ვეღარ მოუხერხებიათ, ბოლოს ასეთი პირო-
ბა დაუდვიათ.

ჩვენ მოხუცებულნი ჩვენ სჯულზე დავრჩეთ, დავიხოცე-
ბით და დღეის შემდეგ რაც შვილები მოგვეცემიან, ისინი სულ
მაჰმადიანის წესით იქმნენ მიღებულნიო.

ავალიანი დასთანხმებია, ეს სულთანისათვის უცნობებია.
სულთანს ამისთვის დანდალოს ბეგიობა მიუკია. იმ დროიდ-
გან ზემოხსენებულს ხალხში ვინც დაბადებულა, ყველა გაუ-
მაჰმადიანებიათ და თვით მოხუცებულნიკი ძველის სჯულით
დარჩენილან. სალხი მწუხარებაში ყოფილა, მაგრამ კიდევ მა-
დლობელნი იყვნენ მასზე რომ ჩვენ მოხუცებულნი დაგვტო-
ვეს ჩვენს სჯულზე. რამდენიმე ხნის განმავლობაში მოხუცე-
ბულნი მთლიად მოსპობილან და ახალგაზდები ვინც ყოფილან,
ყველანი მაჰმადიანები და მასთანვე მოყვარენი მაჰმადიანობისა.
ყველა კი მუსულმან თათარი გამხდარა.

ავალიანები დღეს თევდორ-ლოლებად იწოდებიან, სცხოვ-
რებენ ძლიერ ღარიბად, ზოგნი მათგანი ისმალში არიან გა-
დასახლებულნი.

ეს ხალხი აქ ცხოვრება და მუშაობით საქმარისად დამ-
დიდრდნენ. ამათში ქალი, კაცი და პატარა ყოველთვის თავ-
განწირულად მუშაობდნენ ყანაში, ვენახშა და არაფერს ერი-
დებოდნენ, დღეს დანდალოს სოფლების ხალხი სუფთა კარ-
მი მუსულმანები არიან.

შერისის ხეობის გამაპშადიანება.

(სოფ. შერისელის ქართველ მაჲმადიანის მოხუცის ერისთავის ნაშმბობი და სხვების).

ძალით გამაპშადიანებული ქრისტიანობდნენ და ესენი საიდუმლოდ ღორის ხორცაც სჭამდნენ. იგინი გარეულ ღორებს ხოცავდნენ თურმე ტყეში და ატყავებდნენ. იქ სჭრიდნენ ხორცა და მერე შინ მიჰქონდათ. ქვედა მარადიდში ერთხელ ასეთი შემთხვევა მოხდა: ხოჯას დაუკერია ხალხი ღორის ხორცის ჭამაზედ. ამაზედ დიდი დავიდარაბა ამტყდარა, ხალხი სამართალში მიუციათ და ბოლოს აღმოჩენილა, რომ ესენი ჩუმად ქრისტიანები ყოფილან. მათ თავიანთი მღვდელიც ჰყოლიათ. მღვდელი ერის კაცის ტანთსაცმლით ყოფილა; ამათ ღორის ხორციც უჭამიათ, ღვინოც უწურავთ ხოლმე და მით ზიარებულან კიდევაც. ამ ამბების შეტყობის შემდეგ მთელი ეს ხალხი მიურცებიათ ჭოროხის ნაპირზედ, ამათში ქალებიც ყოფილან ბევრნი; უკან ხმალ ამოღებული ოსმალები დასდგომიან და მოლებს დაუყვირნიათ:

— სთკვით, რომ დღეიდან თათრები ხართ, ქრისტიანობები ხელს იღებთ და ღორის ხორც აღარა სჭამთო.

— არ შეგვიძლიანო, დაუყვირნიათ ერთად ყველას. ოსმალებს მიუგია:

— რაკი არ შეგვიძლიანო, მაშ შედით მაგ ჭოროხში და ვინც შიგ გაცურდება, გაღმა გავა, ის დარჩება ქრისტიანად, ვინც არ შევა, იმას ხმალი დახვდება უკან. ამაზე ბევრნი შეშინებულან და განუცხადებიათ, რომ დღეიდგან ნამდვილი რაჲმადიანები ვიქნებით და ყველაფერს ბრძანებას შევასრულებთო. ვინც წინააღმდეგნი ყოფილან, ისინი სულ შესულან ჭოროხში; ჭოროხი ამ დროს დიდი ყოფილი და ყველა ეს საბრალოები შიგ დამხრჩებალან და ერთიც არ გასულა გაღმა. ამ დროს ქვედა მარადიდში 50 კომლი იყო და ყველა ესენი ჭოროხში ისე დაიღუპნენ ქრისტიანების გულისათვის, რომ



სოფელში ნ კომლი ღა დარჩაო და აი ამ მიზეზით მოხსპერებულია
ამ სოფლის მცხოვრებნიო. შემდეგ თურმე დასკინოდნენ მათი
შთამომავალნი, რომ ჩვენმა ძველებმა ღორის ხორცის ჭამის
გულისათვის თავები წორობში დაიხრჩევესო. ამ შემთხვევის შემ-
დეგ-კი მარადიდელნი მთლად გაუმაჰმადიანებიათ და მათი სო-
ფლის ეკულესიაც ჯამეთ გადუკეთებიათ.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ მარადიდელნი ქრისტიანობის
გულისათვის ოსმალების წინ ეწამნენ, დაიუანჯნენ, მათგან დე-
დაკაცებიც კი ებრძოდნენ ოსმალებს გათათრების გულისათვის
სისხლს ღვრიდნენ, მაგრამ არ იქნა, უკანასკნელ იგინიც მო-
ბეზრდნენ ბრძოლას და გათათრდნე სჯულით. ერთ ღამეს, მა-
რადიდის ტყეში, მაღლა, ერთ ეკულესის გვერდით, ექვსმა
დედაკაცია მოიკლა ხანჯლით თავი, ორმა თოკით დაიხრჩო,
სამმა მოიწამლა და რამდენი კიდევ სხვა გვარის სიკვდილი ეწა-
მა, ჩვენ ყველას მერე მოვსთვლით!

აჭარის გამაჰმადიანება.

(სოფ. დერეხოხნაში ნაამბობი ქართველ მაჰმადიანის მოხუცი ლეზგა
მზაცვაძისმიერ)

მე რომ შვიდის წლისა ვიყავი, კარგად მახსოვს, რომ მა-
შინ სოფ. დერეხოხნის ნახევარი ხალხი ქრისტიანები იყვნენ და
ესენი ჩუმად ინახავდნენ ქრისტიანობას. ესენი ღამე შეიყრე-
ბოდნენ ხოლმე ერთს სახლში, ერთს ჭრაქს დაანთებლნენ, იქ
მღვდელი იდგა ხოლმე და ჩუმად ლოცულობდა და ხალხს
ალოცებდა. მღვდელს ვერავინ რას შეატყობდა, რადგანაც ის
ვაჟკაცურად (ერის კაცად) იყო ჩატმული. ეს ჩუმი ქრისტიანე-
ბი მაჰმადიანობისაც ასრულებდნენ, პარასკეობით ჯამეზედაც
მოდიოდნენ და ლოცულობდნენ. ასე და ამ გვარად დიდხანს
ინახეს ამათ თავი, მაგრამ ბოლოს შეუტყეს ეს საქმეები, ყვე-
ლანი დაიჭირეს და გარდაწყვეტით გამოუტადეს, რომ, თუ



ქრისტიანობას თავს არ გაანეცებთ, იცოდეთ, რომ თქმული გეჭრებათო, შეშინდნენ ყველანი და გამაპმადიანდნენ სრულიად. ასე რომ დერეხხოხნის ქართველთ გათათრება 100 წელიწადიც არ არის.

ამ 60 წლის წინად, მე ქარგად მახსოვს, რომ აჭარაში აქა-იქ ჩუმად ღვინოს ღასტურავდნენ ხოლმე ხან დედაკაცები ჩარექებით ეკალესიებში მიიტანდნენ და დააწყობდნენ. აჭარაში ეკალესიებში სანთლის მიტანეც იცოდნენ, ფულის და ბაზბის. ვინმე ავად რომ გახდებოდა, მაშინვე ეკალესიებს მიუტანდნენ ძველ შესაწირავს და იქ დააწყობდნენ, ამის შემდეგ ავადმყოფი მორჩებოდა. ვინმე რომ ყეავილით, ან სხვა რამით გახდებოდა ავად, იმას თქვენებურს ლოცვებს უმღერებდნენ ხოლმე და ავადმყოფები მორჩებოდნენ. ყველა ესენი გადავარდა ამ ოცდა ათის წლის წინად ჩვენს დედაბერს დედაკაცებში თქვენებური ლოცვები დღესაც ბევრმა იცის ზეპირად. მოლება და ხოჯებმა ერთს დროს ჩვენებურს ქალებს დაუშალეს თქვენებურ ლოცვების თქმა; ამიტომ როცა ავად გახდებოდა ვინმე, მაშინ ჩვენი კაცები წავიდოდნენ გურიაში იქ დაიქირავებდნენ გურულს დედაკაცებს, მოიყვანდნენ აქა და ამათ ათქმევინებდნენ ხოლმე ქართულ ლოცვებს და გალობას. მაგრამ ბოლოს ესეც აკრძალეს ხოჯა-მოლებმა, რომ ჩვენის კაცისათვის ქრისტიანის ლოცვა არ შეიძლებათ. თუ გინდათ, ხოჯები წაიყვანეთ და „ყურანი“ და ლოცვები აკითხვინეთო. ასე დაავიწყდა ხალხსა და მას შემდეგ ჩვენში ავადმყოფი რომ შეწუხდება, ამისათვის ხოჯას იხმობენ და ლოცვას წააკითხებენ „ყურანიდამ“, რომ ავადმყოფი მორჩეს.

აჭარის ვამაპმადიანება.

(ნამბობი თევდორე ორცველის სააკ-ოლლისაგან).

აჭარა ყველაზედ გვიან გამაპმადიანდა. სპარსელს საქარ-



თველოსთან ომი ჰქონდათ. სპარსელთ ქართველებს ვერცხლის
დააკლეს, მათ მხოლოდ აქარა დაიჭირეს და ბევრი შავი დღე-
ებიც დააყენეს. ქართველნი ძრიელ შეწუხდნენ ამაზედ. მცირე
ხნის შემდეგ ესენი დაირაზმნენ სპარსელთ წინააღმდეგ და
ერთს დღეს ომი განუტხადეს: აქარელთ დახმარნენ სხვა ქარ-
თველნიც, ამათ დაიწყეს ომი და სპარსელნი საქართველო-
დან განდევნეს და თავიანთი ქვეყანა განათავისუფლეს. რამ-
დენიმე ხნის შემდეგ ოსმალნი კანკოს გონიამდის მიერთები
და გონიაში გაიმაგრეს ფეხი. გონიის ციხიდამ ამათ დაიბარეს
აქარის მოწინავე პირები და გამოუტხადეს ასე:

— სპარსი გარეკეთ. ბევრი წვა-დაგვა მოგადგათ, ახლა
ჩვენ გვინდა აქარაში შემოვიდეთ და ძალით თქვენი ქვეყანა
დავიკიროთო. თუ გინდათ, თქვენ ჩვენ ნებით დაგვმორჩილ-
დით და თავი დაგვიკარით, თუ არა და ჩვენ ძალით შემოვალთ
აქარაში, — ომს დავიწყებთ და ძალით დაგიმორჩილებთ.

დაფიქრდნენ ქართველნი, პასუხი იქ ვერ მისცეს, სოხუ-
ვეს შემდეგი:

აქარაში გაგვიშვით და იქ ჩვენებს დავეკიოხებით და მალე
მოგცემთ პასუხს.

ქართველნი წამოვიდნენ აქარაში და ყოველისფერი აქარ-
ლებს მოახსენეს, რომ ოსმალნი ასე გვითვლიან და თქვენ რას
იტყვიოთო? ერმა მოუგო:

— ჩვენ არ შეგვიძლიან, ოსმალს თავს ვერ დავუკრავთ,
მათი თავის დაკვრით ბოლოს ჩვენ გაგვათათრებენ და დავი-
ღუბებით. ხალხი უარზედ დადგა. მოწინავე პირებმა რჩევა მის-
ცეს ასე:

საქმეს წავიგებთო. ისევ ნებით დავუკრათ თავი. ხალხმაც
ნება მისცა. ესენი წავიდნენ და ოსმალთ მოახსენეს ასე:

ოლონდ ნუ აგვაოხრებთ და ჩვენ ჩვენის ნებით გემორ-
ჩილებით. ოსმალთ მიიღეს, იმ ყველა მოწინავე პირებს დახმა-
რება მისცეს. სიჩუქრები, მიწები დაურიგეს და როგორც თა-
ვისის ნებით დამონებულს ერს ხარჯად ათის თავი დაადეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ოსმალთ ამ პირებს აქარის ადგი-



ლების გამგეობა ჩამოარითვეს და მის ნაცვლად საჩუქრები უნიშნეს. ამის შემდეგ ოსმალთ გამოუცხადეს ქართველებს, რომ ოქვენ ოსმალური ენა უნდა შეისწავლოთ, რადგანაც სახელმწიფოსთვის ეს საჭიროა. მალე სტამბოლიდგან გამოუგზავნეს მასწავლებელ ხოჯები და ქართველ ყმაშვილებს სწავლება დააწყებინეს თათრულის ენისა და წერა-კითხვის. რომელ ყმაშვილიც-კი დაისწავლიდა თათრულს ანბანს, იმას კარგს საჩუქრებს და საქმეებს აძლევდნენ; ამით წაახალისეს ქართველთ ბავშვები და მათში აღორძინეს თათრულის ენის სიყვარული.

რაკი ეს მოხდა, მერე ხოჯებმა ბავშვებს მცირეოდნად მუსლიმანობაზე ქადაგებაც დაუწყეს და ეს სარწმუნოება ყმაშვილებს შეასწავლებს. ამ დროს აჭარა ისევ ქრისტიანობაში იყო. ოსმალთ დაიწყეს დიდად მეცადინება. მალე ოსმალთ მიიჩნეს ქართველთ მოწინავე პირები, ამათ მისცეს დიდი საჩუქრები, და სოხოვეს შემდეგი, თათრის სჯულის გავრცელებაში თქვენ ჩვენ დაგევხმარეთო.

მოწინავე პირებმა სიტყვა მისცეს და დაიწყეს მაჰმადის სჯულის გავრცელება ქართველ ხალხში. უმეტესად ახალგაზღებში ავრცელებდნენ ამას და მოხუცებულებს ისე სტოვებდნენ, ნამეტურ ქილებს. რამდენიმე ხნის შემდეგ აჭარას გამოლმა მხრის უმეტესი სოფლები გამაჰმადიანებულ იქმნა. ყველაზედ დიდი ხანი ქრისტიანობით თავი შეინახეს გაღმა მხარში ქედამა და სოფ. ორცვამ. აქ ქრისტიანობის სასტიკ მფარველიდ სოფ. ორცვის მღვდელი გაჯაბაძე იყო. ეს მღვდელი იყო დიდი მქადაგებელი, მოყვარე და პატივისმცემელი ქართველთა, ეს მღვდელი დღე და ღამე დადიოდა ხალხში და ხალხს ამაგრებდა. ეს ამბები ოსმალთ იცოდნენ, ორცვის კავაბაძე მღვდელს დიდად ემუქრებოდნენ, მაგრამ მღვდელი მაინც არ უშინდებოდა მუქარას.

ეს მღვდელი ქედის დიდს ეკულესიაში დადიოდა, იქ ზარს რეკავდა. ოთხი-ხუთი სოფლის ხალხს ლოცვაზე იხმობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ზაჰმადიანობა ქედაშიაც შემოვიდა; ახალ გამაჰმადიანებულ ქართველთ კავაბაძე მღვდლისა ძლიერ ეში-



ნოდათ და მაჰმადიანობას ჩუმიად ინახავდნენ. განვლო არა მარტო არა მარტო ნიშე ხანმა და ამათ ჯამეს კეთება მოინდომეს, მაგრამ კეთებას ჯერჯერობით ვერ ჰპედავდნენ, კაკაბაძე მღვდლის შიში ჰონდათ.

ბოლოს ეს ეკკლესიაც დაუქცევიათ. კაკაბაძე მღვდელი მოსულა, შორიდგან შეუხედნია და ეკლესია დაქცეული უნაზეს. ეკკლესის გვერდით-კი უცბად დაღვმული ხის ჯამე. კაკაბაძე მღვდელი გულს შემოჰყრია, ტირილი დაუწყია და უთქვამს:

— ვაი მე, ახლა-კი დაეცა აჭარაო!..

ბევრი უწუხნია, ხალხშიაც ბევრს ცდილა, რომ ქრისტიანობა არ დაცემულიყო, მაგრამ ვეღარა მოუხერხებია-რა. ბოლოს საქმე იქმდის მისვლია ამას, რო სოფ. ორცვალგან გაქცეული და ჩაქვისაკენ წასულა, რადგანაც ჩაქვის იქთა მხარე იმ დროს საჭართველოს ეკავა და იქ ისევ ქრისტიანი ქართველები იყვნენ. კაკაბაძეს ცოლ-შვილი-კი ორცვაში დარჩენენ და მღვდელს იგინი აღარივინ დაანება. ესენი ოსმალოს მთავრობამ გამოიკითხა და კაკაბაძე მღვდლის შვილებს ქეშიშ-ოლ-ლი უწოდეს და ერთს შვილს თათრული წერა-კითხვა დაასწავლეს, მალე ხოჯა გახდა, ასე უთხრეს:

რადგანაც მამაშენი ქეშიში, მღვდელი იყო, იმის ნიშნად ამ დღის შემდეგ ამ სოფლის მღვდლობა თქვენი გვარის კაცებს ჰქონდესთ.

მას შემდეგ ასეც არის და ორცვაში ხოჯა-მოლობა ყოველთვის ქეშიშ-ოლლებს უკავიათო. ამ მღვდლის შემდეგ-კი აჭარაში მაჰმადიანობა ერთობ კარგი წიგიდა, მხოლოდ მოხუცებულებს-კი არ ამაშემადიანებდნენ და ქართველ ქალებსაც ხმას არა სცემდნენ.

გამაჰმადიანების შემდეგ აჭარის ქართველებში მევენახობა ამოგარდნილა. ამბობდნენ ხოლმე, რომ მთელი აჭარა სულ ვენახებად იყო გარდაქცეული და სოფლიდან სოფლიმდის სულ ვენახებით იყო დაფარულით. ზოგნი-კი ამბობენ, რომ ვენახები ვითომც აჭარაში სპარსელებმა მოსპეს და ამათ შემდეგ რა-



კი აჭარა ოსმალთ აიღეს, მის შემდეგ, აქ ქართველები უშლიდა ზის გაშენება ველარ გაბედეს, რაღანაც ოსმალეთიც უშლიდა ამასაო.

შემდეგ და შემდეგ ოსმალოს ხოჯებმა ქართველებში დაიწყეს ქართულის ენის მოსპობის შესახებ ქადაგება, რომ მუს-ლიმანი კაცი ქართულ ენაზედ არ უნდა ლაპარაკობდესო. მაგრამ ენა-კი ვერ მოსპეს და რაც ქართული ძველი წიგნები იყო, ესენი-კი სულ დააწვევინეს, რადგან ესენი ხალხს ეუბნებოდნენ:

სახლში ქართული წიგნების შენახვა ჩვენის სჯულის წინააღმდეგია. ხალხს არაფერი ესმოდა; ასეთი ქაღალდები თვით ჩვენს ძველებსაც დაუწვავთო.

მე, მახსოვეს, რომ აქეთკენ დიდრონი წიგნების ტყავები-საგან ჩასაცმელ ჩუსტებს აკეთესდნენ, ქალამნებს, პატარა გუდებს და სხვა-და-სხვა ნივთებს აკრავდნენ ზევიდგანაო. ზოგი-ერთი ისეთი წიგნები ყოფილა აქეთ, რომ თითო წიგნი ნახევარი ფუთი გამოვიდოდა.

ხოჯებისა და მოლების ასეთი ქადაგების მეოხება იყოვო, რომ ამ თხუთმეტი წლის წინად (ეს ნაამბობია 1891 წ. მაზა-სადამე ეხლა 1015 წ. 40 წლის წინედ იქნება). აჭარის ორს სოფელშიაც დაუწვავთ წიგნები, სახელდობრ: ხერთვისსა და კაპნის თავში.

აჭარის გამაპმადიანება.

(ნაამბობი ქედაში ორცელის ქართველ მაკმადიანის შავლედა ნაკაშიძის მიერ).

I

აჭარაში გამაპმადიანება ლივანიდან. შემოუტანით. პირ-ველად მაკმადიანობა აჭარის მარჯვენა მხრის სოფლებისკენ გაუვრცელებიათ, მარცხენა მხრის სოფლები კი ისე დაუტოვე-

ბიათ. მარჯვენა მხრის სოფლები გავამაჲმადიანოთ და მარცხენა მხრის ხალხი თვითონ მოგვყვებაო. გამაჲმადიანებულთ და ქრისტიანთ შორის ყოველნაირი მეგობრობა მოსპობილა.

ერთხელ, ერთ ქრისტიან ქართველთაგანი გასულა მაჲმადიან ქართველ სოფლებში. რამდენსამე დღეს ეს ბიჭი ერთს სოფელში დარჩენილა, თავისს ნათესავებში. აქ ეს ბიჭი ბევრის დარიგების შემდეგ გაუმაჲმადიანებიათ. გამაჲმადიანების შემდეგ ბიჭი გასულა გაღმა. ქრისტიან ქართველებს უნახავთ და უკითხავთ:

— ბიჭო, ამდენს ხანს რას აკეთებდი იშ თაორებშიო? ამან მიუგო:

— გამაჲმადიანებ, ალი დამარქვეს სახელადაო. ქართველი გაოცდნენ და უთხრეს:

ბიჭო, მიტომ გახველი თათარში, რომ გახტიალდი? აი შეგირცხვეს კაცობა!

ეს ბიჭი სულ მთლად მოიძულეს ქართველებმა. მეტ სახელად გახტიალდი უწოდეს. შემდეგ ცოლი შეირთო ამან, შვილებიც გაამაჲმადიანა, გვარად გახტიალდი დაერქვათ; დღესაც ასე იწოდებიან. ბოლოს მარცხენა მხარეც გამაჲმადიანებ. ვინც არ ინდომა გამაჲმადიანება ისინი სოფელ სალორეთში წავიდნენ და იქაურ ციხიდგან იბრძოდნენ ოსმალთ წინააღმდეგ უბრალოდ.

ნაკაშიძები გურულები ყოფილან; გურიაში რაღაც საქმე ჩაუდენიათ. ამათ სხვა თავადიშვილები დახოცეს: ამის გამო ამათ გადაეკიდა გურიელი. მაშინ ნაკაშიძენი სამნი ძმანი ყოფილან. ერთი ძმა ბალდადში გაქცეულა და იქ გამაჲმადიანებულა. მეორე ძმა სტამბოლში გაქცეულა და იქ გამაჲმადიანებულა, ამისთვის მალე ფაშობაც მიუციათ. მესამე ძმა აჭარაში მოსულა, სოფ ორცვაში დასახლებულა, მერე ცოლ-შვილიც მოუყვანია აქ. რამდენიმე ხნის შემდეგ ესენიც გამაჲმადიანებულან. ერთხელ ნაკაშიძე თავის გამაჲმადიანებულ შვილებით სადღაც ერთ მთაზედ წასულა. მთიდგან ძირს გადაუხედიათ



და ერთი უშველებელი ტყე უნახავთ, რომელიც ხილობრივი ფილა სავსე, ნაკაშიძემ რომ დაინახა ბევრი ხილი, დაიყვირა. ეს რა ბევრი კაკა არისო.

ამის გამო იმ ალაგს კაკა დარქმევია; მერე იქ სოფელი გაშენებულა და სოფლისთვისაც კაკა უწოდებიათ; თვით მას,— კაკაძე დარქმევია, და ახლა-კი კაკა-ოღლი არიან. სოფ. ორ-ცოვაში ნაკაშიძებს დიდათ უმეცადინეათ ხალხის გამაჭმადიანებაზედ, ამით ხალხისთვის ბევრი სიკეთე უქმნიათ და სისხლი არ უღვრევინებიათ.

მერისის ხეობას მიტომ დაერქვა ეს სახელიო, რადგანაც, როცა აქარას ამაჭმადიანებდნენ, მოლები ამბობდნენ: მერე ისით.

II

— ჯერ აქარა გავამაჭმადიანოთ, ჯერას ამას მოვრჩეთ და მერე ისი, ანუ მერე ისით და ამისაგან დაერქვა ამ მოცილებულს ხეობას მერისით.

III

ქედას ზევით, ვაიოს პირდაპირ, არის ერთი მთა, რომელ-საც სახელიად „ქალო ჯვარის“ უწოდებენ. ეს სახელი მას ამ შემთხვევის გამო დარქმევია: ვაიოს მხრის ქართველ ქრისტიანები გამაჭმადიანდნენ, დარჩნენ გაღმა მხრისა. გაღმა მხრის ერთი ქალი ერთხელ ვაიოსკენ გავიდა; იქ ეს გამაჭმადიანდა და ერთ ახალ გამაჭმადიანებულ კაცზედ დაინიშნა. დანიშვნის შემდეგ ეს თავიანთსა დაბრუნდა და შინ გამოუცხადა:

მე გავმაჭმანდიანდი.

ამაზედ მთელი სოფლის ხალხი გაოცდა, რადგანაც იქედ ყველაზედ ძნელად უფრო ქალები მაჭმადიანდებოდნენ. ქალმა შინ რამდენიმე დღე დაპყო და თავისი ბარგი მოაგროვა, ვა: უიანთას პირებდა წასვლას. დედ მამა არ უშვებდა. ესენი ეუ-ბნებოდნენ:

— ქალო, პირს ჯვარი დაიწერე, ქალო, პირს ჯვარი და-



იწერე, რა შენი საქმეა მაჰმადიანობა. ქალო, პირჯვარი მაჰმადიანობა ცხვილიაო.

დედ-მამამ და ნათესავებმა საქვეყნოდ შეარცხინეს ქალი და უვიროდნენ.

ქალო, ჯვარი დაიწერე. აი ამ ადგილსაც მიტომ დარქმევია „ქალო-ჯვარა“, რაღანაც ეს ამბები აქ, იმ მთაზედ მომხდარა.

კახაბერის, აჭარის, შუახევის და ხულოს გამაჰმადიანება.

(ნამბობი სოფ. ზეარელ 80 წლის სელიმ აღა-იშიოღლისაგან და სხვა მაჰმადიან თურმანიძეებისაგან).

ოსმალთ აჭარა მაგრა დაიმორჩილეს. მერე გამაჰმადიანება დაუწყეს, მაგრამ საქმე ერთობ გაუჭირდათ. აჭარელებს ოსმალთაგან მოციქულები მოუვიდათ და მაჰმადიანობა განუცხადეს; მოციქულები უკან დააბურნეს, თან გააყოლეს თავიანთი მოციქულებიც და შეუთვალეს ასე:

— ჩვენ გვიმსახურეთ ისე, როგორც გენებოთ, ხოლო სჯულს-კი თავი დაანებეთ, ჩვენ ჩვენს სულს არ დავჰკარგავთ, გავმაჰმანდიანდებით:

ქართველების ასეთი უარი ოსმალოს ფაშას ძლიერ ეწყინა. მალე ტრაპიზონიდგან ოსმალოს ჯარი მოვიდა, კახაბერში ომი ატყდა. ომში ოსმალნი დაეცნენ, აჭარელნიც ბევრნი გაწყდნენ; ბოლოს ოსმალთ დააწყნარეს ხალხი, დაიმეგობრეს დამშვიდებით თათრობის სიწმინდე და სიკეთე, ასეთის კეთილის დარიგებით, ბათუმის ზემოდ, კახაბრისა და აჭარას შეა, პირველად სოფ. ერგეს ხალხი გამაჰმადიანდა. ოსმალთა, მუსლიმანთა ხალოცავი ჯამეც პირველად ამ სოფელში გააკეთეს. აქედან წავიდნენ აჭარისაკენ და დაიწყეს მეცადინება, მაგრამ მალე ვერსად რა მოახერხეს, ვერც თხოვნით და ვერც შიშით ვერავინ გაამაჰმადიანეს. უკანასკნელნი მივიდნენ სოფ. ორცოში და მცხოვრებთ დაუწყეს დარიგება ასე:



— ერგე გამაჰმადიანდა და თქვენ რას იტყვით? ეროვნული
სიმუზიუმის

ორცოს მცხოვრებთ ეს წინადადება ჯერ ეუცხოვათ, ეპავ-
რათ, მაგრამ მალე დამორჩილდნენ ბრძანებასა და მიუვეს:

— ყოველივეს აღვასრულებთ, რასაც-კი გვიბრძანებთ,
გავმაჰმანდიანდებით, სიამოვნებით.

ესენი მალე გამაჰმანდიანდნენ, მეორე ჯამეც ამათში გა-
აკეთეს, კაკაშვილების სახლების მახლობლა. აქედან წავიდნენ
მერისში. მაშინ სოფ. მერისში 700 კომლი სცხოვრობდა. ოს-
მალთ მერისელთაც აცნობეს გამაჰმადიანება:

— ერგე, ორცო და სხვა სოფლები გამაჰმადიანდა, თქვენ
რალას იტყვით. მაჰმანდებით თუ არა?

მერისელთ უარი უთხრეს:

— არ გავთათრდებით, გინდა დაგვხოცეთ და მაგას კი
ვერ ვიზამთ!

რამდენიმე დღის შემდეგ ამათში ჩხუბი გაიმართა. ს. მე-
რისის მცხოვრებთ რიცხვი მთლად გაწყდა; შვიდას კომლში
მხოლოდ ერთი გვარის რამდენიმე ოჯახი გადარჩა, ცეცხლა-
ძეები. დანარჩენნი: კაცი, ქალი, მოხუცი, ახალგაზდა და ყმა-
წვილი გამწყდარან მთლად ბრძოლაში. მერისში მაშინ სოფ-
ლის სახლები ისე ახლო-ახლო იყო, რომ კატა ერთის სახლის
სახურავიდან მეორე სახლზედ გადახტებოდა ხოლმეო. ეს სახ-
ლებიც მთლად დაუქცევიათ ოსმალთ. ბოლოს ცეცხლაძეებიც
გამაჰმადიანებულან. მერისელთ უბრალოდ დაუღვრიათ სისხლი
და საქმენიც წაუხდენიათ. მერისელთ გათათრების შემდეგ მე-
სამე ჯამეც მერისში დაუდგავთ. აქედგან წასულან შუა ხევის
სოფლებში და სოფლელებისოვის უთქვამთ:

— აქარა გამაჰმადიანდა და თქვენ რალას იტყვით, გა-
მაჰმადიანდებით თუ არა? შუახველთ გამოუცხადებიათ:

— რაცი აქარელნი გამაჰმანდიანდნენ, მეტი რა გზა გვაქვს,
ჩვენც გავმაჰმადიანდებითო. შევიტყეთ რომ თათრობა წმინდა
რამ არის.

ესენიც გამაჰმადიანებულან. ამათთვის დაუდგენიათ ხოჯა და
მეოთხე ჯამეც აქ გაუკეთებიათ. შუა ხევის გამაჰმადიანაბის



შემდეგ ოსმალნი წისულან ხულოში, მაშინ იქ ერთი მღვდელი მჯდარა და ერთიც ქართველი თავიდიშვილთაგანი. ოსმალთ ამათვისაც განუცხადებით გამაჰმადიანების ამბავი.

— ფადი-შაჰის ბრძანება მოვიდა და გეცხადებათ, რომ თქვენ უნდა გამადიანდეთ, წმინდა სჯულის გახდეთ.

უფროსს მღვდელს და მართველს თავადს უთქვამთ:

— ჩვენ, ხალხის გამაჰმადიანებაზე პასუხს ვერ მოგცემთ. ჩვენ, არ ვიცით, ხალხი რას იტყვის. დღეს ხალხთან მოვილაპარაკებთ, ხვალ გადავწყვეტო საქმეს და ზეგ მოგცემთ პასუხს.

ოსმალნი დასთანხმდნენ. დიდმა მღვდელმა და თავადმა ფადი-შაჰის ბრძანება ხალხს აცნობეს, მაგრამ ხალხმა სოჭა:

— არ გვინდა, არ გაემაჰმადიანდებით, დავიხოცებით მაგას კი არ ვიზამთო.

მეორე დღის საღამოს შეშინებული დიდი მღვდელი და თავადი ხულოდგან სხვაგან გაიქცენ და დაიმალნენ. ხალხი უპატრონოდ დარჩა. ამიტომ მათში დიდი შლილობა მოხდა. ოსმალთ ბევრი აღარ აცალეს და პირველ ბრძანებისათანავე დაუწყეს გამაჰმადიანება, ფადი-შაჰის ბრძანების ასრულება, ძვირად დაუჯდათ, ზეგნელთ, ესენი ცხარედ ებრძოდნენ, თითქმის მთლიად გაწყდნენ უბრალოდ. ვინც დარჩნენ, იმათ პირობა მისცეს ასე:

— ოღონდ ჩვენ ნუ გაგვამაჰმადიანებთ, მოგცემთ პირობას, რომ დღეის შემდეგ ჩვენ ჩვენს შვილებს-კი გავამაჰმადიანებთო, ასე მოისპობა ერთ დროისთვის აქ გიაურობა. ჩვენ მოხუცნი ვართ და ამიტომ ასე იქმნეს ჩვენი თხოვნა შესრულებული.

ოსმალთ ნება დართეს. ხალხი დარჩა თავისს სჯულზე, მხოლოდ ვისაც შვილი მიეცემოდა, ის-კი ოსმალთა „სუნეთს“ უნდა მიეღო და გაემაჰმადიანებინა. მაშინ მოსიარულე „სუნეთები“ აქ ბევრი ყოფილან ოსმალოდგან მოსულნი. იმ დღიდგან პირობისამებრ ხალხს დაუწყვიათ შვილების გამაჰმადიანება და 10—15 წლის განმავლობაში უკვე გამოჩენილან პატარ-პატარა ქართველი თათრები. ერთს ზაფხულის დღეს,



ქრისტიან ქართველებს ყანაში მკა ჰქონიათ. ერთ ხნიერ კუცუს
ერთ ახალ მოზარდ ქართველ მაჰმადიანისთვის უთხოვნია ასე:

— შვილო, თათარო, წალი ერთი დოქტი ცივი წყალი მო-
ქტანე. ყმაწვალ ბიჭს ძლიერ სწყენია თათრად წოდება და უთ-
ივამს:

— მე თათარი რაში ვიქნები, თათარი-კი არ ვარ, ქრის-
ტიანი ვარ, ქართველი. იქ მყოფი მიუგიათ:

— რა ვქნათ, შვილო, მაგრე ხარ შენ გადანათლული და
ჩვენ რა ვქნათ. ჩვენც არ გვინდოდა, მაგრამ ბრძანებამ გაგა-
თათრა. ყმაწვილი ბიჭი ძლიერ გაგულისდა, გაგულისებული
საჩქაროდ გიქცა ყანისკენ, ერთი გოჭი დაიჭირა, ხელდახელ
დაკლა, გამოწლა, ხორცი შესწვა მწვადად, მალე კამა დაიწყო
და თან უყვიროდა ხალხს:

— ეხლაც თათარი ვარო ახლა მაინც არ დამეხსნებითო?

მაჰმადიანობის პატივის-მცემელთ ქართველთ ჯავრი მოუ-
ვიდათ და ამათა სთხოვეს მას:

დღეის შემდეგ აღარი ჰქნა შვილო ეგ, თორემ საქმე ცუ-
დად წაგივა. ფადი-შაპი შეგიტყობს, მაშინათვე დაგსჯიან სას-
ტიკად.

ასევე დაურიგებიათ ყმაწვილი დედ-მამას. ყმაწვილს პი-
რობა მიუცია და უთქვამს შემდეგი:

— დღეის შემდეგ აღარ ვიზამ ასეთ საქცესა, დღეში ხუთ-
ჯერ ნამახს ვილოცამ, ყოველს ვახტის ლოცვისათვის ჯამეში
წავალ, წმინდა მაჰმადიანობას დავიჭერ, ქრისტიანობას და
ქართველებს შევიჯავრებო. ასეთი ამბები ბევრი კიდევ სხვა
მომხდარა მაშინ გამაჰმადიანების გამო. მოხუცებულნი კაცნი
და დედაკაცები ხშირად მოგროვდებოდნენ ძველ ეკკლესიების
გვერდით და ლოცულობდნენ, მათ მღვდლები ანუ ქეშიშები
კი აღარ ჰყვანდათ. მათ სოფელ ზვარეს ეკკლესიის ნივთები
სულ მიწაში დაუმარხავთო.

აჭარაში და ნამეტურ მერისის ხეობა თუმც გასწყდა სჯუ-
ლის გამო ბრძოლაში, მაგრამ შემდეგ ისევე გამრავლდენ. გუ-
რიიდგან ძლიერ ბევრი გაჭირებული გლეხ-კაცობა მორბოდა,



მაჰმანდიანდებოდა და სახლდებოდა, რადგანაც საქართველოს შემოსის ში მებატონები ძლიერ აწუხებდნენ თავიანთ ყმებს. აქარელებს ხელობად ჰქონდათ მიღებული, საქართველოში სიარული და გოგო-ბიჭების სყიდვა. ესენი დაზიოდნენ გურიაში, ქართლ-ში, იმერეთში და სხვაგან, ქართველ თავად-აზნაურებისაგან ჟიდულობდნენ დიდ-ძალ გოგო-ბიჭებს; ამათ მოერეკებოდნენ აქ, ყველას ათათრებდნენ, ზოგს აქვე ასახლებდნენ და ამით ამ-რავლებდნენ მაჰმადიანებს. ზოგიც მიჰყვანდა ტრაპიზონს, სტამ-ბოლს, ქურთისტანს და იქაურს დიდრონ ფაშებზედ ქართველ ყმაწვილებს კაი ფასად ჰყიდდნენ.

მერსის ხეობის სოფლელებს ერთი დიდი ეკკლესია ჰქონიათ. ეს ეკკლესია ხალხის გამაჰმადიანების შემდეგ დაუქცევიათ. ამ ეკკლესიის საძირკველზედ კარგი ჯამე დაუდგამთ. მერისელ ქართველებზე ერთობ გაჯავრებული ყოფილან: ვაი, თუ მერისის ხეობას მსგავსად სხვა სოფლებმაც გვიმტყუნონ და გვეჩებნონ ისე, როგორც მერისელები შეგვებნენო. მერისის ეკკლესიის ნანგრევებს ხალხი ახლოს არ ეკარებოდა, უკანასკნელ ხანებში კი ეს ქვებიც გაუზიდ-გამოუზიდნიათ. ერთი წამლებთაგანი ავად გახდა და მოკვდაო. ასეთ იმბებს მერისელ მოხუცნი ხშირად ლაპარაკობდნენ და თან დასძენდნენ:

— ალბად ცოდვა უოფილა ეკკლესიდგან ქვების წალება, აქაური ეკკლესიები სულ ჩვენი ძველების გაკეთებულია.

აღრე მერისში ერთ ალაგას მიწის თხრის დროს „ხაჩი“ იპოვნესო, ე. ი. ჯვარი. ჩვენდა საკირველად მერისის ხეობა-ში და მთლად მთელს ქართველ მაჰმადიანებში ჯვარს. „ხაჩს“ უწოდებენ. ეს წოდება სომხურია. ქართულად ჯვარს ნიშნავს. მე ვკითხე.

თუ ხაჩს რად ახსენებთ, რატომ ქართულად არ უწოდებთ მეთქი.


მათ მკითხეს:

— ქართულად რა ჰქვიან ხაჩს? მე მივუგე:

— ჯვარი. ხაჩ სომხურია! მათ მითხრეს:

— ჩვენი ძველებიც ასე უწოდებდნენ, ოსმალურაოც ასე



უწოდებენ. ალბად ოსმალთაგან შემოსულია ეს სახელი  თული დაკარგული.

ყველგან ეკვლესიას აქაც „ქლესიას“ უწოდებენ. წინად ჩვენში ვისმეს ბავშვი რომ ავად გაუხდებოდათ და შეუწუხდებოდათ, ავადმყოფებს, ძველს ნაეკლესიარებში მიიყვანდნენ და ალოცებდნენო, იქ ლოცვა წამლად მიაჩნდათო. ამის ნაცვლად მოლებმა და ხოჯება შემოიღეს ავადმყოფის გვერდით „ყურანის“ კითხვაო. ეს უფრო უკეთესია მუსულმანი კაცის-თვისო.

ჩაქვისა და კინტრიშ-ქობულეთის გამაჰმადიანება.

(ნაამბობი ს. აქცვისთაველის 110 წლის ქამჯარაძისაგან).

მე პატარა ვიყავი, ასე 6—10 წლისა ვიქნებოდი, როცა ოსმალები ბათუმის აქეთ წამოვილნენ, ციხის ძირს მოადგნენ. რადგანაც მაშინდელი გურიისა და ოსმალოს სინორი ციხის ძირთან იყო. გურულებსა და ოსმალთ დიდი ჩხუბი მოუხდათ. გურიელები მაშინ ჩვენში ცხოვრებდნენ და ხალხს აქეზებდნენ ომისათვის, ყველაზედ კარგად ჩვენები ომობდნენ. ციხის ძირთან დიდალი ხალხი გაუწყვიტეს ოსმალთ, მაგრამ ბოლოს მაინც გაჭირდა საქმე, ოსმალთა გვძლიეს და ციხის ძირს გადმივიდნენ, ესენი აქეთ ფეხს ვერ გადმოდგამდნენ, მაგრამ ჩვენში გამოჩნდნენ ისეთი ჭკვიანი კაცები, რომელთაც იფიქრეს, რომ ცარიელი სისხლის ღვრით არაფერი გამოვა და ამიტომ ისევ მოტჩილება სჯობიაო. კაი ქმნეს ამათ, ესენი გახლდნენ სოფ. ზენდიდელი გუგუნავები, დუმბაძეები და ძეელი ქობულეთელ ჭყონიები. ამათის დახბარებით გადმოვიდნენ ოსმალნი სინორს და მთლად ჩაქვი დაიჭირეს.

მაშინ ჩვენს მხარეს სახელად კახაბერი ერქვა. კახაბერი ჩოლოქიდგან იწყებოდა, აჭარისა და ლაზისტანის სინორზედ თავდებოდა. ასე ამ მხარეს ძველი კახაბერი ერქვა და არა



ჩაქვი. გათუში, ქობულეთი, კინტრიში და სხვ. ეს ბოლო შემოვიდა ხმარებაში. ჩაქვის აღების შემდეგ ოსმალნი კინტრი-შისკენაც მალე გადმოვიდნენ, ორი კვირის განმავლობაში მთლად დაიმორჩილეს აქაურობა. მერე აქედგან ხინოსკენ წავიდნენ. ხინოში მაშინ ეკალესია იყო, იქ დიდი ქეშიში (ეპისკოპოსი) იჯდა. იმ ქეშიშს სხვა ქეშიშებიცა ჰყვანდა, ესენი სოფლებში დადიოდნენ; ჩუმად აქარის სოფლებშიაც გადადიოდნენ, იქ გამაჭმადიანებულს ხალხს რაღაცებს უშვრებოდნენ. ოსმალებმა ეს დიდი ქეშიში თავის სხვა ქეშიშებით იღარ დააყენეს, მალე გამორეკეს იქადგან და უთხრეს, რომ აქ ერთი ქეშიშიც კმარაო. ქეშიშები სულ წამოვიდნენ იქ დარჩა დიდი ქეშიში მარტო. ჩვენება დადიოდნენიქ სალოცავად და ცხვარი და ქათმები მიჰყვანდათ ქეშიშისათვის; ჩვენს გარდა სხვებიც დადიოდნენ სალოცავად. ხან-და-ხან ცეკვა-თამაში და თოფის სროლაც იცოდნენ.

ოსმალების აქ დაბინავების შემდეგ ჩვენებურები აქ არ დგებოდენ, ნახვარი ჩაქვა და ქობულეთი გურიაში გადასახლდა, სახლ-კარს ოხრად სტოვებდნენ და მიღიოდნენ გურიელებისაკენ, რადგანაც გამაჭმადიანებისა ეშინოდათ. თუმცა პირველად ოსმალები არ გვამაჭმადიანებდნენ, მაგრამ ჩვენებს მაინც ეშინოდათ, რადგანაც ამ დროს აქარა უკვე გამაჭმადიანებული იყო. ბევრნი დარჩნენ აქა და ბევრნი გაიქცნენ გურიისაკენ; გაქცეულები იქ ძალიან დაღარიბდნენ. ჩემი დედისდედაც გაიქცა, მეც თან წამიყვანა. ჩვენ წაგვიყვანეს ქუთაისისაკენ, ერთ სოფელში, სადაც ჩვენი ნათესავები სცხოვობდნენ, ჩვენი მეგვარები. იქ კარგა ხას დავრჩით. მე კარგად მახსოვს, რომ იქ ორჯელ მაზიარა ეკალესიაში ჩემთა ნენემ და ღორის ხორციც მიჰამია. ბარე სამჯერ (ე. ი. ბევრჯელ). იმერეთში ღორს ძალიან სჭამენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამბავი მოვიდა, რომ ოსმალები ხალხს არ ამაჭმადიანებენ; ამბობდნენ, რომ ჩვენ ძალით არავის გავამაჭმადიანებთო და ამიტომ უველანი ჩვენის სახლ-კარი-საკენ და სოფლებში დავბრუნდითო. თუ გამაჭმადიანებას დაგ-



ვიწყებენ, მერე კიდევ გამოვიქცეთო, ძლიერ ბევრნი დასტურებისაკენ. ხმდნენ ამაზედ და დაბრუნდნენ თავ-თავიანთ სოფლებისაკენ. ყველა დაბინავდა თავის სახლში. ეკალესიებში ხუცები ლოცულობდნენ, ხინოს ხუცესსაც ნება მისცეს სხვა ქეშიშების მოყვანისა. ჩვენც ჩვენს სოფელს აჭყვაში დავდექით. ოსმალებს მცირე ხარჯს ვაძლევდით, არ გვაწუხებდნენ, არც სჯულზე გველაპარაკებოდნენ. ბევრნი თავადები და აზნაურები კი არ დარჩენ ჩვენსკენ და გურიაში გადავიდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ოსმალმა ლიდ-ძალი ჯარი მოიყვანა და ჩვენი და გურიის საზღვრები შეჰკრა. ზოგი ჯარი სახვრებზე დააყენა და ზოგი სოფლებში: ჩვენ გვეგონა, რომ ჯარი საზღვრების გასამაგრებლად მრიყვანესო, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. რამდენიმე დღის შემდეგ მთელი კინტრიშ-ქობულეთის მამაკაცები ერთ ალაგას დაიბარეს და გამაპმადიანება გამოუცხადეს. ხალხმა შესძახა:

— არ შეგვიძლიან, ჩვენ არ გავმაპმადიანდებით, დავიხოცებით და მაგას კი არ ვიზამთ!

ოსმალთ არ ჰქნეს, არ შეისმინეს თხოვნა. ამ ჩხუბის, დროს გუგუნავა, დუმბაძე და ჭონია მაპმადიანებად აღმოჩნდნენ; ესენი წინადევ გამაპმადიანებულიყვნენ ამათ იყვირეს:

— ბიჭო, ჩვენ გავმაპმანდანდით და რა დაგვაკლდა? არა-ფერი. გირჩევთ გამაპმადიანდეთ თქვენცა, თორემ ბევრი დაიხოცებით. ხონთქარი ძლიერი.

ხალხმა მაინც არ ჰქნა. ოსმალთ მოთავე კაცები დაიჭირეს და ამათ სთხოვდნენ, რომ ხალხს გამაპმადიანება ურჩიეთო, ამათ არ ჰქნეს და იმ დროს გამაპმადიანებული თავდგირიდები დიდად ლანძლეს. ამაზედ ჩხუბი ასტყდა და ეს კაცები ერთი კვირის შემდეგ ჭახათის ზემოთ, ერთი დააპატიმრეს და თან დარიგებას აძლევდნენ მაპმადიანობის შესახებ. დიდი შლილობა მოქდა, დიდი სისხლის ლვრა; ოსმალნი ქრისტიანებს აქ არ აყენებდნენ და არც სხვაგან უშვებდნენ: ჩვენები კიდევ არ მაპმადიანდებოდნენ და ამიტომ დღე და ღამე ხალხის ვაება იყო. დედაკაცებისა და ბავშვების დიდი უბედურება.

ოსმალთ ბევრი ხალხი დახოცეს, მალე ჭახათისკენ, უგუშებულების საბაზისკენ ქვის სარჩობელა და თავ-საკვეთი გააკეთეს, იქ ძლიერ ბევრი ხალხი ჩამოარჩიეს, მაგრამ მაინც არ იქნა, ოსმალთ ვერ შეაშინეს აქაურები. ამ დროს ბებია ჩემი ხელ-მეორედ გაიქცა ოზურგეთისაკენ და მეც თან წამიყვანა, მაშინ ვიქნებოდი 10 წლისა. მე და ერთი ჩვენსავით გამოქცეული ქობულეთელი ჯაში გრ. გურიელის პაპასთან დაგვაყენეს, ბებიაჩემი ბატონს გურიელს ეხვეწებოდა.

ეს ბიჭი არავის მისცეთ, რომ არ გამიმაჰმადიანონონ.

ბებიაჩემი კი ისევ შინისკენ დაბრუნდა და სთქვა:

— სადაც ჩვენები დაიხოცებიან, მეც იქ უნდა მოვკვდეო.

ოსმალთ ხალხის გაუმაჰმადიანებლობა არ ჰქნეს, ამის გამო დიდალი ხალხიც დახოცეს: საქმე გაჭირდა. ბოლოს რომ დენიმე მოვდელი სიმონ გურიელთან მოვიდნენ და შველა სოხოვეს. სიმონმაც პირობა მისცა და ეს მალე სტამბოლში წავიდა, მეც მოსამსახურეთ თან წამიყვანა; მასთან სხვა თავადებიც იყვნენ. ამათ ხონთქართან მორიგება ჰქმნეს და ნება აიღეს, რომ ქობულეთის და ჩაქვის ქართველები არ გაამაჰმადიანონ. ამიტომ მალე წამოვიდნენ და აქაურ ფაშებთან ხონთქრის ბრძანება ჩამოიტანეს, საქმე გაათავეს. ყველა დამშვიდდა, ყველა თავის სახლ-კარის გაკეთებას და გამგეობას შეუდგა; ყველამ შეიტყო რომ მორიგება მოხდა, ხონთქარმა ნება დაგვრთა, რომ ქისტიანებად ვიქმნეთო. ჩემი ბებია გადმოვიდა გურიაში და მეც უკან წამიყვანა ბატონისაგან, რაცგანაც გამაჰმადიანების შიში აღარ გვაქვს ბატონის წყალობითაო. მეც წაველ, ჩვენსას წასვლა ძლიერ მიხაროდა.

რადგანაც ჩვენში გამაჰმადიანებულნი სოფლებში უკვე ცოტ-ცოტა იყვნენ, ამიტომ ოსმალის ფაშებმა იქარიდან ხოჯები და მოლები გამოგზავნეს ჩვენში, ესენი ალოცებდნენ ახალ გამაჰმადიანებულ ქართველებს. მალე სოფელ-სოფელ ჯამეების კეთება იწყეს, ჩვენ ხალხს ამაზე ძლიერ მოსდიოდათ ჯავრი. ხოჯა რომ „ლაილაჰეს“ სათქმელად ავიდოდა ჯამეზე



და დაიწყებდა ძახილს, ჩვენები ამაზე დიდად ჯავრობდნენ და ამბობდნენ:

— რას ყვირის ეგ მ—ი, ეგო და სხვანი. ხშირად ქვას, ტალახს და ხის ნაჭრებს ესროდნენ და გააჩუმებდნენ. მაგრამ იგინი მაინც არ იშლიდნენ თათრულებ ლოცვას და ჯამეების კეთებას. გამჩენელი ღმერთის ბძანებით თათრობა ნელ-ნელა ვრცელდებოდა, მაჰმადიანები მრავლდებოდნენ, მალე იქამდის მივიდა საქმე, რომ ყოველ სოფელში ხეთიდამ ათი კონახი იქნებოდა თათრის. თათრებსა და ქრისტიანებში ჩხუბი იმართებოდა ხოლმე და ერთმანეთს ხოცავდნენ. ქართველებს სჯულიდგან გასულები ძლიერ ეჯავრებოდათ. ხოჯა-მოლებმა ხონთქართან იჩივლეს, რომ გურჯები ჯაამეებს გვიქცევენ, გვაგონებენ, „ლაილაქეს“ თქმას არ გვაცლიან და ახალ გამაჰმადიანებულთაც ხოცავენო.

ამიტომ ხონთქრის ბრძანება მოვიდა ასე: რაც გურჯები არიან მანდა, ყველანი გაამაჰმადიანეთ, ვინც არ გამაჰმადიანდეს, მანდ ერთ კაცსაც ნუ დასტოვებთ გაუმაჰმადიანებლად, რომ საქმე მორჩეს და მოისვენოს. ქეშიშებიც მთლად გარეკეთ გურიისაკენ და იქიდგან არც არავინ შემოუშვათ თქვენში და არც არავინ გაუშვათო; ვინც იქიდგან შემოვიდეს, დაიკირეთ და გაამაჰმადიანეთო! თუ არ გამაჰმადიანდეს ისევ უკან გააგდეთო. ვინც მანდედგან გაიქცეს და მოასწროთ სადმე და დაიკიროთ, მერე იგი თვის ბინაზედ აღარ დააყენოთ. ბრძანებასთან ერთად დიდი ჯარიც გამოეგზავნათ.

ოსმალნი ბრძანების ალსრულებას მალე შეუდგნენ და დადაიწყეს ხელ-მეორედ ხალხის დამორჩილება. ყოველ სოფელს გარშემო ჯარი შემოუყენეს და დაუწყეს გამაჰმადიანებაზედ ლაპარაკი, მაგრამ ხალხმა უარი უთხრა: ამაზედ ჩხუბიც ატყდა, დიდი ძალი ხალხი დაიხოცა, ძლიერ ბევრნი აქეთ-იქით გაიკცნენ, ბევრნი დაიღუპნენ, მაგრამ მაინც ბევრი გაამაჰმადიანეს, ბევრი დარჩა ქრისტიანებად; ამიტომ ჩხუბიც გაძლიერდა, გურიელებმა ველარაფერი უშველეს.

დიდი ამბები მოხდა, ქრისტიანებს ძლიერ გაუჭირდათ



საქმე; იქ აღარავის უშვებდნენ, რომ ქრისტიანად დაშორებული ყველა იმორჩილებდნენ. ეს რომ ნახეს და აღარც ძალა ჰქონდათ ბრძოლისა, მაშინ ყველანი გამაპმადიანდნენ, ისე რომ აღარსად სოფელში კაცი არ დარჩენილა გაუთათრებელი, მოხუც ქალებს გარდა. ჩვენც მაშინ გავმაპმადიანდით, მე მაშინ ვიწნებოდი 16—17 წლისა.

თუმცა გავმაპმადიანდით, მაგრამ ეკკლესიებს და ხატებს-ჟატივს ვსცემდით, ბევრნი ჩვენებულნი ეკკლესიებშიაც დაიარებოდნენ სალოცავად და ჯამეებშიაც. ეს ამბები ხოჯებმა ხონთქარს აცნობეს, მალე იქიდგან ბრძანება მოვიდა, რომ ეკკლესიები ან დააჭუით, ან ჯამეებად გადააკეთეთო. ჩვენში ეს ამბები წინადვე შეიტყეს. ამიტომ ერთ დღეს, დღილა იდრიან, მამაჩემმა გააღვიძა თავისი ძმები, შეც გამეღვიძა, რადგანაც მაშინ ბევრი ვაი-ვაგლახებისაგან ძილი გამკრთალი გვქონდა. მამაჩემმა თავისი ძმები და შეც აჭყვის მთავარ-ანგელოსის ეკკლესიაში წაგვიყვანა. ეკკლესის კარები გააღეს, შიგ ბევრი რამ იყო: წიგნები, ხატები, ფული, ჯვრები და სხვანი, ყველა ესენი ერთად შეკრიბეს და ეკკლესის ზეით ერთი დიდი ორმო გათხარეს და შიგ ჩააწყეს, ზევიდამ ხეები დააყარეს და იქ დამარხეს, რომ ისმალოთ არ წაიღონო. ზევიდან კიდევ პატარა ლობე შემოავლეს, რომ ნადირი ან სხვა ვინმე არ მივიდეს იმ ალაგზე და არ დაიპილწოსო. ეს საეკკლესიო ნივთები კი დღევანდლამდე იქ მარხიაო. აღგილიც დამანახვა.

(მარადიდში ახმედ-ეფენდი-ხალვაშის ნააბობი).

ლივანის გამაპმადიანება ყველაზედ მეტად კახაბრისა და ჩაქვის სოფლებს ეწყინა. ქართველნი ძალიან სწუხდნენ ამაზედ. ბევრს მღვდელს მოსდიოდა ჯავრი, რომ ამდენი ხალხი გაამაპმადიანეს; ამ დროს მახინჯაური გურიას ეკუთვნოდა, აქ სულ ქრისტიანობა იყო; ქრისტიანებს თავიანთი ეკკლესიაც



ჰქონდათ, მღვდლიდ ყოფილი ვიღაც კეკიძე. ამას ხალხშესაფრთხოება
მოუცხადებია შემდეგი:

მე მარადიდში უნდა გადავსახლდე, იქაურს დიდს ეკლესიას უნდა ვუპატრონოვო.

მღვდელი გადასახლდა მარადიდში, ოსმალთ შეიტყეს, მარადიდში ყოფნა აღუკრძალეს, მღვდელი შეწუხდა. მაშინ აქ სცხოვრებდნენ მახიჯაურელ ხალვაშენები, რომლებმაც კეკიძე მღვდელს ფაშასთან დახმარება აღმოუჩინეს, თხოვნა მისცეს ფაშას და ფაშამ ახალ გამაჭმადიანებულთ პატივისცემად მღვდლს ნება მისცა მარადიდში დარჩენის და მხოლოდ ეკლესიის პატრონობის, სხვა არაფრისა. თუ ვნახეთ, რომ ამ ეკლესიაში, ან გარეშე ვინმეს აღოცებს, მაშინ იცოდეს, ცოცხალი არ დარჩება. ამ დროს საიდუმლო ქრისტიანთა რიცხვი აქ დიდი ყოფილია. ესენი თურმე ძლიერ ჩუმად დაიარებოდნენ მღვდელთან და ლოცულობდნენ. მღვდელი იქნეთ ბარე 30 წელიწადს დარჩენილი, ამას ბევრს გამაჭმადიანებულებში დაუმყარებია ქრისტიანობა. გამაჭმადიანებულთ ისე შეაყვარა ქრისტიანობა, რომ ესენი მღვდელს ეუბნებოდნენ:

— ჩვენ თავებს დავიკლავთ და ქრისტიანობას-კი არ დავ-ტოვებთო!

ეს ამბები მარადიდის ხოჯამ შეიტყო. ამან შეკრიბა ყოველისფერი დაწვრილებით და აცნობა ფაშას; ფაშამ კაცები გაგზავნა მღვდლის დასაჭერად და მასთან წასაყვანად. მღვდელს კეკიძეს ეს ამბავი საიდუმლო ქრისტიანებმა წინადვე აცნობეს. მღვდელი ერთ ლამეს მარადიდიდგან გაიქცა, მაქრიალისკენ წავიდა. თან გამოუდგნენ ფაშისაგან გამოგზავნილი კაცები. ამათ მაქრიალში დაიჭირეს და ფაშასთან გაგზავნეს. ამით გათავებულა მარადიდში ქრისტიანობის საქმე.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბრძანება მოსულა, რომ მარადიდის ეკლესია დააქციეთ მის აღგილს ჯამე გააკუთეთო. ბრძანება შეუსრულებიათ. მარადიდის ეკლესი დაუქცევიათ და



ზედ საძირკველზე დაუდგავთ ის ხის კარგი ჯამე, რომელიც
მარადიდში დღევანდლამდე სდგას.

— 112 —
 ქა ას დისტანციით შეტანა და მოვარდ მოვარდში ძაბული ჩა
(ნამდობი სოფ. ზენეთში და ძეველს ქობულეთში მცხოვრებთ გუგუნავას
და დუმბაძის მიერ).

ოსმალებმა მთლად გაამაპმადიანეს ხალხი, მერე ეკკლე-
სიები დააჭიეს. საეკკლესიო ნივთებს ხალხი სახლებში ინა-
ხავდა, ზაგრამ ესენიც წაართვეს. ხალხსაც დაუწყეს თათრული
ლოცვების შესწავლა და სწავლება. ამას გარდა ხალხს დაუ-
შალეს, რომ არამც და არამც ეკკლესიებისაკენ არ გაიარო-
თო. ხალხი ამას ასრულებდა. ესენი ყველაფერს ერიდებოდნენ,
მაგრამ ეკკლესიებში ფეხის ამოკვეთა-კი ძლიერ ედარდებოდათ.
დღესასწაულ დღეებისათვის ესენი თავიანთ სოფლებიდან ლანე
სხვა და სხვა ახლო-მახლო ქრისტიანთ სოფლებში და იქ ეს-
წრებოდნენ წირვა-ლოცვას და დღესასწაულ დღეებს, ნამეტურ
აღდგომა ლამის ლიტანიას. ასე და ამ გვარად ძლიერ ბევრნი
დადიოდნენ ეკკლესიებში სალოცავად და მით ინახავდნენ ძეველს
სჯულს.

ერთ აღდგომა ლამეს, ჩოლოქის განაპირა, თათრის სოფ-
ლებიდან რამდენიმე კაცი გავიდა სოფელ ქაქუთის ეკკლესია-
ში ლოცვაზე დასასწრებლად. ესენი ლოცვას დაესწრნენ და
გათენებამდის ყველანი შინ დაბრუნდნენ. ამათ სახლში ყვე-
ლას უხაროდათ, რომ ესენი აღდგომა ლამეს ეკკლესიაში წა-
ვიდნენ. ეკკლესიიდან ამათ წითელი კვერცხიც მოიტანეს. იმ
დროებში აქეთკენ სააღდგომოდ ყველგან ღებავდნენ კვერც-
ხებს. იმ ლამეს, სოფ. ქაქუთში, ერთ მეოჯახეს ცხენი დაპკარ-
გოდა. ეს ცხენი ეძებნათ აქეთ-იქით და ვერსად ეპოვნათ. ბო-
ლოს ეფიქრათ: აქ რომ სალოცავად გამაპმადიანებული ქარ-
თველები იყვნენ, უეპველად ისინი მოიპარავდნენ ცხენებსათ.
მეორე დღეს ქაქუთიდგან რამდენიმე ქრისტიანი გადმოვიდა,

მოსძებნეს ხსენებული კაცები და მათ დასწამეს ცხენის გული დობა. ამათ უთხრეს:

— ღმერთი, რჯული, რომ ჩვენ არ წამოგვიყვანია. ჩვენს იქ ყოფნას ნურავის ეტყვით აქ, თორემ დავიღუპებით. აი ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენ საიდუმლოდ ვქართველობთ და ნუ გვიზამთ რამე ცულს!

— მაშ ცხენი გამოაჩინეთ და არავის რას ვეტყვითო, მიუგეს გურულებმა.

ამათ ცხენი ვერ გამოაჩინეს, რადგანაც არ მოეპარათ. ბევრს ეხვეწნენ, ემუდარნენ და ბოლოს იმითი მორიგდნენ, რომ ცხენის სამაგიეროდ ფული მისცეს და გაისტუმრეს. მაგრამ დახეთ ამათ ავ-კაცობას: ესენი იქიდგან შინ კი არ დაბრუნდნენ, ქობულეთში გადავიდნენ და ცხენის ქურდობა მაინც უფროსს აცნობეს და ყოველივე შეატყობინეს, რომ აღდგომა ღამეს ჩვენსა იყვნენ და ლოცულობდნენო. ამის გამო ხსენებული კაცები დაიბარეს და კინალამ თავები დასჭრესო, ცხენი-კი მაინც ვერ აღმოჩნდათ. ამის შემდეგ ჩუმ ქრისტიან ოჯახებს ისე გაუკირეს საქმე, რომ ქრისტიანობას სრულიად მოაცილესო. ესენი მოსცილდნენ, წმინდად გამაჰმადიანდნენ და მერე ერთ დღეს, გავიდნენ და ქაქუთში უთხრეს ქრისტიან დამბეზღებლებს:

— ბიჭო რა მოგემატათ თქვენ, რომ ტყუილად დაგვაბეზღეთ? ჩვენ ეხლა წმინდად გაგვამაჰმადიანეს, ჩვენი ქურდობის ცოდვების პასუხის მგებელი თქვენ იქნებით და თქვენი შვილის-შვილებით!

საქმე ასე გათავდა, მერე ოსმალოს კაცები სინორის გზებს თვალ-ყურს ადევნებდნენ. რომ ქრისტიანებისაკენ ჩუმად არავინ გასულიყო. ბევრნი მოხუცებულნი კი ქრისტიანულად დაშთნენ, ნამეტურ ქალები, ამათ გვაში ქრისტიანულად მარხავდნენ. თან მიცვალებული გურიაში მიჰქონდათ დასასაფლა-ვებლად. ბევრჯელ მოხდა ისე, რომ სიკვდილის დროს ზოგი-ერთ ახალ გამაჰმადიანებულები თავის ნათესავებს აფალებდნენ, რომ ჩვენ ქრისტიანულად დაგვასაფლავეთო. ამიტომ მიცვა-



ლებულის დამარხვის ჩვენში ქრისტიანულად ვეღარ ბეჭაფლები ნენ ხოლმე, მიცვალებულს მისი ნათესავები ლამე გურიაში წაასვენებდნენ და იქ მარხავდნენ ქრისტიანულად, მაგრამ იქაც ჩუმად, რომ არავის ენახა და აქეთ ამბავი არ მოეტანა. ასეთი შემთხვევებიც მომხდარა, რომ ხანდისხან მკვდრის წამლებთ გზაში ოსმალოს მომხრე კაცები დახვედრიან, მკვდარი წაურთმევიათ, ან კიდევ წამლებთ დაუგდიათ მკვდარი გზაში და თვითონ გაქცეულან დასამალად. რამდენჯერ მკვდარი გზაში დარჩენილა და მერე იგი სხვებს დაუმარხავთ.

სოფ. ქაქუთში მაპმადიანობის გავრცელება იწყება ახალ დროს და იგი აქ ეს გრძელდება 1800 წლამდე. მის მერე კი შეჩერდა აქეთ გათათრება.

ქობულეთის გამაპმადიანება.

(გულო აღა კაი კაცისშვილის ნამბობი).

როცა ქობულეთის გამაპმადიანება დაიწყეს, მაშინ თურმე ჩვენი ძველები მეტის-მეტი მტკიცე ქართველ ქრისტიანები ღვენენ. სჯულის გამოცვლა ძლიერ ენცელებოდათ, მაგრამ რას იზამდნენ, „ძალა აღმართს ხნავსო“ იტყვიანო ჩვენი ძველები, ჩვენც ისე მოგვივიდა,— გამაპმადიანება გახდა ჩვენს ძალად, ჩვენს იარაღად, ამით ჩვენ შეგვეძლო სიცოცხლის პოვნა. დარჩენა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაწყვეტა. ორში ერთი უნდა ყოფილიყო. ან გამაპმადიანება და მით სიცოცხლის პოვნა, ან გაწყვეტა და ქრისტიანად დაშთენა. გაწყვეტას ისევ დაშთენა ამჯობინეს. რადგანაც მრავალთ იმედები ჰქონდათ, რომ ამ მხარეს, ერთ დროს, ისევ ქართველები აიღებენ, აქ ისევ ძველებური ცხოვრების წესები აღორცინდებათ.

პირველ გამაპმადიანების დროს, ჩვენმა ძველებმა ბევრი რამ საეკლესიო ნივთები მიწაში დაფლეს. სადაც კი სოფელი

იყო, იქ ეკულესიაც არსებობდა, ეკულესიას თავის ნიშანები და წიგნებიც აქვნდა, ამ ნივთების უმეტესი ნაწილი სულ მიწაშია დაფლული და შენახული. ამას ჩვენი ძველები მიტომ ჩადიონენ, რადგანაც მათ იმდი ჰქონდათ, რომ ამ მხარეში ქართველთა ხმა და ცხოვრება ოდესმე კიდევ გაყვავილდება, კიდევ გამაგრდებიან, მაშინ ამ ნივთებსაც მიწიდან ამოიღებენ და მით ჩვენც მოგვიგონებენო.

ლვოით, ეხლე, აი უკვე მოვიდა ის დრო, ის ხანა, რასაც ჩვენი ძველები ნატრობდნენ. ეხლა ძველ ნივთებს პატრონობა უნდა, ყველა სოფლის ძველ ეკულესიის თუ ნაეკულესიარების ახლოს ადგილები უნდა გაითხაროს, იქ ბევრი ძველი ნივთები აღმოჩნდება, ბევრს ძვირფასს, უცხო უნახავს კვალს მივაგნებთ. ამას შრომა უნდა მხოლოდ, ცდა და საქმის პატრონობა. ნეტარ-ხსენებულმა გრიგოლ გურიელმა ამ მხრის ამბები ერთობ კარგად იცოდა და ამიტომაც მოგზაურობდა აქეთ, ფულს დაუშურებლათ ხარჯავდა და მიწას ათხრევინებდა. კარგია, რომ ხსენებულ პირის მაგალითებს სხვებმაც მიპაძონ და აქამდის მიწაში ობლიდ შთენილ ქართველთ ნივთებს უპატრიონონ.

ახალ გამაჭმადიანებულთ მოლები აი რას ეუბნებოდნენ: გამაჭმადიანებული თუ ლვინოს, ან არაყს დაოვეს, ან ქართველ კაცს დაუმევობრდება, იმას სიკვდილის შემდეგ პირში გველი ჩაუძვრება და თავს წელში ამოჰყოფს, სასტიკად დაისჯებაო.

ასწავლილნენ კიდევ შემდეგს: რაკი შენ გამაჭმადიანდი, დღეის შემდეგ რაკი წმინდა გზა ამოირჩიე ამიტომ ღმერთი ყველაფერს გაპატივებს. შენ ოლონდ ღღეში ხუთჯერ ილოცე და დანარჩენის ფიქრი ნუ გაქვს, რაც გენებოს ის ჰქენი, ჩვენ სალოცავად ვართ გაჩენილები და ქართველ-ქრისტიანები სამუშაოდ; იმათ უნდა იმუშავონ და ჩვენ უნდა ვილოცოთ, იმათ რომ გინდ ჩვენ ნამუშევარიც წავართოთ, ჩვენ ამაზე მაინც არავინ გაგვრისხავს. იყო ისეთი დროც, როცა ჩვენ ახალ-



გაზდა ბიჭებს ჩვენი სჯულის თავი კაცები მაღალს გორგაზე გვერდების
ვ ყვანდნენ და გვეტყოდნენ შემდეგს:

— აბა, გადახედეთ გურიას, აგერ, ისინი სამუშაოდ გაუ-
ჩენია ღმერთს და ჩვენ კი სალოცავად, თქვენ ოლონდ ილო-
ცეთ და დანარჩენის ზრუნვა ნუ გექნებათ, როცა შეიძლოთ,
გადადით, დაეცით მუშებს, ნამუშევარი წართვით და იცხოვ-
რეთ მით, ღმერთ თქვენ ამაზე არ შეგრისხავთ.

(მოხუცი მუავანაძის ნაამბობი).

ჩვენი ხალხის გამაპმადიანება, შენი ქირიშე, დიდის წვა-
ლებით მომხდარა მე რომ მითხრას ვინმემ: გაქრისტიანდი თო-
რემ შეილს მოგიკლავო, მე მაშინათვე გავქრისტიანდები და
შეილს კი არავის მოვაკვლევინებ. სოფელ ჩაქვის ხალხი მთლად
გამაპმადიანების გამო გაწყვეტილა ოსმალთა ბრძოლაში; ყვე-
ლას პირზედ ის ჰერია, რომ არ გავმაპმანდიანდებით და არაო.
ამის გამო ოსმალებს მთელი ჩაქვი გაუწყვეტიათ. მაგრამ მა-
ინც ვერაფერი გაუწყვიათ: თვით ჩენი ძველები იტყოდნენ და
მეც მოვსწრებივარ იმ კაცებს, რომ კინტრიში გამაპმადიანეს,
ქობულეთსა და ჩაქვის ხეობაში კი ჩუმად ინახავდნენ ქრის-
ტიანობასა. რადგანაც ხალვაშენების და გორგაძნეების გვარში
მღვდლებს ჩუმად ინახავდნენ.

ამათ მღვდლები საერო ტანსაცმელით ჰყავდათო, ამათაც
ბოლოს ოსმალებმა შეუტყეს და ერთ დღეს კინალამ დახოცეს
ყველანი. როგორც ამბობენ, ჩვენი ძველები ქრისტიანობაზედ
ძალიან მაგრად მდგარან, ძლიერ ბევრი უშრომიათ მის შენა-
ხვაზედ და ბევრიც უწვალნიათ და უტანჯნიათ გამაპმადიანე-
ბის გამო. ვერ ნახავთ ვერც ერთ თჯახს ჩვენის ძველებისას,
რომ იქ გათათრების გამო დიდი სისხლი არ იყოს დალვრილი.
თათრობას მით უფრო ერიდებოდნენ და სძულდათ, რადგანაც
თათრობა ძლიერ ძნელი რომ არის, ამასთანავე თურც სუფთა,
მაგრამ დღეში ხუთჯერ ლოცვა ერთობ უძნელებს ხალხს საქ-



მეს. ჩემის ახალგაზღობის დროს მე მახსოვეს კარგად, გარეთ ჩენ არც ერთი ლოცვა არაბულიად რიგიანად არ ვიცოდით. აქ დიღხანს მეტადინეობდნენ ხოჯა-მოლები, რომ ჩვენთვის ლოცვები ესწავლებინათ, მაგრამ მაინც ვერ გვასწავლეს და ეს დღესაც არ ვიცით კარგად თუმც დღეს ყველა წმინდა მუსულმანები ვართ.

ხოჯებმა და მოლებმა ერთი ის გვასწავლეს, რომ შენ ქართველი არა ხარ, ქართველი შენი მტერია, ქართველი მურდალია და მისი მომკვლელი თაოარიც უეჭველად ცხონდება, ჯეენეთის კარები მას ლია დახვდება, იქ მუჰამედსაც ნახავს. ასე ატყუილებდნენ მოლები. ის კი არ აგონდებათ საწყლებს, რომ კაცის მკვლელი როგორ უნდა ცხონდეს. მოლები და ხოჯები რომ ხალხს არ ატყუილებდნენ, მაშინ ჩვენ რა გვაქვს ერთმანეთში სამტრო. ჩვენ განა არ ვიცით, რომ ქართველთ შთამომავალნი ვართ და საქართველოს შვილები, მაგრამ რა გაეწყობა, რაც გვემართება სულ მათგან ხდება. ხოგში ქისტიანებიც ხართ დამნაშავენი.

ჯავახეთის და სამცხის გათათრება.

(ნაამბობი ზეგნელ მოხუცებულ მაჰმადიანთავან).

ჩვენ ახალციხელები გახლავართ. ახალციხე და ახალქალაქი რომ რუსმა აიღო, მის შემდეგ ჩვენ იქ არ დავდექით და მოლიდ იხმედ ფაშას გამოყევით, იმან აქ ზეგანში მოგვიყვანა და სხვა და სხვა სოფლებში დაგვასახლდა. მაშინ, ჩვენ აქ მოსვლამდის, ზეგნელებს შეშინებოდათ, ვაი თუ რუსები მოვიდენო და ამიტომ ისინი ოსმალში გაქცეულიყვნენ. ჩვენ რომ მოვედით იქ, ზეგანში 40 სოფლამდის იყო აყრილი და წასული.

დველად ბატონო, ასე იტყოლენ ხოლმე, რომ თათრობა ყველაზედ იღრე ახალციხეს და ახალქალაქისაკენ. შემოუტანიათ. იქარა შემდეგ, ძლიერ გვიან გათათრებულა, ახალციხეს



და ახალქალაქს ყოველთვის ფაშები მსხდარან და ამიტომ მართვა
მხარე აღრე გაუთათრებიათ, ფიქრი ჰქონიათ, რომ ახალციხი-
დამ უფრო შორს, თქვენსკენ წამოვიდოდენ, იქითაც გაათათ-
რებდენ. აქეთა მხრის შიში მათ არ ჰქონიათ, ესენი შეუაში
იყვნენ მომწყვდეულნი, ამიტომ დაუტოვებიათ, ამათ შემდეგ
გავათათრებთო. საქმე ახალციხე და ახალქალაქი ყოფილა.

— მაშ ყველაზე აღრე ახალციხის და ახალქალაქის ქარ-
თველნი გათათრებულან? ვკითხე მე.

— დიახ, სწორედ, ყველაზე წინ ეგ კუთხეები გათათრე-
ბულა. გამიგონია, რომ ჯერ არტაანი, ერთ-შეთი, პარხალი,
შავშეთი, აჭარა და ლივანა არ იყო გათათრებული, რომ ახალ-
ციხე და ახალქალაქის სოფლები გათათრდათ.

— თქვენის ძეველებისაგან არ შეგიტყვია, რომ ძეველად,
ახალციხის და ახალქალაქისაკენ რა ხალხი სცხოვრებდენ,
მთლად ჩვენები, თუ ქურთებიც ესახლნენ, როგორც ეს ეხლა
არის.

— ეგ ამბავი მეც ვიცი: ძეველად მთლად ჩვენები ესახლ-
ნენ. მათგანი ზოგი გათათრების გამო გამწყდარან, ზოგნი
თქვენსკენ წამოსულან, ზოგნი ერთხელ თქვენს მეფეს მიმხრო-
ბიან ომის დროს და იქედან აყრილან და მეფეს თან გამოჟო-
ლიან, ზოგნი ოსმალთ დაუხოცავთ, რომ არ გვიღალატონო.
მათ შემდეგ აქა იქ ქურთები მოუყვანიათ და დაუსახლებიათ,
უფრო კი ახალციხის და ახალქალაქის გარშემო, ჩვენებში აუ-
რევიათ.

— შენ ხომ არ შეგიტყვია რამე ცნობა, თუ საით უფ-
რო აღრე იშეუს თურქულათ ლაპარაკი, აჭარაში თუ ჯავა-
ხეთში?

— ძეველი კაცები იტყოდენ, რომ ახალციხეს თათრულს
კარგათ ლაპარაკობდენ ბეგებს გარდა გლეხებმაც ისწავლესო,
ქართულს ივიწყებდენ და თათრულს ეჩვეოდენო, იმ დროს,
აჭარელებმა კი თათრულის არაფერი იცოდენო. თათრულის
შესასწავლებლათ ფაშები, ხოჯები და მოლებიც ცდილობდე-
ნო, რადგანაც ამის ბრძანებაც იყო სტამბოლიდამო. მე გა-



მიგონია, რომ ახალციხისკენ ქართულის ლაპარაკის ეჭირზე
დათვ.

ამ გარდმოცემის დასამტკიცებელი ცნობები, ჯავახეთში, ქართველ კათოლიკეთა განაც შემიზუვია: მათში დარჩენილია თქმულება, რომ ძველად, ახალციხის და ახალქალაქისაკენ, ქართველ მაჭადიანებს ქართულ ენას მარტივათ უკრძალავდენ, ვისაც შეუტყობდენ ქართულს იმას სასტიკად სჯიდენ. ქართველობას თვით ქრისტიანობასაც უკრძალავდენ, იმის მეოხებით გაბატონდა ძველად ქართველ კათოლიკებში სომხური ენაო. ხალხის გარდმოცემა ძლიერ ემოწმება ისტორიულ ცნობებს და სწორედ ამის მეოხებით ყოფილა რომ ქართული ენა ჯავახეთის ქართველებში აღრიცგანვე დაცემულა.

საოცარია, რომ ახალციხის გასწვრივ ქვაბლიანსა და ფოცხოვს ქართველ მაჰმადიანებში ქართული ენა აღარავინ იცის, იმათ იქით კი ზეგანს, სადაც 120 სოფელია, აჭარას და სხვა გან კი მთლათ ქართულად ლაპარაკობენ ქართველ მაჰმადიანები. ეს ყოფილი მიზეზი, რომ ოსმალთა მთავრობას დიდი ყურადღება ჰქონია მიქცეული ახალციხესა და ახალქალაქზე და ამიტომაც თავისი მიხვილი პირველად აქ უმოქმედებიათ, რადგანაც ამათის გადაგვარების ძალით სდომნიათ დანარჩენ საქართველოს დაჭრა და ქართველების გათათრებაც. ეს არის უმთავრესი მიზეზები იმ გარემოების, რომ დღეს ახალციხის და ახალქალაქის კართული ენა ნატამალობს.

სამცხე საათაბაგოს, მცენ მესხეთ-ჯავახეთის გამაჰმადიანება.

შეკრებილი ქართველ კათოლიკებში ზეპირ და ისტორიუ-
ლის ცნობებით.

ქართველ კათოლიკეთ ერთმა მოძღვარმა თავის ქადაგე-
ბაში წარმოსოდეს შემდეგი: ქართველთ გათათრების და ტან-
ჯვა-ვაების ისტორია რომ დაიწეროს, 24-ს ტომზედ ნაკლები
არ გამოვაო. ჭრისარიტად ეს ასე იქმნებოდა, რომ თავის
დროს ვისმეს ხელი მიეყო, ცნობები ეგროვებინა და თან ეწე-
რა. ქარტველთ გათათრება აღვილად არ მომხდარა, მას დი-
დი, ვრცელი ისტორია აქვს, სამწუხაროდ ამ გათათრების შე-
სახებ-კი ჩვენ ბევრი არაფერი ცნობები გვაქვს. როგორც
კვლავაც გვითქვამს, ამ საგანის შესახებ, არც „ქართლის ცხო-
ვრება“-ში და არც სხვა ისტორიულს წიგნებში მოიპოვება რა-
მე. ჩვენი ძველი მწერლობა იმაზედ მდუმარებს.

მესხეთი და ჯავახეთი ოსმალთ ადრიდგანვე გაამაჰმადიანეს.
ლაზისტანი, არტაანი, არდანუჯი, ლივანა, აჭარა, თორთომი,
ოლთისი და სხვა უშორესი ადგილები გამაჰმადიანებული არ
იყო, რომ მესხეთის და ჯავახეთის ქართველებს გამაჰმადია-
ნება დაუწყეს.

16:7 წ., ახალციხე ოსმალეთის მთავარ საფაშალიკო ქა-
ლაქად დაინიშნა და ფაშად დადგენილ იქმნა ბექა ათაბაგი,
ეს ათაბაგი პირველად დაუკავშირდა ისლამს და სახელადაც
საფარა ეწოდა.

რადგანაც ახალციხეს ოსმალეთის მთავრობაც იმას სცდი-
ლობდა, რომ ამ ადგილის გარეშემო მცხოვრებნის ბუსულმანის
სარწმუნოების მიმდევარნი ყოფილიყვნენ. ამიტომ ქართველებს
ძალით დაუწყეს გამაჰმადიანება და ამ გამაჰმადიანებისათვის

მახვილსაც ხმარობდნენ. არც მესხელ-ჯავახელნი აკლფილნენა
მათ მტრობას. მესხთაგან მათ საქმე ძლიერ უჭირდებოდათ,
ქართველთ გამაჰმადიანება ერთობ უძნელდებოდა. მესხნი და ჯა-
ვანი ჩვეულებრივის გმირობით ებრძოდნენ ოსმალთა სასული-
ერო წოდებას და არსად და არას დროს აღვილად არ ემორ-
ჩილებოდნენ. დროს განმავლობის და უამთა ვითარების მეო-
ხებით, მესხნი და ჯავანიც მოიღალნენ ბრძოლაში და ამი-
ტომ, ზოგიერთს აღილებში, იწყეს ბედის მორჩილება, სჯუ-
ლის გამოცვლა. სჯულის გამოცვლის დიდად ერიდებოდა მეს-
ხელ და ჯავახელ ქართველთ დედაკაცობა. ამის საფუძვლიად
კმარა გავიხსენოთ თუნდა როსტომ ფაშა ჯაყელის ცოლის
მაგალითი, რომელმაც დიდის ტანჯვით დასთმო ქრისტიანო-
ბა და ისლამს დაუკავშირდა. ამით დააწყინარა მან თავის ქმრის
როსტომ ფაშის გული. სამცხეში ქრისტიან ქართველთ საქმე
ისე გამწვავდა, რომ 1713 წ. ახალციხეში საქვეყნოდ იქმნა
დახრჩობილი ელისე არქიმანდრიტი. ოსმალეთის მთავრობას
საქმარისად მობეზრდა ქართველ ქრისტიანებთან ბრძოლა, ის-
ლამის ვრცელება და ამიტომ მესხეთსა და ჯავახეთში შემო-
ღეს ისეთი წესები, რაც ქართველთ გამაჰმადიანებას ხელს უწ-
ყობდა.

პატივცემულ ივანე გვარამაძის მოთხრობილის ცნობებით
აი რა წესები ყოფილი შემოღებული ოსმალთაგან.

1) მოლის, თუ ხოჯისაგან მინარეთიდგან დაძახილ ლო-
ცვის დროს, რომ ქრისტიან ქართველს ან გაეცინა, ან დაყვი-
რებით გაეჯავრებინა, ან კენჭი ესროლა და სხვა ამ გვარნი,
ამ ქართველს უსათუოდ სიკვდილით სასჯელი ელოდა და მა-
მულების წართმევა. ეს ეპატიებოდა მაშინ, როცა იგი გამა-
ჰმადინდებოდა.

2) ჯამეს წინ თუ ვაევლო ქართველს და აქ რამე სიტყ-
ვა ეთქვა თათრის წინააღმდეგ, ან ჯამეში ლოცვის, ბანვის და
სხვა დროს, იმას სიკვდილი ელოდა, პატიება მხოლოდ გამა-
ჰმადიანების მეოხებით მოხდებოდა.

3) ქართველს აგინა თათარმა, შეუგინა უველაფერი, ქარ-



თველმაც პასუხი მისცა და სამაგიეროდ გადაუხადა სიტყვების ან საქმით, და შეუგინა ზოგიერთი რამ სარწმუნოების მხარე-ები, მას სასჯელად სიკვდილი ელოდა, სიკვდილი ეპატიებოდა გამაპმადიანებით.

4) ქართველმა თუ თათრის სასაულაოზე გაიარა და იქ დაპილწა, მის სასჯელად ეკუთვნის დარბევა, მამულების წარ-თვევა, ეს ეპატიება მხოლოდ გამაპმადიანებით.

5) ქართველმა თათრის „მეჯლის“, ყადებს, მათ მასლა-ათს და ხაფიზ (ღვთის-მეტყველი) ხოჯებს პატივი არ სცა მდი-ვან ხანაში, მის სასჯელად დარბევა და მამულების წართმევაა, ეპატივა გამაპმადიანებით ელოდა.

6) ქრისტიანმა ქართველმა ქართველისაგან ფული ისესხა და აღარ მისცა, ან ფული დასტყუა და უარი სოქვა, ამხანა-გი იყო და ამხანაგს ულალატა და ფული გამორჩა, იმუშავა და ფული არ მისცა, იყიდა რამე და სამაგიერო არ გადაუხა-და, ყველა ეს მას ეპატიებოდა გამაპმადიანებით.

7) ქართველმა მოკლა თავისი მამა. დედა, ცოლი, დამ, ან ძმა, გინდა სხვა მონათესავენიც და მასთან აიკლო დახო-ცილის ოჯახიც, ქართველს ყველა ეს ეპატივებოდა გამაპმა-დიანებით.

8) ქართველმა იქურდა, გაჭქურდა ეკულესიები, ეკულე-სიების ნივთები აქა-იქ დაპყიდა, ამას გარდა მოპკლა მღვდელი, მთავარი, დიაკონი და აიკლო მათი სახლ-კარი, მას პატივება ელოდა მხოლოდ გამაპმადიანებით.

9) ქართველს საფაშო ხარჯი, რომ ვერ გადაეხადნა და გინდ სილარიბის გამო მას ამის გადასდა ვერც შესძლებოდა, ამის პატიობა მას გამაპმადიანებით ელოდა.

თუმცა მესხელ და ჯავახელ ქართველ ამ ცნობეს ვსწერ მე მესხელ ჯავახელ ქართველ კათოლიკეთა მოხუცებულთა თქმით, რომელთაც ამ კუთხის ამბები კარგად აქვს შესწავლი-ლი. ქრისტიანებს დაუწყეს გადაგვარება, მაგრამ იყვნენ მათ-ში ისეთნიც, რომელნიც თვით უკანასკნელ სისხლის წვეთმ-



დინაც-კი იღვწოდნენ მწარედ, ყაველნაირ საიდუმლოთა უფალებას ხმარობდნენ, ისლამს უკავშირდებოდნენ რომ ისლამთან ერთად ქრისტიანობას არ ჰყარგავდნენ და საიდუმლოდ ინახავდნენ, გარეგან-კი ისლამს აღიარებდნენ. ასეთ ჩუმ ქრისტიანთ ქართველთა რიცხვმა ჯავახეთში 1803 წლამდე მოახწია, ასევე იყო მურლულის ხეობისაკენ და პარხალში, რომელთა ქრისტიანეთ მომსწრეთ და მნახველიდ ითვლებოდნენ გრიგოლ გურიელი და დიმ. ბაქრაძე. მურლულის ჩუმ ქრისტიან ქართველთ მოძლვარი ღებრაძე ყოფილა,— მღებროვი, ტრაპიზონში ნამყოფი, ბერძნების სკოლაში ნასწავლი და იქვე ნაკურთხი იყო ბერძნის ეპისკოპოსისაგან. საინტერესო აქ ერთი ის არის რომ ტრაპიზონის ბერძნთ სკოლაში გაზრდილს ქართველს და მასთანვე ბერძნულის ენით განვითარებულს ქართული ენა და ისიც ძელი ხუცურის წიგნების კითხვა ისე კარგად სცოდნია, რომ მას თავისუფლად შესძლებია ქართული წიგნების კითხვა და მასთანავე დიდის შიშით და ძრწოლით ქანთული ენით ქადაგება, იმ ენით მოქმედება და გრძნობა, რომელი ენაც ოსმალთაგან სასტიკათაც იდევნებოდა თურქე მაშინ.

ოსმალეთის საქართველოში, აქა იქ, სადაც-კი ქართველთ შეინახეს მამა-პაპური სჯული და ენა, ამათში სამღვდელონი ყოველთვის ერთის ოჯახიდგან გამოდიოდნენ. მღვდელი-მამა რომ მოკვდებოდა, მის სიკვდილის შემდევ მღვდლობა შვილს რჩებოდა, რომელსაც თვით მამა ამზადებდა, მომზადების შემდევ ამ სამღვდელო პირს ტრაპიზონს გზავნიდნენ და იქ აკურთხებინებდნენ ბერძნის ეპისკოპოსს. ქართლსა და იმერეთში გადმოსვლას-კი ვერ ბედავდნენ, რაღანაც ოსმალთა სასულიერო წოდებისა ეშინოდათ, რომ არ შეგვიტყონო. რამდენსაც ოსმალნი რომელიმე კუთხის ქართველთ უფრო სტანჯავდნენ სარწმუნოების ცვლილებისათვის, იმდენი საუკეთესო ქართველნი და მებრძოლნიც იქ უფრო ხშირად სჩნდებოდნენ. ასეთიც მაგალითებრ ჯავახეთი და მესხეთი.



ასპინძის ოშის შემდეგ ოსმალთა ჯავახეთში არამდებრუნდებოდა მართლ-მაღადებელთ, არამედ ქართველ კათოლიკეთაც-კი და-უწყეს დევნა. არსად აღარავის სიტყვის თქმის ნებასაც არ აძლევდნენ და რამდენიმე აღავგას სტანჯეს ქრისტიანები. ასპინძას, სოფ. ბალაჯარის და ახალ-შენის ქართველთ კითოლიკე-ებიც-კი დასაჯეს და გაათათრეს. ასპინძის და აღუგენის კათო-ლიკენი მთლად მაშინ გათათრდნენ. რომელთა შთამომავალ-ფანატიკ შვილებთაგანნი დღესაც სცხოვრობენ სოფ. ასპინძას და ზოგნი ოსმალშიაც წავიდნენ. ამ დროს, ოსმალნი ისე აღ-მხედრდნენ ქართველებზედ, რომ მათ წინააღმდეგ ვეღარას აწ ყობდნენ თვით ქართველთ მხნე პატრიებიც. სწორედ ამ დროს, გაათათრეს მათ დიდი ძალი ქართველ კათოლიკეებისა. თუმცა ასეთი საშინელი გარემოება დატრიალდა ოსმალთაგან, თუმცა ქართველთ დევნის ზომა საზღვარ გადავიდა, მაგრამ ამ დრო-საც-კი ქართველთა შორის არ მოსპობილან აქა-იქ თითო-ოროლა ჩუმი ქრისტიან მოძღვართ რიცხვი, რომელთაც ხალხ-ში თავ გადადებითაც უღვაშნიათ. ასეთი პირების რიცხვს ეკუთვნიან ვასილი და საბა მღვდელი ორბეჭიანები, რომელ-ნიც XVIII საუკუნის დამლევს სცხოვრობდნენ. გრიგოლ მღვდელი, დესპოდე ეპისკოპოსი, ტომით ბერძენი

მესხეთის ქართველთა საიდუმლო ქრისტიანეთ რიცხვი ყოველთვის არსებობდა და მათი რიცხვი 25 სოფელზედ მე-ტიც ყოფილა. ამასთან საიდუმლო მღვდელს ოსმალურად ეც-ვა, თავზედ სარული ეხურა ან დოლობანდი, ხშირად ჩოხასაც იცვამდნენ, ზედ ნაბაღს ისხამდნენ და საეკკლესიო ნივთებს და წიგნებს ქვეშ მაღავდნენ.

თავიანთი სალოცავი ოთახი გაკეთებული ჰქონდათ დარ-ნების მსგავსად, თხრილებში, სათონებში და სხვა. სიდუმლო მღვდელნი ამ ადგილებში ულოცავდნენ ჩუმ ქრისტიანებს. საღმრთო მსახურებას ისე ოსტატურად ასრულებდნენ, რომ მა-თის მოქმედებისა ვერავის რა ესმოდა.

ასეთი მღვდლები 1819 წლებამდე ყოფილან და საიდუმ-ლო ქრისტიანებიც მრავლად ჰყოლიათ. ეს საიდუმლო ქრის-



ტიან მღვდელნი და ერნი სისწორით ასრულებდნენ ფრენტის
სულმანთა სჯულის წესებსაც. ჯამეში ერთგულად დაიარებო-
დნენ, ყოველს სავალდებულო წესსაც ასრულებდნენ, და ისე,
რომ კაცი თავის დღეში ვერ იფიქრებდა, იგინი ნამდვილი მუ-
სულმანები არ არიან და მათში ქრისტიანობის რამე არსე-
ბობსო.

ამით ეს პირნი დიდს შნოს. დიდს ოსტატობას იჩენდნენ.
ასრულებდნენ ქართველთ დღესასწაულებსაც, მაგალითებრ,
აღდგომას; იცოდნენ კვერცხის შეღებვა, მილოცვა, საღმრთოს
დაკვლა და სხვა.

წმინდა სანთელს, ნართს და სხვა ამ გვარებსაც თვითონ
ვე ამზადებდნენ, ზიარება, სეფისკვრის დარიგება, ზეთის ცხე-
ბაც სცოდნიათ.

საიდუმლო ქრისტიანეთ ასპარეზზედ დიდად დაიმსახურეს
თავი რამდენიმე საიდუმლო მღვდელმა, ორბელიანებმა, ხმა-
ლაძეებმა და სალარიძეებმა. ამათ შირის ფრიად გამოჩენილი
ყოფილა ვასილი მღვდელი ორბელიანი, რომელიც იერუსა-
ლიმიდამ 1757 წ. მოსული საქართველოში. ეს მღვდელი ანა-
ფორას თურმე აშკარად ატარებდა. ამავე ვასილის დროს ყო-
ფილან მღვდლებად გრიგოლი, დიმიტრი და დესპოდე ეპისკო-
პოზი. ესენი ყველგან ქართველთ ამხნევებდნენ, მომავლის იმე-
დებს უნერგავდნენ და თან არწმუნებდნენ: მაგრად იყავით,
მომავალი ჩვენია, ჩვენ ქრისტიან ქართველებთან დავკავშირ-
დებითო. საიდუმლო ქართველნიც, რასაკეირველია, გმირულად
მოქმედებდნენ და იღვწოდნენ, ყველაფერს ითმენდნენ.

1805 წ. ამ მღვდლების ამბავი შეუტყვია ვიღაც ფანა-
ტიკოს, ხოჯას, დავა აუტეხია და ეს დავა კონსტანტინეპოლის
წასულა, იქაური შეის ულისლამი დიდად გარისხებულია. იქი-
დამ ახალციხის სელიმ ფაშას დიდი საყვედური და მუქარის
წერილი მოსვლია. ფაშა გაცეცხლებულა, მაშინვე დაუბარებია
ეს მღვდელნი და უკითხავს:

— შევიტყე, ქრისტიანების სჯულს არა სჯერდებით და
სხვებსაც ახვევოთ თავზედ?



— არა, ჩვენო ფაშავ, ჩვენ იმდენი დრო საღა გვაჭრობდეთ ან, როგორ მოვახდებთ ამას.

— მე დამარტინეს, მასთან დიდი საყველურიც მომივიდა. გთხოვთ, ჩემს საბრძანებელს მოშორდეთ და წახვიდეთ აქედგან?

— ჩვენ მაგას ვერ ვიზამთ.

— დახოცილ იქნებით და აქ-კი არ დაშთებით!

— დაგვხოცე, მაინც ბოლო ეგ არის ჩვენი.

— უსათუოდ მოისპობით, მოშორდით აქაურობასა.

— ერთს წუთსაც ნუ გვაცოცხლებთ, თუ ჩვენზედ რამე ეჭვს იქონიებთ. თუ ან ვისმე თათარს ათვემივინებთ, რომ იმას ჩვენ ქრისტიანურად ვალოცებთ, ან მათში საღმე რამე გვექადაგოს ქართველებზედ.

— მაშ თქვენ თათრის ოჯახებში რად დაიირებით, იმათში რა გესაქმებათ, რა გინდათ?

— ისინი ჩვენი დოსტები არიან.

მე ეგ არ ვიცი; ბრძანება ასეთია, ან მოშორდით ახალციხეს და ან გათათრდით.

— ვერც ახალციხეს მოვშორდებით, ვერც გავთათრდებით. აქედამ არსად წავალთ.

— იმას გარეშე, რომ თქვენ ჩვენს თათრებში ქრისტიანობას ავრცელებთ და ქართულად ლაპარაკობთ, ახალ-ციხიდამ რუსის მთავრობას ცნობებსაც უგზავნით, აქ რუსების მოყვანა გინდათ. თუ არ წახვალთ, იცოდეთ, დიხოცებით. მე გიბრძანებთ, წახვიდეთ.

— არ წავალთ, არა, არა. რაც გენებოს, ისა ჰქენით, ჩვენთან ლაპარაკი უბრალოა.

— გირჩევთ, დაგვთანხმდეთ, თორემ თქვენი საქმე ცუდად იქნება.

ფაშამ დარიგება მისცა და შინ გაისტუმრა. საპასუხო დროდ მეორე დღე იყო დანიშნული, მაგრამ მეორე დღესაც იგივე პასუხი მიიღო ფაშამ, რომელიც დაემუქრა: საქმე სიკვდილით გათავდებაო.



ესენი წავიდნენ შინ, შეკრიბეს ქრისტიანი ქართული კულტურული და გადასწყვიტეს: ჩვენ აქედან ფეხს არ მოვიცელითო. *

დანიშნულს დღეს წავიდნენ ფაშასთან და მოახსენეს, აქედან ვერსად წავალო და ვერც გავთაორდებითო. ფაშას ჯავრი მოუვიდა და კვალად მისცა სამი დღის ვადა.

მესამე დღეს წარსდგნენ ფაშის წინაშე და სეთი პასუხი მისცეს: „ვიდრე უოცხლები ვართ, აქედან წასულებს ვერ გვნიხავ, აქ დავრჩებით და აქვე დავიხოცებით“.

ფაშამ გადასწყვიტა, ეს სამივე კაცი სიკვდილით დაესაჯა. ახალციხის ციხის გალავანში ფაში სცხოვრებდა, დიდი მედრე-სეც იქ იყო და ქრისტიანეთ საჯალათოც, აქ პირველად თა-ვი მოსჭრეს ვასილ მლვდელს, ორბელიანს, რომელმაც თავის მოქრის წინად ფაშას მუქარით უთხრა:

— ყველას ხომ ვერ დასჭრი თავებს, დღეს თუ ხვალ სა-მაგიერო მოგეკითხება ქრისტიანეთაგან.

ვასილის შემდეგ, დესპოდე ეპისკოპოსი სტანჯეს, ჰევემეს და თავი გააგდებინეს. გრიგოლ მლვდელს ამათის საცოდავო-ბის ცქერით გული წაუვიდა და გარდაიცვალა. ეს რომ მისი დასჯა და თავის მოჭრა ველარ მოასწრეს.

ეს შემთხვევა მოხდა 1806 წ., შემოდგომის პირზედ. ამა თი წამების ამბები ახალ ციხეში მალე მოიფინა. ფაშისათვის მოუხსენებიათ, მაგ დახოცილებს ერთი ამხანაგიც ჰყავსთო. ეს ყოფილა მთავარი სტეფანე ლორთქიფანიძე. ფაშას სტეფანე დაუბარებია, ფული მიუკია და თან დაუვალებია. ეს გვამები თქვენებურის წესით დაასაფლავეთ. ლორთქიფანიძეს წაუსვენე-ბია და დაუსაფლავებია იქ, სადაც დღეს ახალციხის ქართველ წმ. მარინეს ეკკლესია სენებულ ტაძრის ერთს კედელზედ არის ქართული წარწერაც, რომელიც ცხადად მოწმობს ვასი-ლი მლვდლის ამაგს.

ამათ შემდეგ ახალ-ციხეში მოღვაწეობდნენ იოსებ მლვდე-ლი ორბელიანი, ხე ვასილისა და პეტრე მლვდელი ხმალაძე და სხვანი.

ამ ორბელიანთ მოძღვართა შთამომავალია აწინდელი ახალ-



კიხის მცხოვრები ცნობილი ქართველი იაკობ იოსების ძელიანი*) კაცი ხნიერი და ცნობილი კეთილის ადამიანობით. ამათს ოჯახში ბევრი რამ ძველი ამბებია დაშთენილი და ამ ცნობების უმეტესი ნაწილიც მათში შევკრიბე. როგორც თვით იაკობი, ისევ ამათი დაც მეტად კარგი მომთხრობნი არიან ქართველთა ძველებურის ამბების.

მესხეთის და ჯავახეთის უმეტესმა ნაწილმა, ქართველ მა ჰმაღიანებისამ, დაკარგა ქართული ენა. თუმცა გარშემო ქართულად მოლაპარაკე ქართველები ახვევიან, მაგრამ ესენი-კი გათანხეორდნენ და ისე გადავვარდნენ. რომ დღეს არამც თუ ქართული ენის ხმარება, არამედ საქართველოს ხსენებაცი ჭირივით სძულოთ.

ჩვენი წერილი და სჯა ეხება წარსულის ანუხსავას. რაც იყო და რაც ხდებოდა ჩვენც სწორედ იმას ვსწერთ და ისე, აქ არივინ იფიქროს, რომ ამ წერილის ცნობებით ჩვენ ოსმალებს ვკიცხავდეთ, ან ისლამის გავრცელებას ვემდუროდეთ. არა, ეს ჩვენთვის ორივ ერთია, ისლამსაც მე ისე პატივს ვსცემ როგორც ქრისტიანობას, ამიტომ აქ რამე კიცხვას და საყვედურს ალაგი არა აქვს, მე ვსწერ იმას, როგორც იყო და სრულდებოდა სხვა და სხვა საქმენი. როგორც დარჩენილია ზალხში და რაც არის თქმული და დასაბუთებული, მეც ისა მაქვს მოთხრობილი, მიუდგომლად და სისწორით.

*) იაკობ იოსების ძე ორბელიანი მე გავიცან 1800 წ. ახალციხეს, მათსავე ოჯახში საღაც შევკრიბე ეს ამბებიც.

საომარი იარაღის ხელოსნობა და მისი დაცული
 სამცხე-საათაბავო და მაჭახელს.

ძველად, მაჭახელში, განთქმული იყო საომარი იარაღის კეთების ოსტატობა. მოელ დასავლეთ საქართველოში ქებული იყო ეს კუთხე ასეთ იარაღთა ხელოსნობით, მაჭახლელებს ასეთის კარგის ხელობის ცოდნით ძველადგანვე იცნობდნენ ათაბეგები, გურიელები, დადიანები, შარუაშიძეები, დადიშქელიანები, მთავარნი და მეფენი ქართველთა. საქართველოს ოსმალთაგან დამორჩილების შემდეგ მაჭახლელებმა სახელი განი-თქვეს ოსმალეთშიაც, ნამეტურ სტამბოლს, დიარბექირს, ქურ-თისტანს, შამს და სხვა უმორეს ადგილებშიაც.

როგორც ცნობები გვაუწყებს, მაჭახელში ეს ხელობა თითქმის საერთო საკუთრებათ ყოფილა გადაქცეული. ყოველ მაჭახლელს კარგად სცოდნია ეს ხელობა, თითქმის ძველის დროდამ, ვიდრე ოსმალი დაიჭერდა ამ კუთხეს, მინამდი ყოველი სოფელი თავისითვის ამზადებდა ყოველ საჭირო სახმარ იარაღს, ხოლო იყო ისეთი ადგილებიც—სოფლები. სადაც კერძოდ ამის ქარხნებიც არსებობდა. ასეთია მაგალითებრ სოფ. ხერთვისი, ევფრატი და სხვანი, სადაც ძველადგანვე ქარხანები არსებობდა და იქ მრავლად მუშაობდნენ ხელოსნები და იარაღი გამოჰყვანდათ.

მაჭახლის იარაღი ქებული იყო ჯერეთ მეფეების დრომ-დენ და შემდგომ ოსმალთა მფლობელობისა. მაჭახლის იარაღს ქებით მოიხსენებენ მეზღაპრენი თავიანთ ზღაპრებში, მეშირენი და მელექსენი. შაირებში იტყვიან ასე:— „მაჭახელი, ან სტამბოლი“. ე. ი. იარაღი უნდა იქმნეს მაჭახლის, ან სტამბოლსაო. ერთობ კაი ფასი ჰქონია აქაურს იარაღს. იარაღთა შორის მოელს აზიაში და ოსმალეთს სახელოვნებდა დამბახა „ნალფარა“ ძველადგანვე შემოლებული „სირმა“ დაზვეული,

სევადებით „თაფურნე“ და დაკენკილი. ორი შემოღებულის ქართველთ მეფობის, დროს და თვით სახელებიც გვაუწყებს მას და ხოლო მესამე კი ოსმალთ მფლობელობის დროს უნდა იყოს შემოტანილი, რადგანაც თვით სიტყვაც ისმალურია.

ამ სამს დასახელებულთ იარაღს მაჭახლელებს სხვა იარაღებიც კარგად გამოჰყვანდათ, იარაღების სევადები, ყვავილები და ასოები ხელოვნურად ამოქრილი განცვითრებაში მოიყვანენ მნახველს, სანაქებოა მათი ნახვა და მზერა, ნამეტერ საინტერესო და მეტად იშვიათი სანახავია ისეთი იარაღები, რომლებიც ქართველთ მეფობის დროს არს გაკეთებული და რომლებზედაც ოსტატურად ქართული ასოებიც არს ამოქრილი, დღეს კი ასეთი იარაღი იშვიათია და ქართული ასოების ხომ ვაჭანებაც აღარ არის, რადგანაც მაჭახლელები ველური ფანატიკები არიან და ქართული ენის აღარაფერი სწამთ. მაჭახლის იარაღი ისეთ ფასებში ყოფილა რომ თოფი, დამბაჩა, ხმალი და ხანჯალი 20 მ. 300 მანეთამდე ავიდოდა და უფრო მეტ ფასიანიც იქმნებოდა, თუ კი მას მსურველი გამოუჩნდებოდა. სტამბოლში, ყველა ფაზის სახლში და სახელმწიფო კაცთა იარაღს მაჭახლი პირველობდა, მათს მკერდს და გულს ესენი ამშვენებდნენ. ოსმალეთში ყველა მეომარმა იცოდა მაჭახლურ ისტატურ იარაღების მნიშვნელობა. ცნობები არს დაშონილი, რომ მაჭახლური იარაღი სტამბოლს გარდა სხვა ქვეყნებშიაც შიპნდათ დასაყიდათაო. ასეთს ქებაში ყოფილა. ძველია მაჭახლის იარაღი.

დღეს კი, მაჭახლში ამის მსგავსი აღარაფერია დაშონილი. ყოველივე უმთა ვითარების მახვილმა ჩანთქა. აქ დავარდა მთლად ეს ხელობა და დღეს მთელს მაჭახლში სულ ხუთი კაცილა იქმნება რომელთაც იციან ეს ძველებური სევადიანი ხელობის ოსტატობა, დანარჩენი ყოველივე მოისპო და არქივს ჩაბარდა. კარგად ვიცით, რომ მაჭახლიდამ წელიწადში რამდენიმე ათასი ცალი ხმალი, ხანჯალი, თოფი და დამბაჩა გამოვიდოდა. დღეს კი მაჭახლში ამის აღარაფერია დარჩენი-



ლი და რამდენიმე ხნის შემდეგ აქ ეს სულ მოისპობა მაკახელში, ფერი დაშთება, იქმნება ეს მოხსენება დაშთეს მის ნიშნად რომ ერთხელ მაჭახელში ასეთი ხელობა გაბრწყინვებული იყო და მრავლადაც მოფენილი აქა იქ. ისიც კი უნდა ითქვას, რომ მაჭახელურ თოფ-იარალის კეთების სტატობას სხვა კუთხის მა-ჰმალიანებიც სწავლობდნენ და მათ ეს სტატობა სხვაგანაც გაჰქონდათ.

იმასაც კი ლაპარაკობენ, რომ იარალისათვის საჭირო რკი-ნა, ტყვია, ფოლადი, თითბერი, სპილენძი და თუჯი აქვე მა-ჭახელში გამოჰყვანდათ. ყოველივეს აქ პოულობდნენო. აქ იყო ყველა მაღნებით. მაჭახლელებისაგან ეს ხელობა ლაზებს ძველადგანვე შეუსწავლიათ და გაუვრცელებიათ ლაზისტანში. მცოდნე კაცებმა მითხრეს, რომელთაც ლაზიკაში უმგზარნიათ, რომ ამ ხელობამ იქაც იწყო საკმარისად კლებაო. დღეს თუ რამეა იქაც ნატამალობსო. ჯიბრს უწევს ევროპიელი იარალი — ნამეტურ დამბაჩა, ანუ მარტენის სისტემის ლივერი, ლაზის-ტანში ამ ხელობასთან სხვაც ბევრი რამ ეცემა და ეძლევა და-ვიწყებას.

მაჭახელი და მის ერი ოსმალოს მფლობელობის დროს, მთლად გავერანდა და ხალხიც გაველურდა. ესენი იყვნენ ოს-მალოს მთავრობის ბრძა მონები და მასთან ცხარე მეომარნიც, ოსმალოს მთავრობასაც ეს უნდოდა. ოსმალეთის მფლობელო-ბის საშუალებით მაჭახლელნი სადღეისოდ აღარაფერი არიან, მათში ყოველივე დაცემულია მეურნეობაც კი, ხვნა, თესვა, ხელოსნობა და ვაჭრობაც. მათში სადღეისოდ მოისპო თვით ის ხელობაც კი, რითაც მაჭახლელები სახელოვნებდნენ და ოს-მალეთი მთავრობის წინ ხშირად უმიზეზოთ ქართველთა სი-სხლსაც ღვრიდნენ. ეს იყო ნაყოფი ოსმალოს მთავრობის. 1878 წ. შემდეგ, ეს ხალხი რომ ქართველ კაცს ენახა, იმას ამათი ნახვით გული დარდით აევსებოდა. ასე იყვნენ ესენი გაველურებულნი.

სამცხესა და ლაზისტანში გემების და ნავების კეთება,
 გემისნობის და ნავოსნობის დაცემა მათში.

ნავოსნობა და მეგემეობა ქართველებში ერთობ ძველ
 დროს უნდა ვაკუთნოთ. ევროპის მსწავლულთა თქმით ქარ-
 თველებს ნავოსნობა ბერძნებზე ოდრე სცოდნიათ, ამ აზრისა
 არის ბარონ როზენიც. კოლხები ძველ მწერლებისაგან შენი-
 შნულნი არიან როგორც წარჩინებულ ძველ კულტურულ
 ხალხთაგანნი, კოლხები ხომ ქართველები არიან. კოლხებმა
 ძველადგანვე იცოდნენ კარგად ზღვაზედ მოგზაურობა და
 ცურვაც. იგინივე აკეთებდნენ კარგად გემებს, ნავებს, ხომალ-
 დებს და სხვა სამგზავრო სატარებელო, რაღვანაც გემების, ნა-
 ვების და ხომალდების კეთებასთან მჟიდროთ არს გადაბმული
 თვით ნაოსნობაც ამიტომ ჩვენ იქ ორივეზედ ერთად ვისაუბ-
 რებთ.

გემების და ხომალდების კეთება ითხოვს ისეთ ოსტატთა
 რიცხვს, რომელთაც კარგად უნდა იცოდნენ ზღვაში მოგზაუ-
 რობა და ნაოსნობაც, გარდა ამის ისიც უნდა მოგზაურობის
 დროს, მატარებელს სად რა ხიდათი შეემთხვევა, სად როგო-
 რის ვითარებით უნდა ასეთ მატარებელთ მოწყობა, მომართ-
 ვა და ან კეთების დროს სად რა მხარე რა გვარის ზომით და
 ნაჭრებით უნდა დაიჭიროს. ესეთი ოსტატობა და მოხერხება
 ჩვენში ერთობ წინ ყოფილა წასული, რაღვანაც მის განვითა-
 რებისთვის ქართველ ერის მოგზაურობით პირობებიც მოით-
 ხოვდა. ნამეტურ ქართველთ მოგზაურობა საბერძნეთში და
 სხვაგანაც.

მოგეხსენებათ, რომ ქართველნი საბერძნეთში მოგზაურო-
 ბას გემებით და ხომალდებით ძველადგანვე შეეჩივნენ. ქარ-
 თველთაგანნი ხშირად მოგზაურობდნენ იქ და ქრისტიანობის
 მიღების შემდეგიდამ ხომ საქართველოდამ ქართველნი მიემ-



გზავრებოდნენ მუდაშ თვეს, კვირას და თითქმის ყოველი მომავალი, მიღიოდნენ მეფენი, მთავარნი, მოქალაქენი, გლეხნი მღვდელნი, ბერნი და ქალებიც. ერთის სიტყვით, არ იყო ისეთი ქართველი კაცი, რომ იმას საბერძნეთში წასვლის ნატვრა არა ჰქონიყოს. ასეთმა გარემოებამ და მგზართა სიმრავლემ ქართველებში ძველადგანვე ააღორძინა სსენებული ხელობა და მის მიმდევრობა. დროის განმავლობის წყალობით, X საუკუნეში, ქართველებში ეს ოსტატობა უკვე კარგად იყო მოწყობილი და XII საუკუნეში ხომ დავით აღმაშენებლის ქაშს უმაღლეს ხელოვნების წერტილამდის აღვიდა. საქართველოში ნავოსნობის სკოლაც კი დაარსდა, მის მეთაურთ და ხელმძღვანელ მცოდნე კაცები ირიცხებოდნენ. ამათ საქმე ისე კარგად მოაწყეს და ნავოსნობა ისე დააწინაურეს, რომ მათ ძნელათ რომ რამეში შეცდომა მოსვლიყოთ. ამის აღორძინების დასაწყისი მათში თან და თანის კარგის განითარებით მომხდარა.

ნავოსნებმა კარგად იცოდნენ ზღვაზედ მოგზაურობა და ბანაობა, ამას იგინი სწავლობდნენ პატარაობიდანვე.

მათ კარგად იცოდნენ ტაროსის ვითარება და ზღვის დელვის დასაწყისი, ღელვის ხანა და დაწყნარების დრო.

იცოდნენ კარგად ზღვაში სავალი ფონი, აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი. კომპასი არ ჰქონდათ მრავლად, მაგრამ თვით იყვნენ კომპასი.

იცოდნენ ერთის სიტყვით ყველა საჭირო ნავების, გემის და ხომალდების ტარების, მოსმის, გაყვანის, გადატანის, ხალხის მშეიდობით გადასხმის და ვინიცის რამდენი კიდევ სხვანი. შესწავლილი ჰქონდათ ღელვის დროს თავის გადარჩენის ოსტატობაც და უკეთ რომ ვსთქვათ ღელვის დაწყების წინა გრძნობა. იგინი იყვნენ ცოცხალი ბარომეტრი და ტერმომეტრი.

იცოდნენ ხელობა გემების კეთების, თოკების და ღაზლების წვნის და გზაში ყოველივე თუ რამ დასჭირდებოდათ, სულ მათის ზედამხედველობის ქვეშ კეთდებოდა, ყველაფერს თვით



აკეთებდნენ, თან ჰქონდათ ყველაფერი იარაღი, რაც კუთხმაშვილი გირო იყო დაზიანებულ გემთა და ხომალდთა ვასაკეთებლათ.

ვიტყვით აქ კიდევ დამატებით, რომ იგინივე იყვნენ კარგი შეთვეზენი და ბადეების მქსისველნიც, სათევზავო საჭერი იარაღების გამკეთებელიც. ბევრის კიდევ სხვა მხარეთა და საგანთა ცოდნა აქვნდათ, რასაც ჩვენ აქ ყველას ვერ მოვსთვლით, ყველა ამ საქმეთა და საგანთა ცოდნა წარმოადგენდა აუცილებელს საჭიროებას და ლირსებას ქართველის გემოსანის, ნავოსანისთვის და სწორედ ესვე ლირსება იყო სახე ქართველის სანავოსნო სკოლისა. ვიტყვით, რომ ქართველებს სანავოსნო სკოლები ძველადგანვე გვქონდა, მისი ოსტატობა და ლირსება დიდის პატიოსნებით და ოსტატობით იყო გარე შემოსილი და მოსილი. უამისობა არც შეიძლებოდა და ქართველთ ისე კარგად იცოდნენ ზღვაზედ მგზავრობა, რომ ამას აქებენ თავ-თავის დროის ქართველ ხელოვანი მწერლებიც. მოწმობენ, რომ ქართველთა ზღვაზედ მგზავრობა ისე კარგად იცოდნენ, რომ თვით ღელვის დროსაც კი უვნოდ მგზავრობდნენ. გრიგოლ ჩახრუხაძის თქმით, თითქოს ზღვა დაწყნარებული იყო და მარტოდენ ნიავი ჰქონდათ, ისე ოსტატურად მიმოდიოდნენ ზღვაში ღელვის დროსაც კი ქართველ ნავოსანი და გემოსნებით. ესე ყოფილი ძველად ქართველ ნავოსნობის სკოლის სწავლის საქმე განვითარებული და ვგონებ ამაში ეპვი არავის ექნება, ცილს ვერავინ დაგვწამებს.

როგორც სკოლა იყო და მისი წესები საქართველოში ამაღლებული, ისევე კარგი უშიშარი გნიშვნელობა ჰქონდა ხალხში ზღვაზედ მოგზაურობას. რადგანაც ამ საქმის პატივის ცემა და მნიშვნელობა ყველას შეგნებული ჰქონია, ამიტომ ამ საქმეთა ხელობის ცოდნაც დიდის ხალისით იფინებოდა და ისწავლებოდა შავი ზღვის ნაპირას მდებარე მცხოვრებ ქართველთაგან. შესანიშნავია, რომ ამის ასპარეზედ ძველადგანვე დიდის ხალისით აღმოჩენილან ლაზები, ლივანელები და ყველა ის ქართველნი, ვინც კი ზღვასთან ახლოს სცხოვრებლენ და სანავოსნო ხელობასაც კარგად მისდევდნენ. ჩვენ



კარგად ვიცით, რომ ლაზები და ლიგანელები ნაეოსწორობის
მეგემეობით და ამ სამგზავრო ხომალდთა კეთების სიყვარუ-
ლით გატაცებულნი ყოფილან. ლაზები ძველადგანვე ზღვის
კაცებათ, თუ შვილებათ ირიცხებოდნენ და ლივანელნი ჭო-
რობის ხეობის და მდინარის მდევრებათ.

ჩვენდა სამწუხაროდ არ გვაჭვს მის ცნობები, თუ გემების
და ხომალდების პატრონებად ვინ იყვნენ, თითო კაცი, თუ
რამდენიმე ამხანაგი, ანუ შემდგარი ამხანაგობა. არც ის ვი-
ცით თუ მგზავრობის ფასი როგორ იყო და ან მგზავრობა რა
გვარად იცოდნენ. ცხადი საქმეა კი რომ მათ ყოველივე ამის
წესები მოწყობილი ექნებოდათ და ისიც კი უნდა ვსთქვათ,
რომ იგი არც უბრალოდ იქმნებოდა მომართული, რაღაც აც
ხშირად საქართველოდამ საბერძნეთში მგზავრობდნენ თვით სა-
ქართველოს უმაღლესნი პირნი— მეფენი, ესენი აბა ტივებზედ
და ლია ნავებზედ ხომ არ დასხდებოდნენ, უკეთელია მათთვის
წესაურად მოწყობილი გემები და ხომალდები ექნებოდათ
და მგზავრობის გეგმაც კარგად შედგენილი; შეუძლებელია,
რომ ძველად ამ საზღვაო მგზავრობაზედ ქართველებს არა ეწე-
როთრა, წერით კი დასწერენ, მაგრამ მათ ჩვენ დრომდე უამ-
თა ვითარების წყალობით ვერ მოაღწიას, ეს რომ ასე
არ ყოფილიყოს, მაშინ ხომ ჩვენ ასე ცარიელები არ დავ-
შთებოდით. სამწუხაროდ ჩვენი საქმენი ასეა თვით ჩვენ-
განვე მოწყობილნი, რომ წინააღმდეგ მებრძოლად ჩვენს თავს
და წარსულს თვით ჩვენვე უხდებით, ჩვენ ვარღვევთ და ვა-
უქმებთ ყოველივეს ჩვენსას რაც სხვები უნდა გვირღვევდნენ
და გვისპობდნენ, ესე ვავთაბსირდით ჩვენ. ესე უკულმა წარ-
ვედით ცხოვრების გზაზედ.

დღევანდელ ზოგს ქართველს რომ უთხრათ, რომ იდრე
ქართველებს ნაოსნობის სკოლა გვქონიათ, ვინ იცის, იქმნება
იგი მგელივით მოგვარდეს და დაგიწყოს კიცხვა და ყვირილი,
რომ ნავოსნობის სკოლა კი არა და უნივერსიტეტიც ჰქონია-
თო! ამას რასაკვირველია მასხარაობით იტყვის. უნდა ვსთქვათ,
რომ ნავოსნობა და გემოსნობა ლაზებს გარდა მეგრელებსაც



კარგად სცოდნიათ, ამის სრული მოწამეთა ის გარემოება ჯერეთ ქრისტეს წინეთ და შემდეგაც, შავი ზღვიდამ, ფოთის მახლობლივ, გემები შემოდიოდნენ რიონში, მერე რიონით მიემართებოდნენ ორპირამდის, მას აქეთ და იქითაც აუარებელი საქონელი გაჰქონდათ და შემოჰქონდათ, ბერძენთა ძველ მწერლებთა ცნობებით აქედამ წლიურიად ვაჭრებს გაჰქონდათ ათი მილიონი ცცსტრიცის საქონელი, ისევე შემოჰქონდათ, ყოველივე ასეთი პირობები ითხოვდა როგორც ქართველთ დაწინაურებას სახელოსნოს განვითარების მხრით, ისევე ნავოსნობას და მეზღვაურობის კარგად მიხვდრას, ასე იყო ძველიც ქართველ ტომის ვითარება ამ საქმეთა ასპარეზზედ, ქართველს საკმაოდ ჰქონია დროის შესაფერად როგორც ხელოსნობის ნიჭი, ისევ მეზღვაურობის, ნავოსნობის და ვაჭრობისაც.

აღეს კი, ყოველივე მოისპონ ქართველთ ტომისა, ჩვენს მი-
აღარაფერია დაშონილი, ჩვენს საკუთრებათ დაშთა მხოლოდ
მეტივობა, ქართველთაგან დღეს ცეტივეს თუ დაასახელებს
ვინმე და იტყვის, თორემ ნავოსანი, გემოსანი და მეზღვაურ-
თა ხსენება ჭავანებითაც აღარ არის, ყოველივე არქივს ჩაბარ-
და. დღეს აქა იქ თუ ქართველ შენავეობას თუ შეხვდებით.
მეზღვაურთ და გემების და ნავები მკეთებელთ, ესენი იქმნე-
ბიან ისევ და ისევ ლაზები, აფხაზნი, მეგრელნი და სხვანი, მა-
გრამ მათი რიცხვიც სულ მცირეა, ისიც უბრალო საქმეები
უკავიათ ხელში, რაც დღიურ მუშის გალს შეადგენს, მეთა-
ურ-მეზღვაურ ხელოვან ოსტატები ჩვენში აღარავინ სჩანს.
მთელ დასავლეთ-სამხრეთ საქართველოში ერთ ქარხანასაც ვე-
ლარ ვნახავთ ამისასა, ორიოდ პატარა ქარხანები მოიპოვება
ლივანში, საღაც გამოჰყავთ ჭორობში სამგზავრო. ნავები,
რომელ ნავებსაც ართვინიდამ აწარმოებენ და ამგზავრებენ კა-
ხაბრამდის. ისიც კი უნდა ითქვას, რომ ლაზებში ამბათ არი
დაშონილი, რომ ძველად ქართველმა ნავოსნობა და გემების
კეთების ხელობა ერთობ კარგად იკოდნენ, ისე რომ იგინი
ბერძნებს, ოსმალებს და სხვათაც ამ ხელობის ცოდნით დი-



დათ ოლენატებოდნენო. შედარება რომ ყოფილიყო, გამოსახული ქართველნი მათზედ მაღლა მდგარნიც აღმოსჩნდებოდნენო. ამასვე კარგად აჩენს დღევანდელ ლაზების და ჭანების მოხერხებული მეზღვაურობა და გემების ოსტატურად კეთების ხელოსნობა, რაც ლაზისტანში კიდევაც სჩანსო.

ლივანაში, ლაზისტანს და სხვა კუთხეებშიც გემებს აკეთებდნენ სხვა და სხვა ზომისას, ზოგი ისეთი გრძელი იყო და მასთან მაღალი, რომ სიგძე სიგანით დღეინდელ ევროპის გემებს არაფრით ჩამოუვარდება, ზოგს ისეთი დიდრონი ხუფებიც ეხურა, რომ მასში წვიმა ადვილათ ვერ ჩააწევდა. იალკები, აფრანი და სხვანი ჭერის ბანზედ აქვნდათ მომართული და ღუზა კი შიგ გემში იდო. როცა დასკირდებოდათ იალკების, აფრებს და სხვებს ჭერიდამ აუშვებდნენ და აქროლდებოდნენ სხვა მოწყობილობით. ღუზას კი იქ უშვებდნენ სადაც ალაგი იცოდნენ და საჭირო იყო მათვის. გემები კლასებათ არ იყო დაყოფილი, ყველა ერთად ისხდნენ, მხოლოდ მოწინავე პირებს საუკეთესო, უპირატესი ადგილი ეთმობოდათ. ფასის გარდახდის საქმეც ვაჭრობით იყო. უნდა ითქვეს რომ ქართველებმა და ნამეტურ ლაზებმა ისე კარგათ იცოდნენ გემების და ხომალდების კეთების ხელოსნობა, რასაც ძნელად რომ შერძნების და ოსმალების ხელოსნობა სჯობნებოდა, თუმცა ბერძნები ევროპულ ოსატობის საშუალებითაც იყვნენ გაწურთვნილნი გემების კეთებასა და ხელოსნობაში. ჩვენდა სამწუხაროდ, რაც საქართველოს დასავლეთ ნიშილი დაეცა და გათათრება დაუწყეს, მის შემდეგ იქ დაეცა ქართველთ გვაროვნობა და ისლამის წყალობით ხალხოსნობაც ამოვარდა, ხალხოსნობასთან ერთად დაეცა ქართველ ერისაგან ძველად გაბრწყენილი გემების კეთების ხელოსნობა და მას სრულიად თათრული, ინუ ოსმალური სუნი ჩაედგა, ოსმალური სახელი ეწიდა. ის რაც წინეთ ქართველებისა იყო, დღეს ოსმალებისა არის, იგი დღეს მათს საკუთრებას შეადგენს. სამწუხაროდ ისიც კი უნდა ვსთქათ, რომ ქართველ ტომისაგან მონარუქებული გემების კეთების ხელოს-



ნობა ოსმალთა ხელში დარჩა მკვიდრათ და უმოძრაოფენი გადასცემის მიზანით ხელში მან წინ ვერ წაიწია. დღეს მათში იგი წარმატების მა-გიერ მოსპობაზე დამდგარი, ეს იცის ისლამია. ისლამის ხელ-ში ჩვენი მამა ჰაპისაგან მონარუქებული ხელოსნობა დაჭლერქ-და, სული ამოხდა და მოისპო. როგორც დასავლეთ საქართვე-ლოში მოისპო ქართველი გვარი, ისევე მოისპო ქართული ხე-ლოსნობაც.

ვიტყვი კი, რომ ქართველ ტომის გემების და ხომალდე-ბის კეთების ისტორიას დიდი წარსული აქვს, მისი დასაწყისი რამდენიმე ათასი წლის წინა დროებიდამ იწყება. მას მოიხსე-ნებენ რომაელთ და ბიზანტიელთ ძველი მეისტორიე მწერლე-ბიც, იგი უმნიშვნელო არავის ეგონოს, მას დიდი ვრცელი ის-ტორია აქვს, მხოლოდ დაკვირვება უნდა, ძველის ძველ შე-ისტორიეთა ნაწერების კითხვა და ცნობების გარჩევა და გა-მოაშკარავება. ქართველი ტომის ძეთა დურგლობის, ხურო-ობის და მხერხავობის ნიჭს უარს ვერვინ ჰყოფს. თვით დღე საც კი ლაზები განთქმულნი არიან ხუროობით და დურგლო-ბით. გემებიც სწორედ ამათგან კეთდებოდა, მხერხაობა საქარ-თველოში საერთოდ ისე იყო გავრცელებული რომ ამას უალ-რესად მისდევდნენ თვით რაჭელებიც კი. დღესაც რაჭელე-ბი საქართველოში კარგა ხუროებად, მხერხავებად და დურგ-ლებად ირიცხებიან. რაც შეეხება ლაზებს და მათ ხელოსნო-ბის გეგმის სასარგებლოდ, ამას ხომ ეჭვი არ უნდა, რადგანაც იგინი არამც თუ მარტოდ გემების და ხომალდების კაი მკე-თებელნი იყვნენ, არამედ კარგი ნავოსნები. ნავოსნობაც ამა-თის წყალობით გაბრტყინდა მძინარ ისმალთ ტომში და ამის ხელოსნობაც. დღეს შავი ზღვის ნაპირები ტრაპიზონ-სტამბო-ლამდე მოფენილია ქართველ და ლაზელ ტომის შვილებით, იგინი ირიცხებიან საუკეთესო ნავოსნობათ და ხელოსნებათ, იგინი ამგზავრებენ გემებს, ნავებს და მასთან მგზავრობის დროს, დაზიანებულთაც შეაკეთებენ კიდეც. ყველაფერს მარდად უძ-ლვებიან, ყველაფერს კარგად აკეთებენ, მხოლოდ ჩვენი უძ-ლურება ის გახლავთ, რომ ყველა მათ თურქები ეწოდებათ



და მათი ხელოვნობაც თურქთა ტოშის საკუთრებათ უმჯდება, თუმცა ლაზები დღესაც ლაზურიად ლაპარაკობენ, თურქული ბევრმა არც კი იცის მაგრამ რა გაეწყობა, ისლამის წყალობით ჩაყლაპულნი არიან და ჩვენთვის და საყოველთაოდ დაკარგული. დღეს ბევრს იქმნება საკურველათაც კი დაუშოებს ამბავი, რომ ქართველებში ძველად გემების კეთებაც იცოდენენ, ხომალდებისაც და მასთან კარგად მგზავრობა, ანუ ნაოსნობა. აქ საოცრება არავისთვის რა უნდე იქმნეს, თუ ჩვენში ისტორიული ცოდნა აღორძინდება და ქართველთა ტოშის შვილები. კარგა თვალს გაახელენ, თაიანთ წარსულს ნათელის თვალით შეხედავენ. ამის მოვალეა დღეს თვით ქართველ მაჰმადიანთ ახალგაზღობაც, რო მათ შეასმინონ თავიანთი გვაროვნული მოვალეობა და იძიონ ის ჩისაც მოვალეა ყოველი შვილი თვის ქვეყნისა—საქართველოსი. ამის ნიშნები უკვე არის, ქართველ მაჰმადიანთ შვილები იღვიძებენ, თვალს ახლენ ისევე როგორც ეს უკვე წინეთ ქართველებში და ქართველ კათოლიკებში მოხდა *).

*) თუმცა ასეთ წერილებს აქ აღნიშვნა არა აქვს ხოლო ვათავსებთ
დაუკარგველობისთვის. ეს ამბები მაჭახელში მეზღვაურობის ცოდნით მა-
ჭახლელებსაც აქვთ.

გურიის გათათრებისა

ანუ

საგზადისი

გურიის გათათრებისა და გათათრებულ აღმ
 (გილოვი) გურიელის დასწორება.

(ზეპირ ცნობები შეკრებილი აჭარაში.)

ამ აღი გურიელის ამბავი მეტად უცხოა ჩეენთვის. ჩეენს ისტორიულს მასალებში ამ პირის შესახებ სულ არაფერი ცნობებია დაშორებილი. ამის შესახები ცნობები იღრე მე შევკრიბე აჭარაში, იყო მიამბო ერთმა მოხუცმა ქართველ მაჰმადიანმა, რომელიც 1878 წლის შემდეგ, ქართველ მაჰმადიანთ ოსმალეთში დიდის გარდასახლების დროს ტრაპიზონში გადასახლებულა და იქ ვაჭრობს. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ვაჭარი კაცი აჭარაში დაბრუნდა და შემთხვევით გავიცანი. აღი გურიელის შესახებ სხვა და სხვა ცნობებთა ერთი სახალხო ლექსიც მითხრა. ყველა ის ცნობები ერთად შეკრებილი თფილისში გამოვგზავნე „ივერიის“ რედაქციაში დასაბეჭდად 1892 წ.

XVIII საუკუნის დამლევს, ოსმალეთის ბძანებით ახალკიხის ფაშებმა დიდი ზე გავლენა იწყეს გურიაზედ. ოსმალეთს დიდათ ენატრებოდა გურიის დაჭერა, მორჩილება და გურულების გათათრება. ამათ სურვილს განხორციელება არ ეძლეოდა, რადგანაც გურიელები ოსმალთა წინაშე დიდს ოსტატობას იჩენდნენ. საზოგადოთ გურულები, დადინები, მასთან ყველა მთავრები საქართველოს ნაწილებისა, იმერეთის ბატონები და ქართლის მეფენი ოსმალთ, სპარსთა წინაშე დიდს ოსტატობას იჩენდნენ, მათ აღმოსავლეთის ერთა მეფეთა პოლიტიკა კარგად იცოდნენ, ამიტომაც გახლდათ რომ იგინი ამათ ვერ იმორჩილებდნენ, ვერ ატყუილებდნენ, აღმოსავლე-



თის ერთა საქმეებსა და პოლიტიკაში ქართველი მეფების მიერთებული მთავრებიც სჯობდნენ, ამის შედარებაც არ შეიძლებოდა. ოსმალ-სპარსებს ჩვენზედ ერთი უკეთესი შნო აქვნდათ მისი, რომ რაკი იგინი ჩვენ ვერ გვერეოდნენ, მერე თვით ჩვენში ეძებდნენ შინათ გამცემთ. ქართველებს იმხრობდნენ და შინაურის ლალატის საშვალებით გვესეოდნენ. სწორედ ამის მაგალითია სამცხე-საათაბაგოს დამორჩილების ისტორია და მისი გათათრების ამბები გურიაში. გურულებსაც კარგად შეეტყოთ. ალი მოვიდა თუ არა გურიაში, მაშინათვე დაიწყო მან საიდუმლოდ მოქმედება და თანამგრძნობაზე ჯგუფის გაძლერება. ხოლო ამის გაძლიერება გურიაში აღარ დასცალდა. გურულებმა მალე დაიჭირეს იგი და დაპატიმრეს. ერთ დღეს ალი გურიელს გურიის ერის ლალატიც გაუმჯდავნეს. ალი გურიელსა და გურულებს შორის დიდი უსიამოვნობა მოხდა. გურულებმა აღარ უძლეს ალი გურიელს და ბევრის თათბირის შემდეგ ხეზე მიაკრეს და თოფით დახვრიტეს.

ეს ამბავი მთელს ქობულეთის, აჭარის და სხვათა ქართველ მაჰმადიანებს დიდათ ეწყინათ, ამაზედ გლოვნა დაიწყეს და მასზედ ლექსიც გამოსთვევს, ლექსის შინაარსი მოუთხრობდა შემდეგს: როგორც მაისში ვარდი აჰყავდება, როგორც მისი სუნი მოიფინება აქეთ იქითო, ისევე მუსულმანი აღორძინდება გურიასა და გურჯისტანშით. მართალია საბრალო ალი გურიელი დახვრიტეთ გურულებმა, მაგრამ დიდი ფადიშაპი და მუჰამედი არ შეგარჩენთ თქვენაო.

ოსმალთაც ძლიერ ეჯავრათ ალი გურულის დახვრეტა, გურულებს დაემუქრნენ კიდეც, სამაგიეროს გადახდა უნდოდათ, მაგრამ წადილის შესრულებას კი ვეღარ შეუდგნენ, რაღაც 1800 წლის შემდეგიდამ საქართველო რუსეთს ჩაბარდა და გურიის და იმერეთთან კი ალი გურიელის გამო დავა-დარაბა აღარ გამოდგებოდა, არამედ მისთვის მეგობრობა იყო საჭირო და სიყვარულით, რომ იმერეთის სამთავროები და სამეფო მათი ერთგულ მოსამზღვრენი ყოფილიყვნენო. დამორჩილების და გათათრებისთვის ოსმალთ აღარ სკალოდათ და



ამიტომ უფრო დაანებეს თავი ალი გურიელის ისე დაფარისაო.

ალი გურული რომ გურულებს ისე მაღვ არ დაეხვრიტათ, იმას რომ ეცოცხლა, გურიის საქმე გათათრებით გათავდებოდა. იქმნება ეს ზოგიერთებმა დამტკიცებით მიიღონ. მეკი ვიტყვი, რომ ალი გურიელს წილილი ვერ შეუსრულდებოდა, 1800 წლის შემდეგ გურიის ხალხი არ გათათრდებოდა. ვერც ძალით გაათათრებდნენ. ის ჩაც ქობულეთში 1780 წლებს მოხდა, ეს გურიაში შემდეგ არ მოხდებოდა, ამას თავის მიხეხები აქვნდა. ოსმალთ ევონათ, რომ როგორც სამცხე-საათაბაგოს ათაბაგი შევისყიდეთ და გავათათრეთო, გურიასაც ასე უზამთო.

სწორედ ასევე სურდათ გურიის დამორჩილებაც, როგორც იქ შეისყიდეს ბეჭა ჯაყელი, შემდეგ გათათრების საფარფაშა, ჯერეთ ეს გაათათრეს, მერე მთელი სამრჩე გააუქმეს, მაგრა დაიჭირეს და ქართველების ყოველივე მოსპეს და დამხეს, სწორედ ასეთსავე გზას ადგნენ გურიის დამორჩილებაში, ამათ მოსპობაში და გურულების ავტონომიის გაუქმებაში.

XVIII საუკუნეს ბოლოს, ოსმალთა მიაღწიეს თავიანთ საწადელს, გურულებში, გურულების ოჯახში სცხოვრებდა ერთი გურიელთაგანი გიორგი. გიორგის ვინაობა ჩაღაც სიბნელით არის მოცული. ეს გიორგი გურიელი სტამბულში გაზრდილა, ოსმალური ენა და სხვა ენებიც სცოდნის კარგად, თავის დროის კვალიად იგი შესამჩნევად ცნობილი პირი ყოფილა და მასთან მოხერხებულიც. დროს შესვლის, ანუ მოწიფულობის შემდეგ ოსმალეთიდან საქართველოში დაბრუნებულა. იგი სცხოვრებდა გურიაში, რასაკვირველია გურიელების ოჯახში. მას ყველა პატივს სცემდა, რადგანაც იცოდნენ კარგად რომ იგი სტამბოლს იყო გაზღიული და ოსმალეთის მთავრობაც იცნობდა კარგად, პატივსაც სცემდნენ მას.

გიორგი გურიელი კარგის პატივით და ნდობით სარგებლობდა გურულების წინაშე. ღიდის პატივით აღმატებული ველარ მოთავსდა თავის ქერქში. გურულების ღალატი ჩაიდო.



გულში. გაიქცა სტამბოლს, სულთანს გამოეცხადა და გურიაში დიდებულო მზე და მთვარევ, მე მზათა ვარ რომ ვიწამო ის-ლამი და მაჰმადი, მის მერმე ველადო რომ მთელი გურიაც დაგიმორჩილოთ და მის მერმე იგინი ისე გაგიერთგულოდ, რომ ბოლოს თათრობაც მივაღებინო. ხოლო ამისთვის საჭიროა თქვენი მზეებრივი დახმარებაც.

— მერე რა გინდა, რა გსურს, რომ გეწყალობოს ჩვენ-გან? ჰკითხა სულთანმა.

— მე მსურს, რომ გურიის გურიელობა მე შიბოძოთ, მე ვიყო იქ თავი პირი და თქვენი ერთგული.

სულთანი თანახმა გახდა. გიორგი გურული მალე გაათა-თრეს და სახელიდ ალი უწოდეს. მის მერმე იგი იწოდებოდა ალი გურიელად. ვიდრე ალი გურული თავის განძრახვის შეს-რულებას დაიწყებდა, მანამ მას გურიაში ჩამოსვლა მოუხდა და სათადარიგო კაცებთან თათბირი და ცდა.

ალი გურიელის წადილი გურულებმა მალე შეიტყეს. ლა-პარაკი გაუგეს. იგიც გამოტყდა, გაამეღავნა თავის წადილი, ეგონა თანამერჩნობთ რიცხვს მალე იპოვნიდა. რამდენიმე იპოვნა, მაგრამ ესენიც წინააღმდევენი გაუხდნენ. მალე საქმე ისე მოეწყო რომ ალი გურიელმა გურულები ვერც სულთა-ნის სახელით შეაშინა, ვერც ჯარით ვა ვერცარა სხვა მუქა-რებით, გურულებმა არამც თუ თანხმობა განუცხადეს, არამედ როგორც მოლალოტე დაიჭირეს, ხეზე მიაბეს და დახვრიტეს. დახვრეტა მიტომ უფრო გადასწყვიტეს, რადგანაც შეიძლება არ გავთათრდეთ, მაგრამ ალი გურიელი არ მოგვასვენებს, გუ-რიელებს გადაეკიდება, ამას ომი მოჰყვება და მერე უფრო ძვირად დაგვიჯდებათ. ეს კეშმარიტად ასეც იქმნებოდა. სწო-რედ ასე მოხდებოდა. სამწუხაროდ ამ ალი გურიელის შესახებ არა ვიცით რა. ვთიქრობთ, რომ ეს ალი გურიელი გურიის მთავართ გურიელების შთამომავალი კი არ უნდა იყოს, არა-მედ ვინმე გურულთაგანი, რისთვისაც იგი გურიელადაც იწო-დებოდა. არ შეიძლება კი რომ ამ პირის შესახებ გურულ



მოხუცებულით შორის ვინმე არ მოიძებნოს და მან აციფრდებოდა
არაფერი იკოდეს.

გარდა ამისი ისიც კარგად ვიცით, რომ გურიის გათათ-
რების ნატერა ოსმალთაგან გამოთქმული იქმნა 1680 წლიდამ,
ესე იგი მას შემდეგიდამ, რაც ქობულეთში თავდგირიძეები
გაათათრეს და მერე ქობულეთსაც დაუწყეს გათათრება. ქო-
ბულეთის პირველი გათათრება 1690 წლებს ეკუთვნის. გუ-
რულებს ათათრებდნენ შესყიდვით, გაქცეულებს და ტყვეო წა-
ყვანილთაც.

ზემოთ მოხსენებული ოსმალოდამ აჭარაში დაბრუნებული
ქართველი მაჰმადიანი მე გავიცან ქედას, იგი გამაცნო ქართ-
ველ მაჰმადიან შავ. ნაკაშიძემ, ცხენოსან ზავთიამ, ქართული
წერა-კითხვის კარგად მცოდნე. ამ ახლად გაცნობილ პირისა-
გან მონათხრობ ამბის აღწერა, რაც ერთობ საინტერესო იყო,
1891 წ. „ივერიის“ ჩედაქციაში დაიკარგა, არ დაიბეჭდა, ეს
მე შევიტყე შემოდგომას, როცა თფილისში დავბრუნდი. მერე
ეს ამბამი ასე მოკლედ დავსწერე, ალი გურიელზედ გამოთქმუ-
ლი ლექსი კი ველარ მოვიგონე. მეორე წელს კი ეს ქართველ
მაჰმადიანი ველარ ვნახე, იგი ოსმალში წასულიყო. ქართველ
მაჰმადიანებში სხვა კი ვერავინ ვნახე ამ ამბების მცოდნე და
მომგონი. მიკვირს, რომ ამ ალი გურიელის ამბავი ასე მიკარ-
გულა და გურულებშიაც არაფერია მასზედ დარჩენილი. ან იქ-
ნება დაშთენილა, მაგრამ უამთა ვითარების წყალობით ჩვენ
დრომდე ვერ მოაღწიეს.

აფხაზეთის გათათრება*).

აჭარის გათათრების შემდეგ, ოსმალთა სახელმწიფო და სასულიერო წოდების ძალა აფხაზეთზედ იქმნა მიჰყობილი.

ყველამ ვიცით, რომ აფხაზეთი ძველად, საქართველოში განთქმული კუთხე იყო. დავით აღმაშენებელმა, ბაგრატ მესამემ და ბაგრატ მეოთხემაც აფხაზეთში გაიმაგრეს ფეხი და მერე ნაკუშ-ნაკუშად ქცეული საქართველოც განაძლიერეს. საქართველოს სამ სამეფოდ და ხუთ სამეფოდ გაყოფვის შემდეგ – იმერეთის კათოლიკოზი, იმერ-აფხაზთ კათოლიკოზად ირიცხებოდა. დიდი ადგილი და მნიშვნელობა აქვს ამ კუთხეს საქართველოს ისტორიაში. იყვნენ კერძოთ აფხაზეთის კათოლიკოზებიც, ეპისკოპოზნი და მთავრებიც. ბაგრატ მეოთხე როცა ევროპიელთაგან კეისრიათ იქმნა წოდებული, მაშინ იგი იწოდებოდა: კეისარი აფხაზთ, ქართველთა. ასე უწოდებენ თვით ბიზანტიის ძველი მწერლებიც. ბაგრატს – იმპერატორად.

აფხაზეთი ძველადგანვე შეიმოსა ქართველთ მეფეთა ძლიერებით და შათგან განაკეთის ნაშთებით. დღესაც ამ ნაშთების მნახველი განცვიფრებაში მოჰყავსთ აფხაზეთში დღემდე დაშთენილ დიდებულ ნაშთებს. ასეთ იყო ძველად აფხაზეთი, ასეთი იყვნენ აფხაზნი. ქართული ენის სწავლა მათში უმაღლესად იყო წინ წასული და აღორძინებული. შემდეგ დროს კი, ანუ ოსმალთა გაძლიერებიდამ, აფხაზეთსაც ეწვია უბედურება. როგორც ვსთქვით ზემოთაც. ოსმალთა აღრიდგანვე იწყეს ამ კუთხის დამორჩილება, მაგრამ დაჭრიას კი ვერ ახერხებდნენ. ბევრის ხრიკების და შინაური ღალატის შემდეგ, ოს-

*) ზოგი ცნობები კახაბრებში მცხოვრებ აფხაზებთაგა არის მოთხოვნილი.



მაღლა აფხაზეთი დაიკავეს XVIII საუკუნეს დამდეგს სამოქანო მისი ავტონომია კი სამცხე-საათაბაგოს მსგავსად დასტოვებს და მთავრებად შარვაშიძეები. მთავარნი ქრისტიანობით განავებდნენ და მართავდნენ. მცირე ხნის შემდეგ, ანუ 1690 წლებიდამ აფხაზთა ავტონომიაც მოსპეს, მთავართა და დიდებულთ შორის გათათრება შეიტანეს. მოისპო კათოლიკოზის სახელწოდება. არღა იქმნა იმერ-აფხაზთ კათოლიკოზი. აჭარაში თათრობის დამყარების შემდეგ, აფხაზეთის ერის წინაშეც დაიჩოქა გათათრების ბრძოლამ. აქაც მოირთო გლოვის ძაძით ქართველთ სახელოვნება.

აფხაზნი პირველად დიდის გმირობით ეწინააღმდეგებოდნენ ისლამის მიღებას, აქაც წინააღმდეგი ბრძოლა ისე იყო დაწყობილი, როგორც აჭარას და სხვაგანაც, მაგრამ მინც ოსმალთა მოახერხეს და მარტოდ ოდენ ობლად შთენილი ხალხი დაიმორჩილეს, დაამდაბლეს, შეაშინეს და იწყეს მით ისლამის ვრცელება მათში, აფხაზთა გათათრებას დიდი ისტორია აქვს, მეტად სამძიმო. აფხაზნი სჯულის გულისოვის ისე იხოცავდნენ თავებს რომ მასზედ უსასტიკესი აღარა შეიძლებოდა რა. მოგეხსენებათ, რომ თვით აფხაზნიც მეტად ყოჩალი, მხნე ხალხია, იგინი ერთ დროს საქართველოს ძლიერების სახელნი იყვნენ. მიტომაც იყო რომ, ეს კუთხე დიდათ უყვარდათ ქართველ მეფეებს. ესენი აქ ხშირად ისადგურებდნენ. აქ აგებდნენ ციხე-კოშკებს, შესანიშნავ დიდრონს ტაძრებს, სასწავლებლებს და ხელოვნურად ნაგებ მონასტრებს, რასაც ჩვენი ისტორიაც მოწმობს. იყო ისეთი დრო როცა საქართველო ისმალთ და სხვათა ეკავათ და აფხაზეთი კი თავისუფლად იყო დაშთენილი და აქედამ ეფინებოდა დანარჩენ ქართველობას პოლიტიკურად უფლების სხივები. თვით ბაგრატიოვანების დინასტიის განძლიერებაც აქედამ იწყება, რაც შემდეგ მკაცრად იქმნა ისმალთაგან დაცუმული.

აფხაზეთი ძველი კერა ქრისტეს სჯულისა, აკვანი მოციქულთა ანდრიასი და სიმონ ქანანელის. ბინათ სადგური ბაგ-



რატ მესამის, გაგრატ მეოთხის. დავით ალმაშენებლის, მარიამ მარიამის, სავანე წარჩინებულ ბრძენ მწერალთ აფხაზთა შვილების, მწიგნობართა და მწერალთა, იგი ლირსი გახდა შესანიშნავის ტაძრების და სასწავლებლების. აფხაზეთში ბედის ტაძრი, დრანდის, პიწუნდის და სხვანი იყვნენ სასწავლებელნიცერისა. აფხაზთა შვილებს ქედამ ეფინებოდათ დიალი სწავლა და განვითარების სიყვარული. ბედიელნი მამანი საქართველოს ისტორიაში დიდის დიდებით და ბრწყინვით სჩანან. საქართველოს ისტორია ასეთ პირთა ამბების მოთხრობით მეტად მდიდარია. მის ისტორიას განცვიფრებაში და მგლოვიარებაში მოჰყავს ქართველი კაცი.

XVII საუკუნის ნახევრიდამ კი ასეთ კუთხეს ბედი ეცვალა, დიდებულ ერის შთამომავალთ შვილებს ოსმალთა გათათრება დაუწყეს. ოსმალთა მთავრობის ცდამ იქამდის მიაღწია, რომ 1775 წელს უკვე აფხაზეთი თათრის სჯულის მაღლიარებლად იქმნა გამოცხადებული, ამიტომ მის საფუძვლით მათში მრავლად იწყეს თათრის სჯულის თავი კაცების გზავნა, ნასწავლი მოლების, ხოჯების, ხაფიზების და სუნეთების. ოსმალთა მთავრობა ხალხს სასტიკად, მაგრა, ოსტატურად უშენდა ქრისტიანობის შენახვას, ამ დაშლაში მათი სასულიერო წოდება არ ერეოდა ისე, ეს როგორც აქარაში იყო. მთავრობა ამ სჯულის შენახვას სპობუა, სასტიკად ჰკრძალავდა, ყველან ასე აცხადებდა:

„ვინც მთავრობის ბრძანებას არ შეასრულებს, ის მთავრობის წინააღმდეგათ ჩაითვლება და ბოლოს საჭვდილითაც დასჭებათ“. ესენივე სდევნილნენ აფხაზთა სასულიერო წოდებას და სასტიკად უკრძალავდნენ აფხაზეთში დარჩენას, მღვდელ მოქმედების აღსრულებას, ყოველივე დევნას მიეცა და 1760 წლიდამ ოსმალეთის მთავრობის წყალობით დაკატილ იქმნენ მონასტერ-უდაბნო სასწავლებელნი, აფხაზთა შვილების სასწავლებლის ყოველივე ფერფლად იქმნა ქცეული და დაქცეული. ამ დღიდამ იწყება აფხაზთა შვილების სწავლა განათლების დაცემის დასაწყისი.

ოსმალთა აფხაზებს მარტო ეს არ აკმარეს. მათ დაიწყეს

აფხაზთა შვილებზედ მძლავრად ნავარდობა. მათი შვილების ტაცვა, ისმალში წაყვინა, იქ დასყიდვა. მაჭმადის სჯულის მიღებამდის, ყოველი ოჯახის შვილებს, ქრისტიანებს, ისმალთაგან შვილების მოტაცვა და დასყიდვა მოელოდა. მათს ამ გვარს უბედურების ასაცდენათ მხოლოდ და გათათრება იყო დაშთენილი. აფხაზთა სიმაგრის ასალაგმავათ და დასამორჩილებელ იარაღად ისმალთა გამოაცხადეს ასეთი წესები, რაც მოეფინა და მოედო მთელს აფხაზეთს.

აფხაზეთში თუ დაშთება ვინმე ქრისტიან მღვდელთაგანი და წინააღმდეგ იმოქმედებს მაჭმადის სჯულის, იმას თუ შეუტყეთ ეს ამბავი, იცოდეს რომ სიკვდილის შემდეგ მის სხეულს მიწაში არ დავამარხვინებთ. იგი ღირსი არ იქნება ჩვენგან პატივისცემის.

ესეთი წესები ისმალთ ერთ დროს სამცხეშიც აქვნდათ წესათ მიღებული. მე მაქვს ერთი ძველი ისმალური ქალალდი რაც ამას მოწმობს, ერთ მღვდელს თურმე შეუტყეს ქრისტიანობის მფარველობა, ეს მღვდელი ამისთვის უნდა დაესაჯათ, მაგრამ იგი ივად გახდა და მალეც მოკვდა. დამარხვა არ უნდოდათ, მაგრამ სხვებმა აპატიეს მით, რომ გამოძიებას ვერ დაესწროვო. იქნება ჭორები მოუგონესო. ამიტომ ნება მისცეს ამ მღვდლის დამარხვის, მხოლოდ ისიც ისე რომ სამარე უნდა გაითხაროს ძალიან ღრმათაო, რომ იქიდამ მისი ცოდვილი ლეში უკან ამოსროლა მიწამ ვერ შესძლოსო, რადგანაც თათრის სჯულის წინააღმდეგი მღვდელი ცოდვილი არისო, მტერი მაჭმადისა და ამას კიდევ მიწა არ მიიღებსო. ასეთის ისტატობით ისმალთა ძლიერება შეაშინეს ქართველთ ჩუმი შეადაგებელთ ქრისტიან მღვდელნი და მცირე ხნის განმავლობაში აფხაზეთი დაცალეს ასეთის პირებით. მაგარ ქრისტიანთა დასამორჩილებლად დააშესეს ასეთი ხრიკები: ეს ხრიკები მათგან იხმარებოდა 1705 წლიდან. ასე, რომ 1710 წელს საკათალიკოზო მოქვის ტაძარიც გაუქმდა. მასთან სხვებიც გაუქმდნენ, თითქმის სრულიად.

აფხაზის ოჯახს თუ სურს ქრისტიანათ დაშთეს, მაშინ მან



უნდა იცოდეს რომ თათრებზედ დაბლა იდგება, ულტრანისტების ხარჯი მეტი გადახდება. წინააღმდეგს ვერ იქმს. ეს წესები აღრიცვანვე იქმნა შესული, ამიტომ 1720 წლიდამ გათათრებისათვის ძალას არავის ატანდნენ. თათრობა თავის ნებით მიღიოდა წინ.

ოთხი შეილი თუ ჰყავს, მაშინ ორი მთავრობას უნდა მისცეს ხარკათ და ორი შეილი შეუძლიან თვით იყოლის ქრისტიანის სჯულზედ. ქრისტიანობაც აღარ იყო აღრიცვანვე. მოძღვარნი აღარ ჰყავანდათ 1700 წლებიდამ თითქმის.

იყვნენ ისეთი ოჯახები რომელნიც ამ გარემოებას არ ემორჩილებოდნენ, იყვნენ, ისეთნიც რომელნიც ემორჩილებოდნენ. ყოველ შემთხვევაში ასე თუ ისე, აფხაზთა ოჯახებს დიდი რიცხვი იკლდებოდა თვისი შეილების და მით მათი რიცხვიც მცირდებოდა.

ქრისტიან აფხაზთა ნება აქვნდათ, რომ მათ მოეწაცნათ საიდუმლოდ შთენილ ქრისტიან აფხაზთა შეილები და იგინი შორს საღმე გადაერეკათ და მხოლოდ პატრონის გაუგებრად თსმალებზედ კარგ ფასად დაყყიდნათ. ასეთივე ნება აქვნდათ რმ აფხაზებს ვინც მაჰმადის სჯულს აღიარებდა. ამ გარემოებით აფხაზეთის ჩუმ თუ ცხად ქრისტიანთა შეილებს მრავალი მტერნი გაუჩნდნენ და მათ შეილებს მრავლად უწყეს ტაცვა. ასე-ლებაში გემებით გადაყვანა და დასყიდვა. ამ გარემოებამ მძლავრად და ძირიან ფეხვიანად შეარყია ქრისტიანობის მაღიარებელთ რიცხვი აფხაზთა შორის და მთელი აფხაზეთი XIX საუკუნის დამდევამდის თითქმის მტერ ფანატიკ მაჰმადიანებათ ექმნენ გამოცხადებულნი.

ასეთმავე გარემოებამ შეამცირა მთლათ აფხაზთა რიცხვი. 1650 წ. აფხაზთა რიცხვი იყო ნახევარ მილიონზედ მეტი. თითქმის 600 ათასი. XVIII საუკუნის ნახევარს, ანუ 1770 წლებში იკლო და 400 ათასზედ ავიდა. მერე კი მათი შეილების ტაცვამ, გათათრებამ და მუდმივ მებრძანებამ იქამდის დააუუძლურა და მოსპო რომ XIX საუკუნის დამდევას 200 ათასი ძლივსღა იყო. შემდეგ ესეც მოისპო და დღეს რაც არის აფხაზთა რიც-



ზვი ის ყველამ ვიცით. ასე დაემხო იუსტინე კეისართაგაშეღიანება
დებულად ხმობილი ძველი საქართველოს ნაწილი-აფხაზეთი.

რადგანაც აფხაზთა შვილები ცქიტი, მალხაზი და ლამა-
ზი ხალხია. ამიტომ ძლიერ მრავლად გაჰყვანდათ ამათი შვი-
ლები სტამბოლს გარეშე სხვა აღგილებშიაც და ჰყიდნენ კაი
ფასად. ამ დაყიდვას ცხადად ასაბუთებს აფხაზეთის შალაქია კა-
თოლიკოზისაგან დატოვებული ქადაგებანი, რაც უკვე ვახსე-
ნეთ, ამასვე ამტკიცებენ ევროპის მოზაურნი და ნამეტურ კა-
თოლიკეთ სხვა და სხვა ძმობის მამანი.

სტამბოლსა და სხვა ასეთ დიდს ქალაქებში, თითქმის ყვე-
ლა ოსმალოს ოჯახში ნახავდით აფხაზთა ლამაზ ქალ-ვაჟებს.
ზოგ ქალებს ცოლებათ ირთავდნენ, ზოგს ვაჟებს ისიძავებდნენ
სილამაზის გულისთვის და ამით ამშვენებდნენ თვის ტომს, ბევ-
რი და ბევრის ბევრიც ოჯახებში მონებად ჰყვანდათ. რაც
ქრისტიანობის გულისთვის აფხაზეთს ვაება დაადგა და მათ ეს
ვაებაც აიტანეს, ასეთი საქართველოს სხვა კუთხის ქართველთ
არა უნახავთ რა. მიზეზი ამათის დიდის უბედურების ის იყო
რომ აფხაზეთი საქართველოდამ, ანუ თვის მოსამზღვრე ქარ-
თველთ კუთხებიდამ შორს მიუვალ და მიყრუებულად სძევს,
მეზობლობა მას არ აქვნდა დანარჩენ ქართველებთან გაბმული
და ამიტომ უფრო იდევნებოდნენ ოსმალთაგან და იტანჯებო-
დნენ. მათ ზღვა მეზობლობდა და ამიტომაც იგინი იყვნენ კარ-
გი მეზღვაურნი, მენავენი და კარგი მობანავენი, თითქმის ზღვის
შვილებად იწოდებოდნენ ძველად.

დიახ ბატონო, აფხაზთა გეთათრების საქმეს დიდი ისტო-
რია აქვს. აფხაზთა გათათრება გახდა იარაღიად თვით ამ ხალ-
ხის შემცირების და მოსპობის. ამ გარემოებას აწინდელ აფ-
ხაზთა შვილებიც გულ-ცეცხლით სავსე უნდა უმზერდენ. ოს-
მალეთში აფხაზთა დაკარგეს ყოველივე გვაროვნელი თვით ცნო-
ბიერება და სრულიად გადაგვარდნენ, ოსმალური ენა შეითვი-
სეს და სადღეისოთ ოსმალეთში მათი ვინაობის აღარაფერია
დაშთენილი თვინიერ სახეზედ გამოხატულის საქართველოს
ერის მონათესავედ ყოფნის სილამაზის და სიკეპლუცისა. ასე იყო

დაემხო ძველ ბიზანტიის სამეზობლო საქართველოს ნაწილი აფხაზეთი, ასე მოისპონ ქართველთ ტომის და კუთხის გეგმის ერთი შტო ერისა და მისი კილო-კავი.

დღეს აფხაზეთს შეუძლიან სთქას: რომ მე ოდენდა მხოლოდ მოწამე ვარ მისი, თუ ოდესმე როგორ ამაღლდა საქართველო და მოწამეცა ვარ მისი, თუ ან როდის დაეცა ამაღლებული საქართველო და ნამეტურ აფხაზეთიო.

უნდა აღნიშნო ისიც, რომ აფხაზეთის თავად-აზნაურობას და ნამეტურ მთავართ შარვაშიძეთ დიდი ამაგი მიუძღვისთ. საქართველოს წინაშე. ესენი ოსმალთ ყოველთვის მკაცრად ებრძოდნენ და მამულისა, ენის და ქრისტიანობის გულისთვის ადვილად არას უთმობდნენ. აფხაზეთის მთავარნი არ ჰგვანდნენ სამცხის დიდებულ მთავარ ათაბეგების გვარის წევრთ ბეჭა ჯაყელს და სხვათაც, რომელთაც საქართველოს უღალატეს და გათათრდნენ. შარვაშიძეებში ამისი მაგალითი არ იყო. მართალია ამათშიაც იყვნენ თითო ოროლა ოსმალთა მომხრენი, მაგრამ ამასაც თავის მიზეზები და პირობები აქვს. საზოგადოთ ამ გვარს დიდი ამაგი და შრომა აქვს დახარჯული აფხაზთა ერის წინაშე. ასე და ამ გვარად, აფხაზთა სრულიად გათათრება ეკუთვნის 1680 წლებიდამ 1780 წლამდის ასე რომ XVIII საუკუნის შემდეგ მთელი აფხაზეთი ისლამს აღიარებდა. მათში ერთი კაციც აღარ იყო ქრისტიანად დაშთენილი. ასე დაეცა ერთ დროს აფხაზეთი.

ჭ ე ნ ი ჭ ვ ნ ა.

ამ მასალებში ბევრს სიტყვებს მე ჩემებურად ვხმარობ. მაგალითებრ ქართველ მაპმაღიანები იტყოდნენ: თავი შეინახა. ამის მაგიერ ვხმარობ — ქრისტიანობა შეინახა. გადაბრუნდა, — ვხმარობ ისლამი მიიღო, — ან გათათრდა. ასევე კიდევ სხვა მათ ნახმარ სიტყვებს მე ჩემებური სიტყვებით ვწერ. შეიძლება მკითხველმა სთქვას, რო ასე რათ დაწერე და რატომ ისე არა როგორც ისინი ლაპარაკობენო, ამაზედ ვიტყვით, რომ მათ ნახმარ სიტყვები სულ უსრულებია და მასთან ჩვენთვისაც ხა-მი. ამიტომ უფრო ასე დავსწერე, ასე ვამჯობინე, ეს ჩენთვი-საც ცნობილია და მათთვისაც ადვილად გასაცნობი იქნება. ყოველივე ეს აქ მიტომ მოვიყვანე, რაღანაც ბევრს წერილ-ში ისეთი სიტყვებია მოყვანილი, რაც შეუძლებელია, რომ ეს საქრისტიანო სახელები მუსულმანებმა იცოდნენო. მართალია ამათ ასე არ იციან ლაპარაკი, ხოლო მათ მაგიერ სხვა სიტ-ყვების ხმარება კი მაინც იციან. ზოგს ორის და სამის სიტ-ყვით ახსნიან და ზოგთაც სხვა გვარ.

სამუსულმან საქართველო და მუსულმან ქართველობა.

დასავლეთ საქართველო საკმარისად ვრცელი კუთხეა, იგი უდრის ნახევარ საქართველოს. მისი სამზღვრები სამხრეთ ჰიდა-სტანია, დასავლეთ ბიზანტია, აღმოსავლეთ სპარსეთი და ჩრდი-ლოდ ქვემო ქართლი და სამშვილდე. ძველი ყველა ამ ვრცელს აღვილთა სოფლებში მთლად ქართველები ესახლნენ. ქართუ-ლიად მოლაპარაკენი, ყველა ესენი წინედ ქრისტიანობას აღი-არებდნენ. 1502 წ. ოსმალეთმა დაიპყრო ეს კუთხე და ამის გამგეთ ქაიხოსრო თაბაგი დანიშნეს. ამ დღიდამ ქართველნი ოსმალთ მარტოდ ხარჯს აძლევდნენ. 1626 წ. ბექა თაბაგი ისლამს დაუკავშირდა, მის შემდეგ, ოსმალთ სამცხე-საათაბაგო-ში მოსპეს ქართველთ წესები, ანუ ათაბეგების ავტონომია და მის მავიერ დაარსეს ახალციხის ვალი ფაშობა და სხვა საფა-შალიკოები. ამის შემდეგ ქართველთა იწყეს ისლამის მი-ლებაც.

ორი საუკუნის განმავლობაში მთელმა სამცხე-საათაბაგოს ქართველობამ იწამა ისლამი. ასეთ ქართველთა რიცხვი იყო ათი და ოცი ათასი კი არა არამედ მილიონი. გამაპმალიანე-ბულის ქართველების ზოგმა დღემდე დაკარგა ქართული ენა, ზოგ ალაგას შეინახეს. მაგალითებრ მთლად მოისპო ყარსის თემში, არტაანის-არდაგანის, ოლოისის, ფოცხოვს, ქვაბლიანს, მესხეთ-ახალციხე და ახალქალაქის ჯავახეთშიაც, ზოგ სოფლებ-ში დაკარგეს ქართული ენა ქართველ მაპმალიანებმა. შავშე-თის ერთ ნაწილში, არდანუჯისაკენ და ბევრიც სხვა კუთხეებ-ში. მკვიდრად სუფევს ქართული ენა ბათუმის ოლქის ქართ-



ველ მაჰშადიანებში, ართვინის ოლქის ორ ნაწილს მურავილობის
და იმერხევის სოფლებში და ზოგიც ოსმალეთის სამფლობე-
ლო საქართველოში, უმეტესად დასავლეთ საქართველოს კუთ-
ხეებში, რაც შავ-ზღვას და ძველ ბიზანტიის მახლობლად მდე-
ბარეობს.

კაცი როცა მოგზაურობს იმ კუთხეებში ჰკვირობს მას-
ზედ, თუ ამოდონა ქართველობა, ამოდონა სოფლები, ქალა-
ქები და ხალხი ოსმალეთის სახელმწიფომ როგორ დაიმორჩი-
ლა, აქ თვის ძლიერება როგორ დაამყარა, ან ისლამი როგორ
გაავრცელეს. ამაზედ საქართველოს ისტორიაში ერთობ მცი-
რე ცნობები გახლავსთ მოხსენებული, ამიტომაც ისლამის შე-
სახებ ჩემის შეძლების და გვარად ეს ცნობები შევკრიბე. იმე-
დია რომ ეს მასალები დიდათ თუ არა მცირედ მიინც მიიღ-
წევენ თავიანთ ისტორიულ მნიშვნელობას.

პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილის ჟაზრი ამ ისტორიული მასალების შესახებ.

ამ მასალების ერთი პატარა წიგნი მე ღავძეებდე ცალკე
და გამოვეცი 1900 წლებს, ეს წიგნი პროფესორმა ალექსანდ-
რე ხახანაშვილმა განიხილა რუსულს ენაზედ და განხილვა დას-
ტამბა იმა დროის, პეტერბურგის რუსულ ჟურნალ „რუსკაია
ნისლუში“ პროფესორის აზრი სულ ერთ ფურცელზეა მოთავ-
სებული და იგი ამის შესახებ სწერს შემდეგს:

ეს წიგნი არის ერთად ერთი მასალა, ერთად ერთი წყა-
რო ქართველებში ისლამის გავრცელების და ქრისტიანობის
შესახებო. ამ სჯულის გამოცვლას კი უსათუოდ ქართველებ-
ში დიდი ისტორია ექმნებოდაო. ხოლო ჩვენი ისტორია კი
ამაზედ სდუმსო. ამიტომ უფრო აქვს ამ წიგნს თავისებური
ღირსება და მნიშვნელობა, რომ იგი ცოტად თუ ბევრად ის-
ლამის გავრცელების შესახებ სხვა და სხვა ზეპირ ცნობებს იძ-
ლევაო. სამწუხაროდ ეს რუსული ჟურნალი ველარ ვიპოვნე,
თორემ მთლიად მოვათავსებდი აქ იმ წერილს.

ქართველ მაჰმადიანებს, ანუ მუსულმან ქართველებს.

მშებო ქართველ მაჰმადიანებო, თქვენ არ იფიქროთ, რომ
 ეს ცნობები მიტომ ამიკინძავს, რომ ამით თქვენზედ რამე გა-
 ვლენა ვიქონიოთ, მოგაგონოთ თქვენი ძველი წარსული და
 ისიც, თუ თქვენს ძველებს რა სისხლის ღერა გადახდენიათ
 სჯულის გამო, რომ ამით თქვენ ქრისტიანობა შეგაყვაროთ,
 ისლამი შეგაძულოთ. ღმერთმა დაგვიფაროს. ამისაგან ჩვენ და
 მთელი ქართველობა შორს სდგას. ჩვენ ამის ფიქრი არას დროს
 არა გვქონია და არც გვექნება.

ყოველ ასეთ დიდს შემთხვევებს და მოვლინებას ხალხში
 აქვს თავის დიდი ისტორია, ამიტომ ყოველ ქართველ მაჰმა-
 დიანი დაგვეთანხმება მასზედ, რომ მათს სამშობლოშიაც, უკ-
 კველია სჯულის გამო, ბევრნაირი ამბები და შემთხვევები მო-
 ხდებოდა, ყოველ დროსა და ცვლილებას თავის ისტორიული
 მიზეზები ექმნებოდა, ამ მიზეზებს ვერავინ ვერსად გაექცეოდა,
 ამიტომაც საჭიროა რომ ყოველივე ასეთ დიდ შემთხვევათა
 შესახებ ცნობები მრავლად იქმნეს ისტორიაში ანუსხული. ეს
 იქნება დიდი საუნჯე ჩვენის ისტორიისა.

სამწუხაროდ საქართველოს ისტორიული მასალები ერ-
 თობ ცოტა ცნობებს იძლევა მასზედ, თუ სამცხე-საათაბაგოს
 ქართველთ როგორ მიიღეს ისლამი, მიღებას რანირად ეპუ-
 რობოდნენ და ეგებებოდნენ. ასე თუ ისე, როგორც სჩანს, ეს
 ცელილება ადვილად არ მომხდარა. ამიტომაც საჭირო არის,
 რომ ამის შესახებ ჩვენ გვქონდეს ყველა ნაირი ცნობები, ამ
 ცნობების არსებობა არ იქმნება მეტი. მაგრამ სიღდამ და რით?



როცა საქართველოს ისტორია ამაზედ მდუმარებს, ჩვენი მამაკანი ლებს ამისთვის სულ არ მიუქცევიათ ყურადღება, არც არა თქვენს ძველებს დაუწერიათ ამაზედ რამე. ჩვენი ისტორია მარტოდ ასე მოკლედ გადმოგცებს ამ დიდ საქმეთა ცნობებს.

„ოსმალთა სამცხე დაიპყრეს, ქართველი გაათაორეს. ვი-ეთნიმე თავად-აზნაური ისმალურ საუბრობენ, გლეხნი დღემ-დე ქართულად ლაპარაკობენ, აწ მაჰმადიან არიან, მცირედ ქრისტიანენიც, ხოლო უმღვდლონი, უმწყემსონი. თავადთა მისცეს ბეგობა და აწ იწოდებიან ბეგად, სამჯაყ ბეგად ალია ბეგად და ალად“. აი ეს არის სულ ამ დიდის გარემოების შე-სახებ ცნობები, საქმით კი სჩანს, რომ ამას აქვს მეტად დიდი ისტორია.

ჩემის მგზავრობის დროს, ათი წლის განმავლობაში, ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიეკუი. ვსწუხდი მასზედ, რომ ასეთ უდიდეს საქმეთა შესახებ ჩვენ სულ არაფერი მასა-ლები გვკონდა. მაშინ ქართველ მაჰმადიანთ შორის იყვნენ თითო ოროლა ნასწავლი ისეთ ქართველ მაჰმადიანები, რო-მელთაც სწავლა ისმალეთში აქვნდათ დამთავრებული, მათ ისმალური მწერლობაც კარგად იცოდნენ, მათ ვკითხე ამის შესახებ რამე ცნობები, იქნება ისმალურს, ან არაბულ ენა-ზედ მოიპოვება რამე? მათ აუწყეს შემდეგი:

ამის გაგება ჩვენც გვინდოდა, სტამბოლში ბევრი ვსძებ-ნეთ ასეთი ისტორიული ცნობები, მაგრამ ვერსად რა ვნახეთ. ისმალნი მარტოდ თავიან კალენდრებში სწერენ, რომ გურ-ჯისტანში ამდენი სულის ისლამის მაღიარებელ გურჯი თათა-რი არისო. ამდენი სხვა, ამის მეტი ჩვენ ვერა ვიპოვეთ რა ის-მალურ წიგნებშიო. ეს ნამდვილიათ.

ამ ლაპარაკის დროს, მსენელთ შორის, ზოგნი მოხუც-ნი თავიანთ ძველთაგან გათათრების, ანუ ისლამთან დაკავში-რების ამბავს იტყოდნენ ხოლმე. ასეთ ამბებმა შე გამიტაცეს 1890 წ. ამ გარემოებას მიეკუი ჯეროვანი ყურადღება და ხუთი წლის განმავლობაში, საღაც კი მგზავრობდი და ვსკოვ-რებდი, იქ ქართველთ მაჰმადიანთ შორის ვიახლოვებდი ისეთ



მოხუცთაც, რომელთაც ჩემის ფიქრით ღრმა მოხუცება ჟაკულიშვილი ყობოდათ. ამათ გაცნობას ჩემი საუბარი და სიყვარულ ჰო- ჰუვებოდა, თაორობაზედ ტკბილად ლაპარაკი, ისლამის პატივის- ცემა.

ასეთ პირთა პატივსაცემლად თან დამქონდა ყავა, ჩაი, შაქარი, სხვა და სხვა ტკბილი ხილეულობა, თეთრი ახალი ორ შაურიანი და აბაზიანები. ამით ყველის პატივს ვსცემდი რაკი ერთი მოხუცი იტყოდა რამეს ისლამის შესახებ, მერე მას მე- ორეც მოაყოლებდა, მესამეც და ასე და ამ გვარად მეც ვა- ლაპარაკებდი მათ და თან ვინიშნავდი ცნობებს, მერე იმავ დღეს ვსწერდი ისე, როგორც ჩვენი საუბარი სწარმოებდა. ჩემს წინაშე ასეთ ცნობების შესახებ თვით ხოჯები და მოლე- ბიც ლაპარაკობდნენ. ამათ ჩემი ეჭვი აღარაფრის აქვნდათ, რადგანაც მე მათში მალე დავიმსახურე სრული პატივისცემა, შევასწავლე მავაებური ლოცვები არაბულად, ჯამეშიაც დავია- რებოდი, მასთან ისლამის ლოცვებსაც სუფთად და სწორედ ვასრულებდი, რათა ამით მათი გული მომეგო. საქმე ისე წა- მივიდა, რომ მათი არაბული ლოცვის წიგნიც დავბეჭდე რისა გამო ბევრის მოხუცისაგან მაღლასაც მივიღე.

მე რომ არაბულად ვლოცულობდი, მათ ეს დიდათ უკ- ვირდათ. ამ ხერხით მე ბევრი ძვირფასი მასალები შევკრიბე. რადგანაც ცნობებს მერე ვიწერდი, ამიტომ შეიძლება ზოგი რამ ძვირფასი ცნობები დამავიწყდა, გამომირჩა. რადგანაც მა- შინ ამ ცნობებს თფილისში ქართულ გაზეთებს უგზავნიდი; ზოგი რამ ცნობები თურმე გზაში იყარგებოდა, რედაქციამდის არ მოდიოდა, ბევრს ადგილიდამ ბათუმამდის ამ წერილებს მგზავრებს ვატანდი. უმეტესი ნაწილი ამ მასალების დაიბეჭდა გაზ. „ივერია“-ში და შემდეგ აკაკის „კრებულში“ 1897 წ. ცალკე ორ წიგნად გამოვეცი. პროფესორმა ალ. ხახანაშვილ- მა 1898 წ. უურ. „რუსკია მისლის“ წერილი მოათავსა ამ წი- გნების შესახებ. ეხლა ყველა ეს ერთ წიგნად დავბეჭდე. ზო- გოც სხვა მასალები მიუმატე, რაც შევკრიბე.

ცხადი საქმეა, რომ ამის შესახები მასალები ქართველ მა-



ჰმადიანებში ზეპირად მრავლად იქმნებოდა დაცული. ჸელაბერიძე სოფართა რიცხვიც დიდი იქნებოდა, ესა სჩანლა იქიდამაც, რომ მოხუცნი საუბრის დროს იტყოდნენ, რომ ჩვენი ძველე ბიკ ასე ლაპარაკობდნენო. ცხადი საქმეა, რომ ეს ასე იქმნებოდა, ამათის ზეპირის ამბებიდამ მაშინ ერთი და ორი წიგნაკი არ დაიწერებოდა, არამედ 24 ტომი. ამაზედ ასევე სწერს ვინმე შესხი, ეს მან ახალციხეში, ერთ დღეს, ქადაგებაშიც წარმოსოდეს. ვამბობთ 24 ტომი დაიწერებოდა მიტომ, რადგანაც ზოგს ხეობის ქართველთ ადრე მიუღიათ, ზოგს გვიან, ხოლო ამ ხნის განმავლობაში მათში ათასნაირი ამბებიც მომხდარა, რაც ღირსი იქმნებოდა აღწერის, მაგრამ მაშინ ამას აბა ვინ აღწერდა. არავინ, მიტომ რომ იქ აღარავინ იყო ამ დიდი საქმის მნიშვნელობის მცოდნე, ამიტომაც ყველაფერი უამთა ვითარების წყალობით დავიწყებას მისცემია.

ჩვენს დროში კი, ქართველთ მაჰმადიან შორის, იყვნენ თითო ოროლა ისეთ მოხუცნიც, რომელთაც ამის შესახები ამბები ზეპირად მრავლად იკოდნენ, უეჭველია ამათში ბევრს ალაგას იქმნებოდნენ ასეთ მოხუცნიც, რომელთაც ბევრი რამ ძველი ამბები იკოდნენ ისლამის შესახებ, ხოლო მეკი ასეთ მოხუცებულთ ცნობა არ მქონდა, მათგან მონათხრობი ვერა შევკრიბერა. უეჭველია ასეთ პირთა უცნობლობით მე ბევრი რამ ცნობები გამომრჩებოდა, ამას ეჭვი არ უნდა, მაგრამ რა გაეწყობა, განა მარტო ასეთის ისტორიულის მასალებითა ვართ ლატანი, ჩვენ ბევრიც სხვა რამ გვაკლია. თვით ქართველ მაჰმადიანებიც იტყვიან ამას, რომ მათ სულ აზაფერი ცნობები მოეპოვებათ თავიანთ წინაპირთ მუსულმანთა ისტორიის შესახებ.

ყველა ეს სიმცირე ჩვენის ისტორიისა და ერის აქ მიტომ მოვიყვანეთ, რომ ჩვენმა მოძმე ქართველ მაჰმადიანებმა ჩვენ ამ წიგნით რამე სიყალბე არ დაგვწამონ. შევკრიბეთ ყველა ეს ცნობები მით უფრო, რადგანაც სურვილი გვაქვს, რომ მათ იკოდნენ ის გარემოება თუ სჯულიდამ-სჯულზედ გადასვლა რა ძნელი საქმეა, მძიმე, აუტანელი, ზოგისთვის სულიე-



რად დატანჯვაც და ვინ იცის რამდენი კიდევ სხვა ასეზოდებოდა
ფილან. ამიტომაც ძმურად ვაუწყებთ ქართველ მაპმაღიანებს
შემდეგს, რაც მათთვისაც უეჭველია საყურადღებო იქმნება და
მასთან მოსაწონიც, მოსაწონი მით უფრო, რაღაცანაც ყოვე-
ლივე ეს მართალია და ჰეშმარიტი, რასაც არაფერი ბოროტი
არა აქვსრა მაზედ.

ძველად ანუ ისლამის მიღების დროს, რაც მოხდა, მოხ-
და, ის ჩვენ ძველებთან მომხდარა, ამიტომ ჩვენ მათ საქმეს-
თან ხელი და დავა არ გვაქვს. ყველა ის ჩვენგან შორს არის,
ამიტომაც დღეინდელ ქართველ მაპმაღიანებიც ვალდებული
არიან რომ თავიანთ სჯული—ისლამი მტკიცედ შეინახონ.
ამაზედ ვისთანმე ლაპარაკიც კი არ დაიწყონ, ვინაიდგან ჩვენს
დროში სჯულზედ ლაპარაკი წესად აღარ არის, ყველა თავის
სჯულით იქმნეს, ყველამ თავის სარწმუნოება შეინახოს. ნურც
ერთი ქართველ მაპმაღიანი, ნურც ერთი ხოჯა და მოლა ნუ
იფიქრებს ამას, რომ ჩვენ ქრისტიან ქართველებს ვითომ მათი
გაქრისტიანება გვინდოდეს, ღმერთმა დაგვიფაროს, ასეთს აზ-
რის არამც თუ მარტოდ ერის კაცნი არიან, ჩვენში არამედ
თვით ქართველი სამღვდელოებაც ამ აზრის გახლავსთ. ეს არის
ჩვენ მიერ ჰეშმარიტი მოხსენება, სწორე შეხედულება საქმესა
და საგანზედ.

დასასრულ კიდევ ვიტყვით სამახსოვროდ შემდეგს: ჩვენს
დროში, კაცი, პატიოსანი კაცი თავის დღეში სჯულს არ გა-
მოიცვლის. ამიტომაც ყველა ქართველ მუსულმანი მტკიცედ
უნდა აღგეს თავის სჯულზედ და იგი ვერავითარმა დარიგებამ
ვერ უნდა შეარყიოს, ვერც ფულმა, ვერც ქილის სიყვარულ-
მა და ვერცა რა სხვა ასეთ დიდების მოყვარეობამ. ეს არის
ჩვენი აზრი და თხოვნა ქართველ მაპმაღიანთ წინაშე. დღეს,
ჩვენ, ქართველ ქრისტიანებიც ამავე აზრის გახლავართ ჩვენ
მოძმე ქართველ მაპმაღიანთ შესახებ. დავსძნთ იმასაც, რომ
თვით შემოერთების დროს, რუსეთის მთავარ მართებელმაც ასე
გაუწყათ, რომ თქვენ იყავით, დაშთით თქვენს ქვეყანაში, მას-
თან იყავით კაი კაცები თქვენის ოჯახისათვის, სასარგებლონი



მეზობლის და მეგობრისათვის. დანარჩენის ფიქრი ნუ გაქცეულია
თქვენ არცარავინ სჯულს შეგიცვლით და ამაზედ არცმავის
ნება ექვნებათ რომ თქვენ წინაშე სიტყვა სთქანო. ჩვენთვის
ყველა ერთია ქრისტიანი და მუსულმანი, ოლონდ იგინი იყვნენ
ჩვენი ერთგულნი და პატიოსანი მუშაკნიო.

ამის შემდეგ, ჩვენზედ და ქართულ წიგნებზედ თუ ვინმე
ქართველ მაჰმადიანი სიტყვას იტყვის, რომ ყოველივე ეს ჩვე-
ნი გაქრისტიანების და გაქართველების მასალები და ოსტა-
ტობანი არისო, ჩვენ მხოლოდ ამით და ასეთის წიგნებით გვი-
ახლოვდებიან და გვამზადებენო, ეს იქმნება ჩვენი სულიერი
ვითარების არ ცოდნა, არ ცნობა და მასთან მათგანაც დიდი
ისტორიული დანაშაული, რაც ამდენი რწმუნების შემდეგ
არც ერთ ქართველ გაჰმადიანს აღარ მიეტევება თვალ აბმით
ყურება. არ მიეტევებათ მით უფრო, რადგანაც ასეთი პირნი
თავიანთ გარეშე სხვაგანაც მოიტანენ დიდს ზარალს, ბევრს
ქართველ მაჰმადიანს აუკრუებენ გულს და ჩამოარჩენენ უკან,
ბევრი დაუწყებს კეთილ წადილს და რჩევას საეჭვოს თვალით,
ამითი კიდევ მათი წინ მსვლელობის საქმეც ერთი ათად დაგ-
უიანდება, ეს კიდევ იქნება დიდი ღალატი, დიდი ცოდვა.

ამიტომაც ყოველი ქართველი მაჰმადიანი ვალდებული
არის, რომ ის იყოს კარგი მუსულმანი, მასთან კარგი საქარ-
თველოს კაცი, მცოდნე თავის ქვეყნის, ერის, ისტორიის,
ენის, შთამომავლობის, თორებ უამისოდ რა არის ქართველ
მაჰმადიანი — არაფერი ცარიელი ჩონჩხი. ესეი არა კმარა და
სირცხვილიც არის ყოველ ქართველ მაჰმადიანისათვის, რომ
მან თავის ვინაობა არ იცოდეს, თავის სამშობლო ქვეყნის ის-
ტორია, ქართული მწიგნობრობა და საქართველოს ამბები.
ამის არ ცოდნა მარტოდ თურქს შეჰვერის, ქუროს, არაბს,
სპარს და სხვა ასეთებს, რომელიც ქართველ შთამომავალნი
არ არიან და არა საქართველოს შვილს, ქართველ ტომის შთა-
მომავალს და ქართული ენით მოლაპარაკე მაჰმადიანს, რომე-
ლიც დიახ ქართველ ტომისა არის და არა თურქი, ყაზანის
თათარი, არაბი და სხვანიც ასეთნი.



სხვა არა იყოს რა, ქართველ მაპმადიანებს ერთის უნდა სცხვენოდეთ კიდეც მასზედ, რომ მათ არ იციან არას-ფერი თავიანთ ვინაობის. საქმე თუ გაჭირდა, მაშინ ისინი მარტოდ ამის თქმას გაბედვენ, — „ჩვენ ადრე ქართველი, გიაური ვიუავით, მაგრამ ახლა თათარი, მუსულმანი გართ“. ეს არის მათი პასუხი. მთელი ამსაქმის ისტორია ამ სიტყვებით თავდება. მა-თის ცოდნით, ეს კი არ კმარა. თუ ჩვენ ვიცით ის როგორ და რა გვარად შივიღეთ ქრისტიანობა და მით რა განვიცადეთ, ამიტომ საჭიროა რომ ვიცოდეთ მისი ცნობებიც თუ ამოდო-ლა ქართველობამ როგორ მიიღო ისლამი, რა გვარ აღიარა იგი და ან ამისთვის მან რა მიზეზები, რა შევიწროება და საქმენი აიტანა და ნახა.

ყოველი ქართველ მაპმადიანი ვალდებულია რომ ასეთ მასალების კრებას ხელი შეუწყოს. ეცადოს ყველა მათგანი რომ ეს დიდი ისტორიული ნაკლი თავის აღსავსეობით იქმნეს აღ-შერილი. უნდა იცოდნენ ქართველ მაპმადიანებმა რომ ასეთის შეკრებით მათს წინაშე ისლამის ისტორიას უფრო მეტი მნი-შვნელობა მიენიჭება და მასთან იგი გახდება ისტორიის დიდი ნაწილი, დიდი საუნჯე, თუ არა და უამისოდ მას ყოველთვის ღატაკი ისტორია ექმნება და უშინაარსო. ეს იქმნება იგი მი-ტომ, რაღანაც მის შესახებ არც ქართველ მაპმადიანთ ძვე-ლებს უწერიათ რამე და არც ჩვენს წიგნებში მოიპოვება რამე ცნობები. როგორც სჩანს ისლამის ვრცელებას ქართველებში დიდის ცდით გავრცელებულა.

შეას სჯულის ქართველები სპარსეთში და მათი საქმენი.

აღმოსავლეთ საქართველო, ანუ კახეთი, სამშვილდე და ქვემო ქართლი რაც სპარსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა, მას შემდეგ, რაც საქართველო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ გაიყო. ზემო ქართლი, ანუ არტაანის (არდაგანი) ოლქი, ყარსის, ოლთის, ლაზისტაანის, შავშეთი, ლიგანი, აქარი, მესხეთ-ჯავახეთი და მასთან მთელი იმერეთის სამეფოსაც ოსმალო დაეპატრონა, მას შემდეგ, რაც მათ სამცხე დაიპყრის ათაბაგო ბაც მოსპეს.

ასე მთელი საქართველო ოსმალ-სპარსებმა ორად გაყვეს, ერთ ნაწილს ოსმალეთი დაეპატრონა 1627 წლიდამ და მეორე ნაწილს სპარსეთი. ამათი წადილი იყო ამ ერის დამორჩილება, გაერთოგულება, მერე მათში ისლამის შეტანა, თუ არა და ამათ წინააღმდეგ შემთხვევაში მოსპობა ელოდათ, ვინაიდგან ოსმალ-სპარსელებს ამათი შიში აქვნდათ, რომ ფიქრობდნენ იგინი ვიდრე ამათში ჩვენ ჩვენს სჯულს არ მოვფენთ, მინამდის ესენი ჩვენ ერთგულებას არ ჩაინერგავენ გულშიო. ამას ოსმალ-სპარსნი შიტომ ფიქრობდნენ, რაღაც ქართველებს ყოველთვის თვალი ქრისტიან სამეფოებისკენ ეჭირათ, ხან საფრანგეთს მიმართეს, 1751 წ. ლუდოვიკ მეთოთხმეტეს საბა ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი და სხვა კაცებიც გაუგზივნეს, ხან ინგლისს მიმართეს და 38 წლის განავლობაში მიწერ-მოწერა აქვნდათ და მფარველობას სოხოვდნენ.

ინგლისის მთავრობასთან უკანასკნელ მოციქულიდ მეფე ერეკლემ რაფიელ დანიბეგოვი გაგზავნა 1796 წ. მაგრამ ვერც



ერთი და ვერც მეორე სახელმწიფოს შეერთება ვერ ხელი გადასახლებული გამო. ამიტომ ქართველებს გამუღმებით თვალი უფრო რუსეთისაკენ ეჭირათ, ამას მათი სჯულის ერთობაც აცხოველებდა, ეს გარემოება ოსმალ-სპარსთა სახელმწიფოთათვის არ იყო კარგი, კარგს გარდა იგი ერთის მხრით მათი დასალუბიც იყო, ამიტომაც ესენი ქართველებს მკაცრად ებრძოდნენ და ყოველთვის აფრთხილებდნენ მათთან შეერთებას, ანუ დაახლოვებას, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ ჩვენგან მოსპობა მოგველინებათ. ამის შეგნება ოსმალ-სპარსელებმა აღრევე იგრძნეს, ამიტომაც ესენი სცდილობდნენ, საქართველო როგორმე თვის ერთგულად გაეხადათ და ამით ესენი არც ერთ საქრისტიანო სამეფოს არ დაკავშირებოდნენ, რაკი ეს მათ ქართველებში ვერა ღონისძიებით ვერ მოახერხეს, მას შემდეგ ისურვეს ამ ერთის ისლამთან დაკავშირება.

ოსმალეთმა დაამუხლა იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთ, გურია, ჭანეთ-ლაზისტანი და მთელი სამცხე და მასთან ჰემო ქართლი, ამ დამორჩილების შემდეგ მათ აქ ისლამის სარწმუნოებაც გაავრცელეს. ამ სარწმუნოების ვრცელების მასალების ჩვენ ბევრი რამ ცნობები არა გვაქვს შეკრებილი, სურის მექან ქართველ მაკმადიანებზედ არას ვიტყვით. აქედამ ავნუხსავთ მოკლეთ ქართლ-კახელთ ქართველთ ვითარებას და მასთან იმასაც მოვიყვანთ თუ სპარსნი თვის სარწმუნოებას აქ როგორ ავრცელებდნენ, ამისთვის იგინი რა ოსტატობას და საშუალებას ხმარობდნენ. სპარს და ოსმალთა მოქმედება რომ ერთმანერთს შევადაროთ, მაშინ ოსმალოს მთავრობის ზომები ბევრად უკეთესად გამოსჩნდება, ვიდრე სპარსელებისა, სჯულისთვის ოსმალთ ჩვენთვის არ მიუყენებიათ ის ტანჯვა და წვალება, რასაც ქართველებს სპარსელები აყენებდნენ. ამას დაასაბუთებს თვით ქვემოდ მოყვანილი ისტორიული მაგალითებიც.

* ოსმალეთი იმერეთის მეფეს ქრისტიანობათაც ამტკიცებდა, ასევე სამეგრელოს მთავარს, გურიის, აფხაზეთის და თვით ათაბაგებსაც ერთ დროს, ასევე ქრისტიანობით ამტკიცებდა.



სპარსნი კი 1500 წლიდან ქართლის და კახეთის მეფეებს შეუძლო
არ დაამტკიცებდნენ, ვიდრე ესენი შეას ისლამის სჯულის
ფიცს არ მიიღებდნენ. ამას გარდა სპარსნი სხვა მხრითაც დი-
დათ სტრირთამდნენ ქართლ-კახეთის ხალხს, ხალხთან თვით
მეფეებიც ხომ თითზედ ჰყვანდათ დახვეული და ამათ როგორც
სურდათ ისე ხმარობდნენ. ჩვენი ქვეყანა ამათ ისე აქვნდათ
დამონებული, რომ ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეენი თა-
ვიანთ სახელს და ბეჭედს ასე აწერდნენ.

ქართლის მეფე აწერდა: — „ფეხთა მტვერი უენისა, მეფე
ქართლ-კახეთისა და სხვათა“.

იმერეთის მეფე აწერდა: — „მთნა დვითისა, უშა ხორქისა,
მეფე იმერეთისა და სხვათა“.

ეს ორი მორჩილების ცნობა რომ ერთმანერთს შევადა-
როთ, ისევ ოსმალოს „ცმობა“ სჯობია.

სპარსელ ყეინების წინაშე ქართ-კახეთის მეფეთ „ფეხთა
მტვერთან“ ამას ახსნა და განმარტება არ უნდა.

ქართლ-კახეთის მეფეებს შვილებს მძველათ სთხოვდნენ,
ესენიც იძულებული იყვნენ უნდა მიეცათ თორემ ქავეუანას
აიკლებდნენ. ამიტომაც უმეტესი ნაწილი ქართლ-კახელ მეფე-
თა ძენი სპარსეთში იზრდებოდნენ, იქ იძენდნენ სპარსულ ენის
და წერა-კითხვის ცოდნას, სწავლობდნენ მათ ისტორიას, მწი-
გნობრობას ზოგი იქვე სარწმუნოებასაც უკავშირდება. ამის
მაგალითები საქართველოს ცხოვრებაში მეტად ბევრია. ჩვენ
აქ მოვსთვლით თითო თროლა ცნობებს ესეც საკმარისი იქ-
ნება ამ კითხვების გასაცნობათ და დასამტკიცებლად.

ქართველ ქრისტიანებს თავის სჯული ცველაზედ უკეთეს
წმინდა სჯულად მიაჩნდათ. ამათის ფიქრით ქრისტიანობა მა-
თი იყო პირველი. მაღლა მდგარი თვით ქრისტიან კათოლი-
კე, გრიგორიანებს და პროტესტანტებზედ, ერთი სიტყვით ცვე-
ლა ქრისტიანებზედ. რაც შეეხება მაპმაღიანებს, ანუ ისლამის
მაღიარებლებზედ, ამათზედ ხომ ქართველები ვინ იცის რას არ
ლაპარაკობდნენ. მათი ჯავრი სჭირდათ და ამ ჯავრს ყრილობ-



ლნენ სხვა-და-სხვა საკიცხავის სიტყვებით იტყოდნენ ხურობლების ამას თვით ქართველ მღვდელნიც კი!

ოსმალ-სპარსები უსჯულონი არიან. მათ სჯული არა აქვთ. მათი სჯული უსჯულოება არის და ყოველ ნაირი სიბოროტე, სიბილწე და სხვაც ასეთნი.

ოსმალ სპარსი მურტალნი არიან, მათი სჯულიც მურტალია. ამის მაღიარებლობა ჩვენგან ისე არ იქნება, როგორც ბოროტი რამის შეყვარება.

ოსმალ-სპარსი უღვთონი არიან, ბილწნი, ხორცო მოყვარენი, მემრუშენი, ხვანჯიანგი, ყველაფერი ბოროტება მათშია.

ქართველები ბევრს უკადრის სიტყვებს ხმარობდნენ ისლამის და მაჰმადის შესახებ. რაც არ იყო ქარგი თვით ჩვენთვისაც. ქართველნი ამბობდნენ კიდევ. ჩვენი ქრისტე კი კარგი, წმინდა, პირველი და უმაგალითო.

თათრები, თქვე უსჯულოებო, თქვე მურტლებო. თქვე უღმერთოებო. ასე უყვიროდნენ ხშირად თვით ცხარე ამებშიაც კი.

ამათი სიტყვა ისლამის შესახებ მურტალი იქამდის იყო გავრცელებული, რომ ამ სიტყვის არსებობა თვით სპარსებმაც კი იცოდნენ და ქართველებთან ლაპარაკის დროს იტყოდნენ ხოლმე, რომ თქვენ ჩვენ „მუნდარს“ რათ გვიწოდებთო? სიტყვა მურტალი რამდენჯერმე ქართულის არა მცოდნე ოსმალ-სპარსელებმაც მითხრეს, რომ ჩვენ რათ გვიწოდებთ „მუნდარსაო“. ბევრი დაფიქრების შემდეგ მივხვდი, რომ „მუნდარი“ ქართულად „მურტალს“ ნიშნავდა.

ასე იყო ქართველების საქმე დაყენებული. ესენი წარადარად ჰკიცხავდნენ ისლამს, ფიქრომდნენ მათ დამარცხებას, იმედი აქვნდათ ხატების, საყდრების, მღვთის მშობლის და ათა-სიც სხვა ამ გვარ წმინდანების, ამათის ძალით ფიქრობდნენ ისლამის დამხობას, მუსულმანთა საქართველოდამ განდევნას. მაგრამ ხშირად ეს ასე არ ხდებოდა, ბედშავნი სტყუფდებოდნენ და მუსულმანები ხშირად მათ მძლავრათაც სჯობნიდნენ,



მუსრს ავლებდნენ, სულ უქცევ-უნგრევდნენ და ამ დროისა შემო კი არავინ შველოდათ. ზემოხსენებულ ლანძღვა-გინებით თათ-რებსაც იმტრებდნენ:

რაკი ქართველ ქრისტიანები მაჰმადიანებს ასე უმზერდნენ, ამიტომაც სპარსი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ქართვე-ლებში შეას სჯული შემოეტანათ და გაევრცელებინათ. ამი-ტომაც სპარსეთში წაყვანილ მძევლად მეფეთა შეილებს ის-ლამს ისე შეასწავლიდნენ, ისე შეაყვარებდნენ, რომ შემდეგ ეს ბატონიშვილები ისლამსაც უკავშირდებოდა სიამოვნებით.

ამისთვის ჩვენ ძალიან შორს არ წავალთ და მოგიყვანთ შემდეგს:

XVI საუკ. ნახევარს შეას ისლამ დაუკავშირდა თვით ბატონიშვილი, სპარსთავან „დოუთხანი“. კაცი მშიგნობარი და ქართული ენის მცოდნე. ამან სპარსულის ენიდა ქართუ-ლად სთარგმნა შარიე ზადეს კარაბადიმი „მუნთანაფი შეა“. ამის თარგმნამ ჩვენს დრომდისაც მოაღწია. იგი შესანიშნავო არს თავის ღირსებით და ქართული ენის სიმდიდრით.

ამ მეფის ცდით ქართველთაგან ძალიან ბევრნი დაუკავ-შირდნენ შეას ისლამს სპარსეთში. ზოგს ძალითაც უკავშირებ-დნენ, ამ ძალადობასაც დიდი ისტორია აქვს.

შეას ისლამში აღიზარდა როსტომ მეფე, სპარსთავან „ხოსრო მირზად“ წოდებული. კაცი ისლამის მაღიარებელი, მასთან გონიერი ქართველი, კარგად მცოდნე აღმოსავლეთის პოლიტიკის და მასთან მცდელი საქართველოს ძლიერებისთვის. ამის შნოთი ქართლ-კახეთი მოშენებას ეძლეოდა და ქრისტი-ან ქართველ მეფეთაგან კი ხშირად უსამართლოდ იქცევ-ინგ-რეოდა.

შეას სჯულს დაუკავშირდა კონსტანტინე ბატონიშვილი, ძე კახეთის მეფის ალექსანდრესი. ქართული მატიანე ამაზედ სწერს, რომ ვითომ ამან თავის მამა და ძმა მოკლა და ქეთე-ვანს თავის რძალს შეუთვალია, რომ ცოლად გამომყეო. ეს ვგონებ ქართველ ბერების მოგონილი უნდა იყოს ისლამის



მტრობით, რათა ამათ დაემცირებინათ კონსტანტინე გონის მიერთებული ხანი. სპარსეთში დაუკავშირდნენ კვალად.

ნაზარ ადაბანი. ანუ ერეკლე პირველი. კაი პოლიტიკოსი და ქართლ-კახეთის დამამშვიდებელი.

შაჟ ნავაზი (გიორგი). სპარსეთში დაუკავშირდა შეას სჯულს, იყო გონიერი კაცი და საქართველოს ბედნიერების მონატრე.

შაჟ-ნაზარ ხანი. არჩილ მეფე ცნობილი პირი. სპარსეთში დაუკავშირდა შეას სჯულს.

იმაშეული ხან. კახთა მეფე დავითი, დაკავშირებული ისლამთან. კაცი დიდათ გონიერი და სიმართლის მოყვარე. კარგი ქართული მწიგნობარი. ამ მეფეს დიდათ აქებს სეხნია ჩხეიძე და მოსე ჯანაშვილი.

ლეონ იანთ მსაჭული. მამა ვახტანგ VI-სისა. გონიერი მეფე, შორს მხედველი, დიდი ნიჭის პატრონი მთელი ირანის მართველი. ეს პირი ცნობილია საქართველოს ისტორიაში, ეს ბევრს სცდილობდა მასზედ, რომ სპარსეთში მყოფ გათათრებულ ქართველთ ქართული ენა არ დაეკარგათ. ამის ასეთ შრომას დიდი ისტორია აქვს.

ჭუსენ უფლი ხანი. ვახტანგ მეექვსე. შეას სჯულს დაუკავშირდა სპარსეთში. აქ მეტს აღარ მოვიყვანთ იმ მეფეთა სიხელებს, რომელნიც შეას ისლამს დაუკავშირდნენ, ამათ საბუთად ამ შვიდ მეფეთა სახელების ცნობაც კმარა. თვლა კი რომ იყოს, ასეთ მეფეთა რიცხვის საქართველოს ცხოვრებაში ასობით ჩამოითვლება. მერე, უკელა მათი ამბებიც საინტერესოს ცნობებით არის აღვისილი. მეფეთა გარდა დაუკავშირდნენ სხვანიც მრავლად. დაუკავშირდნენ შეას სჯულს სპარსეთში ამილახვრები ანდუყაფარი და გივი შაპულიხანი. გონიერი კაცი და ცნობილი საქართველოს ცხოვრებაში.

თრბეჭიანები დაუკავშირდნენ მრავლად სპარსეთში, მოხსენებულ არიან.

ერისთავები დაუკავშირდნენ მრავლად. მოხსენებულნი არიან ისტორიაში.

ბარათაშვილების გვარის წევრნი მრავლად დაკავშირებულია ერთი სიტყვით არ არის ერთი დავადის და აზნარის გვარი, რომ მათ წევრთაგანნის სპარსეთში შეის ისლამთან დაკავშირებული არ იყვნენ. ასობით ასეთნი მოთვლილნი არიან თვით „ქართლის ცხოვრების“ II ტომშიაც.

მეფე, ანუ ბატონიშვილი რომ უკავშირდებოდა შეის ისლამს, მისივე მაგალითით უერთდებოდა მთელი მისი ამაღლაც-ხშირად მთელი ოჯახობით, ნამეტურ ქალებსაც ხშირად ისლამით ბედნიერება ელოდათ, იგინი ხდებოდნენ სპარსთა დიდი კაცის ცოლებათ. ჩვენის ისტორიის მოწმობით არ არის არც ერთი ყეინი სპარსთა ისტორიაში მოხსენებული, რომ მას ცოლად, ქართველი ქალი არ ჰყოლოდესთ. სპარსთა ყეინების სახლები და ჰარამხანები ყოველთვის სავსე იყო ქართველ ქალებით. ნამეტურ მიჰყვანდათ მეფის ლამაზი ასულნიც.

იყო მაგალითები ისე რომ თვით საქართველოს მღვდელმთავრებიც კი ნდომობდნენ შეის ისლამის მიღებას, ოლონდ კი ამით რამე დიდება მიეღოთ. ამის მაგალითს წარმოადგენს დომენტი კათალიკოზის საქმე, რომელიც ძმა იყო ვახტანგ მეფის. ეს ისლამს უკავშირდებოდა და ცოლის შერთვასაც აპირებდა, თუ ყეინი მას დაამტკიცებდა ქართლის მეფედ ასევე სხვა მღვდელ მთავრებსაც მიუღიათ ისლამი, ზოგს ძალით, ზოგს ნებით. მიხ. თამარაშვილის ცნობით სპარსეთში ისლამი მიუღია ევთიმე ეპისკოპოზისაც ამის ცნობა რომის არქივშიაც არის თურქე.

ქართლ-კახეთის ერს მუდმივ ტრფიალება აქვნდა შეის სჯულის მიღების, ამ პირობებს გარდა მთელს ზემო ქართლის, მესხეთ-ჯავახეთის და ლაზისტანის ქართველთაგან სუნის ისლამი იმ დროს, როცა თფილისი ოსმალთ სპარსელებს წაართვეს, ეს მოხდა მაშინ როცა ვახტანგ მეექვსე ყეინმა სპარსეთში მიიხმო, მაშინ ოსმალთ ქართლის გამგეთ იესე ბატონიშვილი დაადგინეს. იესეს შვილი გახლდათ ანტონი, შემდეგ საქართველოს კათალიკოზი. იესე სუნის სჯულში გარდაიცვალა იგი მარხია თფილისში, ინუინერნი ბაღში, სადაც მაშინ სუნის



მექონთ მუსულმანთ ჯამეც ყოფილა. ეს ცნობა ჩვენ აქვთ ტომ მოყვანეთ, რადგანაც ეს ეხება ისლამის ვრცელების ისტორიას. იასეს თათრობაში მესტაფა უწოდეს.

ეხლა შედარება რომ იქმნეს, თუ ქართველობის რომელ სჯულის მიღება უფრო ძვირად დაუჯდა, რომლისთვის უფრო მეტი სისხლი დაიღვარა, რომლით უფრო მეტი მოისო საქართველოში ქართველთა რიცხვი, რომელმა უფრო გამოხრა და დასცა ქართველი ერის საქმენი, ამას გამოაჩენს შემდეგი ცნობები. შედარება მკითხველისთვის მიგვინდვია.

ოსმალთა სამცხე-საათაბაგო დაიკავეს 1502 წ. და ამის მთავარ გამგედ ქაიხოსრო ათაბაგი დანიშნეს. მის მერე, ანუ 1626 წ. ათაბაგობა მოსპეს და ფაშობა განაწესეს, ამას შემდეგ ქართველობის ისლამთან დაკავშირება დაუწყეს. ოსმალენი ქართველებს მარტოდ სჯულის მიღებას სთხოვდნენ, სხვა ყველაფერს მათსას ხელ შეუხებლად სტოვებდნენ, ქართველებს არსად ასახლებდნენ, თქვენს მიწა მამულზედ იყავით, იცხოვდეთ, ოლონდ ჩვენი სჯული მიღება, რომ ეგები მით სულიერად დაგვინათესავდეთ, თქვენი შიში აღარ გვქონდეს, თქვენ ჩვენ მაშინ აღარ გვიღალატებთ. ეს არის ჩვენი ნატვრა.

ეს იყო ოსმალთა თხოვნა და სწორედ ამ მიზნითაც დაიმორჩილეს მათ სამცხე-საათაბაგო, ზემო ქართლი და მასთან მთელი ლაზისტან-ჭანეთიც. ესენი იმ ფიქრის იყვნენ, რომ ვიდრე ქართველებში ჩვენს სჯულს არ შევიტანთ, მანამდის ჩვენ ამათ ვერ გავიერთვულებთ. ეს იყო მათი ფიქრი, ამით ნატრობდნენ საქმის სისრულეში მოყვანას. უამისოდ კი მათ ქართველების შიში არას დროს არ გაუნელდებოდათ. ოსმალთათვის ქართველი ერის აყრა თავის სამშობლოდამ და სხვაგან გადასახლება სულ არ იყო საჭირო. ეს საქციელი ერთის მხრით დიდი საქმეც იყო საქართველოს ერისთვის, რომ მათ გადასახლებისათვის ოსმალნი ძალას არ ატანდნენ. მარტო სჯულის მიღებასა და ერთგულებას ავალებდნენ.

სპარსენი კი ასეთ პოლიტიკას შორს აღგნენ, ამათი გეგმა ასეთი გახლდათ. დიდი ძალი ჯარი და ხალხი შეიკრიბებოდა



ერთად, ესენი მოემზადებოდნენ საქართველოზედ გასაკუთრებული მდრენების ბლად. საღაშეროდ წასვლა სპარსეთში ყველას უხაროდა, რაღაც მათ იმედი აქვნდათ, რომ საქართველოში ლამაზ ქალებს იშოვნიდნენ. ესენი საქართველოზედ მოდიოდნენ ერთობით, ხშირად წინ მათ ყეინც მოუძღვებოდა ხოლმე. ესენი დაეცემოდნენ საქართველოს, იკლებდნენ ჰვეყნებს, იტაცებდნენ ხალხს ტყვეთ, ამათ მიერეკებოდნენ სპარსეთში, იქ ამათ ცხოვრებას უჭირებდნენ და მერ გაჭირებულნი შეას სჯულსაც უკავშირდებოდნენ. ამიტომ ითქმის მათზედ შემდეგი:

შეას სჯულის გავრცელებასაც მეტად დიდი სისხლიანი ისტორია აქვს, მისის ისტორიიდამ მთელი ტოში დაიწერება და არა ეს პატარა წერილი. ამ წერილს ჩვენ მარტოდ გახსენებით ვსწერთ, ვრცელი ანუსხვა შემდეგ დროის პირთაოვის მიგვინდვია. როგორც ოსმალთა წინაშე ისევე სპარსთა წინაშეც ქართველთ დიდი ბრძოლა ჰქონიათ სჯულის გამო და უფრო მეტიც და მწარეც, რადგანაც ოსმალთა წინაშე ქართველებს თავიანთ სამშობლო ქვეყანაში უხდებოდათ უარის თქმა, თავიანთ მამაპაპის მიწა მამულზედ, თავიანთ ქვეყანაში, რასაც ისინი ადვილად იიტანდნენ და სპარსელთა წინაშე კი ქართველებს უარის თქმა სხვათა კარზედ უხდებოდათ, უკეთესად რომ ვსთქვათ, — უფრო მონურ ტყვეობაში, უცხო მხარეს, უცხო ტოშის ერთა გვერდით და სხვათა მონების ქვეშ შეფარებულთ.

ამ ორს მხარეში რასაკვირველია ძნელი ეს გახლავსთ და აუტანელი. კაცი თავის ქვეყანაში, თავის მამაპაპის კერაზედ ბევრ რამ გასაჭირს ადვილად იიტანს, ხოლო უცხოთა წინაშე, უცხოთა კარის შემყურებელთაოვის და მასთან უცხოთა ხელში პყრობილ მონათაოვის კი ეს ძნელი ასატანი იქმნება და წარმოუდგენიც.

ეს რომ ასე ყოფილია ამას აჩენს თვით ამ ხაშმის ისტორიის ცნობებიც. შაჰიბაზმა გიორგი მოურავის მოხერხებით და ჩაგონებით, ლუარსამ მეფის ჯავრის ამოსაყრელად, ქართლიდამ და კახეთიდამ 120 ათასი ქართველი სპარსეთში გადაასახ-

ლებინა. ამ ქართველთაგან სპარსეთში შეადგინეს ცხენოსანთა, ჯარი, რომელთა რიცხვიც 30 ათასი კაცისაგან შესდგებოდა, დანარჩენი კი სულ აქეთ-იქით დაფანტეს და დაარიგეს მონებათ და ყმებათ. სპარსეთში მოხდა ისეთი საქმენი, რაისა გამო ქართველთა ქალვაუნი იქ ცხვრებზედ უფრო იაფად იყიდებოდნენ. ასეთ დაცემულ ქართველთა გარემოება და ცხოვრება ისე დაცემული იყო, იგინი ისეთ გაჭირებაში იყვნენ ჩავარდნილნი, რაისა გამო მათთვის სჯულის საქმე სულ ერთი იყო, რომელიც უნდა ჰქონიყოთ, ესენი სჯულის საქმეს სულაც აღარ მისდევდნენ. ოლოდ თავი შეაენახათ და არ მოსპობილიყვნენ.

ასეთ რიცხვის თუმცა მთლად უკავშირდებოდა შეას ისლამს, მაგრამ როგორც გალიტაკებულ და გალარიბებულთ სიცოცხლის სინსილა გალეული აქვნდათ, იგინი ნახევარ სიცოცხლის პატრონებიდა იყვნენ და ამიტომაც მათგან ხშირათაც უღებოთ იხოცებოდნენ და ისპობოდნენ, იგინი აღარც თავიანთ თავისთვის იყვნენ და აღარც სპარსთათვის, საქართველოსთვისაც იკარგებოდნენ და არცა რა სპარსეთისთვის მრავლობდნენ, ორივე მხარეს იკარგებოდნენ ესენი სპარსთა დესპოტების უხეირო პოლიტიკის წყალობით. მართალია მათშიაც მცირეოდენი ცოცხლებადაც შთებოდნენ, რომელთა მოსადევარნი დღესაც სცხოვრებენ სპარსეთს, მაგრამ მათი რიცხვი იყო და არის ერთობ მცირე, ძალთან ცოტა დარჩენილი. ასე რომ მათ მოთვლა და ძველ რიცხვთან შედარება სულ არ შეიძლება.

ყოველივე ამ უბედურების მოსპობის მიზეზი იყო სპარსთა ყეინების დესპოტობა და ისლამის ვრცელების მიზეზები. რაც სპარსთა ქართველებს დღეები დააყენეს სპარსეთში, რაც მათ იქ ქართველთ ცრემლები აღვრევინეს, ამით ტბა გაკეთდებოდა.

ოსმალეთს კი ისლამის ვრცელების გამო ასეთი ბოროტება თავის დღეში არ მიუსენებია სამცხის, ზემო ქართლის, აფხაზეთის და ჭანელ-ლაზელ ქართველებისათვის, ასე თუ ისე, ოსმალთა ხელში, ქართველნი ისლამს უკავშირდებოდნენ და

შისთან თავიანთ მიწა მამულზედაც სკოვრებდნენ, სპარსეთი
გან კი ქართლ-კახეთის ხალხს ისეთი დღეები ადგა, როცა შაჲა
რიცხვს მუსრს ავლებდა. ოსმალეთმა ზემო ქართლი, სამ-
ცხე და ლაზისტანი არ მოსპო. აქედამ მათ ქართველები არსად
გაღუსახლებიათ. დღესაც ამ კუთხეში ქართველთ რიცხვი მჭი-
დროდ არის დასახლებული.

გართალია აქედამაც სახლდებოდნენ ქართველნი ოსმალ-
ში, მაგრამ ეს იყო თვით მათის ნებით, მათის წალილით და
არა ოსმალეთის მთავრობის პოლიტიკით. იყო ისეთი შემთხვე-
ვებიც, როცა ოსმალეთი ქართველების ზოგს ოსმალეთში ასახ-
ლებდა, ხოლო ეს გადასახლება ითვლებოდა რამე დანაშაულის
სასჯელად და არა იმ საგნათ და საქმეთა, როგორც და რის-
თვისაც ამას სპარსეთი ხმარობდა. ოსმალეთი საქართველოდამ
ასახლებდა შორს ქვეყნებში მხოლოდ მათ ვისაც რამე სახემ
წიფო დანაშაულებას შენიშნავდა. საერთოდ კი ესენი ქართვე-
ლებს არსად ასახლებდნენ. ეს იყო ერთი ძალა ქართველთა-
თვის, რომ იგინა თავიანთ ქვეყანაში შთებოდნენ.

სპარსელებმა კი ეს არ იცოდნენ, ესენი დაეცემოდნენ,
ქვეყანას, ქვეყანას აიკლებდნენ ყოველივეს, დააქცევ-დაანგ-
რევდნენ, ბრალიან თუ უბრალოებს ტყვეებათ დაიტაცებდნენ,
უველა ამათ სპარსეთში მიერკებოდნენ და მგზავრობაში იგი-
ნი სცდიდნენ დიდს უბედურებას, ტანჯვას და ათას ნაირ წა-
მებას ჩაისთვისაც მათ ჭირივით სძულდებოდნენ თვით სპარს-
ნი და მათთან თვით მათივე სჯულიც. ვისაც კი შეეძლო
ბრძოლა, იგი უკანასკნელ ძალის ხმარობდა, თვით სისხლის
დაღვრასაც ნატრობდა და ისლამთან დაკავშირებას კი არ
ნდომობდა მხოლოდ იმის ჯავრით, რომ ყეინმა ჩვენ ჩვენის
ქვეყნიდამ რათ აგვიარა, აქეთ რათ გადმოგვრევა, რაკი ასე
შობდა, ამიტომაც ჩვენ მათი არათერი გვინდა, ჩვენის ქვეყნის
დაკარგვის შემდეგ ჩვენთვის სიცოცხლეც მეტი არისო. ასეთ
პირთა კამათი და ბრძოლა ისე მწვავდებოდა, რომ იგი არც
სპარსთა მთავრობისათვის იყო სახუმრო და მოსათმენი, ამი-
ტომაც იგიც ისეთ ზომებს ხმარობდა, რომ ამ ქართველთ შიმ-



შილით კბილები ეკაშკაშებოდათ, ვისაც სახური შვილები შემდგრებელი იყონენ. დათ ისინიც კი ეყიდებოდათ, ხოლო ისლამთან დაკავშირებას. კი მაინც არ ნდომობდნენ და თავებს იხოცავდნენ მტრის ჯავრის ამოსაყრელად. ყველა ამის მიზეზი სპარსთა მახვილი და დესპოტობა იყო.

სპარსეთის მთავრობას რომ მათზედ კარგი შზრუნველობა ჰქონიყო მიპყრობილი, მაშინ ქართველნიც ძლიერ იღვალად დაუკავშირდებოდნენ ისლამს, მათში არც მტრობა იქნებოდა და არც არავინ მოკვდებოდა, მაგრამ სპარსეთის მთავრობა ამას არ ფიქრობდა და ამიტომაც ქართველებიც ხმარობდნენ ყოველ ნაირ ღონისძიებას, ღვრიდნენ სისხლს, ცრემლებს და ათას ნაირის შიმშილით და ტანჯვით ლევდნენ სულს და მხოლოდ მით ყრილობდნენ სპარსეთის მთავრობის ჯავრს. თქმა კი რომ იყოს, ყველა ამაებით კი ქართველთ სასარგებლოდ არაფერი გამოდიოდა და იგინი ბალახივით ისპობოდნენ ყოველთვის. ისლამს რომ იდვილად დაკავშირებოდნენ, იქმნება მაშინ მათ ადვილად გადაერჩინოთ თავი და სილატაკისაგანიც დახსნილიყვნენ. მაგრამ ქართველნი ამას არ ნდომობდენ, იგინი სასტიკათ უმშერდნენ სპარსთა მთავრობას, ამიტომ მათ არც სპარსთა მთავრობა უთმენდა, ესენიც დესპოტიურ ზომებს ხმარობდნენ ქართველთ შინააღმდეგ.

ქეთევან დედოფალი ქალაქ შირაზს 1622 წ. დატანეს, ძუძუები მოსჭრეს და ცაარე შამფურებით დადალეს, რაღგანაც მან ისლამი არ იწამა. ამის ტანჯვა სხვა ქართველებს აყურებინეს. ერთი ამის თანახლებული მღვდელი, რომელიც მტკიცე იყო თავის სიტყვაზედ, წამებით იქმნა მოკლული, მაგრამ იგი მაინც არ გატყდა. სიკვდილის დროს სულ ნაკერ-ნაკერ დაუკრიათ მისი სხეული.

ქეთევან დედოფლის შვილის შვილები მცირე წლოვან არჩილი და ლევანი შაპაბაზის ბრძანებით საჭურისი ჰყცეს, რაღგანაც ბებიის ტანჯვის გამო მათ არ იწამეს ისლამი. ახეთის ბოროტის საჯელისაგან დაიხოცნენ იგინი.

მეორე თანხლებულ მსახური ქეთევან დედოფლის დატან-



ჯული იქმნა თვალების დათხრით, რადგანაც იგი ამჟამაში სხვა ქართველთ რომ მათ არ მიეღოთ სპარსთა სჯული, მერე მოკლულ იქმნა ეს პირი, საშინელის წამებით, წვალებით და და ვინ იცის რანაირი ტანჯვა არ მიაყენეს, ენით გამოთქმაც ძნელია.

მეფე ლუარსაბი ცოლის ძმა შაპიბაზისა, ამან არ მიიღო მათი სჯული, ამიტომ იგი გულამ ყალას ციხეში ჯერედ წვალებულ იქმნაო და მერე დახრჩობილ საბლითაო. ამასთან სხვანიც იქმნენ ასევე დასჯილი.

დედა ლუარსაბ მეფისა იყო ასევე დაპატიმრებული, ამან არ იწამა მათი სჯული, ამის გამო ვიდრე მისი წამება მოხდებოდა, მან სასიკვდილე წამალი დალია და თავი მოიკლა. ამ მოწამლვის მიზეზ ზოგნი კი სხვა მიზეზებს აწერენ, ვითომც შაპიბაზს თუ სხვათა მისი შეხება სურდათ, მაგრამ ეს ტყუილი უნდა იყოს. აქ უფრო სჯულის საქმეს უნდა მიეცეს ადგილი.

სპარსეთის მთავრობა თუ რა ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდა ისლამს ქართლისა და კახეთის ერში ამას ყველას კაცი აქ ვერ მოსთვლის. ის წამებანი, ცეცხლი, შანთი, სახრჩობელანი და შრავალნიც სხვანი, რომელნიც კი სპარსთა მთავრობისაგან არსებობდა თავის სჯულის გავრცელების გამო ქართველებში. ვინც სეხნია ჩეიიძეს წაიკითხავს, პაპუნა ორბელიანს, ფარსადან გორგიჯანიძეს და ვახუშტის ისტორიას, ის ამაზედ ნათლად დარწმუნდება. რომ აუარებელი სისხლია ამისთვის ქართველთაგან დაღვრილი.

მართალია ისლამის გამო ქართველებს ოსმალოს მთავრობაც ატანდა დარიგებას და ძალას, მაგრამ ასეთი რისხვითი ბრძანება ოსმალოს მთავრობას თავის დღეში არ უხმარნია ქართველთ წინააღმდეგ, რასაც სპარსნი ხმარობდნენ. ჩეინ აქ შეასედიც არ მოვთვალეთ იმ ტანჯვა-ვაების და წამების, რაც კი ქართველთა წინააღმდეგ არსებობდა სპარსთა მთავრობის ბრძანებით. მაინც ორიოდ ცნობას კიდევ მოვიყვანთ აქ რაც ზეპირათაც არის დარჩენილი სპარსელ ქართველებში და რაც მოთხრობილია ათამ ონიკაშვილისაგან. ქართველი გაჯავრე-



ბულნი იყვნენ სპარსელებზედ მიტომ უფრო რომ მათ დაშავდნენ
გეს მშვენიერი სამშობლო. ამიტომ იგინი ჯავრით სპარსეთის
მთავრობის ბრძანებას არ ასრულებდნენ, ისლამს ადვილად არ
უერთებოდნენ. ამიტომ სპარსეთის ყეინების ბრძანებით მათ
წინააღმდეგ ხმარობდნენ ასეთ წესებს. ქართველებს კიხეებში
აპატიმრებდნენ. და უპურობით დიდათ ამშევდნენ, წყალსაც
არ აძლევდნენ თურმე დასალევად და ამ გვარად აწვალებდნენ
იმ დრომდე, ვიდრე იგი თანხმობას არ განუცხადებდა.

ქართველებს ისე სდევნიდნენ, რომ ერთი იჯახის კაცთა
და ქალთა სულ — თითო — თითოს აქეთ-იქით ჰერიტავდნენ, ისე
დააპნევდნენ რომ მათ თავიათი ნახვის იმედიც აღარ ეჭნებო-
დათ, თუ ისინი კიდევ ერთმანეთს შეხვდებოდნენ. ყველა ესე-
თი უბედურება მათ თავიდამ ასცდებოდათ მაშინ, როცა იგი-
ნი თანხმობას განუცხადებდნენ.

ზოგს კარში, სიცხეში მზეში დააბამდნენ თოკით და საბ-
ლებით. ზოგს სხვა გვარ სასჯელს აძლევდნენ.

ვინც ადვილად იღებდა მათ ბრძანებას, იმათ საჩუქარსაც
აძლევდნენ და სხვა ასეთებს, რომ ამით სხვებიც წაქეზებული-
ყვნენ, მაგრამ ეს მათში არ ხდებოდა თურმე ადვილად, რად-
განაც ქართველებს ჯავრი სკირდათ სპარსთა მთავრობის. მა-
თი ყველაფერი სხულდათ და ეჯავრებოდათ. ამიტომ მათ სჯულ-
საც ძნელად უერთდებოდნენ.

ჯავრი აი რად სკირდათ: ტყვე ქართველებს როცა სპარ-
სეთში მიერექებოდნენ, მაშინ ყველა ესენი ფეხით მავალნი
მიჰყვანდათ, მხოლო მათი ბარგი კი ურემზე ეწყო. ამ წაყვა-
ნილებში ერივნენ ხოლმე ყველა ნაირი ხნის ხალხი, ახალ-
გაზრდები, მოხუცებულნი, ზოგნი ლრმა მოხუცნი, ზოგნი ავალ-
მყოფნიც, ზოგი გზაში ხდებოდა ავად, ზოგი მათში ისეთი ქა-
ლებიც იყვნენ, რომლის ზოგი ორსულიც იყო, ზოგს ძუძუთ
ყმაწვილი ჰყვანდა და ხელში ეკავა სატარებლად. ამათში ბევ-
რი პატარა ბავშვებიც იყვნენ. მგზავრობის დროს, ამათში
ხშირად მომხდარა ისეთი შემთხვევაც რომ დედას თავის შვი-
ლის ტარება არ შესძლებია და ამიტომ დაღალულ-დაქანცულს



თავის შვილი მოუკლავს, ან ნადირის საჭმელად გადაუდიდება
გზაში და მით გაუნთავისუფლებია თავი ჩვირთის ზიღვისაგან.

ყოფილი ისიც, რომ მოხუცებულნი და ხშირად ახალ-
გაზრდებიც გზაში ავად გამხდარიან, ამათ სიარულის თავი აღარ
ჰქონდათ, ესენი თავიანთ ნათესავებს გზაში დაუტოვებიათ
ავადმყოფნი და თან უშესვლიათ თვისი ამყრელი და იქით წამ-
ყვანი. მერე ეს ავადმყოფნი გზაში დახოცილან და მათ გვამ-
ზედ ქარავნის აქლემებს უვლიათ და ხშირად მგლებსაც ულრ-
წნიათ მათი მკვდარ სხეულზე.

ასეთ უბედურთა საცოდაობას ცამდის მიუღწევია, ამათს
ცრემლისაგან ვრ იცის რა არ მომხდარა, რა სიბრალული, რა
გენიის ცეცხლიც და ბევრიც სხვა ასეთნი რასაც ქართველნი
არ ივიწყებდნენ და ამიტომ მათაც თავის ასეთი მტრის აღარც
ავის ეშინოდათ და აღარცარა კარგს რამეს ელოდნენ. მათი
აღარაფერი უნდოდათ, ყველაფერს ზიზღით უმშერდნენ. ამი-
ტომაც არის ის წესები, რომ თვით დღევანდელ ქართველ-
სპარსელებსაც კი სძულთ თურმე სასტიკათ სპარსელები და იგი-
ნი მათ თუმცა თავიანთ ქალს არა შემთხვევაში არ მიათხოვებენ.
სჯული ერთი აქვსთ, თუმცა მათ ერთი სჯული აქვსთ. მაგ-
რამ ეს სჯული მათ არ აკავშირებს სულიერად, მტრობას არ
ივიწყებს, ქართველებს ყველაფერი ახსოვთ მათი.

მართალია ისლამის სასარგებლოდ ოსმალოს მთავრობაც
ხმარობდა ყოველ ნაირ ლონისძიებას, მაგრამ მათ ასეთის სა-
სტიკის და ბოროტის წესების კი არას დროს არაფერი არ უხ-
მარნიათ. ასეთის მომსვრელის სენისაგან ოსმალეთის მთავრო
ბა ყოველთვის შორს იდგა, მათ ასეთი მახვილი სრულიადაც
არა სცერიათ ხელში. ქართველებში შიას სჯულის ვრცელების
საქმეს ასეთი წარსული აქვს და ასევი ისტორიული მიმდინა-
რება, ამიტომაც ჩვენც ეს მოკლე სადა მიმოხილვა მოვიყვა-
ნეთ. ვისაც სურა ამის უკეთესად გაცნობა, იმას მაშინ ამის
მასალების შესწავლა მოუნდება. სპარსეთის სახელმწიფო ქართ-
ველთა რიცხვი დღეს იქმნება ერთი მილიონი მცხოვრებ სულნი.

ყველა იგინი ალიარებენ შეას სჯულს. უმეტეს ალაგას დაკარგეს თავიანთი დედა-ენა. მათმა სჯულმა შეჭამა ეს ენა. ქართული ენა დაცული აქვსთ მხოლოდ ფრეოლანისაკენ. ასე სულ ასი ათას სულს ექმნება დაცული ქართული ენა, ხოლო მათშიაც უეპველია მოისპობა მომავალში ეს ენა. ასეთი სიკე-თე გვიყო სპარსეთმა. ნახევარ ქართლ-კახეთის ხალხი სპარ-სეთში გადარევა და იქ მოისპო ესენი.

ღ ა გ ბ ა რ გ ე

ს ა მ ჳ ა დ ი ს ი

გურიის გათათრების და ალი (გიორგი) გურიელის დახვ-რეტა გურულებისაგან XIX საუკ. დამდევს. იქმნება ვინმემ შეკრიბოს ამის ცნობები.



ქართველ მაჰმადიანები ზეპირ გადმოცემით ასე ლაპარა-
კობდნენ ზოლმე და უეჭველია დღესაც ლაპარაკობენ. ქობუ-
ლეთელნი აშბობენ:

„აჭარა ჩებით არის გათავისუფლი და ნებითვე გაქრისტიანდება“
(ეს ძველთაგან არის თქმულიო).

ქობულეთი ძალით არის გათათრებული და ძალითვე გა-
ქრისტიანდება, თორემ ნებით არა იქნება რა. ბევრის სისხლი
დაიღვრება ამისთვის.

ასევე ამბობენ იჭარელნი.

აქარა ძალით არის გათათრებული და ძალითვე გაქრის-
ტიანდება. სისხლი ბევრი დაიღვრება, დუნია წახდება.

ზეგანი ნებით არის გათათრებული და ნებითვე გაქრის-
ტიანდება. ვაკართველ-გაგიაურდება.

მაჭიხელი ძალით არის გათათრებული და ძალითვე გაქ-
რისტიანდება. მაჭიხლის გაქრისტიანება აღვალად არ მოხ-
დება.

დევე სქელი ნებით არის გათაორებული და ნებითვე გა-
ქრისტიანდება. დევესქელელები კი სხვას ამბობენ.

ლივანელნი ამბობდნენ რომ ჩვენში ძველთაგან თქმულათ, რომ ლივანა ძალით არის გათათრებული და ძალითვე გაქრისტიანდებათ. მაგრამ ამას ლივანელნი მაინც არ იზმენო.

მურლული ნებით არის გათათრებული და ნებითვე გაქ-
რისტიანდებათ. ამბობენ სხვა-და-სხვა კუთხის ქართველ მაჰმა-
ლიანები.

იმერხეველნი ამბობენ:

იმერხევი ძალით არის გათათრებული და ძალითვე გაქ-
რისტიანდებათ.

შავშეთი ნებით არის გათათრებული და ნებითვე გაქრის-
ტიანდებათ. ასევე ლაპარაკობენ არა მარტო ქართულ ენაზედ მოლა-
პარაკე ქართველ მაჰმადიანები, არამედ ოსმალურადაც მოლა-
პარაკენი. ესენიც ასევე ლაპარაკობენ, მაგალითებრი:

არტაანელნი ამბობენ:

— არტაანი ძალით არის გათათრებული, ძალითვე გაქ-
რისტიანდება.

ასევე ლაპარაკობენ ოლიანელნი, არდანუჯელნი და მეს-
ხეთ-ჯვახეთის ქართველ მაჰმადიანები. თვით ლაზებიც კი
ასე ლაპარაკობენ.

ეს ლაპარაკი მათ იციან უმეტეს იმ დროს, როცა იგინი
ქართველ, ან სხვა ვინმე ქრისტიან კაცს ნახავენ და როცა ამ
პირთან მათ ლაპარაკი მოუხდებათ თავიანთ ქვეყნის, ანუ სა-
ქართველოს შესახებ, ანუ თავიანთ ვინაობაზედ. მაშინ ესენი
უსათუოდ სჯულზედ გადავლენ და დაიწყებენ ლაპარაკს. ასე
სჯიან უმეტესად მოხუცებულნი და თან იგინი უმატებენ შე-
დეგს:

— ძიავ, ამას ჩვენ ჩვენით კი არ ვამბობთ, არამედ ჩვენ
ძველებსაც ასე უკვამსთ, ჩვენც მათგან ვისწავლეთ და მიტომ
მოგახსენებთ.

იტყვიან კიდევ: თემის უკანასკნელი კაცები ცოდნის დრო და მიმდევად მოხდება.

— თუ გამჩენელი ღმერთის ბრძანება არ იქმნა ჩვენი გა-
დაბრუნება არ შეიძლება; ჩვენი გაგიაურება ძიავ ადვილად არ
მოხდება.

ამ გვარი სიტყვებით ლაპარაკი ქართველ მაჰმადიანთ მო-
ხუცებულთ ხშირად იციან. უკველია ასეთ საუბარს მათი
ახალგაზრდებიც შეეჩევიან, რადგანაც მოხუცებულთ მათზედ

დიდი გავლენა აქვთ ნაშეტური სჯულის მხრივ დროს.

ესლა ჩვენ ავხსნით თუ რას ნიშნავს ნებით გათათრება და ნებით გაქრისტიანება, ან ძალით გათათრება და ძალითვე გაქრისტიანება.

ამათი პირველი ფიქრი.

„ძალით გათათრება“ გახლავსთ უგვანი, ჩვენი ძველები კარგიდ ვერ მოქცეულან, რომ ისლამის სჯულისთვის სისხლი უღვრიათ და წმინდა სჯულის მნიშვნელობა დროით არ შეუგნიათო. მაგრამ ესეც გამჩენელი ღმერთის ბრძანება იყოვო. სთქვა აჭივისთაველ ქართველ მაჰმადიანთ სახალხო მელექსე ჰუსეინ ხაბაზის მამამ 110 წლის მოხუცმა. მაჟახელში სოფელ ძნელიეთში მცხოვრებ მოხუც ძნელაძემაც ასევ მწუხარებით მოიხსენია თვისი ძველი მამა პაპანი, რომ იგინი ძალაზედ იდგნენ, ადვილად არ გათათრდნენ და ამიტომ მათ ამიდელა ტყე და მამულებიც დაკარგეს ძნელიეთშიაო. ამ გვარად ქართველ მაჰმადიანთ აწინდელნი შთამომავალნი არ აქებენ თვის ძველებს ასეთის სიმაგრის და ძალადობისთვის.

„ნებით გათათრება“ იმას ნიშნავს, რომ ნებით გათათრებულნი მალე მიხვედრილან საქმეს, მათ უბრალოთ სისხლი არ უღვრიათ, ყოველივე ადვილათ მიუღიათ, ასეთის გონიერებისათვის იგინი თვისის ძველების დიდი მადლობელნიც არიან. მოკლე აზრი ეს გახლავსთ აწინდელის ქართველ მაჰმადიანების „ძალით, თუ ნებით გათათრებულებზედ“ ახლა მოგახსენებთ იმასაც თუ მათ დღეინდელის კვალად, ანუ სადლეისოდ როგორ ფიქრობენ ამაზედ.

ძველათ „ძალით გათათრებულნი“ დღეს ხომ მათის ფიქრით დასაწუნია, მასთან მათგან დაწუნებულიც. „ნებით გათათრებულნიკი“ მათის ფიქრით მოწონებული. ესეთი შეხედულება მათი არის წარსულის შესახებ. როცა თანამედროვე გარემოებაზედ დაიწყებენ საუბარს, მაშინ ამათ ამ წარსულის



შესახებ ცნობიერებასთან ძაფი უწყდებათ და მათის ლაპარაკების გამოღის შემდეგი დასკვნა.

„ჩვენი არამც თუ ნებით გაქრისტიანება, არამედ არც ძალით მოხდება, ჩვენ სულ დავიხოცებით, გავწყდებით და არც ნებით და არც ძალით არ გავქრისტიანდებით, არ გავქართველდებით. მთელი დუნია წახდება და ეს კი არ იქნება, თუ გაჭირდა საქმე, მთლიად მუჟავირათ წავალთ და გაგიაურებ— გაქართველებას კი არ ვიზამთ“.

ასეთი პასუხები მე მათვის არას დროს არ მიოხოვნია, არამედ როცა მათში ვისმეს უნახივარ, ნამეტურ სჯულის თავკაცებს, ხოჯებს, ჰაჯებსაც კი და სხვა ასეთ პირთ, მაშინ ჩემ წინ მიტომ ჩამოუგდიათ ამაზედ ლაპარაკი, რაღანაც 1890 წლებს აჭარაში, ლივანას და სხვაგანაც ჩემს ნახვას ერთობ ხამობდნენ, ეჭვიანობდნენ, რომ ეს კაცი აქეთ რათ დაიარებაო, თუ ამათ ჩვენი გაქრისტიანება არა სურთო.

ამაზედ ბევრს ალაგას საუბარი ამტყდარა, ასეთ საუბარის დროს დიდს მონაწილეობას იღებდნენ პატივცემული დედი აღა ნიუარაძე, აწ განსვენებული და პატივცემული გულო აღა კაიკაციშვილი. ესენი ჩემთან ერთად მთელ ქაბულეთის ქართველ მაჰმადიანებს ფიცით უმტკიცებდნენ, რომ ჩვენ ძმა ქრისტიან ქართველებს ჩვენი გაქრისტიანება კი არ სურთ, არამედ ჩვენი სწავლა-განათლება, თვალების გახილება, ტყიდამ გამოსვლა და კაი კაცებათ გახდენაო.

ასეთსავე საუბრის დროს დიდს მონაწილეობას იღებდნენ ლუკა ანდლულაძე აჭარ-წყალზედ და ლივანა მაჭახლისკენ, სიმონ იოსელიანი ქვედა-აჭარაში, თავ. ივანე ჯაიანი ლივანაში და მურლულს, იუვნენ თითო-ოროლა სხვანიც, როგორც ქართველ ქრისტიანები, ისევე ქართველ მაჰმადიანებიც, რომელთაც ჩვენი მიზნის შეგნება გარკვეული აქნდათ და ესენი ყველგან იმას ლაპარაკობდნენ, რომ ქართველ ქრისტიანებს ჩვენი გაქრისტიანება კი არ უნდათ, არამედ ჩვენი განკაცება განათლებაო.

ასეთი კილოთი საუბარი მათში დავიწყეთ 1889 წ. მის

ის მობილურ მიადან და დაწელურ იფას მათმა გერებელი მობილურ შემდეგ, ჩემი საუბარი მათში ამაზე დარსა დღის არა მომატებულ ბილა. 1891 წ. ოომ ქართველ მაჰმადიანთ ლოცვის წიგნი დაგეხმდე, ამ წიგნმა მათში კაი ნდობა გამიკეთა, მის შემდეგ კი საქმის განძრახვაზე იგინი დარწმუნდნენ, მის შემდეგ მე ისე დამიახლოვდნენ, ოომ თუილისში, ჩემს სახლში ხშირად მოდიოდნენ აქარიდამ სხვა და სხვა მოწინავე პირნი, თვით ხოჯებიც და მოლებიც, თვით ხაფინიც, ოომელიც მაგალითებრივ მანამინის და სხვანიც, ოომელიც ჩემ სახლში ბინა ჰქონდათ, სუხოვრებდნენ, თვითმით, მთავრობის წინ თუ რამ საქმეები ჰქონდათ, უკეთებდით ყუველივესა მასთან ვეხმარებოდით კიდევადა ყოველივე ასეთ სექმეთა გარეშე ნადიმსა და სადილებსაც უმართავდნენ ილია ჭავჭავაძე, ან. ფურცელაძე, იაკუ გოგებაშვილი და ქევრნიც სხვა ასეთ ქართველნი, ოომელთა მეოხებითაც ქართველ მაჰმადიანები რწმუნდებოდა ნენ მასზედ, რასაც ჩვენ მათ ვარწმუნებდით, რომ ჩვენ მათ სჯულთან საქმე არ გვერნდა. ეს მაშინ ცოტად შეიგნეს თუ ჩვენი მიზანი ზოგიერთებმა შეიგნეს შეიგნეს ის გარემოებაც, რომ იგინი იყვნენ ძველით გურჯისტანელი. ტომით და ენით კი ქართველი, რაც შეეხება ქართველ ერის ტომის სჯულს, რომა იგინი, ანუ ამ ერთო ტომის ერი გაიყოფება სამი სჯულის ხალხათ. მაგალითებრ ქართველ ქრისტიანებს, ქართველ მუსულმანებს, ქართველ ვალოლიკენი, ქართველ გრიგორიანები და ქართველ ისრაელნი. შეიგნეს ცოტათი მათ ეს გვაროვნული კეშმარიტება, რომ ყველა ამ სჯულის ერთა ქვეყანა საქართველოა, ყველა იგინი ეკუთვნიან ქართველ ტომს, მათი გდედა ენა ძარის ქართული და სამშობლო ქვეყან საქართველო. იმედოვნების უცხოის ცეკვა ინტერესის აუდიტორი იმდე რაკიამის შეგნების დასაწყისი გნახეთ მათში, რაკი მათ ში მთითო-ოროლამ შეიგნო ის კეშმარიტება, რომ ჩვენ როგორც მათ ღვიძლ ძმებს, მათს სჯულთან კი არ გვერნდა საჭმე, არამედ მათს ვინაობასა და თვით ცნობიერებასთან, მის შემდეგ კი მათში ამაზედ ლაპარაკს თავი დაფანებე. მაგრამ მაინც მათში იყვნენ ისეთი ფანატიკ ხოჯები, რომელიც ჩვენ



ჰაზრებზედ ეჭვს აღიარებდნენ — ანბობდნენ, რომ რასაც კრისტენი თველები ლაპარაკობდნ, ეგ ყველაფერი ტყუილიათ. თუ მათ ჩვენი გაქრისტიანება არ უნდათ, მაშ რათ მოდიან ჩვენს ქვეყანაში. ასე მიამდეს მაჭახელში 1899 წ. და კინაღამ წამინდინეს კიდეც, ხოჯა არწმუნებდა ხალხს, რომ ჩვენი მუსულმანი როგორც გურჯიჯა ქითაბს შეისწავლის, თუ არა, მის შემდეგ იგინუსათულდ ქართველი გახდებაო. გაგიაურდება, გა-ქართველდებაო. ასე არწმუნა მაჭახლელები 1891 წ. სტამბოლიდამ მოსულმა და ნასწავლი ხოჯა შოთიძემ.

ამათ ლაპარაკს იწვევდა ხშირად ის გარემოებაც, როცა ზოგიერთ მოხუცებულ ქართველ მაჭმადიანებთან სიუბარი მაქვნდა ქართველების გათათრებაზედ, როცა მოხუცებულნი სიამოვნებით მიამბობდნენ, თუ მათ თავიანთ გათათრების შესახებ თვის ძველებისაგან რა ამბები გაეგონათ, მათში რა იყო ამის შესახებ ზეპირ ამბებათ დაშორენილი. ჩემს მათში ცხოვრების დროს, ჯერეთ კიდევ იყვნენ ბევრნი ლრმად მოხუცებულნი რომელთაც ბევრი რამ იცოდნენ ამის შესახებ, ხოლო ისიც კი უნდა ითქვას, რომ თუ არ მათის კაის ცნობით, კაის მეგობრობით და პატივისცმით, უამისოდ მათ ძრიელ ემიმებოდათ ჩემთან ასეთ ცნობებით ლაპარაკი, მეორე ამის შესახებ საუბარს მოლები და ხოჯებიც უკრძალავდნენ, უშლიდნენ, რომ ასეთი ამბები არ უნდა მოიგონოთ. ასე რომ ბევრს ალაგას ხოჯებს მოსაუბრე მოხუცი გაუჩიმებით და ჩემთვისაც შენიშვნა მოუცით, ასე; ჩვენი აძებები თქვენ ჩაზედ გვირიათ. ხოჯების სიტყვით და წაქეზებით იქ მყოფი შორის ზოგს სატევარზედაც დაუდვია ხელი, ეს როგორც შაგშელებმა ქმნეს, ასევე მოხდა ბევრს სხვა კუთხეებში, ქობულეთს, აქარას, მაჭახელს, ლივანას, მურღულს და ოვით ახალციხეშიაც კი. ბევრჯერ ბევრს პატიოსან ქართველს ამაზედ ჯავრიც მოსვლიათ და უთქვამსთ, რომ ამათგან არაფერი სიკეთე არ გამოვაო. ჩვენ ამათ ვერაფერს დაგარწმუნებოთ, ისევ იქმნება დრო და გარემოებამ გატეხოს იგინი და მათ იგრძნონ ჩვენი სწორე შეხედულება მათზედ, რომ ჩვენ მათი გაქრისტიანება კი არ



გვინდა, არამედ მათი განკაცება და რიგიან მოქალაქეების დაცვა დენაო. ესეთივე ცნობა და სიტყვები არამც თუ მარტოდ ქართველ ქრისტიანებს უთქვამსთ, არამედ თვით ზოგიერთ შეგნებულ ქართველ მაჰმადიანებსაც.

ამ კეშმარიტ ისტორიულად განვითარების დიდი მოტრფიალე იყო ისმაილ კაიკაციშვილი და რეჯებ ნიქარაძე. ორივ ქობულეთელნი, ამათ სწავლა თფილისის გემნაზიაში დაამთავრეს, მერე ოდესის უნივერიტეტშიც სწავლობდნენ. რეჯებ ნიქარაძემ სწავლა დაამთავრა და სამწუხაროდ ისმაილი კი ოდესაში გარდაიცვალა. ამათს ოჯახებში მიცხოვრია მე, გვქონია ამაზედ საუბარი და უნდა მოგახსენოთ, რომ მე ფიქრით გულდაწყვეტილი ხშირად გაუმნენვებივარ და იმედი მოუციათ მასზედ, რომ თქვენ ფიქრი ნუ გაქვსთო. ქართველ მაჰმადიანები მალე გამოვლენ ამ სიბნელიდამა და იმასაც შეიგნებენ მალეო, რომ ქართველ საზოგადოებას მათი გაქრისტიანება კი არ უნდათ, არამედ მათი თვალების გახილება, სწავლა-განათლება, ვაჭრობა, ხელოსნობა და მოქალაქურ ცხოვრებაში გამოსვლათ. თვით ამ პირებსაც ხშირად ჰქონიათ საუბარი თანამე-მამულეებში და იგინი ურწმუნებიათ მასზედ, რომ ქართველებს თქვენი გაქრისტიანება სულაც არა სურთ, ამის ფიქრი მათში არავისა იქვსო. ასეთ საუბრის ღრმას, ხშირად გამოჩენილიან მოკამათენიც, ნამეტურ ხოჯიები, ასეთ ხოჯიები იყვნენ ისეთნიც კი, რომელნიც ბათუმის ქართველების სკოლაში, ქართველ მაჰმადიანთ ბავშვებს სამღლო სჯულს ასწავლიდნენ, ამისთვის იგინი ჯამაგირსაც იღებდნენ, თვით ასეთნიც კი იტყოდნენ ხოლმე ასე:

— მაშ ჩვენი სჯულიდამ გასვლა, გაქართველება და გაგიაურება თუ არ უნდათ, ჩვენ ბალანებს რაიზე ასწავლიან თავიანთებურ ქითაბს, თუ ჩვენი გაქართველება არ სურთ, მაშ მღვდელმა რათ გვითხრა, რომ თქვენ ქართველები ხართო. მღვდელს გარდა ი ამა და ამ კაცმაც გვითხრა, რომ თქვენწინედ ქართველები იყავით, ეხლა გაქართველდითო.



ვიტყვით ამაზედ, რომ დიახ, ესეც მართალია, თვით განვითარებულია მინახავს ასეთ ქართველნი რომელთაც მათვის უთქვამთ ასე:

— თქვენ წინედ ქრისტიანები, ქართველები იყავით და მერე რათ გათათრდით, რატომ ეხლა აღარ ქრისტიანდებით?

ასეთ პირნი ხშირად გამიჩერებია და მისთვის ამიხსნია საქმის გარემოება და მერე იგიც გაჩუმებულა, დიახ, ასეთ პირნი როგორც ჩვენში ისევე მაჰმადიან ქართველებშიაც არიან, რა გაეწყობა, ყოველივე ეს მოდის ჩვენის ისტორიის შეუგნებლობით და უსწავლელობით, უსწავლელები განა მარტოდ ქართველ მაჰმადიანებში არიან, არამედ ჩვენშიაც უფრო ბევრნი გახლავან. ჩვენში უფრო უხვად მოიძებნებიან ასეთ განუკითარებელნი და ამიტომ ამათი სიტყვები ქართველ მაჰმადიანებსაც არ უნდა ეწყინოთ, თითო-ოროდა კაცის სიტყვა და ცნობა მთელი ქართველი ერის შეგნებულ საზოგადოების გულის წადილად არ უნდა მიიღონ. დასასრულ გავახსენებ კვალად ქართველ მაჰმადიანებს გულის სიშმინდით და სისწორით, რომ მათ გაქრისტიანების ცნობა თვით ქართველ სამღვდელოებასაც კი არა აქვთ მიზნეთ გამხდარი, ვინც უფრო უნდა მისდევდეს ქართველთ მაჰმადიანთ გაქრისტიანების საქმეს. თვით ესენიც არ მისდევენ ამას, თვით ესენიც არ ელტვიან მათ გაქრისტიანებას და აბა მაშ სხებზედ რაღა უნდა სთქვან მათ, არაფერი.

დღეს ჩვენს სამშობლო ქვეყნის ასპარეზზედ პატიოსანი კაცი გახლავსთ საჭირო და არა რომელიმეს სარწმუნოებრივი მხარენი. რამდენი მაჰმადიანი გახლავსთ პატიოსანი კაცი, რამდენი მაჰმადიანი გახლავსთ ავი თვისების. რამდენი ქართველ ქრისტიანი გახლავსთ კაი კაცი, რამდენი ამათში ავიც მოიპოვება. აბა ახლა ჩვენა ვსოქვათ, ნუ თუ კაი ქართველ მაჰმადიანი კაი ქრისტიან ქართველის მეგობრობას და ამხანაგობას არ ინდომებს და ავ კაც მაჰმადიანთან წავა. ნუ თუ კაი ქრისტიან ქართველი სამეგობროდ და სამეზობლოდ კაი ქართველ მაჰმადიანთან არ წავა და იგი ავ ქრისტიან ქართველს



მიმართავს. აბა ეს პოგონი შეიძლება, უკასული არ გამოიყენოს
თუ კაცი სულ მტერი არ არის და ბეტიცევას და მედინის
თუ აქცაქმე კი კაცობა, მაღალი ზნეობა და მამულის შეი-
ლობა არის სახეში საჭანებელი და თარათ სჯული, თქვენ-
ოლონდ პატიოსანი ქვეყნის მარგე, ხალხის მომზრე, თავის ქვე-
ყნის ისტორიის მცოდნე იყავით, სამშობლო ქვეყნის მოტრ-
ფიალე, ისტორიის, ხაშუობლო შრივნობრიბის და სჯულით,
რომელიც თქვენს გულსა და სულს ენატრებოდეს, მომ სჯუ-
ლის ბრძანდებოდეთ, ამას თქვენ არავინ დაგიშლისთ. ეს ყვე-
ლა გონიერის ქართველ ქრისტიანისათვის ერთი გახლავსთ და
ასევე ერთი უნდა იყოს ქართველ მაჰმადიანთვისაც ხოლო
იგინი ვალდებული არიან რომ თავიანთ მმა ქრისტიან ქარ-
თველების განძრახვა და გულს ნადებო ჰაზრები ქვეშმარიტებათ
იცოდნენ და მასზე რამე ეჭვები არ აქვნდესთ. ამისა შეგნება
და ცოდნა ჩვენ როივეს ძმათ ვალდებულების შეადგენს. მათ
ჩვენ ესეთი ცნობებიც მოგვისმენია ქართველ მაჰმადიან-
თავან, ესე უსახებრნიათ ხშირი ბევრს მღლაგას. ასე ცოდ-
ნა ჩვენი ესა და ეს თათარ კაცს თქვენებმა ფული მისცეს,
მერე ლამაზი ქალიც უშოვნეს და გააქრისტიანეს. ასეთების
თქვენში, ანუ გურიაში ბარე სამრ (ბევრი) გახლავსთ, ეს ჩვენ
ძალიან გვწყინს. ამის შესახებ სხვა ცნობებიც მრავლად უამ-
ბნიათ.

ცხადი საქმე გახლავსთ. რომ სჯულის გამოცვლა ფული-
სა და ქალის გულისათვის არ არის ფარგლები მაგრამ აქ ვოტ-
ყვით იმასაც, რომ ამ საქმეებშიაც პრა მგონია რომ ქართველ
ქრისტიანებმა ისურვონ მაჰმადიან ქართველის გაქრისტიანება
და მასთან ლამიზ ქალის და ფულის მიცემაც ამისთვის. თუ კი
ქალი კია და ფულიც აქვს, მაშინ მას ისე შორს წა-
სელა რაღა საქირო გახლავსთ. თვითი ქრისტიან ქართვე-
ლებში იპოვნიან ასეთს საქრმოს, მაშინ ესეთი საქმენიც მათ
სულაც არ დასკირდებათ ეს მოგონებული გახლავსთ. თვით
მაჰმადიან ქართველებისაგან. არ რათა: რო მომიტებიც უცი
ქართველ მაჰმადიანთ ვაჟებს ქართველ ქრისტიანთ ქალე-



გი ძრიელ მოსწონთ, ხშირად მათში მისვლა-მოსვლა და შეკულტურიზაცია ბრობაც აქვსთ. მათში ხშირად სიყვარულიც იმართება. მერე ცოლქრმობაც ხდება, მაგრამ მთავრობის ძალით ქალი გათათ-რების ნება არა აქვს, ამიტომ სიყვარულით გატაცებული ქარ-თველი მაჰმადიანი ქრისტიანება შხოლოდ მიტომ რომ თავის შეყვარებული ქალი შეირთოს. ამან თვისი საქციელი რომ თანამერჯულეთა წინაშე დაფაროს. მაშინ იგი ამბობს, რომ ვითომც მას ქართველ ქრისტიანებმა გაქრისტიანებისათვის ფუ-ლიც მისცეს. ეს ტყუილი გახლავსთ, იქმნება ქალის მშობ-ლებმა ზითევი და მასთან ქრთამიც, ხოლო იგი ქალის გათხო-ვებისათვის და არა გაქრისტიანებისათვის, მაგრამ მაშა არა კმას ასეთ პირმა, ვის დააბრალოს თავის საქმე თუ არ სხვასა. ამი-ტომაც ქართველ მაჰმადიანებმა ასეთ პირთა ლაპარაკსაც საე-ჭვოთ უნდა შეხედონ და იგი მთელი ქართველი ერის წალი-ლად არ მიიღონ. ეს ასე გახლავსთ და ჩვენც ეს აქ მიტომ მოვიყენეთ. გვინდა რომ ამის ცნობაც ქართველ მაჰმადიანებ-ში სამახსოვროდ დაშთეს ყოველთვის.

ოსმალთ სამცე-საათაბაგო პირველად 1502 წ. დაიპყრეს ამის შემდეგ იგინი მძლავრად ჰულობდნენ ამ კუთხის და ნა-მეტურ უფრო ისეთ კუთხეებს რაც მათ სახელმწიფოს საზ-ღვრებთან ახლოს იყო. ოლთისელნი ლაპარაკობენ შემდეგს: ჩვენი გათათრება დაწყობილა მაშინათვე, როცა ოსმალ-ნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაშით. იტყვიან კიდევ: რაც ჩვენ გავთათრდით, მას შემდეგ ათი თაობა გასულა და სამას წელი-წალზე მეტი. ასე იტყვიან ჩვენი ძველები.

ესენი ასე ლაპარაკობენ, ხოლო ისტორიულად კი ამის თქმა არ შეიძლება, რადგანაც ეს ასე არ მომხდარა ოსმალთ სამცე მართალია პირველად 1502 წ. დაიპყრეს და მის გამ-გეთ ქაიხოსრო ათაბაგი დანიშნეს, ხოლო ამის შემდეგ, რამ-



დენ გზისმე სამცხელთ ოსმალნი განაძევეს, ქვეყანაში მომდევნობა, მართვიდნენ, თავიანთ საქმეებს თვით განაგებდნენ, 1502 წ. შემდეგ საუკუნეზედ მეტი გავიდა და მხოლოდ 1627 წ. იქმ-საფარ ფაშა ჯაყელის ისლამთან დაკავშირება, რომლის დრო-საც იწყება ქართველთ ისლამის ისტორია. ვინ იცის, შეიძ-ლება ოლთისელებმა საჯარ ფაშაზედ ბევრად წინ მიიღეს ის-ლამი, მაგრამ ჩვენ კი მისი ისტორიული მასალები არა გვაქვს. ისიც ვიცით, რომ ყველაზედ წინედ ისლამის გავრცელება ახალციხიდამ დაწყეს, ამის დაწყება იწყება 1633 წლებიდამ, ოლ-თის-თორთომისკენაც უეპველია ამ წლის შემდეგ დაიწყო, ამიტომ ხალხის გარდმოცემა ოლთისის ქეშმარიტებას მოკლებულია.

არტაანის (არდაგანი) ქართველთ ისლამთან დაკავშირება.

ოლთელ და არტაანელნი ამბობენ, რომ არტაანის ქარ-თველებში გათათოება სწორედ იმავ დროს დაწყობილა, რო-ცა იგი ოლთისკენ დაწინაურებულა და გავრცელებულა. ამი-ტომ მთელმა არტაანმაც ბევრად აღრე მიიღო ისლამით, ვიდ-რე შავშელ და აჭარელთაო. ამ გარემოებას დიდათ ხელს უწ-ყობდა ისიც რომ ყარსის (კარი) თემის ქართველებში თათ-რობა ერთობ მაღვე გავრცელდა, ვინც ეს არ იწამა, იმას გა-დასახლება უხდებოდა, ოსმალოს მთავრობა გადასახლებულთ ადგილებზედ ასახლებდა ბერძნებს, სომხებს, ქურთებს და თა-თრებს.

ამიტომაც მომხდარი, რომ ყარსისა და არტაანისაკენ ქარ-თველთ რიცხვი ძველადვე შემცირდა, ქართული ენა აქ აღ-რიდგანვე ამიტომ ამოვარდნილა. დღეს ხომ ამ კუთხის მაჰმა-დიანებში ბერსაც კი აღარ ახსოვს, რომ მათი კუთხე წინედ საქართველო იყო, იგინიც ქართველები იყვნენ. აქეთ ეს თი-თო-ორთოლა მოხუცებულმა თუ იცის, თორემ უმრავლესობას აღარა ახსოვს რა, იგინი ტომობით ქართველობისათვის და-კარგულნი არიან, მათ საქართველოს ამბების აღარაფერი ახ-



სოვთ, არტაანს და ოლოისკენ ისევ და ისევ თამარ მეფის სამეტურ ხელი იციან, სხვა მეფეთა, ან თავიანთ თაეის და ნამეტურ გათათრების შესახებაც სულ აღარა ახსოვთრა. თითო-ოროლა იქმნება სადმე მოხუცებულებმა იცოდნენ რამე ცნობები ამა-
ებზედ.

ლაზისტანის გაშაჭმადიანება.

ლაზები ამბობენ, რომ ოსმალეთს ჯერეთ მთელი სამცხე საათაბაგო დაპყრობილი არ ჰქონიათ, მაგრამ ჩვენ უკვე თა-
თრობას ვაღიარებდითო. ამათის ფიქრით, ვითომც ლაზები ის-
ლამს დაკავშირებიან 1500 წლებს, მაგრამ ეს მოგონებული
გახლავსთ. შეიძლება ლაზებში ზოგმა ისლამი მიიღო 1500 წ.
შემდეგ როცა მთელი სამცხე-საათაბაგო და მასთან ლაზისტა-
ნიც ისმალთ მოხარკეთ შეიქმნა, მაგრამ ამის ცნობა არა
გვაქვს, იქმნება თითო-ოროლა ლაზები მიიღო ისლამი, ხოლო
საერთოდ მათი მიღების ცნობა კი არა სჩინს. ამას მით უფრო
ვუიქრობთ, რადგანაც ლაზისტანი XVI საუკუნეში ხშირად
იყო იმერთ სამეფოს მოხარკეთ, იმერთ მეფეს გარდა ხშირად
გურიელების ფლობაც ევლინებოდათ. ლაზელთა გათათრების
ცნობები საქართველოს ისტორიულ წიგნებში 1640 წლიდამ
იწყება, მალე ძე უკვე მის ისეთი საფუძველი მყარდება, ისეთი
ნიადაგი, რამაც ლაზთა გამუსულმანებას დიდათ შეუწყო ხე-
ლი, ამიტომ ლაზებმაც არამც თუ ისლამის ლოცვები დაის-
წავლეს, არამედ მათვან თავისუფლიდ იწყეს გამოსლვა მათს
სასულიერო ასპარეზზედ მოლები და ხოჯებიც გაჩნდნენ. ლა-
ზისტანში სრულიად ქრისტიანობა მოსპობილა 1700 წლებს.,
მინამდის კი იქაც ყოფილან მის მაღიარებელნი. ესეც ძე მი-
ტომ მომხდარა, რადგანც ლაზისტანშიაც, როგორც აქარაში,
ზოგი ხეობა გვიან გათათრებულა, ზოგი აღრე. სამწუხაროთ
ლაზების გათათრების შესახებ არც ოსმალერს ენაზედ არსე-
ბობს რამე ისტორიული წიგნები და არცარა თვით ლაზებმა



იციან რამე ცნობები თავიანთ თავის და ვინაობის განვითარების, მათის ფიქრით იგინი ოსმალოს ტომის მონათესავენი არიან და თათრის სჯულით გაჩენილნი. სხვა რამ ცნობები მათში სულ მოსპობილია. მათი ტომის და ქართველთა ნათესაობის ხსოვნა ისლამის გავლენას მოუსპია, ნამეტურ ხოჯიებს და მოლებს.

ზოგმა ლაზია კი იცის გარდმოცემით, რომ იგინი ქართველების და მეგრელების მონათესავენი არიან. იციან ისიც რომ მათ ენას ქართულსა და მეგრულ ენასთან აქვს ახლო ნათესავობა და ამის მიზეზია ის რომ ლაზი ქართულს ენას ორი თვის განმავლობაში წმინდათ სწავლობს და ოსმალურს კი კარგი ხანს უნდებათ. თითქმის ხუთი წელიწადი. ზოგმა ლაზმა ისიც იცის, რომ ადრე იგინი ქრისტიანები ყოფილან და თავიანთ სამთავროც ჰქონიათ, ხოლო ისლამს იგინი დაკავშირებიან მას შედეგ, რაც ოსმალთ კოსტანტინეპოლი აუღიათ, მერე ტრაპიზონისკენ წამოსულან, ლაზისტანიც დაუმორჩილებიათ, მერე აქედამ მთელ გურჯისტანშიც შესულან. შუაგულ ლაზებშიც კი ასეთი ცნობები მცირედ არის დარჩენილი.

ლაზები ამბობენ ასეც: ჩვენ ძველებისგან ნათქვამია, რომ ყველაზე უწინ ოსმალნი ლაზისტანში შემოვიდნენ. ამიტომაც ყველაზედ წინად ჩვენა ვართ გათათრებული, ამიტომაც ჩვენ პირველი სუფთა თათრები ვართო. მოგრძელ იმათ პირველობა. იქიდამიც სჩანს, რომ ოდესაც აკარა და სხვა კუთხეები ისლამს დაუკივშირეს, მაშინ თურმე ამ კუთხეებში და მესხეთ ჯავახეთშიც კი ერთ თავად ლაზისტანიდამ გზავნიდნენ თურმე ხოჯიებს, რომელ ხოჯებიც განაგებდნენ ახლად გათათრებულ ქართველთ სასულიერო საქმეებს, მასთან ისლამსაც ავტოლებდნენ. ამიტომაც ამბობენ ლაზები, რომ ჩვენ წინეთა ვართ გათათრებულნიო. ხოლო ისიც კი უნდა ითქვას, რომ ლაზების ისლამთან დაკავშირებასაც ეჭმნება დიდი, მეტად საინტერესო ისტორია. მაგრამ რა გამოვიდა რომ მის შესახებ არც ოსმალეთში უწერიათ რამე ცნობები ისმალებს და ქართულ ისტორიაშიც არაფერია მოხსენებული.



აფხაზების თავის აფხაზეთის გრატუება: მომ კაცებიდან აფხაზები ამ მოგვითხრობს აფხაზთა გამამილიანების საქმეს 1733 წ. ოსმალნი ჩასულან აფხაზეთში აღექსანდრე იმერთა მეფის დახმარებით აფხაზეთიც დაუკერიათ, მის დაპყრობის შემდეგ აფხაზნიც გაუთათრებიათ, ეს მომხდარა 1731—33 წლებს. — „ოსმალთა შარვაშიძე და აფხაზნი მთარბიეს და ცეკვა ჰქონეს და შარვაშიძე ჰქონეს იგი მაჭმაღიანიდ და უკველნი მისთანა მუთხინი სრულიად. ხოლო რა განხდნენ მდინარეს, კოდრიასა, ეტედა ფაშა შეივეს რათა წარუგეს ჭიქეთს, და მერე აზოვს“. შემდეგ ამ მგზავრობის მომხდარა იმერთა და მეგრელთა ერთობა აფხაზებთან, ამათ ყოველთა ოსმალთ აეწინააღმდეგნენ თურმე, აფხაზეთიდამ ოსმალნი ისე გამორეკეს, რომ იქ მათი აღარავინ დაშთა და აფხაზები ისევ თავიანთ ძველ ქრისტიანულ სჯულს დაადგნენ, ეს მომხდარა 1733 წ. ამ ისტორიულ ფაქტს ვახუშტი შემდეგის სიტყვებით გადმოგვცემს: — „ქს. ჩლიბე ქრ. უბა. ხოლო აფხაზთა ადალავეს ბარგი იშერთა. არამედ შემდგომად თიმალთა და მათ შორისცა იქმნა შფოთი, განევლონენ აფხაზნი და უწევს დაშით შარვა, კვლა ბაცოა და კირთება თიმალთა: იხილა ფაშაშ და უკუ მოიქცა თდომესვე. მაშინ დაქსხნეს აფხაზნი, მთსრნეს ბანაკი თიმალთა და აოტენეს, რამეთუ ფაშა ივლოდა ზდვითა და სხვანი მოსრნეს უშეტესი და მოაშვინენ — ზდვასა და მდინარესა შინა, ადალეს ადაფნი მათნი დად ფრიად დაუტევეს მაჭმადიანობა და დაიშერეს აფხაზთა თვისივე სჯული“. მერე ვახუშტი სხვების სიტყვით აფხაზთა იმ გამარჯვებას ილორის წმ. გიორგის ხატს აწერს ასე: — „ამაზედ ძლევასა ამასა იტეადნენ სასწავლას წმიდა გიორგის ილორისასა, რამეთუ დაშესა ამას კტევდა აფხაზთა გასედასა და განაძლიერებდა მათ ბრძალად.

ეს ისტორიული ცნობა აფხაზთა ისლამთან დაკავშირების ხანად 1730 წლებს უჩვენებს, ხოლო იმასაც გვაუწყებს, რომ ვითომც აფხაზთა იმივ წელს ოსმალნი გამოაძევეს აფხაზეთიდამ და ისლამიც უარ ჰყვეს, ისევ თავიანთი ძველი სჯული იწამესო. შეიძლება ეს ასე მოხდა მაშინ, ხოლო ისიც კი უნ-

და ვსთქვათ, რომ აფხაზეთში ისლამის ცხადათ გავრცელდნენ
დასაწყისი ამ დროდამ იწყება. რაც შეეხება აფხაზთა ჩვეულე-
ბას, სჯულიდამ სჯულზედ გადასვლ-გადმოსვლას, სამწუხაროდ
მათ ჩვეულებათ გადაექცათ და ვინც კი დაეპატრონებოდა მათ
და მეგობრობას გაუწევდა, იგინიც მაშინათვე მის სჯულსაც
იწიმებდნენ წოლმე. ეს დღესაც ასეა აფხაზეთში, მათში დაყვა-
ვებით ზოგმა ისლამი უარი-ჰყო და სხვა სჯული მიიღო, ზოგ
ქრისტიან აფხაზებმა დაყვავებით მამაპაპეული ხაეკლესიონიქარ-
თული ენა უარ-ჰყვეს, მის მაგიერ სლავიანური მიიღეს. ყო-
შემთხვევაში აფხაზეთის ერში ისლამის ვრცელების დასაწყისად
ჩვენ მიღებული გვაქვს 1730 წლები. ეს სწორედ ასე არის ის-
ტორიულადაც.

თსების გამაჭვადიანება.

ოსებზედ ოსმალთა და ისალმის გავლენა თითქმის XV
საუკ. იწყება. ბიზანტიის დაშხობის შემდეგ, რაკი ოსმალნი
საქართველოს შავის ზღვის ნაპირებიდამ ხშირად ესტუმრებო-
დნენ, ამიტომაც იგინი აფხაზეთის გზით ოსეთშიაც ხშირად
გადადიოდნენ. ამ გარემოებას ხელს უწყობდა ის პირობებიც,
ოსმალთა იმძლავრეს და დაღისტნელნი, ანუ შირვანელნი
არაბთა გავლენით IX საუკ. მთლიად დაუკავშირეს ისლამს.
ლექებს ოსების ცნობაც კარგად იქვნდათ, მასთან მეზობლუ-
რი განწყობილებაც და მისვლა-მოსვლაც. ოსეთში ერთის
მხრით შირვანელნი შედიოდნენ აღვილად და მათს მოლებსა
და ხოჯებს შეჰქონდათ თვისი ისლამის სწავლა და მეორეს
მხრით აფხაზეთიდამ გადადიოდნენ ოსმალოს ხოჯიები და მო-
ლიები და ვრცელებდნენ ისლამს. მაგრამ ვერც შირვანელნი
და ვერც ოსმალთა ხოჯიები და მოლები ოსებზედ ვერაფერ
გავლენას ვერ ახდენდნენ. მათი ცდა კარგა ხნის განმავლობა-
ში უნაყოფო იყო. ოსებს ვერ უკავშირებდნენ ისლამს. ხოლო
როცა სამცხე-სიათაბაგოში და ლაზისტანში აყვავდა ისლამი მის
შემდეგ აქც აღორძინდა ისლამი.



ლაზისტანის დამორჩილების მოჰყვა ისლამის აუგუსტი დასაწყისი საქართველოში, ეს ხანა გახლავსთ XVII საუკ. ნახევარი. ამის მერე ოსმალთა ძლიერება აფხაზეთზედაც ძრავლდება, ოსმალნი ეპატრონებიან აფხაზეთს. მაგრამ ვერას აწყობენ. გათათრებური ლაზების საშუალებით ვერც აფხაზეთს და სამეგრელოს იჭირენ, მათში ვერც ისლამს ავრცელებდნენ. ოსმალეთმა მხოლოდ VXIII საუკ. დამდევ მოახერხა, იმდღავრეს და რამდენ გზისმე აფხაზეთიც დაიმორჩილეს, იმავ დროს, ანუ 1730 წლებს ისლამსაც დაუწყეს მათში ვრცელება. აფხაზეთ გარდა ფოთიც ამავ დროს აიღეს, ხოლო მეგრელებში კი ისლამი ვერ შეიტანეს, თუმც ამის გავრცელებას ლაზები დიდათ სცდილობდნენ, ნამეტურ ლაზურის ენის საშუალებით. აფხაზეთში ოსმალეთის გაძალუანებას მოჰყვა სხვა კუთხეების დამორჩილებაც. სხვათა შორის პირველ გზა და ხიდათ აფხაზეთიდამ მათ ოსეთი დაინახეს, ამიტომაც იწყეს აფხაზეთიდამ ოსეთისაკენ მგზავრობა მერე იქიდამ პირვანელებთან შეერთება.

აფხაზეთის დაკავშირებამ ოსმალეთის ძალა დაუკავშირა ოსეთის გზით დაღისტანსაც. აფხაზეთში ისლამის გავრცელებას მიეკა ისეთი გზა და ხიდი, რამაც დიდი სამქადაგებლო, ანუ სამისიონარულს მიმდინარეობა მისცა ისლამს მთელს კავკისის მთიელთ შორის. აქ გაიბა სარწმუნოებრივი ქსელი. დაღისტნელნი ოსეთის გზით თავისუფლად გადადიოდნენ აფხაზეთში და მერე აქედამ ოსმალეთშიაც თავიანთ თანამერჯულენი იდვილად მიემგზავრებოდნენ, თორემ ლეკებს ქართლ-კახეთზედ მზავრობა დაშლილი იქვნდათ. დაღისტნელთა თავისუფლად მგზავრობა ოსეთზედ იწყება 1720 წლებიდამ, იმავე დროდამ, ოსმალთა მთავრობის დახმარებით ოსეთშიაც იწყება ისლამის ვრცელების დასაწყისი და 25 წლის განმავლობაში საქმე ისეთ წარმატებას ეძლევა, რომ 1760 წლებს ოსთაგან უკვე ისლამთან დაკავშირებულთ რიცხვი ერთობ დიდია, საქმე ისეთ წარმატებას იღებს, რომ 1770 წლებს, ოსეთში უკვე ოსთაგან



ისლამის მაღიარებელთათვის თვით ოსების ხოჯიები გადასამართლით და უკვე გამოსჩდნენ. ამათ გარემოებას დიდით ხელს უწყობდა შირვანის სასულიერო წილება; თითქმის სულ მათის ცდით და არაბულის ენის ლოცვების და „ყურანის“ სწავლით იზრდებოდნენ ისთა ხოჯიები და მოლიები.

ასე რომ ოსებში ისლამის გარელების დასაწყისი იწყება 1720 წლიდამ. შეიძლება ამაზედ წინედაც იყვნენ მათში ისლამის მაღიარებელნი, დაღისტნელთა ხოჯიების დახმარებით და მეზობლობით, რაღვანაც მაშინ ლეკებმა ოსური ენაც იცოდნენ, როგორც თავიანთ მეზობელ ერის ენა, ხოლო ასეთ ისთა მაღიარებელთა რიცხვი ერთობ მცირე უნდა ყოფილიყოს. 1730—40 წლებში კი ოსეთში სწრაფად იქმნა ისლამის გავრცელება დაწყობილი. საქმე იქამდის მივიდა რომ 1770 წლებში უკვე რუსეთშიაც კი შეიტყეს რომ ოსებში მას ასე იფინება ისლამით. ამ გარემოებას მათაც მიაქციეს ყურადღება. 1770 წლებს უკვე დაარსდა რუსეთის მთავრობის დახმარებით მოზღოვა და ყიზლარს ოსების კომისია, რომელ კომისიასაც საგნად ქრისტიანობა აქვნდა მიღებული და ოსების პატრიონობა. ამის შემდეგ კი მართლაც ისლამის ვრცელება შეჩერდა, როგორც სჩანს 1781 წლის შემდეგ ისთა ისლამთან დაკავშირება მოისპო. ვინც კი იმ დრომდე ისნი ისლამს აღიარებდნენ, მათვის კი შირვანელთა ხოჯიების წყალობით მრავლად გაჩნდნენ თვით ოსებთაგან ხოჯიები, მოლიები, ხაფუზნიც, მასთან მათ აფხაზეთის გზით მექაშიაც იწყეს მგზავრობა, ამით მათში ჰაჯებიც გაჩნდნენ, მასევ მოჰყვა ოსებში ისლამის მტკიცე საძირკველის არსებობა და მაღიარებლობა, რომელთა რიცხვმა ჩვენს დრომდისაც მოაღწია მრავლად. ზოგნი ამათგანი ისმალშიც გადასახლდნენ 1860 წლებს, დღეს ისმალეთშიაც სცხოვრებენ მუსულმან ისები. მრავლად, იქ ესენი ოსურ ენას ჰკარგავენ.

რაღვანაც ოსები ჩვენი მოძმე მეზობელი ერია, ამიტომ მოვიყვანეთ ეს მოკლე ცნობა მის შესახებ, თუ მათი ისლამთან დაკავშირების დასაწყისი როდის იწყება. ეს დასაწყისი,



ანუ ოსთაგან ისლამის სჯულის გაცნობის ხანად XVIII საუკუნეში
დამდევი ითვლება. დალისტნელთ ხოჯიების და მოლიების დახ-
მარებით, თუმცა მათ ოსეთში ისლამის ვრცელება მიტომ უფ-
რო უძნელდებოდათ, რადგანაც ოსეთამდის მათ გზებში სხვა
მთის ერნი ჰყვანდათ გასავლელნი, როგორც ინგუშები, ქის-
ტები და ჩერქეზები, ამიტომაც მათ ამ მთის ერში უფრო აღ-
რე განავრცელეს ისლამი, ვიდრე ოსებში, ინგუშებს, ქისტებ-
სა და ჩერქეზებში ისლამის ვრცელების დასაწყისი XIV საუკ-
ნახევრიდამ იწყება ამ დროს მათში არაბული ანბანის ხმარე-
ბაც შემოდის.

ისლამი საინგილთში.

შაპ თამაზმა აიკლო კახეთი, ასევე შაპ ისმაილმა, შაპ
აბაზმა და სხვებმაც. ამათი მახვილი პირველად ყოველთვის კა-
ხეთს ხვდებოდა. მთელი კახეთი ამათგან შეწუხებული იყო.
ამიტომ კახელებს სძულდათ სპარსენი, სძულდათ მათი სჯუ-
ლიც. აგონდებოდათ სპარსთაგან კახელთა აყრა, სპარსეთში
გადასახლება და ამის ჯავრით აღარ იცოდნენ რა ექმნათ.
XVII საუკ. დამდევიდამ, შაპაბაზმა საქართველოს ისეთი მეხი
დაარტყა, რამაც იგი წელში გაწყვიტა. კახელთა ეს გაწყვეტა
იყო იმის მიზეზები რომ შიგნით და გარე კახელთ კიდევ რა-
მე ძალა აქვნდათ თვისის ცხოვრების და ვინც განაპირო ად-
გილებში სცხოვრებდნენ, მაგალითებრ დალისტანის სამზღვრებ-
ზედ, ანუ საინგილო-ვართაშენ-უდისკენ, ესენი კი ძრიელ შე-
წუხებულნი გახლდნენ.

მეზობლობით ამათზე ერთობ დიდი გავლენა აქვნდათ
შირვანელ ლეკებს, მათში მისვლა-მოსვლა, მეზობლობა და ხში-
რად მეგობრობა და სალამიც. ამ გარემოებამ ქართველები
ლეკებს ისე დაუახლოვა, რომ XVII საუკ. დამდევიდამ, შირ-
ვანელთა მოლიებისა და ხოჯიების საშუალები და ქადაგებით
ინგილოებმა და უდელებმა იწყეს სუნის ისლამის მიღება და



შით თვისი ცხოვრების უზრუნველ ყოფნა სპარსთა ყერძოშორიშვილ გან, რადგანაც სპარსნი სუნის სარწმუნოების მექონთ არ აონხრებდნენ და ქართველნი კიდევ, რომელიც კახეთის განაპირა აღგილებში სცხოვრებდნენ და სპარსთა შიში აქვნდათ მუდამ აკლებისაგან, იგინი ამით დაცულ იქმნებოდნენ. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ისლამის გავრცელებას საინგილოს და ვართაშენის ქართველებსა და უდებში.

ისიც კი უნდა ვიცოდეთ, რომ საინგილოში, ქართველთ შორის ზოგი ლეკთა დახმარებით არის გათათრებული, ზოგი შესყიდვით, ზოგი სპარსთა აონხრების შიშით, ზოგნი ტყვეობიდამ დახსნილნიც და ზოგნიც სხვა გვარ. ყველა მათში, ანუ საინგილოს ქართველებში ისლამის გავრცელების დასაწყისად XVII საუკ. ითვლება, ანუ მას შემდეგ, რაც შაჰაბაზშა კახეთი აიკლო და 120 ათასი ქართველნიც სპარსეთში გადასახლდა. ყველა კახელს სასტიკად ეშინოდა გადასახლების. ამიტომაც აქაური ქართველნი ადვილად უერთდებოდნენ სუნის ისლამს და მით ჯავრს ყრილობდნენ სპარსელებისასაც. ეს ცხადი ჭრილი ტება და ნამდვილი, ისიც კი უნდა ითქვას, რომ საინგილოში და ვართაშენში ისლამ მიღებულ ზოგს ქართველთ სადღეისოდ ქართული ენა დავიწყებიათ. ეს მომხდარა მათის ხოჯების და მოლების ქადაგებით, რომელთაც შიში ჰქონიათ ქართული ენის, მრევლს ეუბნებოდნენ თურმე, რომ ქართულად ნუ ლაპარაკობთ, თორემ ბოლოს ძალას დაგატანენ და გაქართველდებითო. ამ გარემოებას დაუვიწყებია მათთვის ქართული ენა, ზოგი ინგილოები კი ლეკურ ქართულ ტერეული ენით ლაპარაკობენ, ამ ენას თურმე თავის კილოკავიც აქვს მიღებული. ამათ შესახებ საფუძვლიანი შრომა აქვსო მღ. დიმიტრი ჯანაშვილს და მოსე ჯანაშვილს. ნახეთ ამაზედ მოსე ჯანაშვილის წიგნი „საინგილოს ყოველივ მხრი ვი აღწერა“ განოცემა 1913 წ. თუ.



ჩერქეზების, ქასტების და ინგუშების გათათვება. გერმანული სიმღერები

ოსებმა ქრისტიანობა მიიღეს IV საუკ. მის მერე ისე წილკნელის ცდით, პიროს ბრეფელის და სხვათა სირიიდამ შე-მოსულ ქართველ მამათა საშუალებით მთელმა ოსის ერმა აღიარა ქრისტიანობა, როგორც კავკასიის მთების აქეთა მხრის მცხოვრებ ოსებმა, ისევე იქითა მხრის ოსებმაც. ამათთანავე ერთად სხვა ტომის ერნიც აღიარებდნენ ქრისტიანობას, მაგა-ლითებრ ინგუშები, ჩერქეზები და ქისტებიც. ყველა ესენიც ქრისტიანები იყვნენ. ქართლის მოქცევის ისტორიაში მოხსე-ნებული მთიელნი ამ ხალხს შეეხება.

მონგოლების შემოსევის და განდევნის შემდეგ, ქართვე-ლებს დიდი ძალა მოაკლდათ ამ მთის ერთა მფარველობის. ამ გარემოების წინ აღუდგა ისლამიც და მუსულმანთა ძლიერება. XIII საუკ. დაღისტანში ისლამი უკვე გავრცელებული იყო, ამ დროს ჩერქეზები, ქისტები და ინგუშებს სჯულის მეთაურ კაცების სულ აღარ ჰყვანდნენ, მათში ქრისტიანული აღარა იყო რა. ამ გარემოებას შირვანელმა ხოჯიებმა ყურადღება მი-აქციეს, ამათ დაიწყეს ხსენებულ კუთხის ხალხში მგზავრობა და ისლამის ვრცელება. ასე რომ XIV საუკუნის ნახევრამდე მთელმა ინგუშებმა, ქისტებმა და ერთმა ნაწილმა ჩერქეზები-სამაც ისლამი აღიარა. ოსებს კი ისლამი მალე ვერ მიაღები-ნეს. ჩვენ არ ვიცით, თუ ამ დრომდე, ხსენებულ მთის ერში რა ანბანი იხმარებოდა, ის კი ვიცით ისტორიით, რომ ოსებ-ში კი ძველადგანვე ქართული ანბანი იყო მიღებული.

ისლამის გავრცელებას დაღისტნის ხოჯიებმა კაიგზა მის-ცეს ხსენებულ გამაჲმადიანებულ მთის ერში, ამის აღორძინე-ბას მოჲყვა მათში არაბული ანბანის შეტანის დასაწყისიც. ხსე-ნებულ მთის ერში XV საუკ. უკვე არაბული ანბანი საერ-თოდ იყო მოფენილი. ამ ხალხიდამ მაშინ უკვე ისლამის მა-ღალიარებელ და მქადაგებელ სასულიერო წოდებაც არსებობდა, რასაც დიდათ ხელს უწყობდა და ამზადებდა შირვანის მუ-სულმანთ სასულიერო წოდება. შირვანის ისლამის სასულიე-



რო წოდებას დიდი შრომა და ამავი მიუძღვისთ ისლამური კულტურული გრცელების წინაშე, ხსენებულ ერში.

ინგუშებში ისლამის შეტანის დასაწყისი იწყება XIV საუკუნეებიდან, მთელმა ინგუშობამ მიიღო მაშინათვე ეს სარწმუნოება.

ქისტების მთელმა ნაწილმაც ამავე დროს, ანუ XIV საუკუნეების იწამი ისლამი, ინგუშებთან ერთად ჩერქეზების დიდმა ნაწილმაც ამავე დროს მიიღო ისლამი მათში, უოტა დარჩა ქრისტიანობით.

დეპების დაკავშირება ისლამთან.

დალისტანზედ კახეთი და ქიზიყი ახლოა. წმ. ნინოც ხომ ბოდბის ხევში სცხოვრებდა, სადაც დღეს წმ. ნინოს ქალების მონასტერიც არის. ქრისტეს სწავლა კახეთში აქედამ მოევლინა. მერე აქედამ საინგილოს გზით დალესტანშიაც გადავიდა, მაშინ შირვანელნი მზეზედ ლოცულობდნენ, მათში ზოგიერთ ალაგას ქრისტე იწამეს. მის შემდეგ შირვანში ქრისტიანობა გავრცელდა VI საუკუნეში, სირიიდამ საქართველოში შემოსულ ნასწავლ ქართველთ მამათა საშუალებით შირვანში მოლად მოიფინა ქრისტიანობა, მაშინ აქ აღმენდნენ სხვა და სხვა ვრცელი ტაძრებიც, მის შემდეგ საუკუნოებში შირვანის ქრისტიანობის საქმეებს ქართველთ მღვდელ-მთავრები განაგებდნენ.

ქრისტიანობასთან ერთად ლეკებში ქართული ანბანიც იყო გავრცელებული. ჭ, ყ და ზოგიც სხვა ასეთ ასონი ქართულ ანბანში სულ ამათის ხმით არის შეტანილ-მონარქულურებული. მაშინდელ ქრისტიანთა ნაშთების დანაშთენი ისტორიკოს პ. იოსელიანსაც უნახავს დალესტანში თავის მოგაურობის დროს. ნახეთ ამაზედ მისი რესული წიგნი „მოგზაურობა დალისტანში“, 1871 წ. თფ. (პუ. ვაჟ. ი. დაგ. 1871 წ. გ. გ.). ასე რომ ჩვენცა და ლეკებმაც უნდა იცოდნენ



ის გარემოება, რომ იგინი პირველად აღიარებდნენ ქრისტიანთა
ნობას, ამის მფარველად, ქართველებს მათში თვისი მქადაგებ-
ლებიც ჰყვანდნენ დანიშნულნი, რომელთაც ლეკური ენაც
იცოდნენ და ესენი ლეკთა შვილებს ქართულ ანბანსაც ასწა-
ვლიდნენ. ასე იყო მათი საქმე. ქართული ანბანი ძველად იყო
ლეკურიც, ოსურიც, აფხაზურიც და ქრთულიც.

არაბების ფლობამ საქართველოზედ და შირვანზედ იქონია
მეტად დიდი გავლენა. ქართველთ მოაკლდათ ძალა არამც თუ
დალისტნელთ მოვლა-მფარველობის, არამც თვით თავიანთი
ქვეყნის სასულიერო საქმეთა მართვაც უჭირდებოდათ. ამიტომ
დალისტნელთ დაეპატრონენ არაბი, მათმა სასულიერო წო-
დებამ იწყო ისლამის ქადაგება და სულ მოკლე დროის გან-
მავლობაში მოელს შირვანში ისლამი კარგად განვირცეს. X
საუკ. ისლამის საქმე იქ ისე მოეწყო, რომ ლეკთაგან უკვე ის-
ლამის მცოდნე სასულიერო პირნიც გაჩნდნენ. ისლამის ვრცე-
ლებისვე მოჰყვა შირვანში ქართული ანბანის მოსპობა და არა-
ბული ანბანის მიღება. XII საუკ. შემდეგ, არაბები საქართვე-
ლოდამ გაძევებულ იქმნენ. ამ დროს შირვანში ლეკთა შო-
რის, ისლამის საქმე ისე იყო აღმარინებული და გამაგრებუ-
ლი, რომ მას ველარაფერი მახვილი და ძალადობა ველარ შე-
არყევდა. არის იმის ცნობაც. რომ შირვანში ქართველ მქა-
დაგებლებს ამის წინააღმდეგ ცდა დაუწყვიათ, მაგრამ ამაოდ,
მათის ცდიდამ არაფერი გამოსულა. ორი საუკნის განმავლო-
ბის არსებობის შემდეგ, ისლამს იქ უკვე დიდი საძირკველი
ჰქონია გამაგრებული. ასეთია ლეკების სარწმუნოებრივი ის-
ტორია, თუმცა ეს დრო მათგან ერთობ შორს არის, მაგრამ
ლეკებში დღესაც იციან ზეპირად შემდეგი გარდმოცემა, რო-
მელსაც მოგზაური ხშირად მოისმენს მოხუცებულთაგან.

ადრე, ანუ უწინ, ძველად ჩვენ ქრისტიანები ვყოფილ-
ვართ, ჩვენი ანბანაც თქვენი ანბანი ყოფილა. მერე გავთათ-
რებულვართ, ეხლა ჩვენი ანბანი არაბული არის.

ვიტყვით იმასაც რომ მუსულმანთა სასულიერო წოდებას
შირვანში დიდი შრომა მიუძღვის ისლამის გავრცელებაზედ,



ხოლო რაც შეეხება ისლამის ფანატიზმს და მის სისასტემურო გავრცელებული მაგალითებრ როგორც თვით ქართველ მაპმადიანებში. დაღისტნელებში ისლამის სწავლაშ ვერც ლეკური სიმღერების ხმარება მოსპონ და მასთან ლეკა დედაკაცობას ვერც ლურჯი ჩადრიდახურა, ვერც პირბადე ჩამოაფარა. ბევრი რამ ლეკებისა ძველის ჩვეულებით დარჩა ისლამისაგან ხელ შეუხებელ და უვნებელი დღემდე. ცოტათი დაღისტნელებს ოსმალებმა გაველურება დაუწყეს. XVII საუკ. შემდეგიდამ: იგინი ამათ აქეზებდნენ ყოველთვის საქართველოზედ დასაცემად, ასაკლებათ და ტყვეების დასატაცვად. ყველაფერ ამას ისლამის სასაჩვებლოდ ხსნიდნენ, მაგრამ ეს გარემოება იყო ლეკების უბედურება და მათ მთლად გაველურება-განადირება, რასაც დღეს თვით ლეკებშიც ბევრნი კარგად გრძნობენ ამას, ამიტომ სწან კიდეც დიდათ, რომ იგინი ასე უკან არიან ჩამორჩენილნი სწავლა განათლების მხრით.

ლეკების, ანუ შირვანელთ სჯულის, თუ საჩრდინებრივი მხარეების ისტორიის მდიდარი წარსული აქვს, ხოლო ჩვენ ეს მოკლე მიმოხილვაც ვიყმარეთ, რასაც თავის ორგინალურის საკუთარის ცნობებით საქარისი მნიშვნელობა აქვს და ისტორიული სიდიადე. XVII საუკ. ნახევრამდე, ლეკებში იყო ისეც, რომ ლეკი ისლამს აღიარებდა, თორემ ამის გარეშე მან ერთი არაბული ლოცვაც არ იცოდა ზეპირად, ქალებში ხომ ბევრმა დღესაც არ იცის ზეპირად. საჭირო ლოცვები საერთოდ კი ლეკებში ისლამის ლოცვებში საერთო გავრცელების ხანად XVIII საუკუნე უნდა მივიღოთ, უმეტეს XIX საუკ. როცა მათ მუდმივ ბრძოლა და ომები აქვნდათ ჯერეთ ქართველებთან და მერე რუსეთის მხედრობასთან.

სამწუხაროდ ჩვენდა, ლეკების შესახებ ქართულს ისტორიულს მასალებში მცირე რამ ცნობები მაინც არის დატოვებული, თუ ეს ერთ როდის აღიარებდა ქრისტიანობას, მის მერე როდის დაუკავშირდა ისლამს ხოლო ესეც ერთობ მოკლედ არის მოხსენებული, ორიოდე სიტყვით. რაც შეეხება



არაბთა და ოსმალთა ისტორიებს იქ ამათ შესახებ, ანუ მას განვითარებაზედ და თუ მათ ოობორ განავრცეს შირვან-ში ისლამი ამაზედ ერთი სიტყვაც არსად აქვთ მოხსენებული. სპარსთა ნაწერებშიც ხომ არსად არაფერია მოხსენებული, რადგანაც სპარსი ლეკებს ემდურებოდნენ ყოველთვის მას-ზედ, თუ თქვენ სუნის ისლამს რათ შეუერთდით. ამაზედ მათში ყოველთვის განხეთქილება და მტრობაც არსებობდა, მასთან ომებიც კი უხდებოდათ ხშირად ურთიერთ შორის. სამწუხაროდ ლეკები ოსმალ სპარსთა მეისტორიეთათვის სრულიად დაკარგულ და მივიწყებულნი არიან, ლეკებს და მთლად დაღისტანს ისევ და ისევ საქართველოს ისტორია იხსენიებს და ზოგ რამ ცნობებსაც იძლევა.

ეს გარემოება ლეკებმაც უნდა იკოდნენ კარგად, მათ ქართული ისტორია უნდა შეისწავლონ იმიტომ კი არა რომ იგი ქართულია, არამედ იმიტომ რომ იგინი მასში თავიანთ შესახებ ბევრ რამ ისტორიულ ცნობებს ნახენ, თავიანთ თავს და წარსულს აქვთ გაიცნობენ, ლეკებს ქართულ ისტორიის მეტი სხვა წყაროები არა აქვთ რა.

თთრთმის და ლაზისტანის გათათრება

ნამბობი ბათუმის მუდოს

ჭავან ეფენდი ელიჭოდლი გგერდაის მიერ.

ოსმალნი რომ გაძალუანებულან, მაშინ ჩვენების საჭმე ცუდათ წასულა. ილბათ ღვთის ბრძანებით. მერე ოსმალნი ჩვენში შემოსულან, მათ აულიათ ლაზისტანი და თორთომი. აქ გამაგრებულან და თათრობა აქ დაუწევიათ, ამაზედ ბევრი შლილობა ყოფილა, მიტომ თორთომელნი სულ აქარაში გამოქცეულან. ასევე ყოფილა ლაზისტანშიაც და ლაზებიც თურმე სულ ჩვენში მოჩბოდნენ, თავს აქ იფარავდნენ და თათრობის წინააღმდეგ ლაპარაკობდნენ. ოსმალთა სჯულის თავი კაცებმა თორთომელთა შორის ზოგიერთ ჩვენთაგანი დაარ-



წმუნეს მასში, რომ თათრობა წმინდა რამ არის, უკოდველი და სასიამოვნო. მღვთისაგან თქმულება არის, რომ თათრობა ჩვენში ისე გაიშლება, ისე აყვავდება, როგორც გაზაფხულის ყვავილები და ვარდებიო. ამიტომ ამის წინააღმდეგ ბრძოლა უბრალო იქნებაო — რადგანაც ყველაფერი აქ მღვთის ბრძანებით მოდის, თუ არ მღვთის ბრძანება, უამისოდ აქ სჯულის საქმე ფეხს ვერ მოიკიდებს, ვერც ლიმალნი იხმენ რამეს, მაგრამ ეს მღვთის ნებით არის, მისი ბრძანებით და ამიტომ ამის წინააღმდეგ ლაპარაკი ცოდვაც არისო. ყველასთვის სასიამოვნო უნდა იყოს, რომ მღვთის ბრძანება შესრულდეს და გურჯისტანი თათარი გახდესო.

ესეთი დარიგება ისლამის თავი კაცებისა თორთომელ და ლაზებმა წმინდათ ირწმუნეს, პატივისცემით მიიღებს და თათრობასაც მაღლე დაემორჩილნენ, ესეც რასაკვირველია მღვთის ბრძანება იყო. მართლაც მათში თათრობა (ისლამი) ისე წავიდა წინ, ისე გაიშალა მათში, როგორც გაზაფხულზედ ყვავილები გაიშლება და სუნს გამოსცემენ. ისლამს ისეთივე კარგი სუნი აქვნდა, რასაც ყველანი სიამოვნებით ეწაფებოდნენ. იყვნენ ჩენშიც თითო-ოროლა ხეობის ხალხი, რომელთაც ამ ყვავილების სუნის შეკვება არ აქვნდათ, ამიტომ იგინიც თათრობაზე უარს ამბობდნენ. მაგრა ადგნენ, ისე, ეს როგორც შეპტერის ბერ ხალხს, მერე კი, რაკი თორთომი ნებით გათათრდა ასევე გათათრდა ლაზისტანიც, ამიტომ ყველა ეს გათათრებულნი წინ წავიდნენ როგორც ზენგინობით, ისევე კაიკაცობით, მათ ღმერთიც ყველაფერს უკეთეს აძლევდა, თათრობაში აღარც ყანები უფუჭდებოდათ, აღარც წვიმა აწუხებდათ, არცა რა სხვა რამ, ცხოვრება უკეთესი მისცა ღმერთმა. ამის ლირისი იგინი ღმერთმა გახადა, რადგანც მათ მაღლე შეიგნეს თათრობის სიწმინდე.

მერე კი ჩვენებიც გონზე მოსულიან, მღვთის ბრძანება შესრულებულა, თორთომელთა და ლაზელთა მსგავსად გათათრება მომხდარა, გათათრებულთ ცხოვრებაც თურმე უკეთესდებოდა, ღმერთი მათ მეტს მოსავალს აძლევდა. რაკი ღმერთის

ბრძანება ასეთი იყო, ამიტომაც ყველა ჩვენგანი, ანუ კაცების დელის ძველები თათრობას სისუფთავით იღებდენ და შის სიკარგესა და სისუფთავეში ეჭვი აღარავის აქვნდა.

ჩვენის ძველების სჯულის გამოცვლა და გადაბრუნება მღვთის ბრძანებით მომხდარა და არა ოსმალოს თავის კაცების ძალადობით, მართალია ჩვენში ამისაც ამბობენ, ბერი კაცები, რომ ძალასაც ხმარობდნენ, მაგრამ არა მგონია, თუ არ მღვთის ბრძანება, უამისოთ ასეთი დიდი საქმენი, ვერა ღონისძიებით ვერ გაკეთდება. თათრობაზედ ბევრს ლაპარაკობენ, მართლაც ბევრი ამბები მომხდარა. ჩვენს ძველებში, ამის ამბებიც კარგი იქნება რომ მოგროვდეს, შეიკრიბოს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ცუდი არაფერი უნდა იყოს, მიტომ რომ ყოველივე მღვთის ბრძანებით მომხდარა და მასზედ ცუდის თქმა არ იქნება კარგი ოსმალეთში.

მაღლობა ღმერთს, რომ მაინც თქვენში ცუდი არაფერი ხდება ჩვენს თათრობაზედ, ჩვენ ჩვენი ბერი კაცები გვაშინებდნენ რომ რუსები გაგაქრისტიანებენო, მაგრამ აგრე მე რუსის სამართალში ვმსახურებ, იქ ბევრი რუსის და ქართველის დიდი კაცები შემოდიან და მე სალამს მაძლევენ, მეც პატივს ვსცემ, მათ ჩემთვის არას დროს არ უთქვამსთ, რომ სჯულიდამ გამოდი, თათრობა დააგდევო. ასე ყოფილა თურმე თქვენში, ესეც ლვთის ბრძანებით უნდა იყოს. ამიტომ ძრიელ მოტყუდნენ ჩვენები რომ თქვენის ხალხის შიშით აქედამ იყარეს და ოსმალეთში წავიდნენ. მე არ წავედი და მაღლობა ღმერთს, ეხლა მაღლობელი ვარ ჩემის თავის და იმ კაცების ვინც ჩვენ გვაფრთხილებდნენ, რომ ნუ წახვალთ, თორემ იქით დაიღუპებითო. თათრობას ჩვენ აქ უფრო უკეთესად ვინახავთ, ვინემც ისმალები ოსმალეთში.

ღმერთმა აცხონოს იჭარის ძველი მუფთი, ღმერთმა აცხოცხლოს ტუმპამ ბეგი, ახმედ ხალვაში და ბევრიც სხვ.ნი, რომელნიც ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ აქედამ ნუ წახვალთ, თორემ თავს დაიღუპამთო. მართლაც ვინც შეისმინა ეს დარიგება, იგი დალუპვასაც გადარჩა. დღეს თავის ალაგას, თავის სო-



ფელში სცხოვრებს და წასულები კი ისევ აქ მორბიან და გვთხოვენ, რომ გვიშველეთ თორებ მშივრები ვიხოცებითო. მე ბევრს ვაძლევ დახმარებას სიმინდით, ფულით, მაგრამ რომელ ერთს მივსცეთ ბატონი.

ესეთი უბედურებაც მღვთის ბრძანებით იყო, რის ნება დაურთველათ ველნებთ, რომ ასეთი საქმენი ადვილად ვერ მოხდება. ალბათ მისი ბრძანება იყო, რომ ჩვენი ქვეყანა ისე აირია მაშინ.

იუთ თუ არა ქართველთ მაჭიშადიანთ
შეისულ ისლამი?

(ზეპირ ამბებათ შეკრებილი).

ოსმალეთის საქართველო ნახევარ საქართველოს უდრის. ვიდრე ეს კუთხე საქართველოს სამეფოსთან იყო დაკავშირებული, მინამ აქ ირიცხებოდა 13 საეპისკოპოზო კათედრა; რაც აჩენს კარვად იმ გარემოებას, თუ აქ რამოდოლა ქართველობა უნდა ყოფილიყოს. აქ იყო ისეთი რიცხვი მრავალ ეპარქიაც კი, სადაც ხალხის რიცხვი ნახევარ მილიონზედ ავილოდა, ასეთი იყო არტაანის ოლქის ბანის კათედრა, რაც ბანელად იწოდებოდა, რომლის ნაშთს ვანკუიფრებაში მოჰყავს თვით აწინდელ დროის მნახველიც.

ყველა ეს ადგილები ოსმალეთშია პირველად დაიმორჩილა 1580 წ. ხოლო იმ დროდამ სამცხე საათაბაგოს უფლება და წესები ხელ-შეუხებლით დარჩა, ე. ი. ათაბაგნი დაშინენ ისევ ათაბაგათ, ანუ მათი ავტონომია უკნებლად უნდა ყოფილიყოს ოსმალეთის ხელში, ქართველთ მათთვის მარტოდ ხარ. კი უნდა ეძლიათ. ესეთი პირობები ისმალთა არ იქმარეს, 1627 წ. მოსპეს ათაბაგობა, ათაბაგნი, ესე იგი მათი ავტონომია და მთელი ეს კუთხე შერაცხეს ოსმალეთის იმპერიის ნაწილად, ანუ საფაშალიყოთ.

მთელი ოსმალეთის საქართველო, ანუ სამცხე საათაბაგო



გაყვეს ოცდა-ოთხ სანჯაყათ, სანჯაყი მაზრაზედ ცოტა გამოიწვევა რა არის და ოთხ საფაშალიკოთ. ახალციხეში დასვეს ვალი ფაშა, ანუ სამ თუღლიანი უფროსი ფაშა დანარჩენ ფაშებზედ ამ წესების დამყარებას დიდათ შეუწყო ხელი ათაბაგთა შთა-მომავალ საფარ ფაშა ჯაყელმა. ეს ხელის შეწყობა საფარ ფა-შამ აი როგორ მოახერხა:

საფარ ფაშის დროს, სამცხეს განაგებდა მანუჩარ ათაბა-გი. 1626 წ. გარდაიცვალა მანუჩარ ათაბაგი (მეორე), ამის შემდეგ ათაბაგობა უნდა მიეღო მანუჩარ მესამეს ძმისწულ მა-ნუჩარ მეორისას. მანუჩარ მეორე სტამბოლში გიახლათ, სულ-თანს აუწყა მანუჩარ მეორის გარდაცვალება და მასთან თვისი-უფლება გაათაბაგების. სულთანმა ყოველივე შეისმინა, მანუ-ჩარ მესამე დაამტკიცა ათაბაგათ და გამოისტუმრა საქართვე-ლოში.

ეს შალე მოვიდა შავი ზღვით საქართველოში, ზღვიდამ კლარჯეთზე გამოიარა, ართვინს ახლოს, სოფელს სვეტს, სა-დაც მისი ბიძაშვილ ბექა ჯავალი სცხოვრებდა, იქ შეუარა ბიძაშვილს და ლაშე გაათია თანხლებელებით. იმ ღამეს, ბექა ათაბაგმა საჭამლავი შეაპარა საჭმელში, ლამე მანუჩარ მეორე გარდაიცვალა. მეორე დღეს თანხლებელთ ათაბაგ მანუჩარი ახალციხეში წამოასვენეს და დაასაფლავეს, ამათი სამთავრო ტახტი ახალციხეს გახლდათ.

ბექა ათაბაგი კი სტამბოლში გიახლათ, სულთან გამოეც-ხადა, აუწყა მანუჩარის სიკვდილი და მასთან ისიც დასძინა, რომ ათაბაგობას თუ მე მიბოძებთ, პირობას დავსდებ, რომ მთელ ჩემს სამფლობელო ქართველებსაც ისლამს დაუკავში-რებო. ამაზედ სულთანმა თათბირი ქმნა, ბექა ათაბაგს თანხ-მობა განუცხადეს.

ხოლო ისიც აუწყეს, რომ ათაბაგობა რადგანაც ჩვენებური-წესები არ არისო, ამიტომ მის მაგიერ ვალი ფაშობა გვინდა დავაწესოთ, თუ ისურვებ ახალციხის ვალი ფაშობას გიბო-ძებო. ბექა ათაბაგი თანახმა გახდა. იგი მალე ისლამს დაუ-კავშირდა, სახელად საფარა უწოდეს და ახალციხის ვალი ფა-



შად დანიშნეს. ამავ წელს ეს საფარ ფაშა სტამბოლურუსტარაზე
მოვიდა საქართველოში.

1627 წ. მოვიდა საქართველოში და ახალციხეში ფაშად
იქმნა დადგენილი.

საფარ ფაშამ იმეცადინა და 1635 წ. თავის საბძანებლის
ქართველობას ისლამთან დაკავშირება დაუწყო, მოკლე დრო-
ის განმავლობაში მთელი ამ კუთხის ქართველობა ისლამს და-
უკავშირა. ისლამის გავრცელების შემდეგ, ქართველთ შორის
მოისპონ თავადობა და განწესდა ბეგობა, მოისპონ აზნაურობა
და განწესდა ოლიობა, მოისპონ მასთან ბატონ-ყმობაც და სხვაც
ბევრი რამ.

საფარ ფაშის მეცადინეობით, ახალციხეში გახსნილ იქმნა
არაბული სასულიერო სასწავლებელი, სადაც ქართველთ მა-
ჰმადიანთ მოლებს და ხოჯებსაც დაუწყეს გამოზრდა. მოკლე
დროის განმავლობაში, ქართველთ მაჰმადიანთ შორის უკვე
გამოსჩნდა სასულიერო წოდების სხეული და სახე, საქმე ისე
მოეწყო, რომ მათში გაჩნდნენ თვით მღვთის მეტყველების
კანდიდატები-ხაფუიზნიც.

სასულიერო წოდებასთან დაარსდა მათი გამგეობა, ანუ
მეჯლიში, მასთან მეჯლისის ყადებიც, შემოიღეს ამათ შარია-
თით საქმის გარჩევა ანუ „ყურანის“ წესით გისამართლება. ქართველთ მაჰმადიანთ რიცხვი XVII საუკუნის ნახევარს, უკ-
ვე მილიონობით გამოსჩნდა და არა ასი ათასობით, ამიტომაც
გარემოებას ქართველთ მაჰმადიანთ შორის მოჰყვა ის პირო-
ბებიც, რაც სასულიერო წოდებაც ამათში უნდა ამაღლებუ-
ლიყოს, დაწინაურდებოდა, ამის საჭიროებას თვით ოსმალეთის
მთავრობაც ხედავდა. ამიტომაც მათის ბრძანებით 1660 წლებ-
ში, ქართველ მაჰმადიანთა შორის დადგენილ იქმნა მუფთი,
რაკი დადგენილ იქმნა ერთ კუთხის მუფთი, მას მალე მოჰყვა
მეორე კუთხის მუფთი და მესამე და მეოთხეც. რაკი მუფთის
ხსენება გაჩნდა, ამ გარემოებას შემდეგ მოჰყვა სხვა სასულიე-
რო პირების გაჩენის ნატერაც. ეს იყო ქართველ გვარის, ანუ
მაჰმადიანთაგან შეინულ ისლამის დადგენა.

ოსმალეთში შეიხულ ისლამი ისეთი პირია, როგორც



სომებთ კათალიკოზი, რომის პაპი და რუსეთის მიტროპოლიტი. ქართველებს ნატვრა მიეცათ რომ უსათუოდ ჩვენ ჩვენი შეიხულ ისლამი უნდა გვყანდესო. ამ გარემოებას ოსმალეთის სასულიერო წოდება კი ვერ იმშვენევდა. ყოველთვის შეიხულ ისლამით თათრის, ანუ არაბის ტომის სასულიერ პირს ირჩევდნენ. ნელ-ნელა დრონი მიღიოდნენ და ქართველ მაჰმადიანებიც საკმარისად მრავლდებოდნენ, მოელს ოსმალეთსა და მუსლმანთ ქვეყნებში ქართველები პირველ მუსულმანებათ ცხადდებოდნენ, ისლამის ფანატიზმით ესენი თვით ფანატიკ თათრებს სჭარბობდნენ, ამ გარემოებას იწვევდა თურმე შემდეგი პირობები: ოსმალეთში, ისლამის ოთხი სექტა ყოფილა, ერთი მეორეზედ უარესი და ფანატიკური, ყველაზედ სასტიკი სექტა ოსმალთ ქართველებში გაუვრცელებიათ, რა არის ამით ახალ გათათრებულ სოფლები სასტიკათ მოეგლიჯათ თავიანთ თანა ძეტომე ქართველ ქრისტიანთვის და მასთან მათში დიდი მტრობაც დანერგილიყოს.

ეს ასეც მოხდა და მართლაც ქართველ მაჰმადიანებიც აღმოსჩნდნენ ისეთი მცოდნე პირნი, რომელთაც მალე სახელი მოიხვევეს ამით და თავი ისახელეს, ასეთმა გარემოებამ მათ მოუპოვა საკმარისი ლირსება მის, რომ მათვანი ვინმე ადვილათ გამხდარიყოს შეიხულ ისლამის თანამდებობის მექონი. ეს უკვე უეჭვოდ მოხდებოდა, რადგანც მთელ ოსმალეთის იმპერიაში, ქართველ მაჰმადიანები იქმნენ ქებულნი, როგორც საზოგადოდ წმიდა მუსულმანები, ამათ მსგავს მუსულმანებს ბევრს თათრებში ვერ ხდავდნენ. ასეთ ლირსებას ქართველ მაჰმადიანები ოსმალთა სხვა და სხვა ომებში ბრძოლითაც უსაბუთებდენ. რადგანაც ქართველნი თავდადებულნი იყვნენ ყოველთვის ოსმალეთის და ისლამის.

მართლაც სინტერესოა ვიცოდეთ, თუ ქართველ მაჰმადიანთ ნატვრას როგორ უშენერდა ოსმალეთის მთავრობა, მათ ოდესიმე დაუნიშნეს ამათ შეიხულ ისლამი, თუ ქართველ მაჰმადიანები აბუჩათ აგდებულები ჰყავანდათ და ამათ შეისულ ისლამის არსებობას არ აღირსებდნენ, არ ანდობდნენ. სამწუხა-

როდ ამ-გარემოების შესახებ ჩვენ არა ვიცით რა, არა კი თუთ ქართველი მაჰმადიანებმა იციან ამის შესახებ. მე ბევრი ვეცადე, რომ შემცირიბა რამე ცნობები, მაგრამ ბევრი ვერა შეცირიბე რა რაც შეცირიბე და მოვახერხე იმასაც აქ მოვიყვანთ.

ბევრი გამოკითხვის შემდეგ, აჭარის მუფომა, მოხუცმა ჰასან ეფენდი გვერდაძემ შემდეგი ცნობები გადმომცა: ოსმალნი ქართველ კაცს შეიხულ ისლამის ლირსებას არ აძლევდნენ, ქართველს არ ენდობოდნენ, მიზეზები მის აქვნდათ, რომ ქართველნი ახალ გათათრებულნი არიან და იქმნება შეიხულ ისლამის რამე ბოროტება ჩაიდინოს, თავის ენის ქრისტიან გურჯებს მიემხროს. ქართველებში კი ოსმალნი საქმით ასეთს არას ხედავდნენ. XIX საუკუნიდამ, ქართველ მაჰმადიანებმა ისეთი მაგალითები უჩვენეს ისმალეთის მთავრობას, რაისა გამო მათ ჩვენზედ ეჭვები გულიდამ გადიფანტეს, კარგის თვალით დაგვიწყეს ყურება.

1830 წლებს კი, ქართველებში დაინახეს მათ ერთი ლირსეული კაცი, შეიხულ ისლამიდ, გახლდათ ჭავა დამან ეფენდა ბერიძე—ზეგნელი. ამ კაცმა სწავლა სტამბოლში მიიღო. იგი იყო დიდათ მახვილ გონიერი და მომზადებული ისლამის სწავლაში შესანიშნავად. ყოველივე შეგნებასთან იგი იყო წამოსადეგი ვაჟკაცი და მასთან კარგი ხმის პატრონიც. ამან სტამბოლში ისე გაივრცელა სახელი, რომის ქება კარგად შეიტყო თვით სულთან აზიზმაც, ეს ლომან ეფენდი დაიდგინა თვის მლოცველად და ბოლოს აქედამ მიაღწია მან შეიხულ ისლამის ხარისხს ყოველივე ლირსებასთან მან ქართული ენაც კარგად იცოდა და მთელს ქართველ მუსულმანებში ამ ენით ელაპარაკებოდა არამც თუ მარტოდ ხალხს, არამედ ხოჯიებს და მოლებსაც.

ძველთაგან გამიგონია, რომ ამ შეიხულ ისლამმა ქართული ენით ლაპარაკი (ქადაგება) ჯამეშიც იცოდაო. ისიც არის თქმული, რომ ვითომც ქართველებში სხვა შეიხულ ისლამებიც ყოფილან ძველ დროიდამ და ერთიც არტაანელი ქართველი.

მაჰმადიანი ყოფილა, დიდი გავლენის მქონი თვით ოსმალეთის მთავრობის წინაშე, მაგრამ მისი ცნობები ჩვენ არა გვაქვს.

ჰემარიტად, რომ ქართველ მაჰმადიანებს არ შეჰქერისთ ასე დავიშუება, ესეც ხომ საქართველოს ისტორია არ არის, ეს ხომ მათი სჯულის თავი კაცთა ამბავია, ამის უკოდინრობა კი არ მიეტევებათ მათ.

ქართველ მაჰმადიანთ შეიხულ ისლამი არტაანელი (არდაგანი)

ხერხეული ძეგლი

თუმცა ქართველ მაჰმადიანებში ნამდვილ მუსულმანები იყვნენ და ერთგულნი ამის, მაგრამ ოსმალეთის სახელმწიფო და სასულიერო მთავრობას მანც ეჭვი აქვნდა მათზედ, ვინაიდგან ქართველები ახალ მუსულმანებათ ითვლებოდნენ. თუმცა ქართველთ მაჰმადიანთ შეილებმა ისლამის წინაშე კარგი ნიჭი გამოიჩინეს და ესენი ჩინუბულად სწავლობდნენ და მეტად კარგი ნასწავლი ხოჯები და მოლებიც გამოდიოდნენ და მასთან შესანიშნავი მღვთის მეტყველ „ხაფიზნიც“ მაგრამ ნაინც მთავრობას ეჭვი აქვნდა და ამიტომ ქართველ მაჰმადიანთ სასულიერო წოდებაში შეიხულ ისლამის თანამდებობას კი არა და მუფთის თანამდებობასაც იშვიათად აძლევდნენ.

ასეთი შიშიანობას დასძლია 1780 წლებს ქართველ მაჰმადიანთ სასულიერო წოდების ღირსებამ, ამით შნობა და ენერგიამ და ამიტომაც ამ დროს, სტამბოლში შეიხულ ისლამათ ამორჩეულ იქმნა ერთხმად ქართველი ხოჯა, არტაანელი (არდაგანი) ხოჯა გვარად ხერხეულიდე. ეს არის პირველი შეიხულ ისლამი ქართველის გვარიდამ. ამ პირის არჩევაში ქართველთ მოლები და ხოჯები არ შემცდარან, ხერხეულიდე საკმარისად მომზადებული პირი ყოფილა, კარგად მცოდნე არა-



ბულის ენის, სამღლო წერილის „ყურანის“ სწავლის, უფრო მაგრა, და სხვაც ბევრი რამის მუსულმანობის.

ხერხეულიძეს თავის გამგეობის დროს თავი უსახელებია მთელს სტამბოლში ისე, რომ იგი ცნობილი გამხდარი თვით სულთანის წინაშეც. სულთანის წინაშე ამან თურმე დიდათ ისახელა. ყოველივე ამასთან ხერხეულიძე აღმოჩნდა ნამდვილ, წმინდა მუსულმანად და ამის გარეშე ოსმალეთის მთავრობის კანონებისაც კარგს მცოდნეთ.

ამ პირველი შეიხულ ისლამის არჩევა გახდა მაგალითი და საფუძველი მის, რომ ქართველები არიან ნიკიერი ხალხი, მათ არავის შიში არა აქვსთ, ამიტომ შეიძლება რომ მათ დაუბრკოლებლივ ვაძლიოთ უმაღლესი ხარისხი სასულიერო წოდებაში. ეს შეხედულება მთავრობის თვალსა და თავში ხერხეულიძეს ენერგიულმა გამგეობამ დაბადა.

შეიხულ ისლამ ხერხეულიძეს არაბულს, ოსმალურს, სპარსულ და ბერძნულს გარდა ქართული ენაც კარგად სცოდნია. ეს პირი ჯამეში თურმე ყოველთვის „ყურანის“ ახსნას ქართულად ლაპარაკობდა, იმ დროს როცა ჯამეში ქართველ მაჰმადიანები იყვნენ მლოცველნი. საზოგადოთ, ამის გამგეობის დროს, ჯამეში ქართული ენა ყოფილა მიღებული, მაშინ ხოჯიები და მოლიები ქართულ ენას ისე უმჩერდენენ როგორც არაბულ ენას, მაშინ ყველა ქართველ მაჰმადიანმა იცოდა კარგად რომ მისი დედა ენა იყო ქართული ენა. მაშინ თურმე ვერც ერთი ხოჯა ვერ იტყოდა რომ ქართული ენა გიაურის ენა არისო.

ქართული ენის მფარველობა ხერხეულიძე შეიხულ ისლამა თვით ოსმალოს მთავრობასაც დაკისრა და ისიც აუწყა, რომ ქართული ენის ხმარების „თქვენ შიში ნუ გაქვსთ, ჩვენ წმინდა მუსულმანები ვართ, ისლამს და ოსმალო არ უღალო ტებთო. ჩვენი ენა ჩვენ გვესმის, ჩვენთვის იგი არის გასაგები და ამიტომ ჯამეში და მეჯლიში რომ ეს ენა ვიხმართო.

ამით თქვენ არაფერი ზარალი არ გექმნებათო, რაღანაც ეს ენა ჩვენი ენა არის და ამ ენით „ყურანიც“ კარგად გვესმისო.



ასეთის დარიგებით ხერხეულიძე შეიხულ ისლამშა მთაცრობამა დააჩქმუნა, რომ ქართული ენის შიში თქვენ ნუ გაქვსთო ამიტომაც ოსმალეთის სასულიერო მთაცრობამაც ქართული ენის დევნას თავი გაანება. პირ იქით ხმარების ნება დართო.

ხერხეულიძე შეიხულ ისლამი თავის ქართულ გვარს ატარებდა, თაორულად ოღლით არ სცვლიდა. მასთან დიდი პატივის მცემელი იყო საქართველოსი, ქართველი ერის და მთლათ ქრისტიანების, რითაც იგი დიდს პატივს იმსახურებდა და ყველა ქრისტიანიც დიდად ადიდებდა. ქრისტიანების პატივის ცემა დიდს პატივს და სიყვარულს ავრცელებდა ისლამთანაც.

ეს პირველი შეიხულ ისლამი ქართველ მაჰმადიანების კონსტანტინეპოლის მიიცვალა 1800 წ. იგი აქარაშიც ხშირად მოდიოდა თურმე და მთელის ზაფხულობით სცხოვრებდა ქედაში, ხან ხულოს, ხან შავშეთს, ერთ ზაფხულს ქობულეთშიც იცხოვრა თავადიშვილების ოჯახშით. ქართულის ენის კარგად მცოდნე გახლდათ და მასთან საქართველოს მოყვარეც. გარდაცვალება მისს ეკუთვნის 100 წლის წინედ, ესე იგი 1800 წლებს.

შეიხულ ისლამი

აჭარელი ბარათაშვილი.

შეიხულ ისლამ ჩერხეულიძის დროს, გამოჩენილი ყოფილი მეორე ქართველი ყალიბოჯა ბირათაშვილი აჭარელი ეს პირი სტამბოლში პატარა გაუგზავნიათ, იქ აღზრდილა, ისლამის სწავლაში კარგად განვითარებულა. ქართული ენა და წერა-კითხვაც კი სცოდნია იმ დროს, ჯერეთ კიდევ თითო თროლა ქართველ მაჰმადიანებში ქართული ენა არ იყო დავიწყებული და ზოგნი ამ ენის, წერა-კითხვასაც სწავლობდნენ კარგად. ეს დროს უწევს XVIII საუკ. ბოლოს.

ბარათაშვილი ყოველივე სამუსულმანო და ისლამის ცოდ-

ნას გარეშე, სხვაფრივაც დიდათ გონიერი კაცი ყოფილული სიტყვა პასუხიანი, კარგი ხმაც ჰქონია. ეს ბარათაშვილიც სახელ განთქმული პირი ყოფილა და მასთანვე მთელს სტამბოლში დიდათ პატივცემული თვით უმაღლეს მთავრობისაგანაც. ბარათაშვილი შეიხულ ისლამათ დანიშნვა ეკუთვნის 1805 წლებს, ეს რიცხვი მე გამოვიანგარიშე იმ ზეპირ ამბებში მოყვანილ ცნობებიდამ, რასაც მომთხრობნი იტყოდნენ ხოლმე.

სამწუხაროდ, ამ შეიხულ ისლამის შესახებაც ქართველ გამადიანებში სულ არაფერი ცნობები არის დარჩენილი. ამ პირის ცნობა იქმნება მთელს სამუსულმანო საქართველოში ერთმა ქართველ მაკმადიანმაც აღარ იცის, ეს მათ არც ადრე იკოდნენ, ამ შეიხულ ისლამების ამბები ისევ თუ იკოდნენ ძველად ხოჯიებმა და მოლებმა, ესეც იშვიათად, კანტი კუნტად. ამათი ცნობები იკოდნენ ადრე ბათუმის და აჭარის მუფთებმა ამერე ეფენდი სამზადელ ხალიფაშვილმა და აჭარელ ბათუმის მუფთმა ჰასან ეფენდი ყლიჭოლლი გვერდაძემ.

ესეც შეიხულ ისლამების ამბები ამათ იკოდნენ, რადგანაც იგინი დაინტერესებულნი იყვნენ და მასთან ისიც აქვნდათ საიმედოდ, რომ ჩვენ არამც თუ მუფთის თანამდებობა, არა-მედ შეიხულ ისლამის ლირსნიც ვართ ისეო, როგორც იყვნენ შეიხულ ისლამ ხერხეულიდე და ბარათაშვილიო. ესენი ამ პირებს ქება დიდებით იხსენიებდნენ, კარგად ნასწავლებს და მომზადებულთ. მასთანვე აჭარელთა მოყვარეებს და მფარველათაც. სხვა რამ ცნობები ამ პირებმა შეიხების არა იკოდნენ რა, თუ იტყოდნენ რამეს, იმასაც მხოლოდ კარგს, გონჯს არაფერს.

ჰასან ეფენდი გვერდაძე, აჭარის მუფთი იტყოდა ხოლმე: რომ ჩვენთაგანი სხვა შეიხულ ისლამი იქნებოდა ვინმე, რადგანაც ქართველები ყოველთვის სჯობდნენ სხვა ტომის შეიხებს, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენ ცნობები არა გვაქვსრაო. ხოლო ხერხეულიდე და ბარათაშვილზედ კი ბევრს ვაი ამბებს იტყოდნენ ძველი კაცები და ჩვენც მიტომ გვახსოვსო.



შეისულ ისლამ ბარათაშვილის გარდაცვალება ეკლესიანის 1820 წლებს. მის მერეც შეიხულ ისლამებათ სტამბოლში ქართველები ხშირად ყოფილან, ხოლო ჩვენ მათ შესახებ არაფერი ვიცით, არც ისტორიულად და არც ზეპირ. ამ შეისულ ისლამების მოქმედებიდამ ოსმალეთის მთავრობამ კარგად შეიტყო, რომ ქართველები კაი მუსულმანები არიან და იგინი ჩვენ არ გვიღალატებენო. ამას უსაბუთებდნენ ყოველთვის ის ქართველ გვარის მუფთნიც.

ქართველთ მაჰმადიანთ მესამე

შეიხულ ისლამი დეონიძე იმერხეველი.

1828 წლებამდის ყოფილა მესამე შეისულ ისლამი ქართველთაგანი იმერხეველი ლეონიძე. ამის ცნობები ჩვენ არა ვიცით რა, ამიტომ აქ მარტოდ მის გვარს შევეხებით. იგი იმერხეველი ყოფილა. მეც მიცხოვრია იმერხეველ ლეონიძებში და იქაც ასე უამბნიათ, რომ ერთი ჩვენი ძველი სტამბოლში გაიზარდა, მერე შეისულ ისლამი გახდაო. ესეც გონიერი კაცი იყოვო და ქართული ლაპარაკის და წიგნის კარგად მცოდნეო. ამის გარდაცვალება ეკუთვნის 1830 წლებს. ამ ლეონიძის შემდეგ ოსმალოს ხალხში დიდათ განითქვა სახელი გურჯი ლომან ეუენდი ხოჯა ქარცივაძემ. თვით ამ ხოჯასაც სცოდნია ლეონიძეს ამბები, მაგრამ მაშინ არავის რა დაუწერია ამის შესახებ. ლეონიძე წმინდა მუსულმანი იყოვო, ისლამის დიდათ მოყვარე, არც თავის ძველების მოგონება სძულდაო. ამათაც დიდს პატივს აძლევდაო.

სამწუხაროდ, ვისგანაც ეს ცნობები შევკრიბე მან არ იცოდა სახელები შეისულ ისლამებს. ბევრს ვკითხე ამათ შესახებ ცნობები, მაგრამ მცნობი ვერავინ ვნახე, არამც თუ ამათი სახელების არ ცოდნა შევიტყვე რამე, მათ სულაც არ იცოდნენ ის გარემოება, რომ ოდესმე ქართველ შეისულ ის-



ლამიც კი ყოფილა. ამათი ამბები მარტოდ სასულიერო
დებაში, ისიც მუფთმა იკოდა. დღეს ამათ ცნობაც აღარც
მუფთს და ხოჯებს ეცოდინებათ.

ისიც კი ვქმენ, რომ არტანელებს ვკითხე ხერხეულიდე
შეიხულ ისლამის ამბავი, ბარათაშვილის აჭარაში და ლეონი-
ძესი იმერხევში, მაგრამ ვერსად რა ვსუან. ყველა იმას იმპობ-
და: არა ვიცით რა, აღარ ვვახსოვს. თვით მოხუცნიც არას იტ-
ყოდნენ: მუფთს ვაუწყე, რომ ხალხში შეიხულ ისლამების შე-
სახებ არავინ რა იცის მეთქი. მან მომიგო: ჩვენი ხალხი ტყის
ხალხია, მაგათ რა იციან, ეს ჩვენ ვიცით მხოლოდ, მიტომ
რომ ეს იცოდნენ ძველ ხოჯებმა და გამოკითხვა როცა იქნებო-
და, ისინი იტყოდნენ ხოლმე ამათ კნობებს, მიტომ რომ მათ
იცოდნენ. ხალხს კი ესენი არ ეცოდინება. არც იციან.

ქართველ გვარის

მ უ ფ თ ი ა .

ქართველ მაჰმადიანთ სასულიერო წოდება XVIII საუ-
კუნის გასვლამდის შესდგებოდა მარტოდ უბრალოს მოლები-
სა და ხოჯებისაგან. სხვა რამ უმაღეს ადგილებს ქართველებს
არ აძლევდნენ, რადგანაც ქართველები ახალი მუსულმანები
არიან და შეიძლება რამე სჯულის ღილატი ქმნან. ასეთის
შიშით იყო ოსმალეთის სასულიერო გამგეობა გარემოცული
იმ დროსაც კი, როცა მათ მთავრობას ქართველთაგან მრავ-
ლად ჰყვანდნენ სხვა და სხვა გონიერი მხედართ მთავარ ფა-
ზები.

ოსმალეთის სასულიერო მთავრობის შიერ წამლად მოევ-
ლინა ის გარემოება, რომ XVIII საუკ. ბოლოს ქართველთა-
გან უკვე გაჩნდა შეიხულ ისლამი. ერთ შეიხულ ისლამის მო-
ჰყვა მეორე და მესამეც. ქართველ შეიხულ ისლამებმა მთავ-
რობას ქართველთა შიში გულს გადაჰყარეს და მის შემდეგ კი



ქართველ ხოჯიებს და მოლიებსაც დაუწყეს პატივის ქართველობის უკანონობის და თუ საღმე მუფთის ალაგი გაიხსნებოდა, მაშინ მის-თვის ქართველებსაც ირჩევდნენ უმჭვოთ.

ამ გვარად, ქართველ გვარის მუფთებს ჩვენ ვხედავთ უკვე XVIII საუკუნიდან. ამ მუფთებს შორისაც ყოფილან თათო-ოროლა გონიერი პირები, რომელთაც თავიანთ ეროვნების შეგნებაც ჰქონიათ, მოვიყვანთ აქ ამათ ცნობებსაც, რაც ჩემ მიერ შეკრებილ იქმნა 1890 წლიდამ. ყველა ეს ცნობები მო-თხრობილია გათუმის მუფთის ჰასან ეფენდი ყლიჭოლლი გვერ-დაძესაგან. ზოგიც სხვების, უმეტეს ხოჯიების.

ბურგი (ქართველი) ისმაილ მუფთი სალიფაშილი ამის და-ბადება მიეწერება XVIII საუკ. რიცხვებს, გარდაცვალება 1803 წლებს ისმაილ ხალიფაშვილი სტამბოლში სწავლობდა, იქ იქმნა ხოჯად დადგენილი, იყო კაი ხმის პატრონი და მას-თან თვალადი, მთელს სტამბოლში სახელი განითქვა, ბედმა ისე გაუღიმა, რომ იგი ოსმალეთის სულთანმაც გაიკა, შემ-დეგ დროს ისმაილი თავის კარის მლოცველად დაადგინა და შვილების აღმზრდელადაც.

ისმაილ ხოჯა იყო მჭერ-მეტყველი არაბულის ენით და ქართულიც კარგად იცოდა, მხოლოდ ქართული წერა-კითხვა არ სცოდნია, სხვაფრივ იგი კაი შეგნებული პირი ყოფილა, ამას კარგად სცოდნია ის გარემოება, რომ იგინი ტომით ქარ-თველები ყოფილან და სჯულით მუსულმანები, რომ მათი დედა ენაც ქართული ენა ყოფილა.

ისმაილ ხოჯა იყო წმინდა მუსულმანი არაბული ენა კარ-გად იცოდა, ასევე ის გარემოებაც, რომ იმ დროის ქართველ ხოჯებს და მოლებს ყურანის სულ არაფერი ესმოდათ, რადგა-ნაც არაბულ ენას იგინი ვერ სწავლობდნენ კარგად. ამიტომ ისმაილ ხოჯამ „ყურანის“ სწავლა არაბულის ენიდამ ქართულს ენაზედ სთარგმნა, რადგანაც ისმაილ ხოჯამ ქართული წერა-კითხვა არ იცოდა, ამიტომ მთელი თარგმანი არაბულის ასო-ებით დაწერა, სიტყვები კი სულ ქართული იყო.

ეს წიგნი 1820 წ. აკარის მუფთის გამოუგზავნა და შე-



მოუთვალეს, რომ დღეის შემდეგ აქარაში ხოჯებმა ამ შემოვიდნენ დამ გადასწერონო, და ჯამეში „ყურანის“ შესახებ ისე იღაპა-რაკონ, როგორც აქ სწერიაო. ბრძანება შეასრულეს და იმ დღის შემდეგ, ხოჯები ამ ქადაგებიდამ იწერდნენ წიგნებს და ჯამეში ქართულათ ქადაგებდნენ. ამ წიგნის ქართულათ ქადა გება გასტანა 1855 წ. ამ წელს კი მოსხეს და ის წიგნებიც გააქრეს, რაც კი ქართულის სიტყვებათ იყო ნაწერი. მიზეზათ ამის ის გახდა, რომ რუს-ოსალოს ოში ატყდა 1854 წ. ვაი თუ რუსები შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში და ჩვენ რომ გვნახოვენ ჯამეში ქართულად ვლაპარაკობთ, მაშინ ჩვენც ძალით გაგვაქართველებდნო. ამ დროდამ დაიწყო ქართული ენის შეძულებაც ქართველ მაჰმადიანებში და გიაურის ენად წოდება. მეტად საინტერესო არის მოპოვებულ იქმნეს თუნდ ერთი ცალი იმ ქადაგების, რაც ქართულის სიტყვებით არის ნაწერი. ბათუმში წიგნის მაღაზიის პატრონმა გამსაუხრდიამ გადმომცა, რომ ერთმა ქართველ მაჰმადიანმა სთქვა, რომ ამ წიგნის ერთ ალაგას მეგულება ერთი ცალიო და დამპირდა მოტანასაო. ამ უკანანასკნელ სტამბოლში ამ ხალიფაშვილს მუფთის თანა-მდებობაც ეკავა, გარდაცვალება მის ეკუთვნის 1830 წლებს.

გურჯი (ქართველი) ლომან ეფენდი ქარცივაძე.

ლომან ეფენდი ქარცივაძე სტამბოლს გაიზარდა, ისმაილ ხოჯასავებ ესეც თვალიდი და ტანადი კაცი ყოფილა და მას-თან ამასაც კაი ხმა ჰქონია. ყოველივე ამის გარეშე მეტად გო-ნიერი კაციც ყოფილა და სხვა და სხვა ენების მცოდნე, კარ-გად სცოდნია ქართული ენაც. ეს ლომან ეფენდი ცნობილ იქმნა თურქე. ასეთ წარმატების გარეშე, ლომან ეფენდი დიდი მოყვარე იყო თავის ქვეყნის, ქართველ მაჰმადიანების. სტამ-ბოლში ქართველ კაცს რომ ნახავდა, მაშინ მის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდაო. ხოჯებს წმინდა ქართულის ენით ელაპარაკებოდა და იმ ენით ლაპარაკი არ სძულდა, არც ცა-

დვად მიაჩნდათ. ბოლოს ეს პირიც მუფთი გახდა და იგი ხო-
ჯებს ხშირად ჯამეში ყურანის ახსნას ქართულად ეტყოდა,
მასთან იმასაც ეუბნებოდა, რომ თქვენც ასე ქართულად უთ-
ხარით ეს ასწავლა ხალხსა ჯამეშით.

მუფთი ახმედ ეფენდი ხალიფიდან.

მერისელ-სამზიარელი. გაზრდილი ლომან ეფენდისაგან
და კარგად იცოდნენ ქართული ენის და ქართველ მაჰალიანთ
ამბები. ახმედ ხალიფაშვილიც სტამბოლში აღიზარდა, ის იქმნა
ხოჯად დაღვენილი, მერე აჭარაში დაბრუნდა 1860 წლებს
უკვე იგი აჭარის მუფთი გახლდათ. იყო თავის ქვეყნის მოყვა-
რე, ქართული ენის პატივის მცემელიც. ჯამეში ეს ყოველთვის
ქადაგებას ქართული ენით იტყოდა. 1870 წლებში, სტამბოლ-
ში შეიხულ ისლამთან დააბეჭდეს, რომ ჯამეში ქართულ ენას
ხმარობსო. მთავრობამ სამართალში მისცა და გამოძიება სწარ-
მოებდა. ახმედ ხალიფაშვილმა თავი იმართლა ასე:— „ჩვენი
ენა ქართული ენა არის, ჯამეში ამ ენას ვხმარობ ყურანის
სწავლის გასაცნობათ, რაღაც გურჯებს არაბული ენის არა
ეყურებათრაო“. მთავრობამ დავა მოუსპო. ახმედ მუფთი გა-
მართლებულ იქმნა გონივრულად. ახმედ მუფთმა დიდი, სრუ-
ლი ლონე იხმარა და 1878 წ. რომ აჭარლები რომ არ გადა-
სახლდენ ოსმალეთში, ეს სულ ამის ქადაგების მიზეზები გახლ-
დათ. მე გავიცანი იგი 1889 წ. ქართველ შეიხულ ისლამის
ამბები ზოგი ამისაგანაც ავკინძე. იგი გარდაიცვალა 1890 წ.
რუსეთის მთავრობისგანაც პატივცემულ იყო. ამანა ქადაგება
იცოდა კარგად და მცენრ-მეტყველურად. ამის ქადაგების მო-
თავსებულია ჩემს წიგნს:— „ქართველების გადასახლება, ანუ
ერთერთი“. 1914 წ. თუ. ამიტომ იქ აღარის ვამბობთ.



შუფთი ჭასან ეფენდი ელიშვილი გვერდაძე აჭარელო მუნიციპალიტეტის მიმღები გვერდაძე გახლდათ აჭარის სოფელ ზუნდაგელი. სტამ-ბოლში არ იყო ნასწავლი, სასულიერო სწავლა აჭარის მუფ-თისაგან მიელო, მიუხედავათ ამის იყო გონიერი კაცი და ქარ-თველი ერის და ქართული ენის დიდათ მოყვარე. ეს მუფთი გავიცან 1891 წ. მის შემდეგ მე ხშირად დავიარებოდი მას-თან ბათუმში და მისგან ბევრს ამბებსაც ვიწერდი.

ჭასან ეფენდი იყო კეთილი კაცი, მთავრობის წინაშეც პატივ ცემული. ხოჯებში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყვანდა მის გამო, რომ იგი სტამბოლში ნასწავლი არ არის, ეგ მუფთი კი არ უნდა იყოს, არამედ სოფლის მოლაო თვით იტყოდა ხოლმე ჭასან ეფენდი რომ „ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენს კე-ნაც ქართულია, ჩვენს ოჯახში ჩვენი ქალ-ბილანა სულ ქარ-თულ წიგნებს სწავლობენო“. რამდენიც მნახავდა ხოლმე ეს მუფთი იმდენჯერ ქართულ წიგნებს ითხოვდა, დიდი პატივის მცემელი იყო ქართული ენის და წიგნების.

ეს პატიოსანი და კეთილი მუფთი 1908 წ. ბათუმში მო-კლულ იქმნა ვერაგულის ხალხის მტრებისაგან. ამით უნდო-დათ რაღაცა ვაების აშლა ქართველთა შორის, მაგრამ ვერ მოუხდათ.

ხჯულის შეძიანობის გამო.

ს ი ტ უ ვ ა

ბათუმის მუფთის ჭასან ეფენდი ელიშვილი გვერდაძის ნათევაში.

ჩემი კითხვის პასუხათ.

ჩვენ, ბატონო, დიახ, გურჯები ვართ, მეც და მთლად ჩვენი ძველებიც სოფელ ზუნდაგელები გახლავართ, ჩვენ რომ ქართველები ვიყავით ეს ცხადია, ამას ასაბუთებს ჩვენი სოფ-ლის ცნობები და ისიც რომ იქ მიწაში დარჩენილია მრავლად ჭურები, ძველად ჩვენ ერთნი ვაყავით, მერე გავიყარენით, ალ-

ბათ ესეც ლმერთის ნება იყო, უაშისოთ არა შეიძლება გადატაროს
რე, ესეც ასეთი დიდი საქმე.

მართალია გავიყარენით, ჩვენ ჩვენი სჯული გვქონდა და
თქვენ თქვენი. ჩვენში სადავო და საჩუბარი არა იყო რა. მა-
გრამ იყვნენ ისეთი კაცები ჩვენში და თქვენშიაც, რომ ის
თავის სჯულს აქებდა, სხვისას კი აძაგებდა. ასე მოგვივიდა
ჩვენცა. ჩვენში იყვნენ თითო-ოროლა ისეთი ხოჯიები, ქვემო-
დამ (ოსმალეთ) მოსულნი, რომელნიც ჩვენ ხალხს აშინებდ-
ნენ ასე:

გიაურები, რუსები და ქართველები მოვლენ აქ და ყვე-
ლა გიაური გახდება. მაშინ ლორის ხორცს შესჭამთ და სულ
წაწყდებით, დაიღუპებით; ასეთ ხოჯებს მე ხშირად დარიგებას
ვაძლევდი და ვაფრთხილებდი, მაგრამ იგინი არ მისმენდნენ,
მე მეუბნებოდნენ, რომ შენ სტამბოლში ნასწავლი არა ხარ,
შენ სჯულის საქმის არაფერი იციო... ვითომ იმათ კი იცოდ-
ნენ, მაგრამ იმათ სულ არაფერს იცოდნენ. მაგრამ რას ვიზამ
დი, რაკი სტამბოლში ნასწავლები იყვნენ, ამათ ტყუილიც
გადიოდა და ჩემი მართალი კი არა.

სულ ასეთ ხოჯიებმა დაღუპეს ჩვენი ხალხი და იგინი ჩა-
იგდეს შიმშილსა და გაჭირების (კეცხლში. ხალხს აშინებდნენ
დაიცადეთ მოვიდნენ რუსები და ქართველები და მაშინ რა
მოგივათ, აბა დაიცადეთ, მერე ნახავთ თქვენ თუ რა მოგივათ,
მაგრამ მაშინ გვიან იქნება და ბევრს ინანებთ.

ასეთის ლაპარაკით დუნია წახდა, ქვეყანა, ხალხი აი-
რია, ჩვენში დიდი უბედურება მოხდა, დიდი საცდავობა.
გავიდა დრონი, აგერ რუსებიც მოვიდნენ, ჩაიბარეს აქაურობა,
ქართველებიც მოვიდნენ, მაგრამ ჩვენთვის არას დროს არავის
უთქვამს, რომ თქვენი სჯული ავია და ჩვენი კარგიო. ამის
ერთი მაგალითიც არ არის, რომ ჩვენთვის მათ სჯულის გა-
მოცვლა ერჩიოს, გაგიაურება.

რუსები და ქართველები ამას არც საჭიროებენ, მე ეხ-
ლაც ვიცი ამაზედ ლაპარაკი და ჩვენ ხალხს ვეუბნები ამას,
მაგრამ იმათ არ სჯერათ, რადგანც მათ ხასიათში შესული აქვთ



ძველებური შიში, სამწუხაროდ, ჩვენი და ოქვენი შეძლებულებები. სულ ასეთის კაცების ბრალია. სულ ესენი იყვნენ ამის მომხერხებელნი, რომ ჩვენ ერთმანეთი შევიძულეთ. ამაში ღმერთი არ ურევია.

ასე, ამ სჯულის არ მცოდნე ქვემოურ ხოჯებმა წაახდინეს საქმე და იმოდოლი ხალხიც თავიანთ ცხოვრებიდამ მოშალეს და მით დალუპეს, ვინც აქ დავრჩით, ყველას იგინი უდის თვალით გვიყურებდნენ, თითქმის გიაურს გვიწოდებდნენ, მეტი რა გზა გვქონდა, ჩვენც ვითმენდით ყველაფერს, ისინიწავიდნენ, ჩვენ აქ დავრჩით, მოვიდნენ რუსები, მაგრამ რასაც ისინი ამბობდნენ, იმის მსჯავრი რუსებს და ქართველებს ჩვენთვის არაფერი უთქომთ, ამას ჩვენის თვალით ვხედავთ და ურით გვესმის, რომ თათრებს სჯულიდამ გასვლის არავინ ავალებს, ამიტომ ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენები ასე მოტყუცდნენ და თავიანთ ცხოვრება და სახლ-კარიდამ მოიშალნენ და ოსმალში წავიდნენ.

თვითონ დაიღუპეს თავიანთი თავი და ჩვენც გადაგვემტერნენ, რომ თქვენც ჩვენსავებ დაიღუპეთო. აბა ეს ვისი მოსაწონი უნდა იყოს, არავისი, ყოველივე ეს მოხდა სულ ჩვენი სჯულის შიშით და სჯულის საქმით. ერთმანეთის სჯულზედ ლაპარაკი ცუდათ ვიცოდით და სჯულის არაფერი გვესმოდა. ამან დაგვლუპა და გვაზარალა, სჯულზედ ლაპარაკი არ არის კარგი და ისიც კიცხვა და გმობა.

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი სჯულიდამ გასვლა რუსებს არ სდომნიათ, არც ქართველებს, ეხლა კი იმედია, რომ ჩვენ დაკარგულ-დავიწყებულ ძმებს ისევ გზას გავხსნით, მეგობრობას დავიწყებთ, სჯულზედ ლაპარაკი არ გვექნება, არამედ სხვა და სხვა საქმეებით წავალთ წინ. ამის იმედი უნდა ვიქონიოთ, რადგანაც ჩვენს დროში სჯულზედ ლაპარაკი იქით იქმნა მიტოვებული. იმედია, რომ დღეის შემდეგ ჩვენი ძმობა უფრო განცხოვლდება. მეც ამაზედ ხშირად ვლაპარაკობ ჩვენს ხალხში. ჩვენ ერთნი გახლავართ და ერთნიც უნდა ვიყვნეთ. ამის შიში ჩვენ აღარ გვაქვს, რადგანაც ჩვენ გაგიცანით და



თქვენი აზრებიც, შევიტუეთ ჩვენ შესახებ, ეხლა შიშკარია
არის ისლამის, აღარც მტრობის, ჩვენც თვალს გავახელოთ და
ტყიდამ გამოვალოთ და კაი ცხოვრებას დავადგებით. თქვენის
დამარებით ყველაფერს ადვილად, კარგს ვისწავლით. თუ არ
ვისწავლით, მაშინ ზღვაში გადასაყრელნი გავხდებით.

ასეთ გონივრულ სიტყვებს ეს მუფთი ჩშირად ამბობდა
საჯაროდ, სამწუხაროდ მე კი ამ ერთი სიტყვის მეტი ვერ
დავსწერე. იგი 1908 წ. მოკლეს, საინტერესო არის, რომ ამ
მუფთის მიერ წარმოთქმული სიტყვები შეკრებილ იქმნეს თუნდ
სულ არა რამდენიმე მაინც, ამის სიტყვებს ყოველთვის ექმნე-
ბა გონივრული მნიშვნელობა, რადგანაც ფანატიზმის მათში
არა იქნება რა.

ისლამის კრცელება საქართველოში სად როდის დაწეობილა.

ზეპირის ამხედვის და ისტორიული ცნობების დასკვნით.

ყარსის თემის ქართველებში ისლამის გავრცელება დაუ-
წყვიათ XVI საუკ. ნახევრიდამ.

ლაზესტან-ჭანეთი. ისლამის ვრცელება დაუწყვიათ XVI
შოლოს წლებს.

არტაანის (არდაგანი) თემში ისლამის ვრცელება დაწყო-
ბილა XVII საუკ. დამდეგს.

შავშეთს ისლამის ვრცელება დაწყობილა XVIII საუკ.

თორთომს, ოლთს და ამათ მიდამოებში დაუწყვაათ XVI
საუკ. ბოლოს.

ლიგანის ხევის ქართველნი ისლამს დაუკავშირდნენ
XVIII საუკ. დამდეგს.

აჭარა და მაჭახელი ისლამის ვრცელება 1670 წ. დაწ-
ყემულა. მერე დაკავშირდნენ 1770 წ. ამას ჩვენ მიტომ ვსწერთ



ასე, რადგანც აქარლები ამბობენ, რომ ჩვენ ასი წელიშვილის
ბრძოლეთო.

ქობულეთში გამაპმადიანება 1680 წ. იშვება. 1690 წ.
აქ ისლამს დაუკავშირდნენ თავდგირიძენი. მის მეტე სრულიად
ქობულეთელ გამაპმადიანება მოხდა 1780 წლებს.

დანარჩენ კუთხეების ქართველთ გამაპმადიანება სრულიად
მომხდარა XVIII საუკუნის გასვლადის.

ზოგს ხეობას ხუთი წლის წინეთ მიუღია, ზოგს ათი
წლით, ზოგს უკან, ასე რომ ერთი მეოცე ათიდამ 15 წელზედ
იქით არ სცილდება.

სხვა რამ ცნობები ამის შესახებ ჯერ-ჯერობით არა არის
რა და ვერც ჩვენ ვიტყვით რამეს.

გურიის გათათრება 1800 წელს გადაწყვეტილა, მაგრამ
ველარ მთახერხეს ეს მეთაური გიორგი გურიელი გურულებმა
დახვრიტეს. ამის ცნობა წიგნშიაც გახლავს მოთავსებული.

ამ წიგნის გამოცემის ამბავი.

საქართველოს ისტორიულ წიგნებში, ისლამის გავრცე-
ლების შესახებ თითქმის არსად არის ანუსხული თუნდ სულ
სადათ და მცირედ, თუ სამცხე-საათაბაგოს ქართველებმა და
ლაზებმა ამ დროს მიიღეს ისლამი. ვახუშტი სწერს მხოლოდ
ასე: „სამცხე ასმადთ აიდეს და ქართველები მოჰამედიან ჰყვეს“ ეს
არის სულ, ამის მეტს კაცი სხვას ვერას ნახავს.

ამ გარემოების სიღატაკე დიდად აღონებდა ისტორიკოს
დიმ. ბაქრაძეს. ამ პირმა ქართველ მაპმადიანებში ორჯერ იმ-
გზავრა, კონსტანტინეპოლშიც გახლდათ, იქაურ ოსმალთა არ-
ქივებშიც კი დასინჯა, მაგრამ ქართველთა გამაპმადიანების შე-
სახებ კი ვერსად რა მასალები იპოვნა. ოსმალეთის საქართვე-
ლოში როცა დავიწყე მგზავრობა, მაშინ მეც ეს გარემოება მქონ-
და სახეში მიღებული. მაშინ ამით ვიყავით გატაცებული.

ამიტომაც მეც 10 წლის განმავლობაში, სულ ამაზედ



ვსკლილობდი, რომ ეგები რამე ცნობები შემცირიბა. შეღლუმის კიდევაც და იმ დროებში, ზოგიერთ ხეობის სოფლებში, ჯერეთ კიდევ ცოცხლები იყვნენ ისეთ მოტუცებულნი, რომელთაც ისლამის ვრცელების შესახებ სხვა და სხვა ამბები იცოდნენ. რასაც ბევრის გამოკითხვის შემდეგ იგინი მიამბობდნენ ხოლმე, მეც ამ ნაამბობს ვიწერდი ისე, როგორც შემძლო.

ჩვენდა სამწუხაროდ სადაც კი მათში ლაპარაკი მქონია და გამოკითხვა, ყველგან მათ უხსენებიათ თვისი გათათრება, რომ გავთათრდით, და ეხლა ჩვენ თათრები ვართო. ვერც ერთ ქართველ მაჰმადიანს ვერ ათქმევინებთ რომ იგი მოჰამედიანია, ანუ ქართველ მაჰმადიანი: ის უცებ გეტყვით, რომ მე თათარი ვარო. მიტომაც მეც ასე ვხმარობდი, რომ თათარი და გათათრება. ქართველის წოდება—ზათის სიტყვით სჯულის გმობა არის.

ამ გათათრების ცნობების ზოგი 1892 წლიდგან გაზ. „ივერია“-ში იბეჭდებოდა, ზოგი იკავის „კრებულში“ ერთ დროს, ამის პატარა წიგნიც გამოვეცი ცალკე, რომელ წიგნიც პროფესორშა აღ. ხახანაშვილმა განიხილა და ეს განხილვა რუსულ უურნალ „რუსკაია მისლში“ დაბეჭდა. 1900 წლებს ამ განხილვაში პროფესორი აი რას სწერდა ამ წიგნის შესახებ.

„ისლამის გავრცელებას საქართველოში და ნამეტურ ქრისტიანობით აყვავებულს სამცხე-საათაბაგოში, ერთობ მდიდარი ისტორია აქვს, სამწუხაროდ, ქართულ ისტორიულ წიგნებში კი ამის შესახებ სულ არაფერი მოიპოვება. ამიტომ ეს წიგნი ძვირფასი მასალა გახლავსთ მის და მასთან თითქმის ერთადერთი წყაროც. ამის შესახებ რადგანაც სხვა რამ ცნობები მის შესახებ ჩვენ არაფერი მოგვეპოვება“.

ამის შემდეგ გავიდა კარგა ხანი, ეს წიგნი აღარსად იშოვებოდა, მე კიდევ შევკრიბე სხვა და სხვა ზეპირ ამბები, ასეთის ამბებისაგან გაკეთდა მთელი წიგნი, მთელი მასალა, რაზედაც არა მცირე დრო დავკარგე და მასთან ფულიც, ვინაიდგან ასეთი ქართველ მაჰმადიანებში ბევრნი ერთობ შიშით და ძნელად რომ იტყოდნენ რამეს. ასეთი იყო მაშინ გარე-



მოება, დღეს იქმნება ალირი ეს იქმნეს, რადგანაც იმართვას
მოხუცნი დღეს უკვე აღარ სცხოვრებენ, მათ თან წარიღეს
ამის ზეპირ ამბები.

ამ ბოლოს დროს, ყველა ჩემ მიერ შეკრებილი მასალები
და აქეთ-იქით გაფანტულები ერთად შევკრიბე, ერთ წიგნათ
აკინძე, მსურდა, რომ ამ ისტორიული გარემოების შესახებ,
ჩვენს მწერლობაშიც რამე ხალხური მასალებიც ყოფილიყოს
დასტამბული. მიტომ განვიძრახე მისი ცალკე წიგნად
გამოცემა, მაგრამ რადგანაც ამისთვის გარემოება ხელს მიშლიდა.
ამიტომ მივმართე ჩვენს წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.
100 მ. ვთხოვე დახმარებას, თუ ასე არა მაშინ სესხათ მაინც,
სესხათ თუ იქნებოდა, მაშინ ამ ფულს წიგნის გამოცემის შემდეგ
დავუბრუნებდი, ან ახლის წიგნებით გადუხდიდი აღნიშნულს
საზოგადოებას სარგებლით, ხსენებულ თხოვნასთან ნიმუშად
დასაბეჭდი წინიც წარვუდგინე.

რამდენიმე დღის შემდეგ ცნობა მივიღე შემდეგის შენიშვნით,
რადგანაც წიგნი დაუმუშავებელია, ამიტომ იგი შესწორებულ
უნდა იქმნეს ისე, როგორც ამას აიდარ ბეგ აბაშიძე
თხოულობსო. ესეთი წინადადება მე უხერხულად დავინახე
რადგანაც ხალხური ზეპირ ცნობების გადაკეთება მე ვერ გავ
ბედე, ამიტომ წიგნი უკანვე წამოვიდე. შევიტყე, რომ ეს წიგნი
სამწიგნობრო სექციას არც კი განეხილა, თორემ ხალხში შეკრებილ
ზეპირ ცნობების გადაკეთებას მე არ დამიდებდა წინ
ვალად.

ჩემი გამოსაცემი წიგნების შესახებ აიდარ ბეგ აბაშიძემ
ქუთაისის გაზ. „საბჭობლოში“ წერილი დასტამბა, იქ წინადადება
მომცა, რომ ეგ წიგნები ჩვენმა სჯულის თავ-კაცებმა
რომ განიხილონთ და მათის მოწონებით დაიბეჭდოს, უფრო
უკეთესი იქმებაო. ეს შენიშვნა მე პატივისცემით მივიღე და
იმავ გაზ. „სამშობლოში“ ცნობა მივეცი, ანუ თანხმობა.
მხოლოდ ისიც ვაუშევ, რომ ჩვენ დასაბეჭდ წიგნებში გარდა
ორის წიგნისა, სახელდობრ: „ქართველების გამაჰმადიანება,
რაც ზეპირის ცნობებით არის დაწერილები და „თამარ შეფე“

ასევე ზეპირის და ისტორიულის ცნობებით დაწერილი, ამათ გარდა სხვა წიგნებს ყველას უთქვენ თავდარიგოთ არ გამოვა-
ქვეყნებთქმ. ზეპირის ცნობებით დაწერილებს კი ვერავის შე-
ვასწორებინებთო.

უეპველია თ. კიკვაძეს თუ ერთი ცნობა წაუკითხავს, ან აიდარ ბეგის ცნობა, მაშინ ეს ცნობაც უნდა წაეკითხა მას იმავ გაზეთ „სამშობლოში“. მაგრამ საქმე ასე არ აღმოსჩნდა. იმავ დროს, გაზ. „საქართველოში“ ცნობა დაბეჭდა ბ. გ. იმ-
ნაიშვილმა, ამ ცნობით თავისი სინანული განაცხადა მასზედ,
რომ 100 მ. არ მასესხეს დროებით. ამ ცნობა მოჰყვა მეორე
თ. კიკვაძის, ცნობაც, რომელმაც ბრალდება უარ-ჰყო და განა-
ცხადა რომ ჩვენ უარი კი არ უთხარით, არამედ წიგნის შესწო-
რება ვაუწყეთო. ჩემთვის უკვე საქმე გაირკვა რომ აქ მტრო-
ბის და შურის მეტი სხვა არა იყო რა სახეში მიღებული.

ბ. თ. კიკვაძე სწერს კიდევ, რომ ვაი თუ ამ წიგნის და-
ბეჭდვამ სიკეთის მაგიერ ვნება მოიტანოსო. სჩანს წიგნი უმნი-
შვნელოა. ამიტომ უფრო მოვიწადინე ამ წიგნის გამოცემა და
ცალკეც დავბეჭდე, რომელ მასალების დაბეჭდვასაც აღრე და-
უყონებლივ ითხოვდა ისტორიკოსი დიმ. ბაქრაძე, პროფესორი
ალექს. ხახანაშვილი ერთ-ერთ წყაროთ ეთვლებოდა და ახლად
განსვენებული აკაკი ხომ აღტაცებით კითხულობდა და თავის
„კრებულშიაც“ ბეჭდავდა სიამოვნებით. ეხლა მკითხველმა გან-
საჯოს ამ წიგნის ბედი.

၁၀၆၈၁

ამიტომ ლირსია რომ განსვენებულის სიტყვები შეიკრიბოს, ნუ თუ ქართველ მაჰმადიანებში აღარავის ახსოვს მისი სიტყვები. სიტყვებს უნდა თან დაჰყენს მისი მოკვლის ამ-ბებიც.

902/15
საქონის
სამსახური

Индекс №

Цена 20

ქართველ მაჟმადიანთ შესახებ

დასაბეჭდი მაქვს შემდეგი წიგნები, რაც ხელ მოკლეობის გამო დროით
ვერ ვძებლავ.

- 1, ქართველ მაჟმადიანთ გვარის ფაშები და სხვა მოწინავე კაცნი.
2, გურჯისტანის ქალი (ქართველი) და მრავალცოდიანობა მათში.
3, ქართველ მაჟმადიანთ სასულიერო წოდება.
4, ქართველ მაჟმადიანთ სწავლის საქმე არაბულის ენით.
5, ქართველ მაჟმადიანთ იარები, ანუ ცრუ მორწმუნოვა.
6, ადი ფაშა თავდგირიძე და თავდგირიძიანთ გვარის ამბავი.
7, მუჭამედ საბით ფაშა ჯაველი და მის დროის ამბები.
8, ხელიძ ფაშა ხიმშამვილი.
9, ახმედ ფაშა ხიმშამვილი და სხვა ამბები.
10, საქართველოს პატივის მცემელ ქართველ მაჟმადიანები.
11, ქართველ მაჟმადიანთ შეგნებული სასულიერო პირები.
12, საქართველოში გინ დაუკავშირდა პირველად ისლამს და მისი
ამბები.
13, ქართული ენის დაგარგვა ქართველ მაჟმადიანებში და მათ გათა-
თრება.
14, ქართველ მაჟმადიანთ სახალხო ლექსები.
15, თამარ მეფე ქართველ მაჟმადიანთ ზეპირის ცნობებით.
16, თუ როგორ მიიღეს პირველად ქართველ მაჟმადიანებმა ქარ-
თულს ენაზედ დაბეჭდილი „უკანას“ და სხვა სამწიგნობრო
ცნობები.
17, ქართველ მაჟმადიანთ საზოგადო ლოცვები, ქართულის ასოებით
ხოლო არაბულის სიტყვებით დაბეჭდილი.